



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რაჟდენი კუპრაშვილი

ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის პრობლემები (შედარებით-სამართლებრივი
ანალიზი)

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი,
მარიამ ცისკაძე

თბილისი

2023

აბსტრაქტი

კრედიტებთან დაკავშირებული საზოგადოების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში, ჭარბვალიანობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის წარმოადგენს გამოწვევას. შესაბამისად, სახელმწიფოებმა დაიწყეს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. აქედან გამომდინარე, როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებმა გამოსავალი ეფექტური გადახდისუნარობის სისტემის ამოქმედებაში დაინახეს.

ეს საკითხი დღის წესრიგში დგას საქართველოს შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გადახდისუნარობის კანონმდებლობამ არაერთხელ იცვალა სახე, ფიზიკურ პირებს სპეციალური რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ აქვთ. ამრიგად, ის ფიზიკური პირები, რომლებიც ვადამოსულ ფინანსურ გადასახადებს ვერ იხდიან, ფაქტობრივად ვალების, პროცენტების, პირგასამტეხლოებისა და ბანკთან დადებული გაურკვეველი ხელშეკრულებების წინაშე გამოსავლის გარეშე რჩებიან.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს, რომ აუცილებელია ფიზიკური პირის გადახდისუნარობის კანონმდებლობის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ნება შეუერთდეს ევროკავშირის ქვეყნებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გეზი აქვს აღებული ევროკავშირისკენ, აუცილებელია კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოხდეს ევროკავშირის მოთხოვნებთან. მართალია, ასოცირების შეთანხმება პირდაპირ არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების გადახდისუნარობის კანონის შემოღების ვალდებულებას, თუმცა ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის მითითებული ისეთი პრინციპები, როგორც არის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ევროკავშირთან დაახლოება, რაც პირდაპირ კავშირშია ფიზიკური პირის გადახდისუნარობის კანონის შემოღებასთან.

იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური პირის გადახდისუუნარობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითად უფლებებთან, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ნაწილში, აღნიშნული საკითხიც იქნეს გათვალისწინებული.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში მოქმედი ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შესწავლა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. კვლევის მთავარი ამოცანაა წარმოაჩინოს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა, რომელიც გულისხმობს გადახდისუუნარობის რეჟიმის ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც გავრცელდება როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს ერთადერთი ოპტიმალური გზა დასმული პრობლემის მოსაგვარებლად არის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ჩამოყალიბება. დისერტაცია სწორედ ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შესწავლას, ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედი რეგულირების მიმოხილვას.

საკითხის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების პრაქტიკის არა მხოლოდ პირდაპირ გადმოღება მოხდეს, არამედ ზუსტად მოერგოს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, სანამ საკანონმდებლო წინადადება შემუშავდება, ძალიან მნიშვნელოვანია განხორციელდეს კვლევა, რომელიც კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომში საკანონმდებლო რეგულირების შემოღებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 3 თავს. პირველი თავი ეხება ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის არსსა და მისი სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობას. ამ ნაწილში ზოგადად არის მიმოხილული რას ნიშნავს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობა და რამდენად მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის სრულყოფილი სისტემის არსებობა როგორც ინდივიდისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. პირველ თავში ადგილი დაეთმო საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის სამართლებრივი რეგულირების საჭიროებისა და მისი ძირითადი ასპექტების განხილვას. ნაშრომის მეორე თავი ეხება ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის წარმოების ეტაპებს. აღნიშნულ თავში მიმოხილულია

ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების წესი და პირობები, გაკოტრების მასის დადგენის თავისებურებები, კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობების ფარგლები და ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მორატორიუმის არსი და პირობები. მესამე თავი დაეთმო ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებას. კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესებსა და მის შედეგებს, ასევე გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის შერჩევის წესსა და თავისებურებას, მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად გადახდისუუნარობის, განსაკუთრებით კი ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხებთან დაკავშირებით, იურისპრუდენცია ქართულენოვანი ლიტერატურის არა თუ სიმწირეს განიცდის. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფილი კვლევა და ამ კვლევის საფუძველზე სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება. ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება საკმაოდ მაღალი იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ის იქნება პირველი ნაშრომი, რომელიც შეეხება ფიზიკური პირის გაკოტრების საკითხებს, გადახდისუუნარობის აღდგენის საქმის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებს, გადახდისუუნარობის ეტაპებს და თითოეულ ამ ეტაპზე მოვალეთა და კრედიტორთა უფლება-მოვალეობებს. ნაშრომი ფაქტობრივად, საფუძველი იქნება საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედებების დაწყებამდე.

Abstract

Over-indebtedness has become an integral part of daily living in the credit-related society. Therefore, it has thus grown as a challenge in recent years not only for Georgia, but for many nations around the world.

Consequently, the states have taken up implementing various mechanisms to overcome this issue. As a result, the countries of both continental European and Anglo-American law see construction of an efficient insolvency system as the solution.

The aforementioned issue is on the agenda in the case of Georgia, as well. Even if Georgia's insolvency laws have undergone various changes, people are still not eligible to take advantage of the special regime. Thus, those natural persons, who fail to pay their due financial bills, are virtually left without a way out of debt, interest, penalties, and ambiguous bank contracts.

The country's current circumstances and the statistical indication support the need for legislation governing personal insolvency. This is further confirmed by Georgia's will to join the EU. Therefore, given that the country is on this way, Georgia's legislation must be harmonized with the EU regulations.

It is true that the association agreement does not specifically provide for the obligation to introduce the law on natural person's insolvency, although it clearly states such principles as the protection of basic human rights and freedoms, harmonization of legislation and legal convergence to the European Union, which are directly related to the introduction of the law on insolvency of a natural person.

The insolvency of a natural person is a crucial issue to take into account when harmonizing legislation, for it directly affects fundamental human rights.

The aim of the thesis is to study the insolvency laws that are applied to natural persons and operate in both Anglo-American and continental European nations; as well as to analyze their judicial practices.

The primary objective of the research is to propose the most effective solution to the issue, which entails developing a model of the insolvency regime that will be extended to both legal and natural persons.

The only optimal solution to the issue, as evidenced by other countries' experiences, is to enact insolvency legislation. The dissertation examines natural person insolvency laws and provides an overview of legal systems in continental and Anglo-American states.

Due to the complex nature of the issue, it is crucial that the practice of other countries not just be directly transferred, but also adapted to the local circumstances. Therefore, before the legislative proposal is developed, it is very important to carry out a study that, based on the best practices of the countries of continental European and Anglo-American legal systems, will design recommendations for the introduction of legal regulation in the future.

The thesis consists of 3 chapters. The first chapter deals with the essence of insolvency of a natural person and the significance of its legal regulation. This section provides a general overview of what an insolvency of a natural person entails and emphasizes how critical it is for both the person and the state to have an ideal insolvency system.

In the first chapter, a special place is devoted to the discussion of the necessity for legal regulation of the insolvency of a natural person in Georgia and its main aspects.

The second chapter of the paper deals with the stages of insolvency proceedings of a natural person. The mentioned part reviews the procedure and conditions for initiation of insolvency proceedings of a natural person, features of determining the amount of bankruptcy, the scope of rights and obligations of the creditor and the debtor, and the essence and conditions of the moratorium on the insolvency of a natural person.

The third chapter discusses the peculiarity of civil proceedings for the insolvency of a natural person. It details, in particular, how security measures should be used, their consequences, as well as the process and particulars of choosing an insolvency administrator and the extent of their authority.

In addition, it is also worth noting that in relation to the issues of insolvency in general, and insolvency of a natural person in particular, jurisprudence suffers from a scarcity of Georgian-language literature in this respect. Therefore, the aim of the thesis is to conduct a

thorough research of legislation and judicial practice and to formulate guidelines based on this research.

The scientific value of the work will be quite high, given that it will be the first work that will deal with the issues of bankruptcy of a natural person, the scope of authority of the body considering the case of solvency recovery, the stages of insolvency and the rights and duties of debtors and creditors at each of these stages.

The paper will, in fact, serve as a basis for commencing action on legislative changes.

სარჩევი

| | |
|--|-----|
| შესავალი..... | 1 |
| I. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის არსი და სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა..... | 11 |
| 1.1. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის როლი სამოქალაქო ბრუნვაში | 11 |
| 1.2. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წინაპირობები..... | 22 |
| 1.3. საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სამართლებრივი რეგულირების საჭიროება და ძირითადი ასპექტები..... | 43 |
| 1.4. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სუბიექტური შემადგენლობა | 50 |
| II. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წარმოების ეტაპები | 56 |
| 2.1. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წარმოების დაწყების წესი და პირობები | 56 |
| 2.2. გაკოტრების მასის დადგენის თავისებურება..... | 73 |
| 2.3. კრედიტორის უფლება-მოვალეობების ფარგლები, რიგითობის განსაზღვრის კრიტერიუმები | 88 |
| 2.4. მოვალის უფლება-მოვალეობების ფარგლები | 107 |
| 2.5. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის მორატორიუმის არსი და პირობები | 111 |
| თავი III. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურება..... | 116 |
| 3.1. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესი და შედეგები | 116 |
| 3.2. გადახდისუნარობის ადმინისტრატორის შერჩევის თავისებურება, მისი უფლებამოსილების ფარგლები | 118 |
| 3.3. გადახდისუნარობის გეგმის დამტკიცების წესი და პირობები | 140 |
| 3.4. ფიზიკური პირის გადახდისუნარობისას იმ ვალდებულებათა განსაზღვრა, რომლებიც არ ექვემდებარებიან გათავისუფლებას | 163 |
| 3.5. დავალიანების ჩამოწერის წესი და პირობები | 168 |
| დასკვნა | 174 |
| ბიბლიოგრაფია..... | 190 |

აბრევიატურები

| | |
|----------|---|
| ა.შ. | ასე შემდეგ |
| აშშ | ამერიკის შეერთებული შტატები |
| გვ | გვერდი / გვერდები |
| ე.ი. | ესე იგი |
| ე.წ. | ეგრეთ წოდებული |
| იხ. | იხილეთ |
| მაგ. | მაგალითად |
| რედ. | რედაქტორი |
| შეად. | შეადარე |
| BGB | Das Bürgerliche Gesetzbuch |
| EU | Eropean Union |
| 11 U.S.C | Title 11 of the United States Code/ United States Bankruptcy Code |
| | Insolvency Act 1986 |
| BGH | Federal Court of Justice (Bundesgerichtshof) |
| Pg | Page |

შესავალი

სადისერტაციო თემის აქტუალობა

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქარბვალთანობის პრობლემა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად იქცა. მსოფლიოში ერთხმად იქნა აღიარებული, რომ დღესდღეობით ქვეყნები იმ ეპოქაში არიან, როდესაც მოსახლეობის მიერ კრედიტის აღება ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. აღნიშნულს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტიც ადასტურებს¹ და მეტიც, ევროსაბჭო მოუწოდებს ქვეყნებს, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო ზომები, რათა ეფექტურად მოახდინონ ქარბვალთანობის პრევენცია და აღმოფხვრა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მოვალის სოციალური ინკლუზია და დიდი ყურადღება მიაქციოს ადამიანის უფლებების დაცვას, განსაკუთრებით ღირსების უფლებას, რომელიც ქარბვალთანობასთან უდავოდ მჭიდრო ბმაშია. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, საკანონმდებლო რეფორმის განხორციელებისას, წევრმა ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ მოვალის ღირსების უფლებას ვალის შეგროვების პროცესში.²

ზემოაღნიშნული პრობლემა საკმაოდ აქტუალურია საქართველოშიც; შესაძლოა ამის მიზეზი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, დაბალი ფინანსური და სამართლებრივი ცნობიერება, საკრედიტო დაწესებულებების ე.წ. მტაცებლური მარკეტინგული პოლიტიკა და ამ სფეროში არსებული, საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშე დატოვებული სივრცეებია. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პრევენციის მექანიზმის გარდა, უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფოს საკანონმდებლო დონეზე ჰქონდეს დარეგულირებული ქარბვალთანობის პრობლემის, როგორც უკვე არსებულის, დაძლევის საშუალება, რაც დღესდღეობით, სამწუხაროდ არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრების სამართალი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა კერძო სამართალში სამართალში³ და გაკოტრების სამართალწარმოება სამოქალაქო სასამართლოს უწყებრივად ქვემდებარეა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე,

¹ Council of Europe, Recommendation Rec (2007)8 and explanatory memorandum on Lega Solutions to Debt Problems, Strasbourg, 2008, 10 (8) [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096bb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

² იქვე.

³ მიგრაიული რ., შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:24

საქართველოში არ არსებობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო შესაძლებლობა. შესაბამისად, ის ფიზიკური პირები, რომლებიც ვადამოსულ ფინანსურ გადასახადებს ვერ იხდიან, ფაქტობრივად ვალების, პროცენტების, პირგასამტეხლობისა და ბანკთან დადებული გაურკვეველი ხელშეკრულებების წინაშე დაუცველები რჩებიან.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული კანონმდებლობა ფიზიკურ პირებს არ აძლევს შესაძლებლობას ჭარბი ფულადი ვალდებულებების არსებობის პირობებში, რეინტეგრირდნენ საზოგადოებაში, ასევე თუ გავანალიზებთ არსებულ რეგიონულ კვლევებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ქვეყნის ჭარბვალთან სეგმენტის რიცხოვრივ მაჩვენებლებს, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ჭარბვალთანობა წარმოადგენს.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ჭარბვალთანობის აღმოფხვრის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მაგალითად, ასეთი იყო ჭარბი დაკრედიტების შეზღუდვა⁴ და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსურ სტაბილურობაზე. თავისთავად, იგულისხმება დადებითი გავლენა, რადგან ამ სისტემის შემოღებამ მკვეთრად შეამცირა ფინანსური სტაბილურობის რისკები,⁵ თუმცა, პრობლემის მასშტაბური ხასიათის გათვალისწინებით, აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა.

ვინაიდან, საქართველოს გეზი აქვს აღებული ევროკავშირისკენ, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოხდეს ევროკავშირის მოთხოვნებთან. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ქართველი ხალხის ურყევ ნებას გამოხატავს, ამას ის საერთაშორისო დოკუმენტებიც ადასტურებს, რომლებსაც უკანასკნელ წლებში მოეწერა ხელი. საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოაწერა „ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“. ხელშეკრულება ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020, გვ.30 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aoYjXQ>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁵ მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირების შესახებ, ჯაბა გველებიანი, ალექსი კოჭლაშვილი, ნანა ამისულაშვილი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021, გვ.57

აღნიშნული ისტორიული მოვლენა იყო ქვეყნის ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარებისთვის. მან ფაქტობრივად, საქართველო ევროპულ მომავალთან კიდევ უფრო დაახლოვა და მას შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული ამ მიზნის მისაღწევად. ასეთი იყო მაგალითად გადახდისუუნარობის რეფორმა, რომელიც 2020 წელს განხორციელდა და ფუნდამენტურად შეცვალა გადახდისუუნარობის სამართალი იურიდიული პირებისთვის. თუმცა, ამ ფაქტმა გავლენა ვერ მოახდინა ფიზიკური პირების მდგომარეობაზე. ფაქტობრივად, ამ მიმართულებით ეფექტური სამართლებრივი მექანიზმი ჯერ კიდევ არ არსებობს.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არა თუ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მოქნილი კანონმდებლობის შემოღება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების მდგომარეობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს და ამასთანავე, ამ სფეროშიც მნიშვნელოვნად დაახლოვებს საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

დღესდღეობით, საქართველოში ევროპულ სტანდარტებზე ფუნქციონირებადი სახელმწიფოს შენების პროცესში, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს კანონმდებლობის სრულყოფას და მის ევროპულ სამართალთან ადაპტირებას. ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ სურვილს, არამედ ვალდებულებას წარმოადგენს ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც სრულად შესაბამისობაში იქნება ევროპულ საწყისებთან.

ზემოთ განხილული თემის აქტუალობიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში მოქმედი ფიზიკური პირების გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო და სასამართლო პრაქტიკა. კვლევის შედეგად, წარმოაჩინოს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა, რომელიც გულისხმობს, გადახდისუუნარობის რეჟიმის ისეთი საკანონმდებლო მოდელის შექმნას, რომელიც გავრცელდება როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე და მასში გათვალისწინებული იქნება იმ ქვეყნების პრაქტიკა, რომლებიც

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის წარმოადგენს ორიენტირს.

საქართველოში ჭარბვალიანობის პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი ოპტიმალური გზა გადახდისუუნარობის სრულყოფილი კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი ემსახურება სწორედ ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შესწავლას, ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედი რეგულირების მიმოხილვას. თავისთავად, აქ არ იგულისხმება მხოლოდ დესკრიფციული მიმოხილვა. ვინაიდან, სხვა ქვეყნების კანონმდებლობის პირდაპირ გადმოღება და მათი ქართულ კანონმდებლობაში ინტეგრირება ეფექტური და მიზანშეწონილი არ არის. საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნამდე, მნიშვნელოვანია განხორციელდეს კვლევა, რომელიც კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომში საკანონმდებლო რეგულირების შემოღებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხებთან დაკავშირებით, იურისპრუდენცია ქართულენოვანი ლიტერატურის არა თუ სიმწირეს განიცდის, არამედ შესაძლოა ითქვას, ლიტერატურა არ მოიპოვება. შესაბამისად, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის მიზანია საქართველოში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვებზე, რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევებზე, სოციალურ, ეკონომიკურ მაჩვენებლების, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერ-იურისტთა მონოგრაფიების და სამეცნიერო სტატიების, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფილი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები. ნაშრომს მაღალი სამეცნიერო ღირებულება ექნება იქიდან გამომდინარე, რომ იგი განსაზღვრავს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის დაწყების წანამძღვრებს, ასევე გადახდისუუნარიანობის საქმის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებს, გადახდისუუნარობის ეტაპებს და თითოეულ ამ ეტაპზე მოვალეთა და კრედიტორთა უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე, განსაზღვრავს გადახდისუუნარობის პროცესის დასრულების შემდგომ სავარაუდო შედეგებსა და მათ გავლენას მოვალეთა ფინანსურ მდგომარეობაზე. ნაშრომი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შემდგომში გაამარტივებს შესაბამის საკანონმდებლო

ცვლილებებზე მუშაობას. მას სამომავლოდ განსახორციელებელი კვლევებისთვის და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი იურისტებისთვის საორიენტაციო ნაშრომის სახე ექნება.

კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება: ა) ისტორიული მოდელების ანალიზს; ბ) შედარებით-სამართლებრივ ანალიზს; გ) რაოდენობრივ კვლევასა და შეგროვებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს; დ) თვისებრივ კვლევას, რომელიც გამოიხატება ჩადრმავებული კითხვარების შევსებასა და მათ ანალიზში; ე) სისტემურ კვლევას; ვ) ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე ინტერდისციპლინურ კვლევას, რაც საშუალებას იძლევა პრობლემა კომპლექსურად იქნეს შესწავლილი. რაც შეეხება გამოყენებულ წყაროებს, ნაშრომი ეფუძნება უცხოური ქვეყნების კანონმდებლობის სისტემურ ანალიზსა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის კვლევას.

ისტორიული მოდელების ანალიზი: აღნიშნული მეთოდის მიზანს წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებული 2 მოდელის (ევროპული და ანგლო-ამერიკული) საერთო და განმასხვავებელი ასპექტების ილუსტრირება. ამასთან, შესაბამის თავში მოცემული დიაგრამა ასახავს აღნიშნული მოდელების ურთიერთდაახლოების ტენდენციას, რაც თავის მხრივ წარმოაჩენს ინდიკატორს თუ რა სახის ევოლუციური ინტერპრეტაცია შეიძლება გახდეს საჭირო შემდგომი შედარებით-სამართლებრივი კვლევის კონტექსტში. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი თუ საპროცესო -სამართლებრივი ნორმის განმარტებისას მხედველობაში იქნეს მიღებული განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის ევოლუცია და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში არსებული ტენდენციები. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობა ან პრაქტიკა დროის სხვადასხვა მონაკვეთში რომელ მხარეს (კრედიტორს თუ მოვალეს) აყენებს შედარებით უპირატეს მდგომარეობაში. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტებაში, საპროცესო ვადებთან ან დასაშვებობის წინაპირობებთან ამა თუ იმ შემთხვევებში სიტყვასიტყვითი (ფორმალისტური) ან ტელეოლოგიური

განმარტებისთვის უპირატესობის მინიჭებაში და ა. შ. საბოლოო ჯამში, ყველა ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ გამოწვევებთან. მაგალითად, სახელმწიფოში საკრედიტო პორტფელის სიჭარბემ შესაძლოა გამოიწვიოს საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრება, რაც კრედიტორებს შედარებით მეტ მოთხოვნას წაუყენებს, ხოლო მოვალეებს მისცემს რეაბილიტაციის უფრო მომგებიან შესაძლებლობას. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემუშავდეს აღნიშნული პრობლემის სამართლებრივი რეგულირების მეთოდოლოგიური, დოქტრინალური და საკანონმდებლო დებულებები, რაც სწორედ ისტორიული ტენდენციების შესწავლით არის შესაძლებელი, მაგალითად სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი: მოცემული მეთოდის მიზანს წარმოადგენს გერმანული და ანგლო-ამერიკული მოდელების სინთეზური ანალიზით, ადგილობრივი საკანონმდებლო რეფორმის იმპლემენტაცია. ამ მიზნით გამოკვლეულია როგორც საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ქართული და უცხოური სამეცნიერო მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, კომენტარები და სტატიები, როგორებიცაა: ჰაინრიხ შნიტგერისა და როინ მიგრიაულის ერთობლივი ნაშრომი გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი (დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან), როინ მიგრიაულის სტატია სამეწარმეო სამართლის ჟურნალში „მოვალის გადახდისუუნარობა - როგორც ვალაუვალობის წარმოების წინაპირობა), Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany by Tsvetan Petrov, REASONS FOR BANKRUPTCY OF NATURAL PERSONS IN LITHUANIA by Arvydas Paškevičius*, Neringa Jurgaitytė Vilnius University, Lithuania, CONSUMER BANKRUPTCY IN COMPARISON: DO WE CURE A MARKET FAILURE OR A SOCIAL PROBLEM? BY JOHANNA NIEMI-KIESILÄINEN, Personal Insolvency in the 21st Century – A Comparative Analysis of the US and Europe by Iain Ramsay, CORPORATE AND PERSONAL INSOLVENCY LAW by Fiona Tolmie, European Insolvency Practitioners' Handbook The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice by SIR KENNETH CORK and G. A. WEISS, The Innovative

German Approach to Consumer Debt Relief: Revolutionary Changes in German Law, and Surprising Lessons for the United States by Jason J. Kilborn რა დროსაც გამოყენებულია როგორც დესკრიფციული, ასევე ლოგიკურ-შედარებითი მეთოდები. შედარებით-სამართლებრივი კვლევის ინტეგრაციული და სისტემური მიდგომების სრულყოფილად ათვისებისთვის, გამოკვლეული და დამუშავებულია შემდეგი ძირითადი საკითხები: გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების პირობები და სუბიექტები; კეთილსინდისიერების პრინციპი; წარმოების ვადები; უფლებამოსილი ორგანოს შერჩევა, გადახდისუუნარობის ეტაპები, გასაჯაროება, თითოეულ ეტაპზე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა; კრედიტორების და მოვალეების უფლება-მოვალეობები; მათი მოთხოვნების ხანდაზმულობის საკითხები; უზრუნველყოფის ღონისძიებები; საპროცესო ხარჯების განაწილება; გადახდისუუნარობის მასის დაკომპლექტება; კრედიტორების დაკმაყოფილების რიგითობა; გადახდისუუნარობის გეგმის შედგენის პრინციპები; დავალიანების ჩამოწერა; გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მოვალეობები; მოვალის ვალდებულებები; და მორატორიუმის ღონისძიებები. შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად, საკანონმდებლო აქტების, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო დოქტრინის ანალიზის საფუძველზე, შემუშავდება ქართულ რეალობაზე მორგებული საკანონმდებლო რეფორმის ინიციატივა. ამასთან, შემდგომი კვლევის მიზნებისთვის, იდენტიფიცირდება საკითხები (მაგალითად, ინდემწარმეების გაკოტრების საკითხი).

რაოდენობრივი კვლევა: კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენს თბილისში, ქართლში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და აჭარაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩეული სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქეები. კვლევის ტიპს წარმოადგენს რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა, რომელიც იყოფა 3 ნაწილად, ესენია რეგიონული კვლევა, ამ კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებული პრობლემის (ჭარბვალიანობა) ჩაღრმავებული სტატისტიკური კვლევა და სამართლებრივი და ფინანსური ცნობიერების დონის შესასწავლი სოციოლოგიური კვლევა. თითოეულ ნაწილში გამოიკითხა 300 მოქალაქე. რაოდენობრივი კვლევის ნაწილში შესაბამის ქვეთავებში მოცემულია მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი.

თვისებრივი კვლევა: კვლევის აღნიშნული კომპონენტი ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაღრმავებულ ანალიზს, რომლის მიზანია შესაბამისი ჩაღრმავებული კითხვარების მეშვეობით პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების პროგნოზირება. ამასთან, თვისებრივი კვლევა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად გაანალიზებული უცხოური პრაქტიკა სრულად მოერგოს იმ გამოწვევებს, რაც საქართველოს წინაშე დგას.

ინტერდისციპლინური კვლევა: საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, დამუშავდა შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს იურისპრუდენციის ისეთ მონათესავე დარგებს, როგორებიცაა სოციოლოგია, ეკონომიკა და ფინანსები. აღნიშნულ კვლევის მიზნით, დამუშავდა ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა შემდეგი უწყებებიდან: საერთო სასამართლოები, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, ეროვნული ბანკი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული საკითხების ანალიზი განხილულია ნაშრომის 1.3. თავში, რომელიც საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სამართლებრივი რეგულირების საჭიროებასა და ძირითად ასპექტებს ეხება.

კვლევის შეზღუდვა: წინამდებარე კვლევა ეხება მხოლოდ ფიზიკური პირების გაკოტრების სამართლებრივი რეგულაციის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს და მის სამართლებრივი ტრანსპლანტაციის მიზანშეწონილობის კვლევას ქართული რეალობის გათვალისწინებით. კვლევა არ მოიცავს იურიდიული პირების გადახდისუნარობის საკითხებს და ასევე ინდემწარმეების გაკოტრების შემთხვევებს. ამასთან, შედარებით-სამართლებრივ ნაწილში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მხოლოდ გერმანიის, აშშ-ის და ბრიტანეთის საკანონმდებლო, სასამართლო პრაქტიკისა და შესაბამისი სამეცნიერო დოქტრინის კვლევაზე. ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ნაშრომები და მონოგრაფიები: Arvydas P., Neringa J., Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, *Procedia - Social and Behavioral Sciences*, Vol. 213, December 1, 2015; Chrystin Onderesma, *a Human Rights Framework for Debt Relief*, 2015; Tolmie F., *CORPORATE AND PERSONAL*

INSOLVENCY LAW , Second Edition, School of Law, Kingston University, 2003; Iain Ramsay, Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15, 2017; Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017; Dobbie W., Song J., „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series; Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017; Spooner, Joseph, Explaining Personal Insolvency and the Law, 2020; Edita Gruodyte, Julija Kirsiene, "Application of “Fresh start“ Doctrine for Individual Debtors in Lithuania: EU and US perspective", Inzinerine Ekonomika-Engineering Economics, 2010, 21(3); Kilborn, J.J., The Innovative German Approach to Consumer Debt Relief: Revolutionary Changes in German Law, and Surprising Lessons for the United States, Northwestern Journal of International Law & Business, Volume 24, 2004; Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი ეხება ფიზიკური პირების გადახდისუნარობის არსსა და მისი სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობას. ამ ნაწილში ზოგადად არის მიმოხილული რას ნიშნავს ფიზიკური პირის გადახდისუნარობა და რამდენად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდისთვის, ისე სახელმწიფოსთვის ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სრულყოფილი სისტემის არსებობა. ასევე ხაზგასმულია ამ საკითხის სამოქალაქო ბრუნვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ნაშრომის პირველ თავში, გარდა ამისა დაუბარია ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წინაპირობებზე, როგორებიცაა: გადახდისუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუნარობა, კეთილსინდისიერება.

პირველ თავში ადგილი დაეთმო საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სამართლებრივი რეგულირების საჭიროებისა და მისი ძირითადი ასპექტების განხილვას. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობისა

და იმის გათვალისწინებით, რომ 2007 წლის შემდეგ ფიზიკურ პირებს გადახდისუუნარობის რეჟიმის სარგებლობის უფლება არ ჰქონიათ.

რაც შეეხება მეორე თავს, იგი ეხება ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის წარმოების ეტაპებს. აღნიშნულ თავში მიმოხილულია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების წესი და პირობები, გაკოტრების მასის დადგენის თავისებურებები, კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობების ფარგლები და ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მორატორიუმის არსი და პირობები. ზემოაღნიშნულ თითოეულ თავში მიმოხილულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, ასევე სხვა ქვეყნების მიმოხილვა და მათი სასამართლო პრაქტიკა და რეკომენდაციები საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის რეგულირების შემოღებასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი დაეთმო ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებას. კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესებსა და მის შედეგებს, ასევე გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის შერჩევის წესსა და თავისებურებას, მისი უფლებამოსილების ფარგლებს. ამ ნაწილში, დეტალურად არის მიმოხილული ქართული კანონმდებლობა, ვინაიდან „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი საკმაოდ დეტალურ მოწესრიგებას მოიცავს იურიდიული პირის გაკოტრების რეჟიმში გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ფუნქციებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მესამე თავში განხილულია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის პროცესში ის ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე არ ექვემდებარებიან გათავისუფლებას და ასევე ის ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარებიან ჩამოწერას. სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებულია საკვლევ თემაზე მოძიებული ქართველ და უცხოელ მეცნიერ-იურისტთა ნაშრომების ანალიზი, ქართული და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომის ბოლო ნაწილი დაეთმო განხილული საკითხების შეჯამებასა და დასკვნას.

I. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის არსი და სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა

1.1. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის როლი სამოქალაქო ბრუნვაში

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი აღიარებს, რომ დღესდღეობით, ქვეყნები შევიდნენ იმ ეპოქაში, როდესაც კრედიტის აღება მათი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. კრედიტების რაოდენობასთან ერთად გაიზარდა ინდივიდუალური და ოჯახთა ჭარბვალიანობაც, რაც ხშირად იწვევს სოციალურ და ჯანმრთელობის პრობლემებს, ოჯახთა სოციალურ ექსკლუზიას და ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს ბავშვთა საბაზისო საჭიროებებსაც.⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სესხებზე/კრედიტებზე ვადაგადაცილების მქონე ფიზიკურ პირ მსესხებელთა რაოდენობა 600 000 აჭარბებს. ამასთან, 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება უფიქსირდება ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს. შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით სესხებზე ვადაგადაცილების მქონე მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

ჭარბვალიანობის ტვირთი ადამიანში არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიკურ პრობლემებსაც იწვევს. ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ მოვალეთა უმეტესობა განიცდის შიშსა და შფოთვას, მუდმივ წუხილს ფულადი ვალდებულებების დაფარვის შეუძლებლობის გამო.⁷ გარდა ამისა, კრედიტორების მხრიდან შევიწროების შედეგად წარმოქმნილი სერიოზული ემოციური ფონი, ზრდის მოვალეებში დეპრესიის რისკს. აღნიშნული იწვევს იმას, რომ მოვალეს აღარ შეუძლია კონცენტრირდეს სამუშაოსა და სხვა პასუხისმგებლობაზე და ეს ყველაფერი იწვევს, მოვალის ისეთ მდგომარეობას, რომელიც საკუთარ თავში ჩაკეტვით, დეპრესიითა და უიმედობით სრულდება. შესაძლოა, აღნიშნულს თან ახლდეს მოვალისათვის

⁶ Council of Europe, Recommendation Rec (2007)8 and explanatory memorandum on Lega Solutions to Debt Problems, Strasbourg, 2008 [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096bb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁷ Laura Choi, Federal Reserve Bank of San Francisco, Financial Stress and Its Physical Effects On Individuals and Communities, COMMUNITY DEVELOPMENT INVESTMENT REVIEW 120 (2009); AP-AOL/ABT SRBI, Credit Card / Debt Stress Study (2008),

მოტივაციის დაკარგვა ჩაერთოს სამუშაოში და მეტიც, შესაძლებელია საბოლოოდ ამ ყველაფერმა სუიციდისკენ მიდრეკილებაც კი გაზარდოს.

ჭარბვალთანობა ფიზიკურ პირს უზღუდავს შრომისა და ადეკვატური ანაზღაურების უფლებას ორი მიმართულებით: პირველი, მოვალეს შესაძლოა ხელფასიდან უკავდებოდეს იმ რაოდენობის თანხა, რომ მას აღარ დარჩეს მინიმალური, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებაც კი; მეორე მხრივ, დამსაქმებელი თავს იკავებს ისეთი პირის სამსახურში აყვანისაგან, რომლის ხელფასის უმეტესი ნაწილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად მიექცევა. მსგავსი დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები ხშირია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.⁸ აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშშ-ში გადახდისუნარიანობის რეგულაცია წლიურ დასაქმების დონეს საშუალოდ 8.3%-ით ზრდის.⁹

ყოველივე ზემოაღნიშნული იმდენად მასშტაბური ხასიათის არის, რომ საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქო ბრუნვასა და ქვეყნის ეკონომიკაზე. გადახდისუნარიანობის აღდგენის სისტემები ფაქტობრივად, მოვალეს სთავაზობს მყისიერად იგრძნოს სიმშვიდე, მიეცეს იმედი, რომ დაუბრუნდება ნორმალურ სოციალურ პირობებს. კვლევები ამტკიცებს, რომ მოვალეები, რომლებიც გადახდისუნარიანობის აღდგენის სისტემაში არიან ჩართული საქმის წარმოების დაწყებისას გრძნობენ შვებას, სიმშვიდეს, რაც მათთვის ძალიან დიდი ხნის მანძილზე უცხო იყო.¹⁰

მნიშვნელოვანი, სახელმწიფომ უზრუნველყოს მოვალის სოციალური ინკლუზია და დიდი ყურადღება მიაქციოს ადამიანის უფლებების დაცვას, განსაკუთრებით ღირსების უფლებას.¹¹ გასათვალისწინებელია, რომ პირის გადახდისუნარიანობა

⁸ Ondersma C., a Human Rights Framework for Debt Relief, 2015, 304 [ხელმისაწვდომია: <https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1887&context=jil>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁹ Dobbie, Will, Song, Jae, „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LbRQGx>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁰ Götz Lechner & Wolfram Backert, Menschen in der Verbraucher-insolvenz: Rechtliche und soziale Wirksamkeit des Verbraucherinsolvenzverfahrens einschließlich Darstellung der Haushaltsstrukturdaten des untersuchten Personen-kreises, in BMFSFJ, MATERIALIEN ZUR FAMILIENPOLITIK: LEBENSLAGEN VON FAMILIEN UND KINDERN: ÜBERSCHULDUNG PRIVATER HAUSHALTE 33-54 (2008).

¹¹ Council of Europe, Recommendation Rec (2007)8 and explanatory memorandum on Lega Solutions to Debt Problems, Strasbourg, 2008 [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096bb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გამოცხადების მარეგულირებელმა კანონმდებლობამ ერთი მხრივ, არ უნდა შელახოს კრედიტორის საკუთრების უფლება, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გაითვალისწინოს მოვალის ფუნდამენტური უფლებები.

პერსონალური გადახდისუუნარობის კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და სოციალური ექსკლუზიის საფრთხეების პრევენციით. გადახდისუუნარობის სპეციალური რეჟიმის დამკვიდრების საჭიროება მომდინარეობს თანასწორობის, სამართლიანობისა და ღირსეული ცხოვრების უფლებიდან. უდავოა, რომ ჭარბვალიანობის მდგომარეობა ლახავს ადამიანის სოციალურ უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი, კერძოდ კი იზღუდება საკვებზე და საცხოვრებელზე წვდომა. საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობა ართმევს მას შესაძლებლობას დაიკმაყოფილოს არსებობისათვის აუცილებელი, საბაზისო საჭიროებები.¹² ამ პრობლემას ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე, რაც შესაძლოა იყოს ორგვარი: ფიზიკურ პირს უმცირდება ფინანსური რესურსი ადეკვატური ჯანდაცვის სერვისების მისაღებად და ამასთანავე, ჭარბვალიანობამ შესაძლოა დააზიანოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა.¹³

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის პროცესთან ერთ-ერთი მჭიდროდ დაკავშირებული უფლებაა და ის განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლებში პირები უზრუნველყოფილნი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობით, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით. გარანტირებულია ე.წ დავიწყების უფლებაც, რაც იმას

¹² Ondersma C., a Human Rights Framework for Debt Relief, 2015, 297 [ხელმისაწვდომია: <https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1887&context=jil>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹³ ი Ondersma C., a Human Rights Framework for Debt Relief, 2015, 301 [ხელმისაწვდომია: <https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1887&context=jil>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ნიშნავს, რომ აღარ იყოს შესაძლებელი საკრედიტო ინფორმაციის, გაკოტრების დოკუმენტაციისა თუ სხვა სახის მასალის მოპოვება.¹⁴

როგორც იან რამსი მიუთითებს თავის ნაშრომში “პერსონალური გადახდისუუნარობის საერთაშორისო პარადიგმები და გადახდისუუნარობის სამართლის კვლევის მეორე ტალღა“, პერსონალური გადახდისუუნარობის სამართალი მეტად მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის დიდი რეცესიის პერიოდში, საერთაშორისო ინსტიტუტებმა შინამეურნეობის ვალი საერთაშორისო ფინანსური სისტემის პოტენციურ რისკად მიიჩნიეს. ფიზიკური პირის გადახდისუუნარიანობა, როგორც ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი 21-ე საუკუნემდე არ იყო აღიარებული და შესაბამისად, პერსონალური გადახდისუუნარობის კანონმდებლობას არც თუ ბევრი ქვეყანა იცნობდა.¹⁵ მისი მნიშვნელობა და რეგულირების აუცილებლობის საკითხი მხოლოდ 1990-იან წლებში მასშტაბური კრიზისის პერიოდში გახდა აქტუალური.

ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის პროცესში აღიარებს როგორც კონტინენტური, ასევე საერთო სამართლის ქვეყნები და შესაბამისად, მათ კანონმდებლობაში დეტალურად არის მოწესრიგებული ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ფინანსური სტაბილურობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება. მაგალითად, გასული საუკუნის ბოლო წლებში, ევროპაში შექმნილმა მასშტაბურმა კრიზისმა „აიძულა“ სახელმწიფოები ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეჟიმი აემოქმედებინათ, ვინაიდან მათ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ამ ცვლილების განხორციელებით იპოვეს.¹⁶ აქედან გამომდინარე, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირის გადახდისუუნარიანობა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, რაც

¹⁴ Ondersma C., a Human Rights Framework for Debt Relief, 2015, 318 [ხელმისაწვდომია: <https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1887&context=jil>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁵ Ramsay I., International Paradigms of Personal Insolvency and the Second Wave of Personal Insolvency Law Research, University of Kent, Canterbury, UK, 2017, p.2

¹⁶ Niemi-Kiesilainen J., Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem, Osgoode Hall Law Journal 37.1/2, 1999, 474

<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

საბოლოოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში.

გაკოტრების უნარი ყველა სამართალსუბიექტს არ გააჩნია და მხოლოდ ისინი სარგებლობენ ამ პრივილეგიით, რომლებსაც კანონი აძლევს აღნიშნულის საშუალებას და რომელთა მიმართაც შესაძლოა გამოყენებული იქნას კანონით გათვალისწინებული წესები. ¹⁷ 1996 წლის კანონი მეტად ლიბერალური მიდგომით გამოირჩეოდა და გაკოტრების საშუალებას სამოქალაქო სამართლის ყველა იმ სუბიექტს აძლევდა, რომელიც შესაძლოა სამართლებრივი ურთიერთობის სრულუფლებიანი მონაწილე ყოფილიყო. ასეთად კი აღიარებული იყო, როგორც საქართველოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული და ფიზიკური პირები, ასევე უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები. ¹⁸ 2007 წლის კანონმა ფიზიკური პირის გაკოტრებაუნარიანობა ამოიღო, სადაც მინიჭებულ იქნა შემდეგი სახის სტატუსი ფიზიკური პირისთვის, ინდივიდუალური მეწარმე. 2007 წლის კანონის თანახმად, როგორც აღინიშნა, ფიზიკურ პირებზე არ ვრცელდებოდა კანონის მოქმედება, თუ ისინი არ სარგებლობდნენ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს, და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივ ფიზიკურ პირებს კანონი უბიძგებდა ინდემწარმედ გახდომას. ახალი რეფორმის თანახმად კი, ფიზიკურ პირს კვლავ დაუბრუნდა გაკოტრებაუნარიანობა, თუმცა, შეზღუდულად. კერძოდ, ი. მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით კანონის მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, კერძოდ ეს გულისხმობს, რომ ფიზიკურ პირებზე გავრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა რეგულირებული შეთანხმება. რეგულირებული შეთანხმება კანონის მიხედვით განმარტებულია, „რეგულირებული შეთანხმება არის მოვალესა და კრედიტორებს შორის, ამ კანონით დადგენილი წესით, მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებში თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ეთანხმება სხვაგვარ დაკმაყოფილებას.¹⁹

¹⁷ მიგრიაული.რ, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარიანობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2017, გვ 40

¹⁸ იქვე

¹⁹ „გადახდისუნარიანობის კანონის პროექტი“ მე-2თავი მუხლი:18 პირველი პუნქტი

საქართველოში 1996 წლის შემდეგ გაკოტრების კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შეჯამების შედეგად, შესაძლებელია მოვალეთა სპეციალური რეჟიმის რეგულირება სამ ეტაპად დავყოთ. პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიღებულ იქნა, იყო 1996 წლის საქართველოს კანონი „გაკოტრების შესახებ“, რომლის თანახმად, რეჟიმით სარგებლობა შეეძლო კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.²⁰ აღნიშნული კანონი ვალაუვალობის წარმოებას ერთიან წარმოებად განიხილავდა და მას „გაკოტრების საქმის წარმოებას“ უწოდებდა, რაც შეიძლება მოვალის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე დაწყებულიყო და შემდგომ, შესაძლებელი იყო რეაბილიტაციის წარმოებაშიც გადაზრდილიყო. რაც შეეხება, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონს, მან ვალაუვალობის საქმის წარმოებას „გადახდისუუნარობის წარმოება“ უწოდა და მან შედარებით ფართო ცნება შემოიღო, რაშიც გააერთიანა გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოებები.²¹

როგორც ირკვევა, 1996 წლის შემდეგ ქართულმა გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ არაერთხელ იცვალა სახე. 2007 წელს ამოქმედდა ახალი კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელმაც ფიზიკურ პირების გაკოტრების შესაძლებლობა გააუქმა და პრივილეგია მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მქონე პირებს დაუტოვა.²² შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილება ამ მიმართულებით 2020 წელს დაიწყო, როდესაც ძალაში შევიდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი“, რომელმაც ჩაანაცვლა „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი. განსხვავებით 2007 წლის კანონისგან, ამ შემთხვევაში, მეწარმე ფიზიკურ პირებსაც აღარ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ გაკოტრების სპეციალური რეჟიმით.

პერსონალური გადახდისუუნარობის კანონმდებლობას მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იცნობს. შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი სისტემა: საერთო

²⁰ მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირების შესახებ, ჯაბა გველებიანი, ალექსი კოჭლაშვილი, ნანა ამისულაშვილი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021, გვ.10

²¹ მიგრიაული რ., მოვალის გადახდისუუნარობა - როგორც ვალაუვალობის წარმოების წინაპირობა (ვალაუვალობის ქართული სამართლის ანალიზი), ჟურნალი „სამეწარმეო სამართალი“,

²² რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017, გვ 40

სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების. ევროპული ქვეყნების გადახდისუნარობის კანონმდებლობებს მოიხსენიებენ, როგორც „დამსახურებული ახალი დასაწყისის“ მოდელს, რადგან ანგლოსაქსური მოდელისგან განსხვავებით, აქ განსაკუთრებული როლი ეკისრება მოვალის კეთილსინდისიერებას, გადახდისუნარობის გეგმასა და გადახდისუნარობის ადმინისტრატორის ფუნქციებს. მოვალეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოეწერება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ დარჩენილი ფულადი ვალდებულებები, თუ ის კეთილსინდისიერად შეასრულებს გადახდისუნარობის გეგმით დაკისრებულ მოვალეობებს. ამ ორი სისტემის ქვეყნებში გადახდისუნარობის კანონმდებლობას, სულ მცირე, 3 ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი გააჩნია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ ქვეყნებში გადახდისუნარობის სპეციალური რეჟიმი ყველა მოვალისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ეს შესაძლებლობა მხოლოდ „ღირსეულ“ მოვალეებს აქვთ. აქ იგულისხმება კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელსაც ევროპულ ქვეყნებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მეორე განსხვავებას წარმოადგენს, გადახდისუნარობის გეგმის შედგენის სავალდებულობა ნებისმიერი მოვალისთვის. ამ სავალდებულო კომპონენტის მიზანია, უზრუნველყოს მოვალის მიერ ფულადი ვალდებულებების სრულად შესრულება და პროცედურა მოვალისთვის „მარტივი გამოსავალი“ არ იყოს. მესამე განმასხვავებელი ნიშანია, ევროპული ქვეყნების მიერ კონსულტაციის ნაწილზე ყურადღების გამახვილება. უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მანამ სანამ მოვალე დაიწყებს გადახდისუნარობის საქმის წარმოებას, მან აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ან სცადოს მედიაციით დაასრულოს საქმე კრედიტორებთან.²³

აღსანიშნავია ისიც, რომ გაკოტრების კანონმდებლობას იცნობს ბალტიისპირეთის ქვეყნებიც, მათ შორის ლიეტუვა, რომლის გადახდისუნარობის სამართალი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისგან. აქ სუბიექტები, რომლებსაც გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობა აქვთ იყოფიან სამ ჯგუფად: ფიზიკურ პირები, ფერმერები და სხვა ფიზიკური პირები,

²³ Niemi-Kiesilainen J., Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem, Osgoode Hall Law Journal 37.1/2, 1999, 474

<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

რომლებიც ახორციელებენ ინდივიდუალურ საქმიანობას (ინდემწარმეები).²⁴ რაც შეეხება, ლატვიის კანონმდებლობას, ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონი ძალაში 2010 წლის 1 ნოემბრიდან შევიდა. აღნიშნული რეგულაციის მიღებამ გაზარდა როგორც სამართალწარმოების ხელმისაწვდომობა, ასევე ზედმეტად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი მსესხებლების შანსები, გათავისუფლებულიყვნენ ჭარბი ვალებისგან.

როდესაც საუბარია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მომწერსიგებელი კანონმდებლობის როლსა და მნიშვნელობაზე, ყურადსაღებია, რეგულაციის ფოკუსი სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური მარკეტების, მეწარმეობის და შრომითი ბაზრის მიმართ. 2021 წელს ჩატარებული საერთაშორისო კვლევის ფარგლებში შეფასდა ევროკავშირის 25 სახელმწიფოს კანონმდებლობა და გაიზომა ამ ქვეყნების შემწყნარებლობის ინდექსი აშშ-ის გაკოტრების კანონმდებლობასთან შედარების კონტექსტში. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა დასაწყისში უფრო მეტად კრედიტორის ინტერესებისკენ იყვნენ გადახრილი, თუმცა დროის გასვლის ეტაპობრივად ხდება მოვალის ინტერესებისკენ პრიორიტეტიზაცია.²⁵

| სახელმწიფო | მოვალის შემწყნარებლობის ინდექსი | სახელმწიფო | მოვალის შემწყნარებლობის ინდექსი |
|-------------|---------------------------------|------------|---------------------------------|
| დანია | 1.58 | პორტუგალია | 1.12 |
| შვედეთი | 1.47 | ჰოლანდია | 1.11 |
| პოლონეთი | 1.41 | სლოვენია | 1.11 |
| საფრანგეთი | 1.38 | ხორვატია | 1.08 |
| ლუქსემბურგი | 1.37 | იტალია | 1.05 |
| საბერძნეთი | 1.29 | ბელგია | 1.04 |
| სლოვაკეთი | 1.27 | კვიპროსი | 0.98 |

²⁴ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p. 103 <http://dx.doi.org/10.13165/j.icj.2021.06.008> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁵<https://www.researchgate.net/publication/354404359> The Leniency of Personal Bankruptcy Regulations i n the EU Countries , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

| | | | |
|----------|------|----------|------|
| ავსტრია | 1.25 | გერმანია | 0.97 |
| ჩეხეთი | 1.24 | რუმინეთი | 0.97 |
| ესტონეთი | 1.22 | ლატვია | 0.87 |
| ფინეთი | 1.19 | უნგრეთი | 0.87 |
| ესპანეთი | 1.16 | ლიეტუვა | 0.85 |
| ირლანდია | 1.14 | აშშ | 1.37 |

მაშასადამე, როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ის შემწყნარებლობის ინდექსი გაცილებით მაღალია ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობის ინდექსზე. ამერიკული მოდელი იყო პირველი, რომელმაც შემოიტანა ვალის ჩამოწერის იდეა, რაც წარმოადგენს ლიბერალური²⁶ და საბაზრო²⁷ ბანაკების ერთგვარ სინთეზს და უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის ინტერესებს.²⁸ ევროკავშირის მოდელი, როგორც წესი, უფრო მეტად იცავს საფინანსო და საბანკო სექტორების ინტერესებს.²⁹ მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო (შვედეთი, დანია, პოლონეთი, საფრანგეთი) უფრო მეტად გადაიხარა ამერიკული მოდელისკენ და საკანონმდებლო რეფორმების შედეგად გაიზარდა მოვალის უფლებების დაცვის ინდექსი. აქვე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ 2005 წელს ამერიკის „გაკოტრების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტის“ ამოქმედებით ამერიკული მოდელიც გარკვეულწილად დაუახლოვდა ევროპულ მოდელს.³⁰

თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ ამერიკის ე. წ. „ახალი დასაწყისის“ ლიბერალური მოდელის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი კვლევა. მაგალითად, იან რამსი

²⁶ Efrat, Rafael 2002. Global trends in personal bankruptcy. *American Bankruptcy Law Journal* 76: 81–110.

²⁷ Heuer, Jan-Ocko. 2014. Rules and Norms of Consumer Insolvency and Debt Relief: A Comparison and Classification of Personal Bankruptcy Systems in 15 Economically Advanced Countries. Ph.D. thesis, University of Bremen, Bremen, Germany; https://media.suub.uni-bremen.de/bitstream/elib/4657/7/PhD-Thesis_Jan-OckoHeuer_SubmittedVersion.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁸ Jia, Ye. 2015. The impact of personal bankruptcy law on entrepreneurship. *Canadian Journal of Economics* 48: 464–93; <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/caje.12133>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁹ Ramsay, Iain. 2012. Between neo-liberalism and the social market: Approaches to debt adjustment and consumer insolvency in the EU. *Journal of Consum Policy* 35: 421–41.

³⁰ Walter, György, and JensValdemar Krenchel. 2021. The Leniency of Personal Bankruptcy Regulations in the EU Countries. *Risks* 9: 162. <https://doi.org/10.3390/risks9090162>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

კრიტიკულ მიმოხილვაში გაკოტრების სამართლის საერთაშორისო პარადიგმის წინაშე - TOWARDS AN INTERNATIONAL PARADIGM OF PERSONAL INSOLVENCY LAW? A CRITICAL VIEW“ ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ამერიკული „ახალი დასაწყისის“ დოქტრინა ყველა შემთხვევაში არ ამართლებს და მის ნაკლს იმაში ხედავს, რომ შესაძლებელია ვალდებულებების სრულად ჩამოწერამაც კი ვერ აღმოფხვრას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც არის მოვალის დასაქმება. გაკოტრების წარმოების წარმატებით დასრულების შემდეგ, ფიზიკურ პირს შესაძლოა მაინც შეექმნას პრობლემები დასაქმების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით აკრძალულია პირის დისკრიმინაცია გაკოტრების გამო. “University of Maine School of Law” – ს პროფესორები და მკვლევრები ჯეი ლ. ზაგორსკი და ლუის რ. ლუპიკა აღნიშნავენ, ხშირ შემთხვევაში პირს, რომელმაც გაკოტრების საქმე წარმატებით დაასრულა, შეიძლება წლები დასჭირდეს ფინანსური კეთილდღეობის აღდგენისათვის.³¹ ამერიკული ლიბერალური მიდგომის ნაკლზე საუბრობენ სონგ ჰანი და გენგ ლი თავიანთ ნაშრომში, რომელიც 2011 წელს ოჰაიოს უნივერსიტეტის „Journal of Money, Credit and Banking“ - ში იქნა გამოქვეყნებული. ავტორები აღნიშნავენ, რომ პირს, რომელმაც გაკოტრების საქმის დასრულების შემდგომ, ხელი არ მიუწვდება არაუზრუნველყოფილ კრედიტებზე, მაგალითად საკრედიტო ბარათებზე, შესაბამისად, იგი იძულებული ხდება კიდევ ერთხელ მიმართოს ე.წ. „ძვირადღირებულ“ საკრედიტო წყაროებს.³² ამასთან, უარყოფითი საკრედიტო ისტორიის გათვალისწინებით, პირი შესაძლოა კვლავ აღმოჩნდეს დიდი ოდენობით კრედიტის აღების აუცილებლობის წინაშე. ბოლო კვლევების თანახმად, ამერიკული მოდელის მოქნილობის მიუხედავად, პირს შესაძლოა 10 წელი დასჭირდეს გაკოტრებით მიღებული ზარალისგან სრულად რეაბილიტაციისთვის.³³

³¹ See Lois R Lupica and Jay L Zagorsky, ‘A Study of Consumers’ Post-discharge Finances: Struggle, Stasis or Fresh Start?’ (2008) 16 American Bankruptcy Institute Law Review 283

³² See Song Han and Geng Li, ‘Household Borrowing after Personal Bankruptcy’ (2011) 43 Journal of Money, Credit and Banking 491; Song Han and Wenli Li, ‘Fresh Start or Head Start? The Effects of Filing for Personal Bankruptcy on Work Effort’ (2007) 31 Journal of Financial Services Research 123; Ethan Cohen-Cole, Burcu Duygan-Bump and Judit Montoriol-Garriga, ‘Who Gets Credit after Bankruptcy and Why? An Information Channel’ (2013) 37 Journal of Banking and Finance 5101 (limited debt availability immediately after bankruptcy, but increased availability after 18 months)

³³ Iain Ramsay, Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15 (2017), 28-29.

მაშასადამე, როგორც მოდელების შედარებითი ანალიზი აჩვენებს კონტინენტური ევროპის სისტემისა ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია, თუმცა ბოლო პერიოდში ორივე მათგანში შეინიშნება მეორისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მათ შორის ფუნდამენტური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ანგლოამერიკული სისტემა მეტად არის მორგებული მოვალის ინტერესებს³⁴ და შესაბამისად, ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევა, ხოლო ევროპული სისტემა მთავარ აქცენტს „დამსახურებაზე“, კეთილსინდისიერების პრინციპზე აკეთებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამერიკულ სისტემაში წარმოიშვა ვალის ჩამოწერის იდეა, მაშინ როდესაც ევროპული ქვეყნები ჯერ კიდევ არც იცნობდნენ ფიზიკური პირების გადახდისუნარობის რეგულაციებს და მხოლოდ 1990-იანი წლების კრიზისის შემდეგ, შეიმუშავეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში.³⁵

ევროპული ქვეყნებისთვის კი მნიშვნელოვანია მოვალის კეთილსინდისიერება და სწორედ ასეთ მოვალეებს აძლევს გადახდისუნარობის რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობას. აქ საინტერესოა ისიც, რომ გაკოტრების კოდექსი არ ადგენს კრიტერიუმებს გაკოტრების პროცედურით სარგებლობისათვის. კერძოდ, ვალდებულებისგან განთავისუფლება ფიზიკური პირისათვის დასაშვებია, მიუხედავად მოვალის ვალის ოდენობის, გადახდისუნარობის, თუ გადახდისუნარიანობის ფაქტისა.³⁶

როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე სისტემის მთავარი მიზანია მოვალის გადახდისუნარიანობის აღდგენა. ამკარაა, რომ ამერიკული სისტემა მეტად ლიბერალურია, მოვალეს არჩევანის საშუალებას სთავაზობს და უფრო მეტად არის მის ინტერესებზე მორგებული. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროპული სისტემა უგულვებელყოფს მოვალის ინტერესებს. ამ შემთხვევაში, წინ არის წამოწეული მოვალის კეთილსინდისიერება და ის ფაქტი, თუ რამდენად იმსახურებს, რომ

³⁴ Jia, Ye. 2015. The impact of personal bankruptcy law on entrepreneurship. *Canadian Journal of Economics* 48: 464–93; <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/caje.12133>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

³⁵ Niemi-Kiesilainen J., *Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem*, *Osgoode Hall Law Journal* 37.1/2, 1999, 474

<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

³⁶ 11 U.S.C. §§ 109(g), 362(d) and (e).

სპეციალური რეჟიმით ისარგებლოს. ამერიკული ლიბერალური მიდგომა შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დღემდე ფიზიკური პირის გადახდისუნარობის რეჟიმი არ არსებობს, რისკის შემცველი იქნება ასეთი ლიბერალური პროცედურის კანონმდებლობაში გათვალისწინება. ევროპული, უფრო მეტად კი გერმანული მიდგომა იცავს როგორც მოვალის ინტერესებს და მას ვალებისგან გათავისუფლების კარგ შესაძლებლობას სთავაზობს, ასევე მნიშვნელოვნად იცავს ქვეყნის ფინანსურ სექტორს და მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციას ახდენს. აქედან გამომდინარე, გერმანული მიდგომის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში უფრო გონივრული იქნება.

1.2. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წინაპირობები

გადახდისუნარობის კანონმდებლობაში ვალაუვალობის წარმოების გახსნის საფუძვლების დეტალური ფორმულირება ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს გადახდისუნარობის საქმის წარმოების მიზნებისათვის.³⁷ კანონში წარმოების გახსნის საფუძვლების ბუნდოვანებამ, შესაძლოა გარკვეულწილად დააფრთხოს კრედიტორები და მოვალეები, შედეგად კი მათ თავი შეიკავონ გადახდისუნარობის საქმის წარმოების აღძვრისგან. ვინაიდან, სწორედ გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნისათვის დადგენილი წინაპირობების ობიექტური და სრულყოფილი შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს დაიწყოს თუ არა გადახდისუნარობის საქმის წარმოება.

როგორც წესი, გადახდისუნარობის კანონები გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ერთსა და იმავე საფუძველს ადგენენ და მიუთითებენ, რომ გადახდისუნარობის საქმე შეიძლება დაიწყოს, თუკი ადგილი აქვს მოვალის გადახდისუნარობას ან მოსალოდნელ გადახდისუნარობას. იმავეს მიუთითებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი და განსაზღვრავს, რომ გადახდისუნარობის საქმის დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუნარობა.

³⁷ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 19

ამ შემთხვევაში მეტად პრობლემური საკითხია თავად გადახდისუნარობის ცნების განსაზღვრა. საქართველოს შემთხვევაში მას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში განმარტავს, რომ მოვალე გადახდისუნაროა, თუ იგი ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს. ხოლო, მოსალოდნელი გადახდისუნარობა გულისხმობს მდგომარეობას, რომელიც ქმნის მოვალის სამომავლო გადახდისუნარობის საფუძველს. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, თავისთავად ამ ნორმის მოქმედება მხოლოდ იურიდიულ პირებზე ვრცელდება.

როგორც აღინიშნა, გადახდისუნარობის საქმის დაწყების საფუძველი შესაძლოა გახდეს მოვალის გადახდისუნარობა. ეს ნიშნავს იმას, რომ მოვალე უუნაროა შეასრულოს თავისი ვალდებულებები იმ მომენტისთვის, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო დგება. ამ საფუძვლის გაგება ყველაზე მარტივია კრედიტორებისთვის, რომლებსაც ვალაუვალობის პროცესში შეუძლიათ ამ საფუძველზე მითითება. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ არ მოიაზრება ყველა კრედიტორი. უმეტესად, იგულისხმება ბანკები და ე.წ. დიდი კრედიტორები. დანარჩენ კრედიტორებს როგორც წესი, მხოლოდ იმის გარკვევა შეუძლიათ შესრულდა თუ არა დროულად ვალდებულება და შესაბამისად, მოვალის გადახდისუნარობაზე მარტივად ვერ აკეთებენ პროგნოზს.³⁸

როგორც როინ მიგრიაული მიუთითებს არ შეიძლება მოვალის გადახდისუნარობაზე ვისაუბროთ მაშინ, როდესაც მას მხოლოდ ცალკეული მოთხოვნები არ აქვს დაფარული. ასევე არ უნდა დავუშვათ მოვალის გადახდისუნარობის არსებობა, თუკი მხოლოდ მოვალის მიერ გადახდის დროებითი შეწყვეტა არის სახეზე.³⁹ დაუშვებელია მოვალის მიერ ფინანსური ვალდებულებების რამდენიმე თვიანი გადაუხდელობა გადახდისუნარობად ჩავთვალოთ. ასევე არ იქნება მიზანშეწონილი ისეთი მოვალის გადახდისუნაროდ ცნობა, რომელსაც ჰყავს სამი კრედიტორი, წარმატებით ფარავს ორი კრედიტორის წინაშე არსებულ ვალეებს,

³⁸ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 18

³⁹ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 19

თუმცა გარკვეული პერიოდით ვერ ასრულებს მესამე კრედიტორის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. გადახდისუუნარობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალე მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას ხანგრძლივი პერიოდით ვერ ახერხებს და ამასთანავე, სავარაუდოა ისიც, რომ იგი ამ ვალდებულებებს უახლოეს მომავალში ვერ დაფარავს. აუცილებელია სახეზე ისეთ მდგომარეობა, როდესაც მოვალეს საკუთარი ფინანსური ვალდებულებები ნორმალურ სოციალურ ცხოვრებას ამორებს და მის ეკონომიკურ მდგომარეობას უკიდურესად მძიმეს ხდის. შესაბამისად, როინ მიგრიაულის ზემოაღნიშნული მოსაზრება ფიზიკური პირის გადახდისუუნაროდ ცნობის ყველაზე ზუსტ და გონივრულ კრიტერიუმებს გვთავაზობს.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში ითვალისწინებს გადახდისუუნარობის პრეზუმფციას, რაც გულისხმობს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მიზნებისთვის, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:⁴⁰

ა) მოვალის მთლიანი ვალდებულებების ჯამი, სამომავლო და პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, აღემატება მთლიანი აქტივების ჯამს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოვალე გააგრძელებს საქმიანობას.

ბ) სავარაუდოა, რომ მოვალე შემდგომი 30 დღის განმავლობაში ვერ დაფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს, რადგან მისი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი არანაკლებ 20%-ით აღემატება მთლიანი გაყიდვადი აქტივის ჯამს;

გ) მოვალე იმყოფება, ან განცხადების შეტანამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში;

დ) მოვალემ შეაჩერა საქმიანობა;ფ

ე) მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება;

⁴⁰ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ვ) მოვალის ან მესამე პირის ვალდებულებების შესრულების მიზნით, უზრუნველყოფის ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით, დაიწყო მოვალის ქონების რეალიზაციის პროცესი, რომლის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის სხვა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მოვალის გადახდისუუნაროდ მიჩნევისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოვალის შესაძლებლობას დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები. საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ მოვალემ შეიძლება ვერ დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები, თუ მოვალის მთლიანი ვალდებულებების ჯამი აღემატება მოვალის მთლიანი აქტივების ჯამს. ამ შემთხვევაში, ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, თუ რომელი ვალდებულებაა ვადამოსული და რომელი სამომავლო, არც იმ გარემოებების გათვალისწინება ხდება, თუ მოვალის რომელი აქტივია ლიკვიდური და რომელი არა. როგორც წესი, მსგავს შემთხვევებში გამოიყენება ბალანსის ტესტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოვალის აქტივები და პასივები უნდა შეიკრიბოს და თუ აღმოჩნდება, რომ პასივები აღემატება აქტივებს, ივარაუდება, რომ გადახდისუუნარობა მოსალოდნელია. აღნიშნულის გაქარწყლება მოვალეს შეუძლია მტკიცებით, რომ ნამეტი პასივების პირობებში იგი შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.⁴¹

კრედიტორების მხრიდან სასამართლოსთვის გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორთა კეთილსინდისიერებას. აქ იგულისხმება, რომ ეს უფლება კეთილსინდისიერად უნდა იქნეს კრედიტორების მხრიდან გამოყენებული. შესაძლოა არაკეთილსინდისიერი განზრახვის პირობებში, კრედიტორმა ზიანი მიაყენოს მოვალეს იმ მიზნით, რომ შეაჩეროს მისი საქმიანობა, ხელოვნურად მიიყვანოს გადახდისუუნარობამდე და ა.შ.

საინტერესოა ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების მიდგომა. მაგალითად, გერმანიაში კანონმდებელმა გადახდისუუნარობის ცნების განსაზღვრა მთლიანად იურიდიულ დოქტრინას და მეცნიერებას მიანდო. ესტონეთის BA-ს ⁴²1(2) მუხლის

⁴¹ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, 21

⁴² Pankrotiseadus (PankrS), Bankruptcy Act of Estonia (BA), Adopted 22.01.2003 [ხელმისაწვდომია: <https://www.riigiteataja.ee/akt/101032023012>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

თანახმად, მოვალე გადახდისუუნაროდ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ ახერხებს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ასეთი ფინანსური მდგომარეობა დროებითი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ არ იკვეთება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა ახლო მომავალში.

გადახდისუუნარობის კრიტერიუმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლიეტუვის გაკოტრების სამართალიც და ადგენს, რომ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გაკოტრების პროცესის დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეალურად არიან გადახდისუუნარონი და უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ ვადაგადაცილებული დავალიანების გადახდასა და ვალდებულებების შესრულებას. გადახდისუუნარობა მიუთითებს ფიზიკური პირის (მოვალეს) მატერიალურ მდგომარეობაზე, როდესაც მისი არსებული აქტივები არასაკმარისია კრედიტორების მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად და როცა მოვალე ვერ ახერხებს კრედიტორებთან ანგარიშსწორებას. გადახდისუუნარობის დადგენა ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია ფიზიკური პირის მიმართ გაკოტრების პროცესის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას, რაც განისაზღვრება მესამე პირობით - სამართლიანობის კრიტერიუმით. სამართლიანობის კრიტერიუმის შეფასება სასამართლოების მსჯელობის საგანს წარმოადგენს, თუმცა მისი დადგენისას, ხდება ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მიზეზების ანალიზი. შეისწავლება მოვალის ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლები და ფასდება მათი ძალისხმევა ანაზღაურებადი სამუშაოს, უკეთ ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნაში ან სხვა შემოსავლის მომტან საქმიანობებში ჩართვასთან დაკავშირებით. ამასთან, მხედველობაში მიიღება ფიზიკური პირის მიერ სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობა, ფულადი ვალდებულებების ოდენობა, არსებული აქტივების მოცულობა, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების პერსპექტივები, ფიზიკური პირის მავნე ჩვევები (მახასიათებლები) და სხვა მსგავსი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ თუ, მაგალითად, ფიზიკური პირი გადახდისუუნარო ხდება მავნე ჩვევების გამო, როგორცაა ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება ან აზარტული თამაშები (ფიზიკურმა პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ცენტრის მიერ გაცემული ცნობა), სასამართლომ, სამართლიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი

პირის გადაცდომის დამადასტურებელ გარემოებებსა და გადახდისუუნარობას შორის. მაშინაც კი, თუ ფიზიკური პირის ფინანსური ვალდებულებები აღემატება მათ აქტივებს, თუ ამ პირის მიერ მიღებული შემოსავალი საშუალებას აძლევს მას შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება გონივრულ ვადაში, ეს ნიშნავს, რომ პირს შეუძლია შეასრულოს ფულადი ვალდებულებები და არ უნდა მიეცეს უფლება გამოიყენოს გაკოტრების პროცედურა ვალდებულებების თავიდან ასაცილებლად.⁴³

გადახდისუუნარობის დადგენას საქმის წარმოების გახსნამდე ითვალისწინებს ბრიტანული გადახდისუუნარობის სამართალიც. ბრიტანეთის გაკოტრების სამართლის მიხედვით, გაკოტრების წარმოება შესაძლოა დაიწყოს იმ შემთხვევაში: თუ მოვალეს არ შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და სურს თავი გამოაცხადოს გაკოტრებულად. კანონმდებელი ადგენს, რომ ფიზიკური პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო, ანუ მას ვალების დაფარვის შესაძლებლობა არ უნდა გააჩნდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია გაკოტრების ბრძანების გამოცემის თაობაზე მიმართოს სასამართლოს.⁴⁴

გარდა იმისა, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოვალის გადახდისუუნარობა, ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელსაც არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. „ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.“⁴⁵ კეთილსინდისიერება ის აუცილებელი პრინციპია, რომლის გარეშეც გადახდისუუნარობის პროცედურა არ უნდა დაიწყოს. სწორედ ამ პრინციპის მეშვეობით უნდა მოხდეს პრევენცია, რომ სპეციალური რეჟიმით არაკეთილსინდისიერმა მოვალეებმა არ ისარგებლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ისეთი მდგომარეობა, სადაც მოვალეები წინასწარი განზრახვით

⁴³ REPUBLIC OF LITHUANIA, LAW ON PERSONAL BANKRUPTCY, 10 May 2012 No XI-2000
[ხელმისაწვდომია:<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/94758/111305/F-1502696089/LTU94758.pdf>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁴⁴ Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017, p.137

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.

ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებს, იმ იმედით, რომ შემდეგ კანონით მინიჭებულ შესაძლებლობას გამოიყენებენ.

კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების ერთგვარი შეზღუდვაა. კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.⁴⁶ იგი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული გამოიყენება.⁴⁷ სწორედ ეს უნივერსალურობა განაპირობებს მის გამოყენებას არსებითად ნებისმიერ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, ვინაიდან იგი აწესებს ზოგადად უფლებებისა და მოთხოვნების განხორციელების ფარგლებს.⁴⁸

კეთილსინდისიერების პრინციპის მოწესრიგებისას ქვეყნები სხვადასხვა მიდგომას იყენებენ. შესაძლებელია კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც ყოვლისმომცველი უნივერსალური პრინციპი ისე ჩამოყალიბდეს და სამოქალაქო კოდექსის საწყის (ზოგად) მუხლებში აისახოს. მაგალითისთვის, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების პრინციპი მოწესრიგებულია შესავალ დებულებებში. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ნებისმიერი პირი თავისი უფლებების განხორციელებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესში უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. ამით, ხაზგასმულია კეთილსინდისიერების პრინციპის უნივერსალურობა.⁴⁹ მსგავსი მიდგომა არსებობს საერთაშორისო დონეზეც. კერძოდ, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისა⁵⁰ და უნიდროიას⁵¹ სამართლებრივი ნორმებითაც კეთილსინდისიერების პრინციპი განსაზღვრულია როგორც ზოგადი ვალდებულება, რომელიც ყველა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში უნდა არსებობდეს.

⁴⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, გვ. 84

⁴⁷ Ranieri, *Europaisches Obligationrecht* 2003

⁴⁸ შუად., Reinhard Zimmermann, Simon Whittaker Cambridge University Press, Jun 8, 2000 - Law

⁴⁹ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, გვ. 87

⁵⁰ Principles of European Contract Law – PECL <https://www.trans-lex.org/400200/ /pecl/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁵¹ The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT Principles) <https://www.changing-perspectives.legal/commercial/unidroit-principles-of-international-commercial-contracts/#:~:text=The%20UNIDROIT%20Principles%20are%20a,they%20expressly%20agreed%20to%20it,> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

არსებობს ქვეყნები, სადაც კეთილსინდისიერების პრინციპს შედარებით ვიწრო სფერო გააჩნია. მიიჩნევა, რომ იგი უპირატესად ვალდებულების შესრულებისას გამოყენება და შესაბამისად, მასთან კავშირში განიხილება. ხოლო, ცალკეულ კოდიფიკაციებში დამატებით არის გათვალისწინებული უშუალო მითითება კეთილსინდისიერების პრინციპზე.

„თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.⁵²

კეთილსინდისიერების ინსტიტუტს როგორც აღინიშნა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. გარდა ამისა, იმავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება გამორიცხოთ კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება. ეს ნიშნავს იმას, რომ თუნდაც კონკრეტულად არ იყოს გათვალისწინებული სამოქალაქო ურთიერთობაში ან ვალდებულების შესრულების ნაწილში კეთილსინდისიერების პრინციპი, მისი მოქმედება მაინც ვრცელდება ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მონაწილეები ვალდებული არიან პატივი სცენ მეორე მხარის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

კეთილსინდისიერების პრინციპს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობასა და სასამართლო

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი) მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე, 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014

პრაქტიკაშიც. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში⁵³ ყურადღება გაამახვილა კეთილსინდისიერების პრინციპზე და მიუთითა, რომ იგი გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება წარმოადგენს როგორც ნორმატიულ, ისე სუბიექტის ნების განმარტების ინსტრუმენტს. მის საფუძველზე კი შეიძლება აღმოიფხვრას კანონმდებლობისა და ხელშეკრულების ნებისმიერი ხარვეზი. მისი შინაარსი, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ მხარეს გარდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისა, ვალდებულების შესრულების ფარგლებში ევალუა კეთილსინდისიერად მოქმედება. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.“

მოცემულ საქმეში დადგენილი იყო და მხარეები ერთხმად ადასტურებდნენ, რომ ორივე მათგანს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ ფულადი ვალდებულება. მოსარჩელე ითხოვდა, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა დავალიანების სრულად გადახდა და მიუთითებდა იმაზე, რომ მან როგორც კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ვალდებულებების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე. სასამართლომ მიუთითა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომელიც ამ კანონის მიზნებს ეხება და ადგენს, რომ კანონის მიზანია კრედიტორისა და მოვალის უფლებებისა და ინტერესების თანაზომიერების დაცვა. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მონაწილის გადახდისუუნარობის რეჟიმში ყოფნისას, მეორე მხარეს ეკრძალება ვადამოსული მოთხოვნების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა. ზემოაღნიშნული ორი ნორმის გათვალისწინებით მიიჩნია სასამართლომ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული და მისი ქცევა წინააღმდეგობაში მოდიოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობებში და ასევე გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში, ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი) მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე, 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014

მოცემულ საქმეში მოსარჩელე მხარე ცდილობდა თავისი სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მოეთხოვა მეორე მხარისათვის ვალდებულების შესრულება იმ მოცემულობაში, როდესაც მას ასევე ჰქონდა შესასრულებელი ვალდებულება მოპასუხის მიმართ. ამასთანავე, მისი ვალდებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოპასუხის მიერ გადასახდელ თანხას. მოპასუხე მხარისათვის დავალიანების ერთჯერადად და მთლიანად დაკისრებით მოსარჩელემ დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი, დაუსაბუთებლად ხელყო ურთიერთობის მეორე მხარის უფლებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის განმარტება თანხის ეტაპობრივად გადახდის მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო დავალიანების სრულად მოთხოვნის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი კრძალავს უფლების ბოროტად გამოყენებას და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილისა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტს აკისრებს სხვისი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესებისადმი კეთილსინდისიერ და გულისხმიერ დამოკიდებულებას. ყოველივე აღნიშნული კი გამორიცხავს ვალდებულების შესრულების თაობაზე შეთანხმების ბათილად აღიარების იურიდიულ ინტერესს და მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს. სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება საქმეში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. გარდა ამისა, სასამართლომ საკმაოდ დეტალურად იმსჯელა და სრულყოფილად დაასაბუთა გადაწყვეტილება კეთილსინდისიერების პრინციპის ნაწილში. აღნიშნულით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობას ზოგადად სამოქალაქო ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ფარგლებში. აქ ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ მოვალის კეთილსინდისიერებაზე, არამედ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კრედიტორის კეთილსინდისიერებას, რაც გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ჩამოყალიბების დროს გასათვალისწინებელი იქნება. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს მხოლოდ მოვალით არ უნდა შემოიფარგლებოდეს და იგი ასევე სრული მოცულობით

უნდა ვრცელდებოდეს კრედიტორზეც, თავისთავად მისი უფლებების გამოყენების ფარგლებში.

როგორც ირკვევა, კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს გადახდისუუნარობის სამართალშიც. მას არა მხოლოდ ქართულ კანონმდებლობაში აქვს ადგილი, არამედ მსოფლიოს არაერთი ქვეყანა აღიარებს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ქვაკუთხედად. სწორედ ამიტომ უწოდებენ ევროპული ქვეყნების გადახდისუუნარობის კანონმდებლობას „დამსახურებული ახალი დასაწყისის“ მოდელს.⁵⁴ მაშინ, როდესაც ამერიკული სისტემა შედარებით ლიბერალური⁵⁵ მიდგომით გამოირჩევა, ევროკავშირის მოდელი, როგორც წესი, უფრო მეტად იცავს საფინანსო და საბანკო სექტორების ინტერესებს.⁵⁶

გერმანული გადახდისუუნარობის სამართალი აღიარებს, რომ სპეციალური რეჟიმი ყველა მოვალისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. ეს „პრივილეგია“ მხოლოდ კეთილსინდისიერი მოვალეებისთვის არის ხელმისაწვდომი.⁵⁷ გერმანიაში გადახდისუუნარობის წარმოების პროცესში კეთილსინდისიერების პრინციპი სავალდებულო ხასიათს აღიარებს როგორც საქმის დაწყების სტადიაზე, ასევე მისი მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საქმის წარმოების გახსნის ნაწილში, ფიზიკური პირის კეთილსინდისიერება დაკავშირებულია იმასთან, თუ რა მიზეზით გახდა პირი გადახდისუუნარო. კეთილსინდისიერ ფიზიკურ პირად არ ჩაითვლება ის პირი, რომლის გადახდისუუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლიზმის ან ნარკოდამოკიდებულების არსებობით ან აზარტული თამაშებით ან მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და სხვა მსგავსი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, კანონმდებელმა გაითვალისწინოს, რომ თუკი აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა ბოლო 5 წლის განმავლობაში უკვე ისარგებლა

⁵⁴ Arvydas, Paškevičius, Neringa, Jurgaitytė, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, *Procedia - Social and Behavioral Sciences*, Vol. 213, December 1, 2015, pp. 522;

ასევე Edita Gruodyte, Julija Kirsienė, "Application of "Fresh start" Doctrine for Individual Debtors in Lithuania: EU and US perspective", *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*, 2010, 21(3), p 266.

⁵⁵ Efrat, Rafael 2002. Global trends in personal bankruptcy. *American Bankruptcy Law Journal* 76: 81–110.

⁵⁶ Ramsay, Iain. 2012. Between neo-liberalism and the social market: Approaches to debt adjustment and consumer insolvency in the EU. *Journal of Consum Policy* 35: 421–41.

⁵⁷ Niemi-Kiesilainen J., Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem, *Osgoode Hall Law Journal* 37.1/2, 1999, 474

<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გადახდისუუნარობის პროცედურით, ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მოვალედ.⁵⁸ გარდა ამისა, კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს მოვალის პატიოსან განზრახვას გამოიყენოს გაკოტრების პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ვალები, რომლებიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო (მაგ.: როგორებიცაა სამედიცინო ვალები, სამუშაოს დაკარგვა, მოვალის მიერ ფინანსების მართვის უუნარობაც და ა.შ). უხეში განმარტებით, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მოვალემ ფინანსური ვალდებულება აიღო კეთილსინდისიერი განზრახვით და არა წინასწარი შეცნობით იმ მიზნით, რომ იგი ამ თანხის დაბრუნებას არ აპირებდა.⁵⁹

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ისეთ ფრაზას, როგორც არის კეთილსინდისიერი და უიღბლო მოვალე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მოვალე მოცემულ შემთხვევაში სესხის გადახდის პროცესში გულგრილად და დაუდევრად არ უნდა იქცეოდეს. კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს მოვალის უიღბლობა და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვალეს არ გაუმართლა, ამასთანავე, კეთილსინდისიერია და შესაძლებელია დაექვემდებაროს სპეციალურ რეჟიმს. შესაბამისად, აქ დიდი მნიშვნელობა გერმანიის სასამართლოებს ენიჭება, რომელთა კომპეტენციაშიც შედის კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, ინდივიდუალური გარემოებების ობიექტურად შეფასებით გადაწყვიტონ საკითხი.⁶⁰

საინტერესოა, როგორ აწესრიგებენ ამ საკითხს ევროპის სხვა ქვეყნები. მსგავსად გერმანიისა, ლიეტუვისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური პირის კეთილსინდისიერების პრინციპს, რაც განისაზღვრება

⁵⁸ დამატებით იხ.: Arvydas, Paškevičius, Neringa, Jurgaitytė, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, *Procedia - Social and Behavioral Sciences*, Vol. 213, December 1, 2015, pp. 521-526, [ხელმისაწვდომია: <https://www.journals.vu.lt/ekonomika/article/view/8238/6109>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, p.18 [ხელმისაწვდომია: https://www.schultze-braun.de/fileadmin/en/Schultze_Braun_German-Insolvency-Code_k2.pdf?_=1569241778, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁵⁹ American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13 Going Once Going Twice, 2005 [ხელმისაწვდომია: <https://www.abi.org/abi-journal/good-faith-in-chapter-13going-once-going-twice#3>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶⁰ CORK K., WEISS G. A., *European Insolvency Practitioners' Handbook The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice, The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice*, p.23

სხვადასხვა კრიტერიუმის შეფასებით.⁶¹ მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობა გამოწვეული ხომ არ არის მისი არაკეთილსინდისიერი ქცევით ან იჩენდა თუ არა იგი სათანადო გულისხმიერებას იმისათვის, რათა არ დაგროვებულიყო დავალიანება. მეტიც, კანონით განსაზღვრულია ისიც, რომ სასამართლო უარს იტყვის ფიზიკური პირის გაკოტრების საქმის წარმოებაზე, თუ დადგინდება, რომ ფიზიკური პირი გადახდისუუნარო გახდა მისი დამოკიდებულების, მათ შორის ალკოჰოლის, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების, აზარტული თამაშების გამო და ა.შ. ⁶² როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის ქვეყნებს ძირითადად ერთიანი მიდგომა გააჩნია და ყველა ერთხმად იზიარებს იმ მიდგომას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფუნდამენტი, ხოლო მისი არსებობა წარმოების დაწყების უმთავრესი და აუცილებელი წინაპირობა.

გერმანული მიდგომა და გერმანელი კანონმდებლობის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპისთვის ამდენად დიდი მნიშვნელობის მინიჭება სრულად გამართლებულია გადახდისუუნარობის პროცედურის ხასიათიდან გამომდინარე. იგულისხმება ის, რომ მოვალისათვის ასეთი პრივილეგიის მინიჭებას შესაბამისი საფუძველი უნდა ჰქონდეს და სწორედ ეს საფუძველია კეთილსინდისიერება. შესაბამისად, ამ მიდგომის გამოყენება საქართველოში საკმაოდ ეფექტური იქნება.

კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვის ნაწილში მნიშვნელოვანია გამოკვლევულ იქნეს, თუ როგორია ამ საკითხის მოწესრიგება განსხვავებულ სამართლის სისტემაში. კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მეტი მოქნილობითა და ლიბერალური მიდგომებით⁶³ გამოირჩევა, აქაც გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება და მისი დასრულება მეტწილად დამოკიდებულია მოვალის კეთილსინდისიერებაზე. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ 2005 წელს ამერიკის „გაკოტრების

⁶¹ Niemi-Kiesilainen J., Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem, Osgoode Hall Law Journal 37.1/2, 1999, 474

<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶² REPUBLIC OF LITHUANIA, LAW ON PERSONAL BANKRUPTCY, 10 May 2012 No XI-2000

⁶³ Efrat, Rafael 2002. Global trends in personal bankruptcy. American Bankruptcy Law Journal 76: 81–110.

ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტის“ ამოქმედებით ამერიკული მოდელი გარკვეულწილად დაუახლოვდა ევროპულ მოდელს და კეთილსინდისიერების პრინციპისთვის დამახასიათებელი გარკვეული მიდგომები შემოიღო კანონმდებლობაში.⁶⁴

გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში, კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს მოვალის პატიოსან განზრახვას გამოიყენოს გაკოტრების პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ვალები, რომლებიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო (მაგ.: როგორებიცაა სამედიცინო ვალები, სამუშაოს დაკარგვა, მოვალის მიერ ფინანსების მართვის უუნარობაც და ა.შ). უხეში განმარტებით, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მოვალემ ფინანსური ვალდებულება აიღო კეთილსინდისიერი განზრახვით და არა წინასწარი შეცნობით იმ მიზნით, რომ იგი ამ თანხის დაბრუნებას არ აპირებდა.⁶⁵

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების ცნება არ არის განმარტებული გაკოტრების კოდექსში,⁶⁶ სამოსამართლო სამართლის ფარგლებში, რომელიც მეტად აქტუალურია აშშ-ში მოსამართლეებმა წლების განმავლობაში შეიმუშავეს კრიტერიუმები იმის დასადგენად, არის თუ არა მოვალე კეთილსინდისიერი.

ამ მხრივ პრეცედენტული მნიშვნელობისაა აშშ უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეში *Marrama v. Citizens Bank of Massachusetts*, 127 S.Ct. 1105 (2007 წ.).⁶⁷ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ მოვალე, რომელმაც არაკეთილსინდისიერად წარადგინა მე-7 თავით გათვალისწინებული თავდაპირველი შუამდგომლობა კარგავს უფლებას მოითხოვოს წარმოების გადაკვალიფიცირება გაკოტრების კოდექსის სხვა თავის მიხედვით. ამგვარად, სასამართლომ სავალდებულოდ დაადგინა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა

⁶⁴ Walter, György, and JensValdemar Krenchel. 2021. TheLeniency of Personal BankruptcyRegulations in the EU Countries.Risks 9: 162. <https://doi.org/10.3390/risks9090162> ,უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶⁵ American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13Going Once Going Twice, 2005 [ხელმისაწვდომია: <https://www.abi.org/abi-journal/good-faith-in-chapter-13going-once-going-twice#3> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶⁶ American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13Going Once Going Twice, 2005 [ხელმისაწვდომია: <https://www.abi.org/abi-journal/good-faith-in-chapter-13going-once-going-twice#3>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶⁷ *Marrama v. Citizens Bank of Massachusetts*, 549 U.S. 365, 127 S. Ct. 1105, 166 L. Ed. 2d 956 (2007) [ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/marrama-v-citizens-bank-of-massachusetts-2/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მე-7 თავის არსებული წარმოების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ამ თავში აღნიშნული პრინციპი ცალკე განმარტებული არ არის. მოვალემ მოცემულ შემთხვევაში მე -7 თავით გათვალისწინებული წესით მიმართა შუამდგომლობით სასამართლოს და საჭიროებისამებრ, წარადგინა აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. მოვალემ აღნიშნა, რომ იგი იყო ტრასტის ბენეფიციარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ასევე გარკვეული უძრავი ქონებაც. მოვალემ ქონების ღირებულება 0 დოლარად შეაფასა. მეურვის მტკიცებით, რეალურად ეს ქონება მნიშვნელოვნად ღირებული იყო და იგი ადრე მოვალეს ეკუთვნოდა, ხოლო მან მხოლოდ იმ მიზნით გადასცა მინდობით სხვა პირს, რომ თავი აერიდებინა კრედიტორებისთვის.”

სასამართლომ დაადგინა, რომ 706-ე მუხლის ერთი შეხედვით მარტივი ენის მიუხედავად, წარმოების გადაკვალიფიცირების დაშვებამდე, სასამართლომ მაინც უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა მოვალეს უფლებამოსილება იმოქმედოს მე-13 თავის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ დადგინდებოდა, რომ მოვალის მიერ შეტანილი მე-13 თავის თავდაპირველი შუამდგომლობა, იქნებოდა არსებითად დაუშვებელი და მოვალემ მაინც მოითხოვა საქმის გადაკვალიფიცირება მე-13 თავით, მაშასადამე სახეზეა მოვალის არაკეთილსინდისიერი წინასწარი შუამდგომლობა.⁶⁸

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იყო ყურადღება მიექციათ სასამართლო რესურსების ბოროტად გამოყენებისთვის, რაც აუცილებლად მოჰყვებოდა საქმის გადაკვალიფიცირებასა და შემდგომ საბოლოოდ შეწყვეტას. გარდა ამისა, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერება ხელს უწყობს გაკოტრების კოდექსის იმ ძირითადი პოლიტიკის გამყარებას, რაც დაკავშირებულია „ახალ დასაწყისთან კეთილსინდისიერი, მაგრამ წარუმატებელი მოვალეებისათვის“.⁶⁹

მაშასადამე, კეთილსინდისიერება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ საქმეზე გარემოებების ერთობლიობისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

⁶⁸ Derek, J. Baker, United States: Requirement Of Good Faith Implied In Chapter 7 Filings, Philadelphia [ხელმისაწვდომია: <https://www.mondaq.com/unitedstates/commercial/50364/requirement-of-good-faith-implied-in-chapter-7-filings>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁶⁹ Marrama v. Citizens Bank of Massachusetts, 549 U.S. 365, 127 S. Ct. 1105, 166 L. Ed. 2d 956 (2007) [ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/marrama-v-citizens-bank-of-massachusetts-2/>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გაკოტრების საქმეში არაკეთილსინდისიერების ფაქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს საქმის შეწყვეტა. აღნიშნულ შემთხვევაში, მოვალე არ ექვემდებარება ვალებისგან განთავისუფლებას და ყველა მისი დავალიანება რჩება უცვლელი. ამასთან, საქმის შეჩერების საფუძვლის არ არსებობის გამო, კრედიტორებს შეუძლიათ დააყენონ თავიანთი მოთხოვნები მოვალის მიმართ. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევამ და ამ პრინციპის საწინააღმდეგო ქცევამ შეიძლება ხელი შეუშალოს გადახდის გეგმის შედგენას (თავები 11, 12 და 13). გადახდის გეგმის შედგენის გარეშე, გაკოტრების პროცესი ვერ გაგრძელდება და მოვალე ვერ განთავისუფლდება ვალებისაგან. თუ მოვალეს არ შეუძლია გადახდის გეგმის იმგვარად შედგენა, რომ იგი მისაღები იყოს სასამართლოს, მეურვის ან კრედიტორებისთვის, მაშინ საქმე დაიხურება და ავტომატური შეჩერების საფუძველი მოიხსნება.⁷⁰ სასამართლოს მიდგომა ამ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სწორი და გონივრული იყო. დაუშვებელია კეთილსინდისიერების განსაზღვრისთვის ერთიანი მიდგომა არსებობდეს ან კანონში იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს კეთილსინდისიერება. როგორც აღინიშნა, კეთილსინდისიერება საკმაოდ დიდი ცნებაა და იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიმარტოს საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

საინტერესოა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეში No. 14-400 _____ CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE.⁷¹ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კეთილსინდისიერების პრინციპზე და მიუთითა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა იმ შემთხვევაშიც კი აუცილებელია, როდესაც საქმის ერთი თავიდან მეორეზე გადაკვალიფიცირება ხდება. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად მოვალე მე-13 თავით გათვალისწინებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, ხოლო შემდგომ საქმის გაგრძელება ხდება მე-7 თავით

⁷⁰ Spaulding C. W., Bankruptcy Requires Good Faith [ხელმისაწვდომია: <https://thismatter.com/money/credit/bankruptcy/good-faith.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁷¹ SUPREME COURT OF THE UNITED STATES - No. 14-400, CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE [ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/14-400>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გათვალისწინებული პროცედურებით. თუკი დადგინდება, რომ მოვალის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, მან დამალა აქტივების შესახებ ინფორმაცია და სწორედ ამიტომ დაკმაყოფილდა მისი საქმის მე-7 თავით გათვალისწინებულ წესებზე გადაკვალიფიცირება, სასამართლო უფლებამოსილია მოვალის ხელფასის ლიკვიდაციაც მოახდინოს, მიუხედავად იმისა, რომ მე-7 თავში მოცემული რეგულაციის მიხედვით, მოვალის შემოსავალი მის განკარგვაში რჩება.

სასამართლოს მიდგომა ამ შემთხვევაშიც სწორია. მართალია, გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მთავარი მიზანია მოვალის ფინანსური ვალდებულებებისგან გათავისუფლება, თუმცა, რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ მოხდეს სასამართლოს რესურსის არაკეთილსინდისიერად დახარჯვა და საქმის განზრახ გაჭიანურება.

ასევე საინტერესოა გადაწყვეტილება საქმეზე საქმე Wil v Elliot, No. 16-55359, რომელიც შეეხებოდა 11 U.S.C. 727 (1) პუნქტით დაწესებულ სარჩელის წარდგენის ერთ წლიან ვადას. აღნიშნულ საქმეში მოვალემ წარადგინა გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული შუამდგომლობა გაკოტრების შესახებ, სადაც მან განზრახ არასწორი ინფორმაცია მიუთითა მის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან არ მიუთითა სახლის შესახებ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ქონებას წარმოადგენდა. გაკოტრების სასამართლომ 11 U.S.C. 727(a) მუხლის საფუძველზე, მოვალის დარჩენილი ვალდებულებების ჩამოწერის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. საქმის მიმდინარეობის დროს, მოვალის არაკეთილსინდისიერი ქმედება არ გამოაშკარავებულა. ერთი თვის შემდეგ, მეურვემ შეიტყო აღნიშნულის შესახებ, სასამართლოს მიმართა და მოითხოვა მე-11 თავით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით ფულადი ვალდებულებების ჩამოწერის გაუქმება.

სასამართლომ მოცემულ საქმეში იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ იყო დარღვეული მეურვის მიერ გასაჩივრების ვადა. გაკოტრების კოდექსის 727 (e) (1) თანახმად, მეურვეს ან კრედიტორს, მოვალისათვის ფულადი ვალდებულებების ჩამოწერის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 წელი აქვს დრო იმისათვის, რომ აღნიშნული გაასაჩივროს. მეურვე არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ მან სასამართლოს დადგენილი ვადის დარღვევით მიმართა, დაახლოებით 15 თვის

შემდეგ. თუმცა აქ აღსანიშნავია ის, რომ მოვალემ სასამართლოში საპასუხოდ არ მიუთითა იმის შესახებ, რომ მეურვეს ვადის დარღვევით ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართული.

გაკოტრების სასამართლომ დაადგინა, რომ მოვალემ განზრახ დამალა ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ. ასევე მიიღო გადაწყვეტილება მოვალის ფულადი ვალდებულებების ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, (Ninth Circuit Bankruptcy Appellate Panel, BAP) რომელმაც აღნიშნა, რომ არსებითად იყო დარღვეული გასაჩივრების ვადები და აღნიშნა, რომ პირველმა ინსტანციამ გააკოტრების კოდექსის 727 (e)(1) მუხლით დადგენილი ვადა არა მოვალის მითითების საფუძველზე გაითვალისწინა, არამედ მისი მითითების გარეშე, საკუთარი ინიციატივით გამოიყენა.

ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმო მოვალის არაკეთილსინდისიერ ქცევას და პრიორიტეტულად დააყენა დადგენილ ვადასთან მიმართებაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ 727 (1) პუნქტით დაწესებული ერთწლიანი ვადა არ არის ე.წ. „იურისდიქციულად“ სავალდებულო ვადა. ეს არის სტანდარტული წესი, რომელიც ადგენს ვადას, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქმედება. უზენაეს სასამართლოს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ მსგავსი ტიპის ვადები არის საპროცედურო ვადები, რომლებსაც როგორც კონგრესი მიიჩნევს, არაიურისდიქციული ვადებია. *United States v. Kwai Fun Wong*, 135 S. Ct. 1625, 1632(2015) (quoting *Henderson v. Shinseki*, 562 U.S. 428, 435(2011)).

რეალურად, სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმო კეთილსინდისიერების პრინციპს. საქმე შესაბამისი რეკომენდაციებით განსახილველად დაუბრუნა გაკოტრების სასამართლოს იმ მიზნით, რომ აღედგინა გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა მოვალის ვალდებულებების ჩამოწერის თაობაზე თავდაპირველი გადაწყვეტილების გაუქმებას.⁷²

⁷² *Weil v. Elliott*, No. 16-55359 (9th Cir. 2017) [ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/ca9/16-55359/16-55359-2017-06-14.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გაკოტრების ბოროტად გამოყენებისა და მომხმარებელთა დაცვის აქტს (2005 წელი) (BAPCPA) გაკოტრების წარმოების ფარგლებში არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციის მიზნით, დაემატა რამდენიმე დებულება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ადრე, საკმაოდ დიდი რაოდენობის, მაღალი შემოსავლის მქონე მოვალე ითხოვდა ვალებისგან გათავისუფლებას გაკოტრების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გარეშე დაეკმაყოფილებინათ კრედიტორთა მოთხოვნები. განისაზღვრა, რომ თუკი მოვალის შემოსავალი აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილ შემოსავლის საშუალო მაჩვენებელს, მაშინ გადახდის გეგმა უნდა განისაზღვროს 5 წლით და არა 3 წლით, რაც უზრუნველყოფს არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის გაზრდილ ანაზღაურებას.⁷³

გაკოტრების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტის (BAPCPA) მიზანს წარმოადგენს გაკოტრების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და არაკეთილსინდისიერი ქცევის მაქსიმალური პრევენცია. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2005 წელს BAPCPA -ის დაემატა რამდენიმე დებულება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ასევე აისახა 11 U.S.C. (გაკოტრების კოდექსის) § 707(b) მუხლში.

ეს ცვლილებები, ეხებათ იმ მოვალეებს, რომლებსაც კოდექსით გათვალისწინებული წესით დაანგარიშებული შემოსავალი გააჩნიათ, რომელიც უნდა იყოს 60 თვიანი პერიოდით შეწონილ საშუალო შემოსავალზე მეტი. ამ ტექსტს ეწოდება “საჭიროების ტესტი”. საჭიროების ტესტის მიზანია გაკოტრების უფლების ბოროტად გამოყენების აღმოჩენა, თუ მოვალის ერთჯერადი თვიური შემოსავალი აღემატება დადგენილ რაოდენობას ან მათი დავალიანების წილს. თუ ბოროტად გამოყენების პრეზუმფცია აღმოჩენილია ხსენებული მეთოდის გამოყენებით, ის შეიძლება უარყოფილი იყოს მხოლოდ „განსაკუთრებული გარემოებების“ არსებობის შემთხვევაში. აქვე, აღსანიშნავის ისიც, რომ საჭიროების ტესტი არ გამოიყენება იმ მოვალეებისთვის, რომელთა შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საშუალო შემოსავალზე დაბალია. შესაბამისად, ისინი არ შეიძლება იყვნენ საჭიროების ტესტის

⁷³ Spaulding C. W., Bankruptcy Requires Good Faith [ხელმისაწვდომია: <https://thismatter.com/money/credit/bankruptcy/good-faith.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

შემოწმების სუბიექტები. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ „განსაკუთრებულ გარემოებებს“, ეს გარემოებები სასამართლოს დისკრეციას არ ანიჭებს, არამედ იგი მოვალეს აძლევს შესაძლებლობას, დამატებითი ხარჯების ან შემოსავლის დაკარგვის გამო, შემოსავლის კორექტირება მოახდინოს. აქ იგულისხმება ისეთი გარემოებები, როგორც არის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან სამხედრო სამსახურში გამომახება. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრების უფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ მაშინ არის უარყოფილი, თუკი ეს დამატებითი ხარჯები ან შემოსავლის დანაკარგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროების ტესტის შედეგებს ცვლის.

ახალი კანონმდებლობა ასევე მოითხოვს, რომ ყველა ცალკეულმა მოვალემ მე-7 ან მე-13 თავით გათვალისწინებული გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში, გაიაროს „სასწავლო კურსი პირადი ფინანსური მენეჯმენტის შესახებ“. თუ მოვალე, რომელსაც აქვს განაცხადი შეტანილი კოდექსის მე-7 თავის მიხედვით და არ დაასრულებს კურსს, აღნიშნული შეიძლება გახდეს ვალების ჩამოწერაზე უარის თქმის საფუძველი გაკოტრების კოდექსის 727(a)(11) მუხლის შესაბამისად.

ფინანსური მართვის პროგრამა ექსპერიმენტულია და მისი შესწავლის პროცესი მოიცავს 18 თვეს. მაგრამ გაკოტრების შესახებ ახალი კანონის თანახმად, რომელიც ძალაში 2005 წლის ოქტომბერში შევიდა, ამ დაცვის საშუალებების ზოგიერთი ნაწილი აღმოიფხვრა. მაგალითად, გაკოტრების შესახებ განცხადება აღარ აჭიანურებს ან აჩერებს შემდეგს: გამოსახლების ქმედებებს, მართვის მოწმობის შეჩერებას, ბავშვის მხარდაჭერისთვის განკუთვნილ სამართლებრივ ქმედებებს, განქორწინების პროცესს. გაკოტრების კანონები ითვალისწინებს ვალის დაფარვის პრიორიტეტულ სისტემას იმ ადამიანებისა და კომპანიებისთვის, რომლებსაც აქვთ მოთხოვნის უფლება (კრედიტორები). გაკოტრების ახალი კანონის თანახმად, მეურვე პირველ რიგში ანაზღაურებს იმ ადამიანების ვალებს, რომლებსაც აქვთ გადაუხდელი ბავშვის შემწეობა და ალიმენტი. ეს ნიშნავს, რომ გაკოტრების განმცხადებლის ოჯახის წევრებს ენიჭებათ უპირატესობა ნებისმიერ სხვა კრედიტორთან შედარებით.⁷⁴

ამერიკული საჭიროების ტესტის მოდელის გადმოტანაც გონივრული იქნება არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციის მიზნით. გარდა ამისა, ამ ტესტის

⁷⁴ Maddy, Teka, Esq. | Reviewed by Bridget, Molitor, J.D., 2021 [ხელმისაწვდომია: <https://www.findlaw.com/bankruptcy/chapter-7/checklist-of-key-changes.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ფიზიკური პირისთვის გადახდისუუნაროს სტატუსის მინიჭების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გადახდისუუნარობის კანონმდებლობის დანერგვის შემთხვევაში, სპეციალური რეჟიმი სიახლე იქნება მოსახლეობისთვის, მნიშვნელოვანია ისინი მზად იყვნენ ამ ცვლილებებისთვის. შესაბამისად, აუცილებელია ამერიკული ფინანსური მართვის პროგრამის მოდიფიცირება, ქართულ მოდელზე მორგება და მისი გამოყენება, რათა მოვალეებმა პირველ რიგში ისწავლონ საკუთარი ფინანსების მენეჯმენტი, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს ვალდებულებაზე, შეუსაბამოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნებს; ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღნიშნული შეთანხმების 402-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ საქართველომ უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. ხოლო, 417-ე მუხლის თანახმად, საქართველომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის სამართალთან. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია გერმანული კანონის შესაბამისი ნორმების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში.

ვინაიდან, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიღებული ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობა და მისი მიღება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ქვეყნისთვის, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მოვალეების მხრიდან რეჟიმის ბოროტად გამოყენების პრევენციის მექანიზმები. კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპის წინ წამოწევით უნდა დაბალანსდეს კრედიტორისა და გადახდისუუნარო მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა.⁷⁵

⁷⁵ Iain Ramsay, *Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View*, 17 QUT L. REV. 15 (2017), 25-29, 38.

სპეციალური რეჟიმით გათვალისწინებული პრივილეგია უნდა გავრცელდეს მხოლოდ კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ვერ ასრულებენ ვალდებულებებს და საჭიროებენ ხელშეწყობას ამ მდგომარეობის დასამლევად. ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს მოვალის პატიოსან განზრახვას გამოიყენოს გაკოტრების პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ვალები, რომლებიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო (მაგ.: როგორებიცაა სამედიცინო ვალები, სამუშაოს დაკარგვა, მოვალის მიერ ფინანსების მართვის უუნარობაც და ა.შ). უხეში განმარტებით, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მოვალემ ფინანსური ვალდებულება აიღო კეთილსინდისიერი განზრახვით და არა წინასწარი შეცნობით იმ მიზნით, რომ იგი ამ თანხის დაბრუნებას არ აპირებდა.⁷⁶

გარდა იმისა, რომ იგი პრევენციული ხასიათის იქნება და არაკეთილსინდისიერი მოვალეების მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების უფლების გამოყენებას შეზღუდავს, ეს იქნება ერთგვარი მექანიზმი იმისათვის, რომ ფიზიკური პირები სესხის აღების მომენტიდანვე ნაკლები პასუხისმგებლობით არ მიუდგნენ სესხის დაფარვის პროცესს. იმისათვის, რომ მსგავსი ქმედებისკენ არ ვუბიძგოთ ფიზიკურ პირებს კანონის შემოღებით, აუცილებელია თავიდანვე გათვალისწინებული იქნეს პრევენციული მექანიზმი და საუკეთესო ვერსია სწორედ გერმანული მიდგომის გამოყენებაა ამ ნაწილში.

1.3. საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის

სამართლებრივი რეგულირების საჭიროება და ძირითადი ასპექტები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოვალეთა სპეციალური რეჟიმის რეგულირებამ რამდენჯერმე იცვალა სახე,⁷⁷ დღესდღეობით, კანონმდებლობაში გაკოტრების რეჟიმთან დაკავშირებული მრავალწლიანი ცვლილებების შემდეგაც კი, ფიზიკურ პირებს არ მოეპოვებათ შესაძლებლობა ისეთი უფლებით ისარგებლონ,

⁷⁶ American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13 Going Once Going Twice, 2005

[ხელმისაწვდომია: <https://www.abi.org/abi-journal/good-faith-in-chapter-13going-once-going-twice#3> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁷⁷ საქართველოს კანონი „გაკოტრების შესახებ“, 1996 წლის 25 სექტემბერი, მუხლი 2.1.

რომელიც რეალურად უზრუნველყოფს მათთვის ფინანსური ცხოვრების თავიდან დაწყებისა და ნორმალურ სოციალურ პირობებში დაბრუნების შესაძლებლობას.⁷⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, როგორც არის მსგავსად იურიდიული პირებისა, ფიზიკური პირებისთვის გადახდისუუნარობის რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა. მოვალეებს უნდა მიეცეთ უფლება დაიწყონ ცხოვრება სუფთა ფურცლიდან და რეინტეგრირდნენ საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს აღებული აქვს გეზი ქვეყნის კანონმდებლობა მოარგოს ევროპულ სტანდარტებს და ამ გზით შექმნას დემოკრატიულ სტანდარტებზე ფუნქციონირებადი, განვითარებული სახელმწიფო, აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა, როგორც არის ფიზიკური პირების გადახდისუუნარობა. მითუმეტეს კი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჭარბვალიანთა რაოდენობა შემამფოთებლად დიდი მატებით გამოიჩინა, არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიც კია ქვეყანაში ზემოაღნიშნული რეგულირების შემოღება.

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წელს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

როგორც შეთანხმების 1-ლი მუხლი მიუთითებს, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის მყარდება ასოცირება. ამ ასოცირების მიზნებია: ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ

⁷⁸ მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირების შესახებ, ჯაბა გველებიანი, ალექსი კოჭლაშვილი, ნანა ამისულაშვილი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021, გვ.10

ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე იქნება დაფუძნებული; ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას; გაძლიერდება ჩარჩო პოლიტიკური დიალოგისათვის ინტერესის ყველა სფეროში, რაც საშუალებას მისცემს მხარეებს განავითარონ მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები; ევროკავშირი ამ შეთანხმების თანახმად, მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას განავითაროს მისი ეკონომიკური პოტენციალი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, მათ შორის მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით.

შეთანხმების მე-2 მუხლი მოიცავს ისეთ ზოგად პრინციპებს, როგორც არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა, როგორც ეს აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და განსაზღვრულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტითა და 1990 წლის პარიზის ქარტიით ახალი ევროპისთვის. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები წარმოადგენს მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის საფუძველს.

შეთანხმება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის საქართველოს ევროპეიზაციის პროცესს. იგი მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები: საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის - შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;

მართალია, ასოცირების შეთანხმება პირდაპირ არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონის შემოღების ვალდებულებას, თუმცა ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის მითითებული ისეთი პრინციპები, როგორც არის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ევროკავშირთან დაახლოება, რაც პირდაპირ კავშირშია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონის შემოღებასთან.

იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური პირის გადახდისუუნარობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითად უფლებებთან, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ნაწილში, აღნიშნული საკითხიც იქნეს გათვალისწინებული.

შეთანხმების 280-ე მუხლი მიუთითებს, რომ მხარეები ითანამშრომლებენ საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით, ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და სამართლიანი კონკურენციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, შეთანხმების 383-ე მუხლში მითითებულია, რომ საქართველო ისარგებლებს ფინანსური დახმარებით, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის დაფინანსების შესაბამისი მექანიზმებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველო ასევე ისარგებლებს თანამშრომლობით ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო

ინსტიტუტებთან. ფინანსური დახმარება წვლილს შეიტანს წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ შეიცავს მითითებას შემდეგ დირექტივებთან დაკავშირებით: 2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ, 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივა მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ, 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივა, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ. შეთანხმების მე-5 ნაწილის მე-6 ქვენაწილში გათვალისწინებულია ფინანსური მომსახურების თავი. ეს ქვენაწილი განსაზღვრავს რეგულირების პრინციპებს ყველა ტიპის ფინანსური მომსახურებისთვის, რაც ასევე მოიცავს ყველა სახის კრედიტების გაცემას, მათ შორის, სამომხმარებლო და იპოთეკურ კრედიტებს. სწორედ ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზის საფუძველზე ეკისრება საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების ვალდებულება.

თავისთავად, მსგავსი რეგულირების ჩამოყალიბება დაკავშირებულია არა მხოლოდ კანონის ცვლილებასთან, არამედ მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილებისთვის მზაობა ჰქონდეს სახელმწიფოსა და საზოგადოებას. მართალია, ჭარბვალიანობის პრობლემის აღმოფხვრას დადებითი ეფექტი ექნება ეკონომიკაზე, თუმცა გასათვალისწინებელია თანმდევი შედეგები. სწორედ ამ თანმხლებ ფაქტორებზეა დამოკიდებული კანონმდებლობის ცვლილების შემდგომი წარმატება. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ არსებობს ერთი კონკრეტული ოპტიმალური მოდელი, რომელიც თანაბრად იმუშავებს ყველა ქვეყანაში.⁷⁹ თუმცა,

⁷⁹ Bricongne, Jean-Charles, Demertzis, Maria, Pontuch, Peter and Turrini, Alessandro, Macroeconomic Relevance of Insolvency Frameworks in a High-debt Context: An EU Perspective, European Commission, Discussion Paper 032, June, 2016, pg. 3 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pMI0uP>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

დღეს არსებული იურიდიული პირის გაკოტრების საკანონმდებლო ჩარჩოს დადებითი მახასიათებლების, მასში არსებული ხარვეზებია და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების გადახდისუნარობის კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკა და მათი სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბდება სრულყოფილი რეგულირება.

საინტერესოა, თუ როგორია ჭარბვალთანობის სტატისტიკური მაჩვენებელი ქვეყანაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების თანახმად, საშუალოდ 1000 ფიზიკური პირიდან 50 % - ზე მეტს აქვს სესხი კომერციულ ბანკებში ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით, 2018 წლამდე შეინიშნებოდა 1000 მოსახლეზე მსესხებელთა მზარდი სტატისტიკა.⁸⁰ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2019 წლის მაჩვენებელი შედარებით დაბალია 2018 წლის მაჩვენებელზე, რაც შესაძლოა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის შედეგი იყოს.

საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმაა დარჩენილი „ონლაინ სესხების“ გამცემი კომპანიებისა და ლომბარდების საქმიანობა; ეს კი პირველ რიგში, სწორედ ფიზიკური პირების ჭარბვალთანობის მაპროვოცირებელი გარემოებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლომბარდებიდან 2020 წელს გაცემული სესხების მოცულობამ 322.8 მლნ. ლარი შეადგინა (მათ შორის 87.1 % -ეროვნულ, ხოლო 12.9 % - უცხოურ ვალუტაში). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სესხებიდან 87.5 % ფიზიკურ პირებზე მოდის.⁸¹

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა (ბანკთაშორისი სესხების გარდა), 2023 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით 412.20 მლნ ლარით (0.93%-ით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 1.55%-ით გაიზარდა) და მარტის ბოლოს 44.87 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 275.08 მლნ ლარით (1.12%-ით) , ხოლო უცხოური

⁸⁰ International Monetary Fund, IMF Data, Access to Macroeconomic & Financial Data, Financial Access Survey (FAS) by Country [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MkfmBf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁸¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები, 2020, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3W4sI2B>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 137.12 მლნ ლარით (0.69%-ით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, გაიზარდა 2.09%-ით).⁸²

დღესდღეობით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ფონი, ფიზიკური პირების შემოსავლის, შინამეურნეობის ხარჯებისა და შინამეურნეობის ვალის მშპ-თან თანაფარდობის ანალიზის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში ჭარბვალთანობის პრობლემა აქტუალურია. მართალია, ეროვნული ბანკის საზედამხედველო რეფორმების გატარების შედეგად, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ეს გაუმჯობესება ვერ აისახება იმ ფიზიკური პირების მდგომარეობაზე, რომლებიც ნორმალურ სოციალურ პირობებს ვერ უბრუნდებიან ჭარბი ფინანსური ვალდებულებების გამო.⁸³

მსოფლიო ბანკის Doing Business ანგარიშის მიხედვით, საქართველო სესხებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მე-15 ადგილზეა.⁸⁴ მართალია, 2019 წელს გატარებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემის შემოღების შემდეგ, შემცირდა ვალის ტვირთი, თუმცა, ჭარბვალთანობის პრობლემას და უკვე არსებულ ვალებს, რომელთა გადახდა ფიზიკურ პირთა საგრძნობლად დიდ ნაწილს უჭირს, ვერ აღმოფხვრის. ამ პრობლემას ემატება სავალუტო რისკი, რომელიც თავისთავად, გავლენას ახდენს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელზე.

აქვე, აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თხოვნით ქართული გადახდისუნარიანობის სისტემის შეფასება განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „მმართველობა განვითარებისათვის“. კვლევის ფარგლებში, დადგინდა, რომ საქართველოში მაშინ მოქმედ კანონს “გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად ხშირად არ იყენებდნენ. ამასთან, აღნიშნული კანონი უარყოფით გავლენას ახდენდა უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებებზე, ხოლო არაუზრუნველყოფილ კრედიტორების უფლებების ყურადღებას

⁸² სესხების მიმდინარე

ტენდენციები <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁸³ <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data?title=&code=> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁸⁴ Economy Profile of Georgia, Doing Business 2020 Indicators, WOLD BANK GROUP, pg.29, [ხელმისაწვდომია: <https://archive.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

არ აქცევდა. საბოლოო ჯამში, გამოიკვეთა, რომ კანონი არ იყო სათანადოდ მოქნილი ეფექტური გადახდისუნარობის საქმის წარმოებისათვის.

2016 წელს საქართველოში გადახდისუნარობის სისტემა ასევე შეაფასა გერმანიის ეკონომიკურმა გუნდმა, რომლის დასკვნის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქართული გადახდისუნარობის კანონმდებლობა უფრო მეტად ორიენტირებული იყო მოვალის სწრაფ გაკოტრებაზე, ხოლო საქმისწარმოების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები ბუნდოვანი ან სრულად დაურეგულირებელი გახლდათ.

2016 წელს გახსნილი 41 გადახდისუნარობის საქმის წარმოებიდან რეაბილიტაციით დასრულდა მხოლოდ 2 საქმე, ხოლო 2017-2018 წლებში 25 და 8 საქმიანიდან რეაბილიტაციის მაჩვენებელი ნულს შეადგენდა. რაც შეეხება 2019 წელს 1 ივნისის მდგომარეობის მიხედვით, გადახდისუნარობის საქმე გაიხსნა 19 სუბიექტის მიმართ, თუმცა რეაბილიტაცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნა მიღწეული.⁸⁵

მართალია, ზემოაღნიშნული კვლევებისა და ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე, საქართველოში განხორციელდა გადახდისუნარობის რეფორმა, რაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ახალი კანონის მიღებით გამოიხატა. ამ კანონმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანა გადახდისუნარობის კანონმდებლობაში და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული ვითარება, თუმცა მხოლოდ იურიდიული პირებისთვის.

სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც ჭარბვალიანთა რაოდენობას შეამცირებს, ფიზიკური პირებისთვის შექმნის ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობას და ამისათვის საუკეთესო გამოსავალი გადახდისუნარობის სრულყოფილი კანონმდებლობის შემოღებაში მდგომარეობს.

1.4. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სუბიექტური შემადგენლობა

გადახდისუნარობის საქმის წარმოება თავისი არსით საკმაოდ კომპლექსურია, შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებლობა მაქსიმალურად დეტალურ

⁸⁵ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

მოწესრიგებას გვთავაზობდეს, რათა ე.წ. შავი ხვრელები კანონში ნაკლებად დარჩეს. გადახდისუუნარობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ზუსტად იქნეს იდენტიფიცირებული, თუ ვინ არიან ამ პროცესის სუბიექტები. უნდა განისაზღვროს სუბიექტთა წრე, რომელზეც გაკოტრების რეჟიმი უნდა გავრცელდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღესდღეობით საქართველოში ფიზიკური პირებისთვის არ არსებობს გაკოტრების შესაძლებლობა. დღეს მოქმედი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ გაკოტრების რეჟიმის სუბიექტები არიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მეწარმე სუბიექტები, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირები, არარეგისტრირებული კავშირები და ამხანაგობები. როგორც ირკვევა, კანონის მოქმედება არ ვრცელდება არც ინდივიდუალურ მეწარმეებზე და არც ფიზიკურ პირებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონით მეწარმე ფიზიკური პირიც სარგებლობდა გაკოტრების რეჟიმის პრივილეგიით, თუმცა 2020 წლის რეფორმის შემდგომ, მათ ეს შესაძლებლობა აღარ აქვთ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ეს საკითხი მეტწილად ღიად არის დატოვებული.

გადახდისუუნარობის სუბიექტური შემადგენლობის განხილვის ფარგლებში, აუცილებელია სხვა ქვეყნების კანონმდებლობის დეტალური მიმოხილვა. ამ საკითხთან დაკავშირებით, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა კონტინენტური ევროპის ქვეყნების, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა. მაგალითად, ლიეტუვაში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის პროცესის სუბიექტებისთვის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს იურიდიული პირის სტატუსის არარსებობა. შესაბამისად, სუბიექტები, რომლებსაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობა აქვთ იყოფიან სამ ჯგუფად: ფიზიკურ პირები, ფერმერები და სხვა ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდუალურ საქმიანობას (ინდემეწარმეები).⁸⁶ შეიძლება ითქვას, რომ ლიეტუვაში ფიზიკური პირების ფართო სპექტრს შეუძლია გაკოტრების რეჟიმით ისარგებლოს. ლიეტუვის კანონმდებლობის მიხედვით, სუბიექტი და ინიციატორი

⁸⁶ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, *International Comparative Jurisprudence* 2021 Volume 7 Issue 1, p. 103 <http://dx.doi.org/10.13165/j.icj.2021.06.008>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია, ანუ აქ იგულისხმება ის, რომ პირადი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს. (ლიტვის BA-ს ⁸⁷მუხლი 1(4)).⁸⁸

რაც შეეხება ლატვიის კანონმდებლობას, როგორც ლატვიის გადახდისუნარობის კანონით არის გათვალისწინებული, ფიზიკური პირის გადახდისუნარობის საქმის წარმოების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ირიცხება, როგორც გადასახადის გადამხდელი უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში და რომელსაც უფიქსირდება ჭარბი ვადამოსული ფინანსური ვალდებულებები(127-ე მუხლი). კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ინიციატივის უფლება მხოლოდ მოვალეს აქვს (133-ე მუხლი).⁸⁹

ესტონეთის BA-ს ⁹⁰მე-2 მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელიც არის ფიზიკური პირი, ასევე ეძლევა შესაძლებლობა, გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან გაკოტრების საქმის წარმოების გზით. მართალია კანონი არ იძლევა განმარტებას, თუ ვინ არის ფიზიკური პირი და ვისზე შეიძლება გავრცელდეს ესტონეთის BA. მხოლოდ ესტონეთის DRDPA მუხლი 4 (1)–(2) აღნიშნავს, რომ მოვალე ექვემდებარება ვალის რესტრუქტურის პროცესს, მიუხედავად მისი მეწარმეობის სტატუსისა. ვალის რესტრუქტურის შეიძლება მიმართოს იმ მოვალემ, რომლის საცხოვრებელი ადგილი ესტონეთშია და რომელიც ცხოვრობდა ესტონეთში ვალის რესტრუქტურის პეტიციის წარდგენამდე არანაკლებ ორი წლის განმავლობაში.⁹¹

ნათელია, რომ როგორც ლატვიის, ასევე ესტონეთის კანონმდებლობა პრიორიტეტს არ ანიჭებს იმ ფაქტს, მოვალეს აქვს თუ არა მოქალაქის სტატუსი.

⁸⁷ Pankrotiseadus (PankrS), Bankruptcy Act of Estonia (BA), Adopted 22.01.2003 [ხელმისაწვდომია: <https://www.riigiteataja.ee/akt/101032023012>]

⁸⁸ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p. 103 <http://dx.doi.org/10.13165/j.icj.2021.06.008> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁸⁹ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p. 105

⁹⁰ Pankrotiseadus (PankrS), Bankruptcy Act of Estonia (BA), Adopted 22.01.2003 [ხელმისაწვდომია: <https://www.riigiteataja.ee/akt/101032023012>] , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁹¹ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p.

ნათელია, რომ ლატვიის გადახდისუნარობის კანონმდებლობა, მკვეთრად არის გაჯერებული კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მიდგომებით. როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს ერთგვარი სტანდარტი აქვთ გადახდისუნარობის სამართალთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია შედარებულ იქნეს, თუ რამდენად განსხვავებული ან მსგავსია გაკოტრების რეჟიმით მოსარგებლე სუბიექტთა წრე საერთო სამართლის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების გაკოტრების კოდექსის მე-7 თავი, რომელიც განსაზღვრავს, რომ სპეციალურ რეჟიმს შეიძლება დაექვემდებაროს ფიზიკური პირი, ამხანაგობა, კორპორაცია ან სხვა სამეწარმეო იურიდიული პირი.⁹² ვალდებულებისგან განთავისუფლება ფიზიკური პირისათვის დასაშვებია, მიუხედავად მისი ვალის ოდენობის, გადახდისუნარობის თუ გადახდისუნარიანობის ფაქტისა. თუმცა, კანონმდებლობა ფიზიკური პირებისათვის ითვალისწინებს შემდეგ გამონაკლის გარემოებებს, რომელთა არსებობის პირობებშიც, ვალისგან განთავისუფლება გამორიცხულია. ესენია: 1. თუ ბოლო 180 დღის განმავლობაში გაკოტრებაზე წარდგენილი განაცხადი უარყოფილ იქნა სასამართლოში, ასევე მოვალის სასამართლოში არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან სასამართლო დავალების შეუსრულებლობის გამო; 2. მოვალემ განზრახ აირიდა წინა საქმე მას შემდეგ, რაც კრედიტორებმა მიმართეს გაკოტრების სასამართლოს იმ ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, რომელიც იყო უზრუნველყოფილი.⁹³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირი არ შეიძლება მიიჩნეოდეს მოვალედ, თუ მას განაცხადის წარდგენამდე 180 დღის განმავლობაში არ მიუღია საკრედიტო კონსულტაცია შესაბამისი საკრედიტო საკონსულტაციო დაწესებულებისგან, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ შეხვედრაზე.⁹⁴ თუმცა, კანონმდებლობა ამ შემთხვევებისთვის ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ ადგილი აქვს საგანგებო

⁹² 11 U.S. Code §§ 101(41), 109(b).

დამატებით იხილეთ; Dobbie, Will, Song, Jae, „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series, p. 4-5

⁹³ 11 U.S.C. §§ 109(g), 362(d) and (e).

⁹⁴ 11 U.S.C. §§ 109, 111.

სიტუაცია ან მეურვე შეძლებს დაადასტუროს საჭირო კონსულტაციის გასაწევად საკონსულტაციო ცენტრის არაკვალიფიციურობის ფაქტი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შემდგომში კანონში, კანონში, რომელიც საქართველოში პერსონალური გაკოტრების საკითხებს დაარეგულირებს, დეტალურად და კონკრეტულად უნდა იქნეს განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლება გავრცელდეს გაკოტრების რეჟიმი.

საინტერესოა რამდენად შეიძლება გავრცელდეს საქართველოში ბინადრობის მაძიებელსა და ბინადრობის მქონე უცხოელების მიმართ აღნიშნული რეგულაცია. ვინაიდან ბინადრობის მაძიებელთა რაოდენობა საქართველოში ყოველდღიურად იმატებს, შესაბამისად, ეს საკითხი საკმაოდ აქტუალური იქნება სამომავლოდ და მიზანშეწონილია მისი გათვალისწინება კანონპროექტშიც, განსაკუთრებით საქართველოში მუდმივი ბინადრობის მაძიებელი და ბინადრობის მქონე უცხოელების მიმართ.

მსგავს პრაქტიკას იცნობს ევროპის რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობაც. მაგალითად როგორც ზემოთ აღინიშნა, ესტონეთის გადახდისუნარობის სამართლის მიხედვით, სპეციალური რეჟიმით მოსარგებლე პირთა წრე მხოლოდ მოქალაქეებით არ შემოიფარგლება.⁹⁵ ამ მხრივ მსგავსია ამერიკის გაკოტრების სამართლის მიდგომაც. გაკოტრების კოდექსის 109-ე პარაგრაფი ადგენს, რომ მოქალაქეობის სტატუსის არსებობა გაკოტრების რეჟიმით სარგებლობის აუცილებელი პირობას არ წარმოადგენს. მეტიც, ამერიკის გაკოტრების სისტემა ამ საკითხშიც ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევა და გაკოტრების რეჟიმით სარგებლობის უფლებას დოკუმენტების არმქონე იმიგრანტსაც აძლევს, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მოვალეს ჰქონდეს სახელმწიფოსგან გაცემული იდენტიფიკაციის დოკუმენტი.

საქართველოში მსგავსი რეგულაციის შემოღების პროცესში, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ორი კატეგორიის არა-მოქალაქე პირებზე. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აქვთ ვალდებულებები უცხო ქვეყანაში თუმცა მათ გადაწყვიტეს, რომ

⁹⁵ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p.

შეიცვალონ საცხოვრებელი და დაექვემდებარონ ახალი ქვეყნის იურისდიქციას. მეორე კატეგორიაში კი ერთიანდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები თუმცა აქვთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის ნებართვა და მათი ვალდებულებები დაკავშირებულია სწორედ ამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მათ საქმიანობასთან. მსგავს შემთხვევაში, სპეციალური რეჟიმი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, როგორც ბინადრობის მაძიებელნი. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი ჩანაწერი შესაძლოა პრაქტიკაში გამოყენებადი არ იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულებები თავს იკავებენ სესხების გაცემისგან იმ პირებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ აქვთ რაიმე სახის მოძრავი ან უძრავი ქონება საქართველოში.

II. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წარმოების ეტაპები

2.1. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წარმოების დაწყების წესი და პირობები

ფიზიკური პირის გადახდისუნარობის წარმოების დაწყების წესი ძირითადად სტანდარტულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის, თუმცა განსხვავებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში, რომლებიც საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი განსხვავებული, მეტად ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევიან.

პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობა. როგორც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძველია მოვალის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვა. მსგავსად ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებისა, საქართველოშიც გადახდისუნარობის გახსნის თაობაზე განაცხადის წარდგენა შეუძლია პირს, რომელიც დაინტერესებულია პროცესით. შეიძლება ასეთი იყოს: მოვალე, ნებისმიერი კრედიტორი (მიუხედავად მოთხოვნის ოდენობისა). საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოვალის ეს უფლება, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ვალდებულებად იქნეს განხილული. კერძოდ, როდესაც სავარაუდო გადახდისუნარობა მოსალოდნელია, მოვალე ვალდებულია სასამართლოს განცხადებით მიმართოს და მოითხოვოს საქმის წარმოების გახსნა.

კანონში პრობლემური ჩანაწერია მოსალოდნელ გადახდისუნარობასთან დაკავშირებით. ვინაიდან, ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რას გულისხმობს მოსალოდნელი გადახდისუნარობა, იგი შეფასებით კატეგორიაში ექცევა და შესაძლოა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს.⁹⁶

ბრიტანეთში გარდა იმისა, რომ გადახდისუნარობის შემთხვევაში მოვალეს შეუძლია წარადგინოს განაცხადი და მოითხოვოს სპეციალური რეჟიმით სარგებლობა, ასევე შესაძლებელია განაცხადი წარდგენილ იქნეს კრედიტორთა მიერ, თუკი მოვალეს

⁹⁶ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისი, 2021, 29

აქვს ვალი £5000 ან მეტი მოცულობით. ამ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სასამართლოში შუამდგომლობა ფიზიკური პირის მიმართ გაკოტრების ბრძანების გამოტანის თაობაზე შეიძლება წარადგინოს ფიზიკური პირის ერთ-ერთმა ან რამდენიმე კრედიტორმა. გაკოტრების საქმის დაწყებისთვის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს ინდივიდუალური ნებაყოფლობითი შეთანხმებები (IVA)⁹⁷ -ს დარღვევა. ამ შემთხვევაში გაკოტრების თაობაზე ბრძანების გამოცემის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს ინდივიდუალური ნებაყოფლობითი შეთანხმების⁹⁸ ზედამხედველს. ამ უკანასკნელის დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც შესაძლოა საფუძველად დაედოს გაკოტრების პროცედურის შეწყვეტას.⁹⁹ დ) გაკოტრების განაცხადის ღირებულება შეადგენს 680 ფუნტს. აღსანიშნავია, რომ განაცხადის გაკეთებისათვის ბრიტანეთის კანონმდებლობა ონლაინ პლატფორმის გამოყენებასაც უშვებს. ყოველივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოში შეტანილი განაცხადი მოწმდება გადახდისუუნარობის სამსახურის არბიტრის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მოვალის მიმართ გაკოტრების წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავენ კრედიტორები, ან დაირღვევა ინდივიდუალური ნებაყოფლობითი შეთანხმება¹⁰⁰, მოვალეს შეუძლია თხოვნით მიმართოს სასამართლოს, თუ მას არ სურს გაკოტრებულად გამოცხადდეს. თუმცა, ამისთვის აუცილებელია, რომ მან მოახერხოს ვალების უმეტესი ნაწილის დაფარვა ან სასამართლოსთვის იმის დამტკიცება, რომ მას არ გააჩნია ჭარბი ფულადი ვალდებულება.¹⁰¹

საინტერესოა, რომ ბრიტანეთს განსხვავებული მიდგომა აქვს გამოყენებული კრედიტორების მიერ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის წარმოების გახსნის ნაწილში. კერძოდ, კანონმდებლობა აწესებს, რომ კრედიტორებს მხოლოდ მაშინ აქვთ

⁹⁷ Tolmie, Fiona, CORPORATE AND PERSONAL INSOLVENCY LAW , Second Edition, School of Law, Kingston University, 2003, p. 154;

ასევე, იხ.; Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, p.16-17

⁹⁸ Insolvency Act 1986 [ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/part/IX>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

⁹⁹ Tolmie, Fiona, CORPORATE AND PERSONAL INSOLVENCY LAW , Second Edition, School of Law, Kingston University, 2003, p.150-153

¹⁰⁰ Tolmie, Fiona, CORPORATE AND PERSONAL INSOLVENCY LAW , Second Edition, School of Law, Kingston University, 2003, p. 154

¹⁰¹ The Insolvency Service, Guide to Bankruptcy [ხელმისაწვდომია:

<https://www.gov.uk/government/publications/guide-to-bankruptcy/guide-to-bankruptcy> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

უფლება მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე მიმართონ სასამართლოს, როდესაც მოვალის ვალდებულებები აღემატება 5000 ფუნტს. გაუგებარია, რატომ დაუკავშირა კანონმა კრედიტორის ეს კონკრეტული უფლება მოვალის ვალდებულების ოდენობას და არა მისი გადახდისუუნარობის მდგომარეობას. მაგალითად, თუკი მოვალეს ჰყავს ორი კრედიტორი, რომელთაგან ერთის მიმართ ფულადი დავალიანება არის 4000 ფუნტი, ხოლო მეორის მიმართ არის 1000 ფუნტი, როგორც ერთ ისე მეორე კრედიტორს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოვალეს ჰყავს 4 კრედიტორი და თითოეულის მიმართ მისი დავალიანება 1 000 ფუნტს, ანუ ჯამში 4 000 ფუნტს, არც ერთ კრედიტორს არ აქვს საშუალება სასამართლოს მიმართოს. თუკი მოვალის მიმართ ერთ კრედიტორს აქვს 10 000 ფუნტის მოთხოვნის უფლება, ხოლო მეორე კრედიტორის მიმართ მოვალის დავალიანება შეადგენს 500 ფუნტს. ორივე მათგანს შეუძლია სასამართლოს მიმართოს. ერთ შემთხვევაში, კრედიტორმა, რომელსაც აქვს 1000 ფუნტის მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ, ვერ მიმართოს სასამართლოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლოა 500 ფუნტის ოდენობის მოთხოვნის მქონე კრედიტორმა ამ უფლებით ისარგებლოს. მსგავსი მიდგომა უსამართლობის განცდას განსაკუთრებით იმ კრედიტორებისთვის, რომლებსაც არც თუ დიდი მოთხოვნა გააჩნიათ მოვალის მიმართ. მსგავსი მიდგომის გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში მიზანშეწონილი არ არის. არ შეიძლება მოვალის ფინანსური მდგომარეობა მხოლოდ იმის მიხედვით შევაფასოთ, თუ რა რაოდენობის ვალი აქვს ფიზიკურ პირს. ასეთ შემთხვევაში, გარემოებები სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული და ინდივიდუალურად შეფასდეს არის თუ არა მოვალე იმდენად ისეთ ფინანსური მდგომარეობაში, რომ კრედიტორმა გადახდისუუნარობის საქმის გახსნა მოითხოვოს. ბრიტანული მიდგომა გარკვეულწილად უსამართლობის განცდას იწვევს და შეუძლებელია ეფექტურად იყოს გამოყენებული. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში კრედიტორების მხრიდან სასამართლოსთვის მიმართვა და მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყება დაკავშირებული უნდა იყოს არა იმასთან, თუ რა რაოდენობის ფინანსური ვალდებულება აქვს ამ კრედიტორის მიმართ მოვალეს, არამედ მოვალის მდგომარეობის ინდივიდუალურად შეფასებასთან.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის წინაპირობას წარმოადგენს წერილობითი განცხადება. განცხადების წარდგენის უფლება აქვს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორს ან კრედიტორებს ერთობლივად.¹⁰² აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადის წარდგენა ხდება კრედიტორის მიერ, მან უნდა დაადასტუროს, რომ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძველი და მას ნამდვილად აქვს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ. აღნიშნული რეგულაცია ემსახურება როგორც მოვალის ინტერესების დაცვას, რომ თავიდან იქნეს არიდებული მხოლოდ ზიანის მიყენების განზრახვით გაკეთებული განაცხადების მიღება ასევე სასამართლოს უწყობს ხელს არ დახარჯოს რესურსი საქმის წარმოებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად არ არსებობდა მისი დაწყების საფუძველი. სასურველია, რომ განცხადების წარდგენის მაქსიმალურად მარტივი წესი იქნეს შეთავაზებული გადახდისუუნარო მოვალეებისთვის. სპეციალური რეჟიმით სარგებლობისათვის როგორც მოვალეებისა, ასევე კრედიტორებისთვის მაქსიმალურად მათზე მორგებული და კომფორტული წესები უნდა უნდა იქნეს შეთავაზებული რათა კრედიტორთა მხრიდან ამ პროცედურის დაწყებაზე მიმართვა იქნეს წახალისებული. მნიშვნელოვანია, რომ სუბიექტები განცხადების წარდგენისგან თავს იმის გამო არ იკავებდნენ, რომ კანონმდებლობა მათ რთულ და ბიუროკრატიულ პროცედურებს სთავაზობს. კანონმდებელმა მათ „ერთი ფანჯრის პრინციპი“ უნდა შესთავაზოს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სუბიექტებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ელექტრონული საშუალებებით წარადგინონ განცხადებები, მტკიცებულებები, სხვა დოკუმენტები, ასევე გაეცნონ სხვა მხარეების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. გამოითხოვონ ინფორმაცია სხვადასხვა უწყებებიდან და საჭიროების შემთხვევაში, ასევე ელექტრონულად წარადგინონ სასამართლოში. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას სპეციალური პლატფორმა, რომელშიც მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, გაიხსნება შესაბამისი პორტალი. პორტალში ჩართული იქნებიან როგორც მოვალე, ასევე კრედიტორები, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი და სხვა პირები, უწყებები და

¹⁰² Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017, p.139

ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ. სწორედ ამ პორტალის მეშვეობით, „ერთი ფანჯრის პრინციპით“ უნდა განხორციელდეს საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მხარეთა შორის გაცვლა, შეხვედრების დაგეგმვა და სხვა. ასეთი მიდგომით დაიზოგება როგორც პროცესის მონაწილე პირების, ასევე სასამართლოს დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსი.

აშშ-ს შემთხვევაში გადახდისუნარიობის საქმის წარმოების დაწყების წესს განსაზღვრავს როგორც გაკოტრების კოდექსი, ასევე გაკოტრების პროცედურის მარეგულირებელ ნორმების შემცველი ფედერალური კანონები, რომლებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს გაკოტრების პროცედურისათვის.¹⁰³ თუმცა, რა თქმა უნდა, გაკოტრების სამართალში საკითხთა უმეტესობა განისაზღვრება გაკოტრების სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკით (პრეცედენტული სამართლით).

აღსანიშნავია, რომ გაკოტრების კოდექსი არეგულირებს სპეციალური რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობას სხვადასხვა ტიპის მოვალეებისთვის. ნაშრომში დასმული საკითხის მიზნებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია გაკოტრების კოდექსის მე-7 და მე-13 თავები.¹⁰⁴

როგორც აღინიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფიზიკური პირების გადახდისუნარიობის რეჟიმს არეგულირებს გაკოტრების კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს გაკოტრების ორ რეჟიმს. კერძოდ, გაკოტრების კოდექსის მე-7 და მე-13 თავებით განსაზღვრული რეგულაციის მიხედვით.¹⁰⁵ გაკოტრების კოდექსის მე-13 თავი მოვალეს საშუალებას აძლევს გაკოტრების 3-5 წლიანი წარმოების ფარგლებში გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან და შეინარჩუნოს ქონება. გადახდისუნარიობის კოდექსის მე-7 თავით განსაზღვრული წარმოება, განსხვავებით მე-13 თავისგან, არ ითვალისწინებს გადახდის გეგმის შემუშავებას. ამის ნაცვლად, გაკოტრების მეურვე (trustee) თავს უყრის მოვალის სრულ ქონებას, რომელიც არ ხვდება საგამონაკლისო ნაწილში და გაკოტრების კოდექსით დადგენილი წესების

¹⁰³ Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, p.18
[ხელმისაწვდომია: https://www.schultze-braun.de/fileadmin/en/Schultze_Braun_German-Insolvency-Code_k2.pdf?_=1569241778 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁰⁴ Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, p.18
[ხელმისაწვდომია: https://www.schultze-braun.de/fileadmin/en/Schultze_Braun_German-Insolvency-Code_k2.pdf?_=1569241778 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁰⁵ Dobbie, Will, Song, Jae, „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series, p. 4-5

შესაბამისად ახორციელებს მის რეალიზაციას, რის შემდეგაც მოვალე სრულად თავისუფლდება ყველა სახის ვალდებულებიდან.¹⁰⁶

მე-13 თავით დადგენილ გაკოტრების წარმოებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მუშაკის გეგმას“ (a wage earner's plan), რომელიც მუდმივი შემოსავლის მქონე პირს საშუალებას აძლევს გადახდის გეგმის (repayment plan) თანახმად, სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს ვალდებულებები სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში. თუ მოვალის თვიური შემოსავალი ნაკლებია სახელმწიფოში არსებულ საშუალო მაჩვენებელზე, დგება სამწლიანი გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო საჭიროდ ჩათვლის უფრო გრძელვადიანი გეგმის დამტკიცებას. იმ შემთხვევაში თუ მოვალის თვიური შემოსავალი აჭარბებს სახელმწიფოში არსებულ საშუალო მაჩვენებელს, შედგება ხუთწლიანი ხანგრძლივობის გეგმა.¹⁰⁷ კანონით აკრძალულია 5 წელზე გრძელვადიანი გეგმის გაწერა. გეგმის ხანგრძლივობის განმავლობაში ცხადდება ასევე მორატორიუმი მოვალის ქონების რეალიზაციაზე.¹⁰⁸ მიუხედავად ამისა, ამ თავით გათვალისწინებული პროცედურები დროში გაწელილია. სამაგიეროდ, მოვალის ქონების შენარჩუნების შანსი უფრო მაღალია.

მაშასადამე, მე-7 თავის მიზანია მოვალის ქონების რეალიზაციის გზით, რაც შეიძლება სწრაფი ახალი დასაწყისის უზრუნველყოფა.¹⁰⁹ სწორედ ამიტომ, ამ თავს სათაურად ჰქვია - „ლიკვიდაცია“. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ინდემწარმე აირჩევს ბიზნესში დარჩენას (ნაცვლად მე-7 თავით ქონების ლიკვიდაციისა), ამ შემთხვევაში მე-13 თავის გარდა, არსებობს მე-11 თავით დადგენილი ალტერნატივა. ამ ორს შორის განსხვავება მდგომარეობს მეურვის ნაწილში. კერძოდ, თუ მე-13 თავით განსაზღვრულია მოვალის ქონების მართვა მეურვის მიერ, მე-11 თავი კი ითვალისწინებს თვითადმინისტრირებას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეურვის

¹⁰⁶ U.S. Bankruptcy Code , Chapter 7 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია:

<https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-7-bankruptcy-> ,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁰⁷ Dobbie, Will, Song, Jae, „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series, p.4-5

¹⁰⁸ U.S. Bankruptcy Code , Chapter 7 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია:

[https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics,](https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics)

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁰⁹ SUPREME COURT OF THE UNITED STATES - No. 14-400, CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE [ხელმისაწვდომია:

<https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/14-400>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ფუნქცია-მოვალეობებს თავად მოვალე ახორციელებს, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა, განაგრძოს ბიზნეს საქმიანობა.¹¹⁰

გერმანიის შემთხვევაშიც მიდგომა მსგავსია. თუმცა, განსხვავებით ბრიტანეთისგან, სასამართლოსთვის მიმართვა მოვალესთან ერთად, კრედიტორებსაც შეუძლიათ და ამასთანავე, არ არის დადგენილი მინიმალური ზღვარი, რომელსაც მოვალის ვალდებულებები უნდა აღემატებოდეს იმისათვის, რომ კრედიტორებმა მიმართონ სასამართლოს საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით. მსგავსი მიდგომა უფრო ლოგიკური და სამართლიანია. ვინაიდან, თუკი მოვალე იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ობიექტურად ქმნის საფრთხეს, რომ კრედიტორების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სასამართლოს მიმართონ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენია მოვალის ვალდებულებების ჯამი. მსგავსი მიდგომა ბევრად უფრო გონივრული და სამართლიანია კრედიტორების უფლებების დაცვის კუთხით, ვიდრე ბრიტანეთის შემთხვევაში დადგენილი წესები, რომლებიც რიგ შემთხვევებში შესაძლოა ერთი და იმავე ოდენობის მოთხოვნის მქონე კრედიტორებს სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებდეს.

კანონმდებელი ადგენს, რომ გადახდისუუნარობის პროცესი შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული აქტივების მიმართ, მაშინაც კი, თუ ეს პირი არ ეწევა კომერციულ ან თვითდასაქმებულ პროფესიულ საქმიანობას (ფიზიკური პირი, რომელიც არ ეწევა ასეთ საქმიანობას, კოდექსში მოიხსენიება როგორც "მომხმარებელი").¹¹¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების მოთხოვნა შეიძლება წარადგინონ კრედიტორებმა ან მოვალემ ერთობლივად.¹¹² წერილობით წარდგენილ განაცხადს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მოვალემ უნდა დაურთოს: 1) ცნობა, რომელიც გაცემულია შესაბამისი პირის ან

¹¹⁰ Chapter 11 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია: <https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-11-bankruptcy-basics>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹¹¹ [ხელმისაწვდომია: <https://e-justice.europa.eu/447/EN/insolvencybankruptcy?GERMANY&init=true&member=1#tocHeader0>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹¹² Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017, p.139

დაწესებულების მიერ პირადი კონსულტაციის, მოვალის შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეტალური შესწავლის საფუძველზე და რომლისგანაც გამომდინარეობს, რომ სასამართლოს გარეშე შეთანხმება კრედიტორებთან ვალის დაფარვის გეგმის საფუძველზე წარუმატებელი იყო საქმის წარმოების დაწყებამდე ექვსი თვის განმავლობაში. წარსადგენ დოკუმენტაციათა რიცხვს მიეკუთვნება გეგმა და დასკვნა წარუმატებლობის მიზეზების შესახებ. უფლებამოსილი პირის განსაზღვრის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტებს. კერძოდ, თითოეულ მუნიციპალიტეტს შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელი პირი ან დაწესებულება შესაძლოა იყოს უფლებამოსილი პირი ან ორგანო შესაბამისი ცნობისა და დასკვნის მოსამზადებლად. 2) გარდა ცნობისა, მოვალემ ასევე უნდა წარადგინოს განცხადება დარჩენილი ვალების (ნარჩენი ვალდებულება, რომელიც შეიძლება ჩამოიწეროს) განსახილველად ან განცხადება იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადი არ უნდა გაკეთდეს. 3) ჩამონათვალი არსებული ქონებისა და შემოსავლების შესახებ. მითითებული ჩამონათვალის ძირითადი შინაარსის შესახებ დასკვნა, კრედიტორთა სია და სასამართლოში მოვალის წინააღმდეგ მითითებული მოთხოვნების ჩამონათვალი. 4) ვალის გადახდის გეგმა, რაც შეიძლება მოიცავდეს ყველა წესს, რომლითაც გათვალისწინებული იქნება როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ქონების, შემოსავლებისა და საოჯახო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი ვალდებულებების გეგმის შესადგენად.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში მოვალის მიერ წარდგენილი იქნება არასრული ინფორმაცია, სასამართლო მას განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლოა ეს ვადა განისაზღვროს სამი თვით.¹¹³

გარდა მოვალის მიერ სასამართლო განაცხადის წარდგენისა, გაკოტრების შესახებ საქმის წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს კრედიტორის მოთხოვნაც იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საქმის წარმოების დაწყების იურიდიული ინტერესი. ამასთანავე, იგი ადასტურებს მოვალის მიმართ მისი მოთხოვნის არსებობას და მიზეზს, თუ რატომ უნდა გაიხსნას გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

¹¹³ Insolvency Code (InsO), § 305 opening application of the debtor [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/305.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

იმ შემთხვევაში, თუკი მოვალის აქტივებზე გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადება უკვე წარდგენილი იყო ორი წლის განმავლობაში, კრედიტორის ამჟამინდელი მოთხოვნა მხოლოდ ამ მიზეზის გამო ვერ იქნება დაუშვებლად ცნობილი. აქ მნიშვნელოვანია, კრედიტორმა სასამართლოს წარმოდგინოს წინა მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. თუ, სასამართლო გადაწყვეტს, რომ კრედიტორის განაცხადი მისაღებია, გადახდისუნარობის სასამართლო მოუსმენს მოვალეს. ხოლო, თუ კრედიტორის მოთხოვნა ვერ იქნება დასაშვებად მიჩნეული, მოვალეს მაინც დაეკისრება საქმის წარმოების ხარჯების ანაზღაურება.

გადახდისუნარობის საქმის წარმოების ზოგადი მიზეზი, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობაში, არის გადახდის შეუძლებლობა, რაც სახეზეა, თუ მოვალეს არ ძალუძს შეასრულოს ვადაგადაცილებული ვალდებულებები. გადახდისუნარობად ითვლება, როგორც წესი, თუ მოვალე შეწყვეტს გადახდას.

კანონი ასევე უშვებს შესაძლებლობას, მოვალემ განაცხადი შეიტანოს იმ შემთხვევაში, მოცემულ მომენტში იგი გადახდისუნარო არ არის, მაგრამ სამომავლოდ მას გარდაუვლად ემუქრება გადახდისუნარობა. როგორც გადახდისუნარობის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი მიუთითებს, მოვალეს გადახდის გარდაუვალი შეუძლებლობა ემუქრება იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდოა, რომ იგი არსებული ფულადი ვალდებულებების დროულად გადახდას ვერ შეძლებს. როგორც წესი, იმის შესაფასებლად, მართლაც ემუქრება თუ არა მოვალეს სამომავლოდ გადახდისუნარობა, საფუძვლად იყენებენ პროგნოზირების ჰორიზონტს 24 თვის განმავლობაში. მსგავსი ჩანაწერი არსებობს დღეს მოქმედ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონში, რომელიც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოვალემ მოსალოდნელი გადახდისუნარობის დროსაც მიმართოს სასამართლოს.

აქვე საგულისხმოა ისიც, რომ კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, საქმის წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევას, მოვალის მიერ წარმოების ხარჯების დაფარვის შეუძლებლობის მიზეზით. თუ, საქმის წარმოების გახსნის მომენტისთვის, მოვალის აქტივები იმისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ მან გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხარჯები დაფაროს, მისი მოთხოვნა არ

დაკმაყოფილება და მიზეზი, სწორედ საქმის წარმოების გახსნისთვის აუცილებელი ხარჯების დაფარვის შეუძლებლობა იქნება. ამავე მუხლის მე-4 ა ნაწილის შესაბამისად, განაცხადზე უარი არ მიიღება თუ საკმარისი თანხებია გადახდილი ან თუ ხარჯები გადავადებულია. აღნიშნულ შემთხვევაში, ბრძანება ქვეყნდება დაუყოვნებლივ.

სასამართლო ადგენს, რომ ნებისმიერი მოვალე, რომელსაც ქონებრივი მდგომარეობის გამო ეთქვა უარი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, ვალდებულია ბრძანება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 882b მუხლის შესაბამისად შეიტანოს მოვალეთა რეესტრში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 882h (1) მუხლის შესაბამისად, მოვალეთა რეესტრის წარმოებას თითოეული მუნიციპალიტეტი ინდივიდუალურად ახორციელებს, შესაბამისად ინდივიდუალურად განსაზღვრავენ რეესტრის წარმოების წესებს. თუმცა აქ საყოველთაოდ არის დადგენილი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩანაწერი წაშლას 3 წლის შემდეგ ექვემდებარება.

საინტერესოა ისიც, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მოვალე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ გარდაიცვლება, მაგალითად როგორც AG Köln, 30.06.2017 - 71 IK 453/12 ¹¹⁴ საქმის შემთხვევაში იყო. თუკი გარდაცვლილის მემკვიდრე ასევე წარმოადგენს მოვალეს, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესაძლებელია შეუფერხებლად გაგრძელდეს მის მემკვიდრესთან, როგორც ახალ მოვალესთან.¹¹⁵

საქართველოს შემთხვევაში, განცხადების წარდგენის ნაწილში ნაწილობრივ გერმანული და ნაწილობრივ ამერიკული მიდგომის გამოყენება საუკეთესო ვარიანტი იქნება. განცხადების წარდგენის შესაძლებლობა უნდა მიეცეს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორს. ბრიტანული არასამართლიანი და ნაკლებად ეფექტური მიდგომისგან განსხვავებით, კანონმდებელმა კრედიტორების მიერ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვისთვის შეზღუდვა არ უნდა დააწესოს. აქ იგულისხმება ის, რომ დაუშვებელია კანონით განისაზღვროს ფინანსური ვალდებულებების კონკრეტული რაოდენობა და ამ ფაქტთან იყოს დაკავშირებული კრედიტორის მიერ აღნიშნული

¹¹⁴ Cologne district court, resolution of June 30, 2017 - 71 IK 453/12 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199850.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹¹⁵ "Inhaltsverzeichnis" Zeitschrift für das gesamte Insolvenzrecht, ZInsO 12/13/2016, p. 655

უფლების გამოყენება. ამ შემთხვევაში, გერმანული მიდგომის გამოყენება სჯობს, იქიდან გამომდინარე, რომ გერმანული კანონმდებლობის თანახმად, კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, როდესაც მოვალე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და ამასთანავე, მისი ფინანსური მდგომარეობა ობიექტურად ქმნის იმის საფრთხეს, რომ იგი ფინანსურ ვალდებულებებს მომავალშიც ვერ შეასრულებს. როგორც აღინიშნა, საქმის წარმოების გახსნა დაკავშირებული არ უნდა იყოს რთულ და დამაბნეველ პროცედურებთან. მოვალის ან კრედიტორის მიერ განცხადების წარდგენისთვის მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული ფორმა უნდა იქნეს განსაზღვრული.

მნიშვნელოვანია გაკოტრების პროცესში უფლებამონაცვლეობის საკითხის მოწესრიგება ქართულ კანონმდებლობაშიც. კერძოდ, კანონში, რომელიც დაარეგულირებს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საკითხებს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობის, ასევე მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების შემთხვევაში მოვალეთა და კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი უფლება მოვალეობები გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში.

უფლებამონაცვლეობის საკითხებთან დაკავშირებით, გერმანული მიდგომის გამოყენება და მისი ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში საუკეთესო სამართლებრივი შესაძლებლობაა. ზოგადად, უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტს იცნობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა; კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

როგორც ამ საპროცესო სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარეობს, სამოქალაქო უფლება ან მოვალეობა შეიძლება ერთი პირიდან მეორეზე გადავიდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება თუ მოვალეობა სასამართლოს განხილვის საგანია, წარმოიშობა საპროცესო უფლებამონაცვლეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სადავო მატერიალურ

სამართლებრივი ურთიერთობიდან გადის ერთ-ერთი მხარე და მის ნაცვლად შემოდის სხვა პირი. ¹¹⁶ ამრიგად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა ესაა მხარეების და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა.

უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. საინტერესოა ამ წესთან მიმართებით სამკვიდრო ქონებისა და ზოგადად მემკვიდრეობის საკითხის განხილვაც. როგორც ირკვევა, საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად ეფუძნება უფლებამონაცვლეობას მატერიალურ სამართალში. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლში. ასეთ საფუძვლებს წარმოადგენს: მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა (გადაკისრება). თავისთავად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი იღებს წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

კვლევის ფარგლებში, მიზანშეწონილია თითოეული ზემოაღნიშნული საკითხის მიმოხილვა. როგორც აღინიშნა უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველია პირის გარდაცვალება. საინტერესოა პირის გარდაცვალების დროს მემკვიდრის მიერ მისი გაკოტრების პროცესში ჩანაცვლების საკითხი.

პირის გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო ქონების მის მემკვიდრეებზე გადასვლის დროს, გადადის როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. მემკვიდრეობა როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით, განიმარტება როგორც გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა. მართალია, პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან ან კონკრეტულ ქონებასთან, მაგრამ იურიდიულად ქონებრივი ურთიერთობები არ წყდება. ისინი განაგრძობენ

¹¹⁶ ლილუაშვილი თ, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, გვ.98-99, [ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/giz2005-ge-liluashvili-civil-procedures.pdf>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

არსებობას და გარდაცვლილი პირის ნაცვლად, ადგილს უფლებამონაცვლები იკავებენ.¹¹⁷

როგორც სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი მიუთითებს, სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აქედან გამომდინარეობს რომ მემკვიდრე, მამკვიდრებლისგან არა მხოლოდ ქონებას, არამედ ვალდებულებებსაც იღებს. ამავე კოდექსის 1484-ე მუხლი მიუთითებს, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. თავისთავად, მემკვიდრეს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს მამკვიდრებლის ვალდებულებებს, უნდა ჰქონდეს უფლება ისარგებლოს გაკოტრების რეჟიმით, როგორც სტანდარტულ შემთხვევაში და ის, რომ მან ვალდებულებები მემკვიდრეობით მიიღო არ უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ გარემოებას მასზე სპეციალური რეჟიმის გავრცელების ნაწილში. რაც შეეხება უფლებამონაცვლების საკითხს, თუკი სახეზეა შემთხვევა, როდესაც პირის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის პროცესის წარმოება, თუმცა, პროცესის მიმდინარეობისას იგი გარდაიცვალა, შესაძლებელია განხილულ იქნეს მისი ჩანაცვლება უფლებამონაცვლის მიერ, რომელიც სავარაუდოდ იქნება ის პირი, რომელიც გარდაცვლილი პირისგან მიიღებს აქტივებსა და პასივებს.

მოცემულ შემთხვევაში, გაკოტრების პროცესის ფარგლებში სრულიად შესაძლებელია უფლებამონაცვლების დაშვება, თუ სახეზე იქნება იმ მოვალის გარდაცვალება, რომლის მიმართაც უკვე გახსნილი იყო გაკოტრების საქმის წარმოება. საინტერესოა ის შემთხვევა, როდესაც წინამორბედი მოვალე დაარღვევს გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტამდე გარდაიცვლება და მის ადგილს უფლებამონაცვლე დაიკავებს. მსგავსი შემთხვევებისთვის, მიზანშეწონილი იქნება, თუკი უფლებამონაცვლეს არ შევუზღუდავთ სპეციალური რეჟიმით სარგებლობის უფლებას. უფლებამონაცვლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინამორბედი მოვალის

¹¹⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა) მეორე გამოცემა, 2017, გვ.310

მიერ გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის მიუხედავად, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც მოვალეს ექნებოდა მას რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინა ვალდებულებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლებს ასევე წარმოადგენს ვალის გადაკისრება და მოთხოვნის დათმობა. მსგავს შემთხვევაში, განსაკუთრებით საინტერესოა მოვალისა და კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების პროცესის ფარგლებში. მოთხოვნის დათმობა არის მოთხოვნის ერთი კრედიტორიდან (თავდაპირველი კრედიტორი; ცედენტი) მეორეზე (ახალი კრედიტორი; ცესიონერი) ხელშეკრულებით გადასვლა. მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს ყველა უფლებითა და ვალდებულებით. მაშასადამე, იგი, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნის უფლებას იძენს. მეორე მხრივ, მის მიმართ მოქმედებს ყველა ის შესაგებელი, რომლებიც მოვალეს თავდაპირველი კრედიტორის მიმართ ჰქონდა.¹¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი ადგენს, რომ მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი. მსგავს შემთხვევებში, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგი არის კრედიტორის ცვლილება. თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებს ახალი კრედიტორი.¹¹⁹

ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ახალ კრედიტორზე გადადის თავდაპირველი კრედიტორის უფლებები და მოვალეობები, მასაც თავისთავად, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომლითაც მისი წინამორბედი გაკოტრების პროცესის ფარგლებში სარგებლობდა. ვალის გადაკისრებით ხელშეკრულების საფუძველზე, ახალი მოვალე იკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს და ეს ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი შედეგი დაახლოებით იგივეა რაც

¹¹⁸ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2014, გვ.280

¹¹⁹ თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურია (რედ), 2018, მუხლი 199.

მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში. ახალი მოვალე სახელშეკრულებო ურთიერთობაში სარგებლობს ყველა იმ უფლებით და ეკისრება ყველა ის მოვალეობა, რომელიც თავდაპირველ მოვალეს გააჩნდა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაკოტრების პროცესშიც თავისუფლად მოხდეს მოვალის ცვლილება.¹²⁰

თუმცა აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, მოვალის ცვლილება ხომ არ არის განპირობებული იმით, რომ მან ბოროტად ისარგებლოს გაკოტრების პროცედურით. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან კონტროლისა და პრევენციის ეფექტური მექანიზმი იქნება საჭირო იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულმა არ წაახალისოს გაკოტრების სპეციალური რეჟიმით ბოროტად სარგებლობის შემთხვევები, არ დახარჯოს სასამართლოს რესურსი მიზნობრიობის გარეშე და ზიანი არ მიადგეს კეთილსინდისიერი კრედიტორების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუნარობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში, ზემოთ განხილული საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. საკმარისი იქნება, კანონში გაკეთდეს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ გადახდისუნარობის პროცესში უფლებამონაცვლეობა დასაშვებია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობის შემთხვევების დროს. ასეთ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. რაც შეეხება უფლებამონაცვლეობის დროს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას, აღნიშნული ვალდებულება თავისთავად გავრცელდება ახალ მოვალეზე/კრედიტორზეც იქიდან გამომდინარე, რომ იგი უფლებამონაცვლის ყველა უფლებასა და ვალდებულებას იძენს, რომელიც კონკრეტულ ურთიერთობაში არსებობდა. შესაბამისად, ცალკე კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყოფა საჭირო არ იქნება. გარდა ამისა, ნაშრომის დასაწყისში საკმაოდ დეტალურად იყო განხილული ამ პრინციპის საყოველთაო ხასიათი. აქედან გამომდინარე, მისი ავტომატურად გავრცელდება ამ შემთხვევაზეც, სადავო არ იქნება.

რაც შეეხება საქმის წარმოებაში მიღებას და საქმის განხილვის დაწყებას, აქ უკვე შესაძლებელია მაქსიმალურად იქნეს დაახლოვებული ქართული კანონმდებლობა გერმანულთან, ვინაიდან საქართველოში მოქმედი სამოქალაქო მატერიალური და

¹²⁰ იქვე. გვ.192

საპროცესო ნორმები ყველაზე ახლოს რომანულ სამართალთან დგას და სწორედ რომანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. გერმანიაში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საქმეს გადახდისუუნარობის საქმის მწარმოებელი სასამართლოები განიხილავენ.¹²¹ თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლო სისტემაში საქალაქო სასამართლოების ისეთ დაყოფას ვერ ადგილი არ აქვს, როგორც გერმანიაშია, შესაძლოა გადახდისუუნარობის საქმის განხილვა დაექვემდებაროს მხოლოდ საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს, რომლებიც ფიზიკური პირის მიერ განცხადების შეტანის შემდეგ, შეაფასებენ წარდგენილი განცხადების ფორმალურ და მატერიალურ მხარეს და გადაწყვეტენ მიიღონ თუ არა საქმე წარმოებაში.

ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის პროცესში, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია განაცხადის წარდგენა, რომელიც შეიძლება თეორიულ ნაწილში პრობლემური არ იყოს და კანონმა ზუსტად განსაზღვროს განაცხადისთვის საჭირო რეკვიზიტების ჩამონათვალი, თუმცა, პრაქტიკაში შესაძლოა აღნიშნული საკითხი არაერთ პრობლემასთან ასოცირდებოდეს. სხვა ქვეყნების პრაქტიკის განხილვის საფუძველზე, შეიძლება ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასურველია გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში. აუცილებელია, რომ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების თაობაზე სასამართლოში შეტანილ განაცხადში დეტალურად იქნეს მითითებული ყველა ინფორმაცია მოვალესთან დაკავშირებით. კერძოდ, მოვალის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები, მოვალის საქმიანობის ანგარიში. სრული ინფორმაციას მოვალის შემოსავლების/მოსალოდნელი/სამომავლო შემოსავლების (მათ შორის მემკვიდრეობა, ჩუქება), მათი წყაროების, ასევე აქტივების, ვალდებულებების, გარანტიებისა და თავდებობის შესახებ. მოვალის აქტივების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოვალის უძრავ/მოძრავი ქონების (მათ შორის საბანკო ანგარიშების), არაქონებრივი აქტივების, აღწერილობას, შეძენის თარიღს, რომელშიც მითითებულია მათი საბალანსო და საბაზრო ღირებულებები. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მოვალის მიერ წარდგენილი განაცხადება შეიცავდეს უზრუნველყოფის ღონისძიებით

¹²¹ Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, p.18
[ხელმისაწვდომია: https://www.schultze-braun.de/fileadmin/en/Schultze_Braun_German-Insolvency-Code_k2.pdf?_=1569241778 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

დატვირთული ქონებისა და უზრუნველყოფილი მოთხოვნების აღწერილობას, უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოშობის დროს, საფუძველსა და მოცულობას, ასევე აქტივებს, რომლებიც უნდა გამოირიცხოს გაკოტრების საქმის წარმოებიდან (არსებობის შემთხვევაში), მოვალის მოთხოვნებს მესამე პირის მიმართ, კრედიტორთა (მათ შორის უზრუნველყოფილ კრედიტორთა) დასახელებას/სახელს, გვარს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მისამართს, მათ მიმართ არსებულ ვალდებულებებს და შესრულების ვადებს; უზრუნველყოფილი კრედიტორების შემთხვევაში, დამატებით იმ ქონების აღწერილობას, რომელიც წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს და ოდენობას.

ამ ინფორმაციის სწორად და სრულყოფილად ჩამოყალიბება ერთი მხრივ, სასამართლოს შეუწყობს ხელს გადაწყვიტოს გახსნას თუ არა კონკრეტული პირის მიმართ გადახდისუუნარობის საქმე და მეორე მხრივ, საქმის გახსნის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია გადახდისუუნარობის ადმინისტრატორისთვის ძალიან გამოსადეგი იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ მას ეკისრება მოვალის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გეგმაში ასახვა.

ვინაიდან, საქართველოში მსგავსად გერმანიისა, არ არსებობს სპეციალური სასამართლოები, რომლებსაც მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმეები ექვემდებარებათ, მიზანშეწონილია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, საქალაქო/რაიონული სასამართლომ შეამოწმოს ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის საკითხი და თუკი დასაშვებად მიიჩნევს დაიწყოს საქმის წარმოება. გერმანიაში საქმის წარმოების დაწყების შესახებ განჩინება გამოაქვს სასამართლოს და ამავე განჩინებით ადებს ყადაღას მოძრავ და უძრავ ქონებას, ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებს (გარდა საარსებო მინიმუმისა, რომლის გონივრულ ოდენობას მოვალის მითითების გათვალისწინებით ადგენს სასამართლო და ალიმენტისა, რომლის ოდენობაც ასევე მიეთითება სასამართლოს განჩინებაში) ასევე აჩერებს მოვალის ქონებაზე მიმდინარე ყველა სახის აღსრულებას. როგორც გერმანული გადახდისუუნარობის კოდექსის 89-ე პარაგრაფი ითვალისწინებს სწორედ აღსრულების შეზღუდვის წესებს და მიუთითებს, რომ გადახდისუუნარობის საქმის მიმდინარეობისას, დაუშვებელია კრედიტორების მხრიდან იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენება მოვალის

გადახდისუუნარობის მასაში არსებულ ან სხვა ნებისმიერ აქტივზე.¹²² იძულებითი აღსრულების შეზღუდვასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა აქვს გერმანულ სასამართლოებსაც. OLG Frankfurt am Main, decision of 03.06.2009 - 3 Ws 214/09 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, სასამართლომ სწორედ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ კრედიტორმა თავისი მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობა დროულად არ გამოიყენა და განმარტა, რომ გადახდისუუნარობის ინდივიდუალური კრედიტორების მიერ იძულებითი აღსრულების მექანიზმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე.¹²³

მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს შემთხვევაშიც. შეზღუდვა ასევე უნდა გავრცელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზეც (საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა და სხვა) და ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა/გადახდა, ასევე პროცენტების/პირგასამტეხლოს დარიცხვას და ვალდებულებების აღებას.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა სასამართლოში წარდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს ან გამოვლინდება, რომ მითითებული ინფორმაცია არასწორია და დადასტურდება მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევა, სასამართლომ უარი უნდა თქვას განცხადების წარმოებაში მიღებაზე და შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე. ამ ნაწილში გასათვალისწინებელია გასაჩივრების საკითხი, კერძოდ ფიზიკური პირის უფლება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებაზე უარი ან საქმის შეწყვეტა გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით კერძო საჩივრის შეტანით.

2.2. გაკოტრების მასის დადგენის თავისებურება

გაკოტრების მასის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადახდისუუნარობის პროცესში, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ გადახდისუუნარობის მასა არის ქონების ერთობლიობა, რომლის განაწილების ან უძრავი/მოძრავი ქონების შემთხვევაში რეალიზაციის შედეგად უნდა მოხდეს

¹²²Insolvency Code (InsO), § 89 Prohibition of Enforcement [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/89.html>]

¹²³ OLG Frankfurt am Main, decision of June 3rd, 2009 - 3 Ws 214/09 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/302285.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

კრედიტორების დაკმაყოფილება. გაკოტრების მასის დადგენის თავისებურება განსხვავებულად წესრიგდება სხვადასხვა მართლწესრიგში. მეტიც, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად კანონის მიერ შემუშავებული ერთიანი მიდგომისა, ცალკეულ შტატებს აქვთ უფლება დამოუკიდებლად განსაზღვრონ ქონების ჩამონათვალი, რომელიც გაკოტრების მასაში შედის.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში იურიდიული პირებისთვის არსებობს გაკოტრების შესაძლებლობა. კერძოდ, აღნიშნულს ითვალისწინებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მიზანია კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში - გადახდისუნარობის მასის კრედიტორებზე განაწილებით. თავისთავად, ეს შესაძლებლობა ვრცელდება მხოლოდ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამეწარმეო სუბიექტებზე, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, ასევე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე. კანონში პირდაპირ არის მითითება იმაზე, რომ იგი არ ვრცელდება ფიზიკური პირის გადახდისუნარობაზე.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, გადახდისუნარობის მასა მოიცავს მოვალის მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის და ასევე ამ მომენტიდან შემენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას. ამ ქონებაში მოიაზრება ლიცენზიები და ნებართვები, რომლებიც გადაცემადია.

აქვე აღსანიშნავია, რომ პირობადადებული საკუთრების ობიექტი ან ლიზინგის საგანი არ შედის გადახდისუნარობის მასაში. მმართველის/ზედამხედველის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ქონება შეიძლება დარჩეს მოვალის მფლობელობასა და სარგებლობაში, თუ ეს აუცილებელია რეაბილიტაციის ან გაკოტრების მიზნებისთვის. გარდა ამისა, გადახდისუნარობის მასა არ მოიცავს იმ ქონებას, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არ ექვემდებარება აღსრულებას.

სამართლებრივ სისტემებში არსებობს განსხვავებული შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ცნება სწორად გაგებული, თუმცა უდავოდ

შეიძლება დავასკვნათ რომ ვალაუვალობის მასა არის სპეციალური ქონების სახეობა, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნით წარმოიშობა.¹²⁴ მოვალის ქონება ძირითადად კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება, თუმცა აქ გადახდისუუნარობის მასის მმართველი კრედიტორთა წარმომადგენლად არ უნდა მოვიაზროთ.

ვალაუვალობის მასის შინაარსის გაგებისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ Istmasse (არსებული მასა) და Sollmasse (სავალდებულო მასა). Istmasse ის ქონება, რომელიც სახეზეა (ანუ არსებობს) წარმოების დაწყებამდე. , Sollmasse (სავალდებულო მასა) შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გადახდისუუნარობის მასა, რომელიც დადგენილი წესების დაცვით ჩატარებული გადახდისუუნარობის წარმოების დამთავრებისას განკუთვნილია კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, პირველ რიგში, მმართველის ამოცანაა, წარმოების დაწყებისას სრულად მოუყაროს თავი Istmasse და დაეუფლოს მას და შემდეგ გარდაქმნას არსებული მასა, შემდგომში დაგვარად, უფრო დიდ სავალდებულო მასად.¹²⁵

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქონება, რომელიც მოვალის საკუთრებაშია, გადახდისუუნარობის მასაში არ შედის. ასევე არსებობს ნივთები, რომლებიც მასას მიეკუთვნებიან, თუმცა ისინი მმართველმა იმ პირს უნდა გადასცეს, რომელსაც მათ მიმართ სანივთო უფლებები გააჩნიათ. ასეთ ნივთებს ამოსარიცხ ნივთებად მოიხსენიებენ.

ასევე განსხვავებული მიდგომა გამოიყენება უფლებრივად დატვირთულ ნივთებთან დაკავშირებით. უზრუნველყოფილი უფლებებით დატვირთული ქონების მიმართ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი მიდგომა არსებობს. იმ ქვეყნების კანონები, რომლებიც საწარმოს გადარჩენას ისახავენ მიზნად, უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ დატვირთული ნივთებიც ვალაუვალობის მასაში დარჩეს. მსგავსი მიდგომა შეიძლება შემოღებული იქნეს იმ კრედიტორისათვის, რომელიც

¹²⁴ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 45

¹²⁵ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, 68

გადახდისუნარიობის მასიდან განცალკევებით მოითხოვს მისთვის ნივთის გადაცემას. თუმცა, თუკი მმართველის მოსაზრებით ეს ნივთი აუცილებელია საწარმოს ფუნქციონირებისათვის, შესაძლოა მან უარი განაცხადოს ქონების გადაცემაზე.¹²⁶

საინტერესოა ამ საკითხის მოწესრიგება სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, გადახდისუნარიობის საქმის წარმოების ფარგლებში ექცევიან გარკვეული კატეგორიის აქტივები. ამ აქტივებს გაკოტრების მასას უწოდებენ, რომელიც მოიცავს მთელ ქონებას, რომელზეც მოვალეს კანონიერი უფლება გააჩნია. გაკოტრების მასაში შეიძლება შედიოდეს მატერიალური ან არამატერიალური აქტივები: აქციები, მემკვიდრეობის უფლება, რომელიც მიღებულია გაკოტრების გამოცხადებიდან 6 თვის განმავლობაში, წინმსწრები საგადასახადო ანაზღაურება და ინტელექტუალური საკუთრება, როგორცაა საავტორო უფლებები, პატენტები და სავაჭრო ნიშნები. გამონაკლისი იქნება დაგროვებითი პენსიები და აქტივები, რომლებიც მოვალეს სამუშაოსა და სახლის შესანარჩუნებლად არის საჭირო. როდესაც იწყება გაკოტრების საქმის წარმოება, მოვალის საკუთრებაში არსებული მთელი ქონება გადადის გაკოტრების მასაში და სწორედ ამ მასიდან ხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნულ მასაზე კონტროლის განხორციელებისა და ამ მასიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით, ინიშნება გაკოტრების ადმინისტრატორი/მეურვე (ადმინისტრატორი უფრო მეტად კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გამოიყენება, ხოლო ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, მას გაკოტრების მეურვე ეწოდება).¹²⁷ ამავედროულად, გაკოტრების კოდექსი მეურვეს ანიჭებს უფლებას აღადგინოს/დააბრუნოს მოვალის მიერ არასწორად გადაცემული ან კრედიტორების მიერ არასამართლიანად მისაკუთრებული ქონება. აღსანიშნავია, რომ გაკოტრების მასაში არ ექცევა ალიმენტი, სოციალური უზრუნველყოფისთვის გაცემული თანხა, სასამართლო მოსაკრებელი, ჯარიმა და ისეთი აქტივები, რომლებიც მოვალეს სამსახურისა და სახლის შესანარჩუნებლად სჭირდება.¹²⁸

¹²⁶ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარიობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 49

¹²⁷ Cornell Law School, Legal Information Institute, Bankruptcy estate [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_estate , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹²⁸ Cornell Law School, Legal Information Institute, Bankruptcy estate [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_estate , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს გაკოტრების რამდენიმე პროცედურა, რომლებსაც განსხვავებული პროცედურა გააჩნიათ. მათ შორის განსხვავება გამოიხატება იმაშიც, თუ რა ტიპის აქტივი შედის გადახდისუნარიანობის მასაში და რა - არა. შესაბამისად, მიზანშეწონილია ეს საკითხი გაკოტრების კოდექსის მე-7 და მე-13 თავებთან მიმართებით იქნეს განხილული.

კოდექსის მე-7 თავი ორიენტირებულია მოვალის ქონების ლიკვიდაციაზე, თუმცა აქ იგულისხმება მოვალის ის ქონება, რომელიც არ ითვლება საგამონაკლისო ქონებად. ზოგადად, საგამონაკლისო ქონება არის ისეთი ქონება, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში დაცულია ლიკვიდაციისგან. გადახდისუნარიანობის კოდექსი შესაძლებლობას აძლევს ყველა შტატს, თავად დაადგინონ რომელი ქონება შეიძლება ჩაითვალოს საგამონაკლისო ქონებად. როგორც წესი, ყველა შტატში საგამონაკლისო ქონებად მოიაზრება: საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები, გარკვეულ ღირებულებამდე გონივრულად საჭირო ტანსაცმელი გონივრულად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები და ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სამკაულები, გარკვეულ ღირებულებამდე პენსიები, მოვალის სახლში მოვალის სავაჭრო ან პროფესიული ინსტრუმენტები გარკვეულ ღირებულებამდე, მიუღებელი გამომუშავებული ხელფასის ნაწილი, სოციალური უზრუნველყოფა და საბანკო ანგარიშზე დაგროვილი უმუშევრობის კომპენსაცია, პირადი ზიანის ანაზღაურების შედეგად მიღებული სარგებელი. რაც შეეხება არასაგამონაკლისო ქონებას, მასში მოიაზრება: ძვირადღირებულ მუსიკალურ ინსტრუმენტები, საკოლექციო ბარათები ან სხვა ღირებული საოჯახო საგნები, ნაღდი ფული, საბანკო ანგარიშები, აქციები ან სხვა სახის ინვესტიციები, მეორე მანქანა ან მეორე სახლი/აგარაკი.¹²⁹

ამ კუთხით, ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს საქმეში No. 14-400 _____ CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE.¹³⁰ მოცემულ საქმეზე სასამართლომ კარგად განმარტა გაკოტრების კოდექსის

¹²⁹ https://www.bankruptcyinfo.com/chapter-7_pc/exempt-vs-non-exempt-3-chapter-7_pc/ , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹³⁰ SUPREME COURT OF THE UNITED STATES - No. 14-400, CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE [ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/14-400> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მე-7 და მე-13 თავებს შორის განსხვავება და ამ ორი პროცედურის ფარგლებში გაკოტრების მასის დადგენის თავისებურება.

საქმე ეხებოდა მოვალის მიერ, შემოსავლების განკარგვას გაკოტრების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ. მოვალის შემოსავლების ბედი მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თავით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით წარადგენს იგი შუამდგომლობას საქმის წარმოების დაწყებაზე. მაგალითად, მე-13 თავით გათვალისწინებული პროცედურის შემთხვევაში, მოვალე ინარჩუნებს აქტივებს, როგორც წესი სახლსაც, ხოლო, მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის ფარგლებში, მოვალის აქტივების დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია და ამ გზით კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება.

მე-13 თავით გათვალისწინებული პროცედურის შემთხვევაში, შემოსავლები (ამ მოცემულობით ხელფასი) გაკოტრების მასის „საკუთრებაა“, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი გაკოტრების მასაში შედის და გამოიყენება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის შემთხვევაში, ხელფასი გაკოტრების მასაში არ ითვლება და ისინი მოვალის განკარგვაში რჩება.

მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურა მოვალეს ფინანსური წარსულისგან ათავისუფლებს და „ახალი დასაწყისის შესაძლებლობას“ აძლევს,¹³¹ თუმცა სანაცვლოდ მისი აქტივების სწრაფ ლიკვიდაციას მოითხოვს. ხოლო, მე-13 თავის შემთხვევა ორიენტირებულია მოვალის ქონების შენარჩუნებაზე, შესაბამისად, სასამართლოსაც სწორედ ისეთ გეგმას სთავაზობს, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ქონების შენარჩუნებას და ვალების დაფარვის სამიდან ხუთ წლამდე პერიოდს ითვალისწინებს. გადახდები, როგორც წესი, მოვალის ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ხდება. როგორც აღინიშნა არსებობს ქონება, რომელიც ლიკვიდაციას არ ექვემდებარება იქიდან გამომდინარე, რომ ის გადახდისუუნარობის მასაში არ შედის. აღნიშნულ საკითხი დეტალურად არის განხილული გაკოტრების მასის დადგენის თავისებურების ნაწილში.

¹³¹ <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/cal/16-9006/16-9006-2017-04-20.html> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023 დამატებითი იხ.: Arvydas, Paškevičius, Neringa, Jurgaitytė, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, Procedia - Social and Behavioral Sciences, Vol. 213, December 1, 2015, pp. 522; ასევე Edita Gruodyte, Julija Kirsienė, "Application of "Fresh start" Doctrine for Individual Debtors in Lithuania: EU and US perspective", Inzinerine Ekonomika-Engineering Economics, 2010, 21(3), p 266.

როგორც ვთქვით, მე-13 თვით გათვალისწინებული პროცედურის შემთხვევაში, შემოსავლები გაკოტრების მასაში შედის, ხოლო მე-7 თვით დადგენილი პროცედურის დროს ხელფასი მასაში არ ითვლება და შესაბამისად, მოვალის განკარგვაში რჩება. საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს ხელფასის საკითხი, როდესაც მე-13 თვით დაწყებული საქმის გადაკვალიფიცირება ხდება და მე-7 თვით დადგენილი პროცედურით გრძელდება. პროცედურის მე-7 თვით გათვალისწინებული წესებით გაგრძელების დროს, შემოსავალი, ამ შემთხვევაში კი ხელფასი, თავისთავად გამოირიცხება გაკოტრების მასიდან. შესაბამისად, ის მეურვე, რომელიც მე-13 თვით გათვალისწინებული წარმოების დროს იყო საქმეში ჩართული, ამ შემოსავალს კრედიტორების დაკმაყოფილების მიზნით არ იყენებს. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება მოვალის არაკეთილსინდისიერ ქცევას, მაგალითად იგი დამალავს აქტივების შესახებ ინფორმაციას, სასამართლო უფლებამოსილია, მოვალის ხელფასის ლიკვიდაციაც დაადგინოს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს მე-7 თვით დადგენილ წესები არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სადავო საკითხთან დაკავშირებით დაადგინა, რომ საქმე უკვე მე-13 თავის წესების მიხედვით აღარ იმართებოდა და მასზე მოქმედებს მე-7 თვით დადგენილი წესები, შესაბამისად, მეურვეს არ ჰქონდა უფლება მოვალის შემოსავალი კრედიტორებზე გაენაწილებინა. მსგავს სიტუაციაში, მოვალეს აქვს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მას აქვს უფლება „დაიცვას“ თავისი ხელფასი კრედიტორებისთვის განაწილებისგან, თუ მისი საქმე უკვე მე-7 თვით დადგენილი წესების მიხედვით იმართება.¹³²

როგორც აღნიშნა, ამერიკის გაკოტრების კოდექსი მოვალეს შესაძლებლობას აძლევს მისთვის სასურველი პროცედურა აირჩიოს და ამ პროცედურის მიხედვით დაიწყოს მისი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. მეტიც, ამერიკული რეგულირების თანახმად მოვალე, რომელიც კონკრეტული თვით გათვალისწინებულ პროცედურას აირჩევს, უფლებამოსილია, საქმის წარმოების პროცესში მოითხოვოს საქმის გადაკვალიფიცირება და სხვა თვით გათვალისწინებული პროცედურით გაგრძელება. აღნიშნული საკმაოდ დიდ პრივილეგიას აძლევს მოვალეებს, თუმცა,

¹³² SUPREME COURT OF THE UNITED STATES - No. 14-400, CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE [ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/14-400>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

საქართველოს შემთხვევაში, ორი სხვადასხვა პროცედურის შეთავაზება მოვალეებისთვის მიზანშეწონილი არ იქნება. აღნიშნულმა შესაძლოა ბუნდოვანება გამოიწვიოს. მოვალეები შესაძლოა ვერ გამოერკვნენ, რომელი პროცედურის გამოყენება უმჯობესია მათი შემთხვევისთვის. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში ადგილი ექნება პროცედურის არასწორად არჩევას, შემდგომ გადაკვალიფიცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებას. შესაბამისად, სახეზე იქნება როგორც მოვალის, ასევე კრედიტორებისა და სასამართლოს დროის რესურსის ხარჯვა. ამიტომ, უმჯობესია საქართველოს შემთხვევაში, მსგავსად გერმანიისა, მოვალისთვის შეთავაზებულ იქნას ერთი პროცედურა.

გაკოტრების კოდექსის 1325 -ე პარაგრაფის მიხედვით, როგორც წესი, კრედიტორის ან მოვალის მიერ გეგმის გაპროტესტების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს გეგმა, თუ მასში უზრუნველყოფილი მოთხოვნების სრული დაფარვა არ არის გათვალისწინებული.

2005 წლის გაკოტრების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტის (BAPCPA) ამოქმედებამდე, გაკოტრების კოდექსი განსაზღვრავდა, თუ რას ნიშნავს „განკარგავდი შემოსავალი“. ახლა უკვე მის განმარტებას გაკოტრების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტი ადგენს და განსაზღვრავს, რომ ეს არის მოვალის მიერ მიღებულ მიმდინარე ყოველთვიურ შემოსავალს გამოკლებული ის თანხები, რომლებიც გონივრულად უნდა დაიხარჯოს. გაკოტრების კოდექსის 1325(b)(2)(A)(i) პარაგრაფების მიხედვით, ასეთებს მიეკუთვნება მოვალის დახმარებისა და მხარდაჭერისთვის განკუთვნილი თანხები. „მიმდინარე ყოველთვიური შემოსავალი“, თავის მხრივ, დგინდება მოვალის ყოველთვიური საშუალო შემოსავლის გამოთვლით პეტიციის წარდგენამდე 6-თვიანი გამოკვლევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ მოვალის შემოსავალი სახელმწიფოში არსებულ საშუალო შემოსავალზე დაბალია „გონივრული საჭირო თანხები“ მოიცავს „შენახვის ან მხარდაჭერისთვის“ საჭირო სრულ თანხას, იხილეთ §1325(b)(2)(A)(i), მაგრამ თუ მოვალის შემოსავალი აღემატება სახელმწიფოში არსებულ საშუალო შემოსავალს, გონივრულ საჭირო თანხებში მხოლოდ კონკრეტული სპეციალური ხარჯები იქნება გათვალისწინებული, იხილეთ §§707(b)(2), 1325(b)(3)(A).

ამ მიმართულებით საინტერესო გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი სასამართლოს საქმეზე Hamilton v. Lanning, 560 U.S. 505 (2010). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მოვალის განკარგვადი შემოსავლის დეფინიციასთან დაკავშირებით.

მოცემულ საქმეში, მოვალის შემოსავალი იყო 149 დოლარი და იგი აცხადებდა, რომ 36 თვის განმავლობაში შეძლებდა კრედიტორებისთვის ყოველთვიურად 144 დოლარი გადაეხადა. მეურვე, მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელემ, უარი განაცხადა გეგმის დამტკიცებაზე, რადგან შემოთავაზებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა ნაკლები იყო მოპასუხისთვის მოთხოვნილი თანხის სრულ რაოდენობაზე. მოსარჩელის მითითებით, განკარგვადი შემოსავლის გამოსათვლელად უნდა გამოყენებულიყო მექანიკური მიდგომა. ამ გამოთვლის მიხედვით, მოპასუხეს \$756 უნდა გადახადა 60 თვის განმავლობაში. თუმცა, რეალურად მისი შემოსავალი არასაკმარისი იყო მსგავსი გეგმის შესასრულებლად.

სასამართლო ეთანხმება იმ მიდგომას, რომ განკარგვადი შემოსავალი 6 თვის განმავლობაში საშუალო შემოსავლით უნდა განისაზღვროს და თუ მოვალის მდგომარეობა შეიცვლება, შემოსავალი გაიზრდება ან შემცირდება, შესაძლებელია მისი გადახედვა მოხდეს. თუმცა, არ დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას მექანიკური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებით. დამატებით, აღნიშნა, რომ ეს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის გადახდისუუნარობის კოდექსის 1325 -ე პარაგრაფთან. შესაბამისად, გადაწყვიტა, რომ მოვალეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 144 დოლარი არა 36, არამედ 60 თვის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სწორი მიდგომა გამოიყენა, როცა მოსარჩელის პოზიციას არ დაეთანხმა. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მთავარი მიზანია მოვალის მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან დახსნა. შესაბამისად, თუკი მას გადახდისუუნარობის გეგმის მიხედვით განსაზღვრული გრაფიკითა და ოდენობით, იმდენად დიდი თანხის გადახდა დაეკისრება, რაც მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილია, მას რეალურად უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. ამით კი, რეალურად ვერ მიიღწევა გადახდისუუნარობის კანონის მიზანი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ სწორად შეაფასა მოცემული საქმის გარემოებები და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო,

როდესაც რომ თანხის იმავე ოდენობაზე დატოვების ხარჯზე, გაზარდა თვეების ოდენობა.

გარდა ამისა, ზოგადად ძალიან სწორი მიდგომა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაკოტრების მასის დადგენის თავისებურებასთან დაკავშირებით. თავისთავად, ამერიკის როგორც სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობიდან გამომდინარე, გონივრულია მათი მხრიდან იმის დადგენა, რომ არსებობს კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო ქონების ჩამონათვალი, თუმცა მისი დეტალიზება შტატებს თავის მხრივ შეუძლიათ. მსგავსი პრაქტიკა გასაზიარებელია. ასევე ძალიან სამართლიანია სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში გაკოტრების მასაში შემავალი ქონების წესების განსხვავებულად მოწესრიგება. როგორც ზემოთ იქნა განხილული გაკოტრების კოდექსი ორი თავი ეხება ფიზიკური პირის გადახდისუნარობის საკითხებს და ორივე თავი განსხვავებულ პროცედურას გვთავაზობს. ამასთანავე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ორი თავით გათვალისწინებული პროცედურის მიზნები არის აბსოლუტურად განსხვავებული. ერთ შემთხვევაში მოვალის ქონების შენარჩუნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ქონების რეალიზება. აქედან გამომდინარე, კანონმდებლის მიდგომა სწორია იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე შემთხვევაში გაკოტრების მასის დადგენის განსხვავებული წესები არსებობს. ამას ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ზემოთ დეტალურად იქნა განხილული და ორივე პროცედურისთვის განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს.

ამერიკის გაკოტრების კოდექსის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით გონივრული და სამართლიანია, თუმცა მორგებულია ამერიკის შეერთებულ შტატების რეალობას და მათი კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს. შესაბამისად, ამ მიდგომის საქართველოში გამოყენება არ იქნება სწორი რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, თუკი საქართველო აირჩევს რომ გადახდისუნარობის კანონმდებლობის ერთიანი სისტემა შემოიღო და ერთი პროცედურა დაადგინოს ყველა გადახდისუნარო მოვალისთვის, ორი სხვადასხვა მიდგომის გამოყენების საჭიროება დღის წესრიგში არ იქნება და მეტიც, გაკოტრების მასის დადგენის პროცესში უარყოფითად იმოქმედებს საქმის მიმდინარეობაზე.

გადახდისუნარობის მასის დადგენის კუთხით, ასევე საინტერესოა ბრიტანეთის კანონმდებლობა. გაკოტრების მასის დეფინიცია ბრიტანეთის გადახდისუნარობის

აქტის 283-ე მუხლშია მოცემული.¹³³ ამ მუხლის თანახმად, გაკოტრების მასაში შედის მოვალის მფლობელობაში ან საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც მას გააჩნია გაკოტრების წარმოების დაწყების მომენტში. გაკოტრების მასაში არ ხვდება იმგვარი საგნები, წიგნები, ავტომანქანა და სხვა ისეთი აღჭურვილობები, რომლებიც აუცილებელია მოვალის პირადი მოხმარებისთვის ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის. ასევე ისეთი ტანსაცმელი, თეთრეული, ავეჯი, საოჯახო მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მოვალის ან მისი ოჯახის წევრების მიერ ელემენტარული ყოფითი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად. თუმცა 308(1-b) მუხლის თანახმად, თუ მეურვე ჩათვლის, რომ ზემოთ ხსენებული ნივთების რეალიზაციის ღირებულება მთლიანად ან ნაწილობრივ აჭარბებს, მათი ანალოგიური ნივთებით გონივრული ჩანაცვლების საფასურს [დაზუსტება: მაგალითად, მოვალეს გაუყიდეს მაცივარი, იმ თანხით მისთვის შეძენილ იქნა შედარებით იაფფასიანი მაცივარი, ხოლო ნამეტი თანხა მიმართეს გაკოტრების მასაში], მეურვეს შეუძლია წერილობითი შეტყობინების გზით, მიმართოს აღნიშნული ქონება გაკოტრების მასაში. 284(1) მუხლის თანახმად, მოვალეს ეკრძალება ქონების განკარგვა გაკოტრების პერიოდში სასამართლოს თანხმობის გარეშე, ხოლო ყველა მის მიერ გაფორმებული მსგავსი ხელშეკრულება ბათილია.

გაკოტრებული პირის შემოსავალი არ წარმოადგენს მასის ნაწილს, მაგრამ მეურვეს შეუძლია შეათანხმოს ფიზიკურ პირთან, რომ ნებისმიერი ჭარბი შემოსავლის ნაწილი, მიემართოს გაკოტრების მასაში კრედიტორთა სასარგებლოდ. ჭარბ აქტივში შეიძლება ჩაითვალოს იმგვარი შემოსავალი, რაც არ განეკუთვნება საარსებო მინიმუმს.¹³⁴ თუ მოვალე თანახმა არ არის, მეურვეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განჩინების გამოცემის მოთხოვნით. ნებისმიერი არასაგამონაკლისო ქონება, რომელიც თავდაპირველად არ წარმოადგენდა მოვალის საკუთრებას, თუმცა, შემდგომ მიემატა, შესაძლებელია მეურვის მიერ მიმართული იყოს გაკოტრების მასაში. იმ შემთხვევაში, თუკი პირი მეურვეს არ აცნობებს მსგავსი შემთხვევის შესახებ

¹³³ Insolvency Act 1986, Part IX [ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/part/IX> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹³⁴ Spooner J., Explaining Personal Insolvency and the Law, 2020 [ხელმისაწვდომია: <https://www.law.ox.ac.uk/housing-after-grenfell/blog/2020/07/explaining-personal-insolvency-and-law> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ან დამალავს რომელიმე ისეთი ქონების არსებობას, რომელიც აუცილებლად უნდა შედიოდეს გაკოტრების მასაში, შეიძლება ამან მოვალის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. ასევე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს ისეთი შემთხვევა, როდესაც მოვალე ისესხებს ფულს ან სხვაგვარად მოიპოვებს კრედიტს, რომლის ღირებულებაც 500 ფუნტს აღემატება და ამის შესახებ არ შეატყობინებს გამსესხებელს.¹³⁵

როგორც ირკვევა, საერთო სამართლის სისტემის მქონე განხილულ ორივე ქვეყანას ერთიანი მიდგომა აქვს გაკოტრების მასის დადგენის თავისებურებასთან დაკავშირებით. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მასაში არ შედის პროფესიული ნივთები, საყოფაცხოვრებო (ცხოვრებისთვის აუცილებელი) ნივთები, თუმცა, შედის ე.წ. ჭარბი შემოსავალი, რომლის განსაზღვრებასაც კანონი არ გვთავაზობს, თუმცა, ამ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ იგი საკმაოდ მრავალფეროვანია და არაერთი გადაწყვეტილებით არის დადგენილი, თუ რა წესით შეიძლება გამოითვალოს ჭარბი შემოსავალი.

თავისთავად, დაუშვებელია გადახდისუუნარობის/გაკოტრების მასაში მოვალის მთელი ქონების ჩათვლა. ასეთ შემთხვევაში, გადახდისუუნარობის კანონის მიზნები ვერ იქნება მიღწეული და მოვალე იმაზე უარეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე გადახდისუუნარობის რეჟიმის გახსნამდე იყო. საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომა გონივრულია განსაკუთრებით კი, ჭარბი შემოსავლის დათვლის ნაწილში. ამიტომ საქართველოს ახალი კანონში მიზანშეწონილია გაკეთდეს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ ჭარბი შემოსავალი უნდა მიემართოს მოვალის გაკოტრების მასაში, თუმცა ამ ჭარბი შემოსავლის განმარტების ფუნქციის დაკისრება მხოლოდ სასამართლოსთვის საქართველოს შემთხვევაში გონივრული არ იქნება. შესაბამისად, სასურველია კანონმაც შემოგვთავაზოს ჭარბი შემოსავლის განმარტება და მისი გამოთვლის სავარაუდო მექანიზმები, ხოლო შემდგომ საჭიროების შემთხვევაში სასამართლოების მხრიდან ეს ნორმა დეტალიზებული და დაზუსტებული იქნება.

¹³⁵ Cornell Law School, Legal Information Institute, Bankruptcy estate [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_estate, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

აღსანიშნავი და გასაზიარებელია ისიც, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობა ლოგიკურად არ მიიჩნევს გადახდისუუნარობის მასის ფარგლებში მოვალეს ისეთ ნივთებს, რომლებიც მისი პირადი მოხმარებისთვის ან სამსახურებრივი მოვალებებისთვის არის აუცილებელი. ასეთი შეიძლება იყოს ავტომობილიც, რომელიც მოვალისთვის სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე აუცილებელ ნივთებს მიეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდეს გაკოტრების მასისთვის, მოვალის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფად მეტად გონივრულია მისი გაკოტრების მასის გარეთ დატოვება.

რაც შეეხება აღნიშნული საკითხის კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოწესრიგებას, საუკეთესო მაგალითია გერმანია, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოიცავს ყველა იმ აქტივს, რომელიც ეკუთვნის მოვალეს სამართალწარმოების დაწყების მომენტში და რომელსაც მოვალე იძენს სამართალწარმოების დროს, რაც ქმნის გადახდისუუნარობის მასას (Insolvenzmasse). თუ მოვალე თვითდასაქმებულია ან აპირებს მსგავსი საქმიანობის განხორციელებას უახლოეს მომავალში, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორმა მას დეტალურად უნდა აუხსნას, ეკუთვნის თუ არა თვითდასაქმებულის აქტივები მასას და შეიძლება თუ არა ამგვარი საქმიანობით წარმოქმნილი მოთხოვნები განხილულ იქნეს გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში.

კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, საგნები, რომლებიც არ ექვემდებარებიან აღსრულება/რეალიზებას, არ განეკუთვნებიან გადახდისუუნარობის მასას. ამ შემთხვევაში ანალოგიის წესით გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ შემოსავლისა და ანაზღაურების საკითხებს.¹³⁶

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის მასა მოიცავს: (1) მოვალის ანგარიშებს; 2) მოვალის თვითდასაქმების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 811-ე პარაგრაფის 1-„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ

¹³⁶ code of Civil Procedure 850, 850a, 850c, 850e, 850f (1), 850g-დან 850l-მდე, 851c, 851d [ხელმისაწვდომია: <https://dejure.org/gesetze/ZPO> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

საქონელსა¹³⁷ და 811-ე პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-8-„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელს;¹³⁸ აქედან გამომდინარე საგნები, რომლებიც აუცილებელია იმ სამუშაოს გასაგრძელებლად, რომელიც გულისხმობს პირადი მომსახურების გაწევას. ასევე საგნები, რომლებიც მიეკუთვნება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნივთებს და გამოიყენება მოვალის ოჯახში, არ შედის გადახდისუუნარობის მასაში, თუ აშკარაა, რომ მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი არ იქნება ამავე ნივთების თვითღირებულების პროპორციული.

კოდექსი ასევე განსაზღვრავს მეუღლეების თანასაკუთრების ბედს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისას. კერძოდ, გადახდისუუნარობის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გაკოტრებისას, მეუღლეების თანასაკუთრება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს გადახდისუუნარობის მასის შემადგენელ ნაწილს, თუ ამ ქონების განკარგვის უფლებამოსილება სწორედ ამ გაკოტრებულ მეუღლეს გააჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები ერთობლივად განკარგავდნენ თანასაკუთრებას, მაშინ გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში მეორე მეუღლის აქტივები არ წარმოადგენს მასის ნაწილს და მათზე არ ვრცელდება გადახდისუუნარობის რეჟიმი.

რაც შეეხება მიღებულ შემოსავალს, ეს უკანასკნელი გადახდისუუნარობის მასის ნაწილი მხოლოდ იმ ოდენობით შეიძლება იყოს, რამდენადაც იგი აღემატება მოვალის საარსებო მინიმუმს.¹³⁹

ნათელია, რომ გადახდისუუნარობის მასის დადგენის ნაწილში გერმანიასაც ამერიკისა და ბრიტანეთის მსგავსი მიდგომა აქვს. შესაბამისად, შესაძლებელია ზემოაღნიშნული 3 ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის სინთეზურად გამოყენება კანონპროექტში. გადახდისუუნარობის მასაში შემოსავლის გათვალისწინების ნაწილში საუკეთესო საშუალებაა ჭარბი შემოსავლის დათვლის ტექნიკა, რაც

¹³⁷ საკვები, გათბობისა და საკვების მომზადებისთვის საჭირო საწვავი, ასევე 4 კვირის სამყოფი განათების საშუალებები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის ან მისი ოჯახისთვის თუკი ამგვარი ნივთების შეძენა მოვალისთვის სხვა სახსრებით შეუძლებელია.

¹³⁸ ცხოველები, რომლებიც მოვალისთვის ან იმ პირისთვის, რომელთან თანასაკუთრებაშიც მოვალე იმყოფება, აუცილებელია შემოსავლიანი მეურნეობის წარმოებისთვის, ასევე საკვები და სათავსოები, რომლებიც აუცილებელია ამგვარი ცხოველებისთვის.

¹³⁹ <https://e-justice.europa.eu/447/EN/insolvencybankruptcy?GERMANY&init=true&member=1> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

უზრუნველყოფს იმას, რომ მას ცხოვრებისთვის აუცილებელი შემოსავალი ჰქონდეს და ამ აუცილებლის ზემოთ არსებული უკვე გადაანაწილდეს გაკოტრების მასაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჭარბი შემოსავლის დათვლა შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი აღმოჩნდეს გადახდისუნარობის სამართალში. თუმცა, საუკეთესო გამოსავალია ჭარბი შემოსავლის განმარტების კანონში გათვალისწინება და შემდგომ მისი შევსება და დაზუსტება სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით. როგორც ზემოთ განხილული ქვეყნების გადახდისუნარობის სამართალი მიუთითებს, ჭარბ შემოსავალს მიეკუთვნება ყველა ის შემოსავალი, რაც მოვალის საარსებო მინიმუმ აღემატება. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი იჩენს თავს. კერძოდ, საარსებო მინიმუმი ზუსტად უნდა იყოს გამოთვლილი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. მაგალითისთვის, თბილისსა და ხულოში (აჭარის მაღალმთიანი დასახლება) მცხოვრები ადამიანისთვის საარსებო მინიმუმი ვერ იქნება იდენტური, შესაბამისად, ეს მინიმუმი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით უნდა განისაზღვროს და ზუსტად მოერგოს მოვალის მდგომარეობას, რათა ჭარბი შემოსავალიც შემდგომში სწორად იქნეს დათვლილი.

საინტერესოა გერმანელი კანონმდებლის მიდგომა მეუღლეთა თანასაკუთრების გაკოტრების მასაში ჩათვლისას. კანონპროექტში აუცილებლად უნდა იქნეს ეს საკითხი გათვალისწინებული, რათა შემდგომ არ გამოიწვიოს ბუნდოვანება ან სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა არ წაახალისოს. სრულიად ლოგიკურია ის, რომ გაკოტრების მასაში მხოლოდ ის თანასაკუთრება უნდა შევიდეს, რომლის განკარგვის უფლებამოსილება გაკოტრებულ მეუღლეს გააჩნდა. თუმცა, რამდენად ხშირია პრაქტიკაში მსგავსი საკითხები, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ასეთი შეიძლება იყოს ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება, მაგალითად მიწის ნაკვეთი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, იგი ამუშავებს ამ მიწის ნაკვეთს და სწორედ მას აქვს განკარგვის უფლებამოსილებაც.

2.3. კრედიტორის უფლება-მოვალეობების ფარგლები, რიგითობის განსაზღვრის კრიტერიუმები

გადახდისუუნარობის პროცესში კრედიტორებს წარმოადგენენ ის პირები, რომლებსაც ჰქონდათ საფუძვლიანი მოთხოვნა ვალაუვალობის წარმოების გახსნის მომენტისთვის.¹⁴⁰ ვალაუვალობის მიმდინარეობისას, კანონმდებლობაში, კრედიტორთა რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა კანონი, რომელიც გადახდისუუნარობის პროცესს ეხება, საერთოდ არ ითვალისწინებდეს ვალაუვალობის პროცესის გახსნის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებების დაკმაყოფილების საკითხს ან პირიქით იგი მას უპირატესად დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებად მიიჩნევდეს. ვინაიდან, ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის პრაქტიკა, აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდება იურიდიულ პირებთან მიმართებით. მაგალითად სამეწარმეო საზოგადოების შემთხვევაში პროცესის დაწყების შემდეგ ვალეები, როგორც წესი მაშინ წარმოიშობა, როცა მმართველი აგრძელებს საწარმოს საქმიანობას, მოვალის ქონების მართვასა და მის ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე კი, ამყარებს შრომითსამართლებრივ, ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს.¹⁴¹ ამ საქმიანობის შედეგად, წარმოშობილი ახალი ვალდებულებები, როგორცაა შესრულების ანუ გარკვეული გასამრჯელოსა თუ ანაზღაურების ვალდებულება, წარმოების ხარჯების მსგავსად ასიდან ვალაუვალობის კრედიტორებზე ადრე უნდა დაკმაყოფილდეს.¹⁴² როგორც როინ მიგრიაული მიუთითებს, მის ნაშრომში, ასეთი ტიპის კრედიტორები არ უნდა იყვნენ განხილული ვალაუვალობის კრედიტორებად, არამედ ისინი ამ პროცესში საერთოდ არ უნდა იქნეს განხილული. ასეთ კრედიტორებს, ავტორი მასის კრედიტორებად მოიხსენიებს. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის კანონში დეტალურად იყო განხილული ამ ორი ტიპის კრედიტორებს შორის განსხვავება. 2007 წლის კანონმა კი შეიმუშავა ისეთი წესები, რომელთა მეშვეობით განსხვავება აღნიშნულ ორ ჯგუფს შორის აღარ არსებობდა.

¹⁴⁰ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 82

¹⁴¹ roin migriauli, Sesavali gakotrebis samarTalsi, me-2 gadamuSavebuli gamocema, Tb., 2006, gv. 97.

¹⁴² 41 UNCITRAL Legislative Guide, me-2 nawili, V Tavi, § 8.

აღსანიშნავია, რომ ყველა ტიპის კრედიტორს, რომელიც ვალაუვალობის პროცესში კრედიტორად იწოდება, აქვს პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ განსაკუთრებული უფლება მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით იმოქმედონ შესაბამისად.

გაკოტრების პროცესი როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის შემთხვევაში სრულდება კრედიტორების დაკმაყოფილებით. მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება სწორედ გადახდისუუნარობის მასის განაწილების შედეგად ხდება. შესაბამისად, გაკოტრების პროცესში კრედიტორთა დაკმაყოფილების წყარო არის მოვალის ის ქონება, რომელსაც იგი მოცემული მომენტისთვის ფლობს და ამასთანავე არ გამოირიცხება გადახდისუუნარობის მასიდან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადახდისუუნარობის მასაში შეიძლება შედიოდეს როგორც ფულადი სახსრები, ისე სხვა გაყიდვადი ქონება, რომლის რეალიზება მოკლე პერიოდშიც არის შესაძლებელი. შესაბამისად, პრაქტიკაში აუცილებელი არ არის, რომ ფულადი სახსრები ან სხვა ისეთი გაყიდვადი ქონება, რომელთა რეალიზაციაც დიდ დროს არ მოითხოვს, შევინარჩუნოთ საბოლოო განაწილებამდე. შესაბამისად, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა უშვებდეს შუალედური განაწილების შესაძლებლობას.¹⁴³ 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი შუალედურ განაწილებასთან დაკავშირებით ცალსახა აკრძალვას არ შეიცავდა, მაგრამ იმის გამო, რომ მასის რეალიზება მხოლოდ ერთიანად შეიძლება აუქციონის გზით მომხდარიყო, ამიტომ პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ხისტი და მცდარი მიდგომა, რომ შუალედური განაწილება დაუშვებელი იყო.¹⁴⁴

2020 წლის რეფორმის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კანონმა 103-ე მუხლის თანახმად, დაუშვა ქონების მასის განაწილება გაკოტრების საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე. ახალ კანონში აუქციონი შენარჩუნებული იქნა, როგორც რეალიზაციის სუბსიდიური ინსტრუმენტი. კანონის 102-ე მიხედვით, ახლა უკვე

¹⁴³მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, 68

¹⁴⁴ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 15.

უპირატესობა ენიჭება გაკოტრების მასის მმართველის მიერ შერჩეულ რეალიზაციის საშუალებას. ეს შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი მიყიდვა და კერძო აუქციონი, ასევე ცალკეული აქტივების რეალიზაცია, მთლიანი საწარმოს მიწოდება და კანონისმიერი აუქციონი.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, რეაბილიტაციის კანონი გამოყოფს უზრუნველყოფილი კრედიტორებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. გაკოტრების რეჟიმის გახსნის მომენტიდანვე, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის გამოცალკევების უფლება დაცულია. კერძოდ, მისი მოთხოვნა კმაყოფილდება უზრუნველყოფილი საგნიდან. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი კრედიტორი აღარ გვხვდება რეაბილიტაციის კანონის 104-ე მუხლით განსაზღვრულ რიგითობაში, ვინაიდან იგი კმაყოფილდება უზრუნველყოფილი ნივთის ხარჯზე.

გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი დეტალურად აწესრიგებდა უზრუნველყოფილი კრედიტორების საკითხს. ამასთან, უზრუნველყოფილ კრედიტორად მხოლოდ გირავნობის ან იპოთეკის უფლების მქონე კრედიტორი არ მიიჩნევა. უზრუნველყოფილი კრედიტორების რიგებს მიეკუთვნება ისეთი კრედიტორებიც, რომლებსაც მოვალის საგნები „უზრუნველყოფის მიზნით“ ეკუთვნოდა. შესაბამისად, გირავნობის ან იპოთეკის უფლების მქონე კრედიტორს უთანაბრდებოდა ისეთი კრედიტორიც, რომელიც პირობადადებული საკუთრების სახით მიჰყიდა ქონება მოვალეს. ასეთი უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის მოწესრიგებული იყო, რომ ისინი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში დაკმაყოფილების მიზნით, უზრუნველყოფილი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას (განცალკევებით დაკმაყოფილების მოთხოვნას) ვერ წარადგენდნენ. თუმცა, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფილი კრედიტორების უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას იმით ზღუდავდა, რომ ისინი, უპირატესად, ამონაგების მხოლოდ $\frac{3}{4}$ იღებდნენ. დარჩენილი თანხა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად გადახდისუუნარობის მასაში რჩებოდა. ამდენად, უზრუნველყოფილი საგნის გაყიდვით უზრუნველყოფილი კრედიტორი სრულად

მხოლოდ მაშინ კმაყოფილდებოდა თუ ამონაგები მის მოთხოვნას 1/3-ით აღემატებოდა.¹⁴⁵

რაც შეეხება კრედიტორთა დაკმაყოფილების წესს, თავისთავად, აქ შემოდის რიგითობის პრინციპი, რომელიც ზოგადად ვალდებულებით სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. აღნიშნული მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს. ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. აღნიშნული მოვალის უფლებების დაცვას ემსახურება და სამოქალაქო კოდექსიც შესრულების არჩევანის საშუალებას მოვალეს ანიჭებს, ვინაიდან მან ყველაზე უკეთ იცის რომელი ვალი არის მისთვის ყველაზე მძიმედ დასაფარი და შესაბამისად აკეთებს არჩევას.¹⁴⁶ მოვალის უფლება, აირჩიოს შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობა, კრედიტორის თანხმობას არ საჭიროებს.

აღნიშნული მატერიალურ სამართლებრივი ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს კრედიტორის მიმართ რამდენიმე ვალდებულება აქვს შესასრულებელი, ვალდებულებათა შესრულების საგანი იდენტურია, ვალდებულების წარმოშობის წყარო ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობაა და მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება ყველა ვალდებულების დასაფარად არ არის საკმარისი. ნორმა არ ატარებს იმპერატიულ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები ვადამოსულ ვალდებულებებს ურთიერთშეთანხმებით დადგენილი რიგითობით ფარავენ. მხარეთა ურთიერთშეთანხმება ვალდებულებათა შესრულების ეტაპზე სავალდებულოა

¹⁴⁵ რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, თბ., 2006 წ., გვ. 37-41.

¹⁴⁶ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 387, გვ. 341.

როგორც კრედიტორისათვის, ასევე მოვალისათვის, უფრო მეტიც, იმ მესამე პირისთვისაც, რომლის უფლებებსაც ეს შეთანხმება ეხება.¹⁴⁷

სამოქალაქო კოდექსი ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის ალტერნატიულ მოწესრიგებასაც შეიცავს, რაც მაშინ გამოიყენება, როდესაც მოვალე კანონით მინიჭებულ უფლებას არ იყენებს და არც მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება ვალდებულებების დაფარვის რიგითობაზე. როგორც სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი მიუთითებს, პირველ რიგში, იფარება ის ვალდებულება, რომლის გადახდის ვადაც პირველი დადგა ხოლო თუ ერთდროულად დადგა, მაშინ ის რომელიც მოვალისთვის უფრო მძიმეა.¹⁴⁸

თუ მოვალეს რამდენიმე ძირითადი ვალდებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 367-ე მუხლის რეგულირება, შესაბამისად, შესასრულებელ ძირითად ვალდებულებათა რიგითობას მოვალე განსაზღვრავს. თუ მოვალეს აქვს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში მათი დაფარვის რიგითობას კანონი, კერძოდ, 388-ე მუხლი ადგენს. კანონით გათვალისწინებული მოწესრიგების მიხედვით, ჯერ ძირითადი ვალდებულება იფარება, ხოლო შემდეგ – დამატებითი ვალდებულება. თუ მოვალეს რამდენიმე ძირითადი და დამატებითი ვალდებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში, მოვალის არჩევით, ჯერ იფარება ის ძირითადი ვალდებულება, რომელსაც მოვალე აირჩევს (387), შემდეგ მასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულება (388), ხოლო ამის შემდეგ დარჩენილი ძირითადი ვალდებულება თავის დამატებით ვალდებულებასთან ერთად კანონით გათვალისწინებული მოწესრიგების მიხედვით, ჯერ ძირითადი ვალდებულება იფარება, ხოლო შემდეგ – დამატებითი ვალდებულება. თუ მოვალეს რამდენიმე ძირითადი და დამატებითი ვალდებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში, მოვალის არჩევით, ჯერ იფარება ის ძირითადი ვალდებულება, რომელსაც მოვალე აირჩევს (387), შემდეგ მასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულება (388), ხოლო ამის შემდეგ დარჩენილი ძირითადი ვალდებულება თავის დამატებით ვალდებულებასთან ერთად.¹⁴⁹

¹⁴⁷ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, მუხლი 387, თბილისი, 2019, გვ.540

¹⁴⁸ იქვე., გვ. 541

¹⁴⁹ Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 367, Rn. 2

მოვალისათვის შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრის კრიტერიუმი არა მხოლოდ ფულადი ვალდებულების ოდენობა, არამედ მისი უზრუნველყოფის ხარისხიცაა.¹⁵⁰ თუმცა, ეს მუხლი არ გამოიყენება გადახდისუნარობის პროცესში მყოფი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნების რიგითობის განსაზღვრისთვის. აღნიშნულს სპეციალური კანონი, კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს 104-ე მუხლში.

მართალია, ეს მუხლი და ზოგადად კანონი, როგორც უკვე აღინიშნა მხოლოდ იურიდიულ პირებზე ვრცელდება, თუმცა შედარებისთვის აუცილებელია მისი დეტალური განხილვაც. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის მიხედვით, პირველ რიგში იფარება გაკოტრების რეჟიმის ხარჯები, რომელიც მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცესის ხარჯებს, გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამის შემდეგ, მოდის გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება და ბოლოს უკვე კრედიტორთა ჯგუფები შემდეგი თანმიმდევრობით: 1. პრეფერენცირებული მოთხოვნები; 2. პრეფერენცირებული საგადასახადო მოთხოვნები; 3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები; 4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები; 5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები – კრედიტორის მოთხოვნა, რომლის თაობაზეც მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ ასეთი მოთხოვნის არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილების თაობაზე; 6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი

¹⁵⁰ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 387, გვ. 341

ვალდებულებები. როგორც ირკვევა, 104-ე მუხლში დაყოფილია კრედიტორთა მოთხოვნები სხვადასხვა ტიპებად.¹⁵¹

ახალი კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ იწყება გადახდისუნარობის კრედიტორთა თანმიმდევრული დაკმაყოფილება, სხვადასხვა ჯგუფებისა და რიგითობის დაცვით. პირველ ჯგუფს განეკუთვნება პრეფერენციული მოთხოვნები. ასეთ მოთხოვნებს მიეკუთვნება განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების ასანაზღაურებელი თანხები. აღნიშნულის შემდეგ კმაყოფილდება პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები. ასეთ მოთხოვნებად განიხილება სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამისი საგადასახადო პერიოდში წარმოშობილი არაპირდაპირი გადასახადის თანხები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი არის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ჯგუფი. ამავე ჯგუფში განიხილება პირდაპირ გადასახადთან მიმართებაში არსებული საგადასახადო მოთხოვნები, მაგალითად, ქონების გადასახადი. მომდევნო რიგი ეხება მოთხოვნებს, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით. რიგითობით ბოლო ორ ჯგუფს განეკუთვნება კაპიტალური რისკის 159 მატარებელი მოთხოვნები.

საინტერესოა ამ საკითხის განხილვა უშუალოდ ფიზიკური პირის გადახდისუნარობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და დოქტრინის ანალიზის ფარგლებში.

ამერიკის გადახდისუნარობის კანონმდებლობის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობის წესებს. სწორედ ამ ამოცანის შესრულება წარმოადგენს გაკოტრების მეურვის ძირითად ფუნქციას, რომ საქმის დასრულებამდე, უზრუნველყოფს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

¹⁵¹მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისი, 2021, 73

აღსანიშნავია, რომ გაკოტრების კოდექსის მე-7 თავის თანახმად, ყველა კრედიტორს აქვს უფლება იყოს მოსმენილი/გამოთქვას აზრი არასაგამონაკლისო აქტივების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ხოლო კოდექსის მე-13 თავით გათვალისწინებული წარმოების ფარგლებში, გამოთქვან პრეტენზია ფულადი ვალდებულებების დაფარვის გეგმასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში ყველა კრედიტორი თანაბრად არ განიხილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებულია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის წესები. არსებობს მოთხოვნები, რომლებსაც გაკოტრების კანონმდებლობა პრიორიტეტულად აღიარებს. როგორც წესი, ყველა კრედიტორს აქვს უფლება ფლობდეს წილს გაკოტრების მასაში, თავიანთი მოთხოვნების პრიორიტეტულობის მიხედვით. გაკოტრების სამართალი პრიორიტეტულად აღიარებს ისეთ მოთხოვნებს, როგორებიცაა ბავშვის მხარდაჭერა (ალიმენტის მოთხოვნის უფლება მართალია გაკოტრების მასის ფარგლებში არ განიხილება, რადგან მასაში მხოლოდ აქტივები შედის, თუმცა, ალიმენტის მოთხოვნა პრიორიტეტულია და შესაბამისად, მოვალის მასიდან ის უპირატესად იფარება). ასევე განიხილება უზრუნველყოფილი მოთხოვნები, რომელთაც მიეკუთვნება იპოთეკა/გირაო. როგორც წესი, უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები იპოთეკის, პერსონალურ ქონებაზე გარანტიის შეთანხმების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადებული ყადაღის საფუძველზე არსებობს.

ქონებაზე გირავნობის მქონე კრედიტორებს უფლება აქვთ მიიღონ ვალის ან გირაოს ტოლი ღირებულება (რომელიც ამ ორიდან ნაკლები ღირებულებისაა). მათ ასევე შეუძლიათ შეაჩერონ მოვალის მიერ ფულადი ექვივალენტების გამოყენება მოითხოვონ მისი აკუმულირება მეურვის მიერ (იგულისხმება კრედიტორთა საადვოკატო ხარჯების დაფარვა და ასევე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის დაფარვა).

აღსანიშნავია, რომ გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული საქმის წარმოების ფარგლებში, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა მატერიალურად უზრუნველყოფილი სამომხმარებლო ვალის გამოსყიდვა შესაფერისი გამოსავალი იყოს. ამ შემთხვევაში, მოვალე გამოსყიდის ქონებას, რაც წარმოადგენს

უზრუნველყოფის ჩანაცვლების ღირებულებას. ხშირად, ჩანაცვლების თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე თავად ვალი. იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე და კრედიტორი ვერ თანხმდებიან ქონების ჩანაცვლების ოდენობაზე, სასამართლოს შეუძლია გამართოს სხდომა ჩანაცვლების ღირებულების დადგენის მიზნით. გამოსყიდვის შემდგომ, მოვალე ფლობს ქონებას უსასყიდლოდ და თავისუფლად.

გაკოტრების კოდექსის მე-13 თავის თანახმად, როდესაც მოვალე ამ თავით გათვალისწინებულ განაცხადს ავსებს, მან ან უნდა დათმოს/გადასცეს უზრუნველყოფილი ქონება კრედიტორს, გადაიხადოს დავალიანება რეორგანიზაციის გეგმის განმავლობაში 3-5 წელიწადში ან გადაიხადოს დავალიანება რეორგანიზაციის გეგმის მიღმა, როგორც წესი ამისათვის უფრო მცირე ვადაა გათვალისწინებული¹⁵² (ამის მაგალითია წინმსწრები დაფარვა).

იქიდან გამომდინარე, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნების მქონე კრედიტორს მოთხოვნის დაკმაყოფილების მექანიზმი გააჩნია, კრედიტორებისათვის გასანაწილებელი თანხის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი კრედიტორი ამ თანხის ნაწილს ვეღარ მიიღებს. გაკოტრების კოდექსის მე-7 თავის თანახმად, უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, უწევს დაელოდოს გადახდისუუნარობის პროცესის დასრულებას ან მან უნდა წარუდგინოს მოსამართლეს შუამდგომლობა შეჩერებული პროცესის გაგრძელების მიზნით.¹⁵³

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა უზრუნველყოფის მქონე კრედიტორს აქვს ვალდებულების ან უზრუნველყოფის ღირებულების მიღების უფლება (ამ ორიდან რომელიც ნაკლები იქნება), არაუზრუნველყოფილი კრედიტორი ვერ ისარგებლებს ანალოგიური უფლებით. ზოგადად, არაუზრუნველყოფილ ვალებს, მაგალითად სამედიცინო ან საკრედიტო ვალს ყველაზე ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება. არაუზრუნველყოფილ კრედიტორს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის არსებობის

¹⁵² Creditors' Rights in Bankruptcy [ხელმისაწვდომია: <https://www.justia.com/bankruptcy/collections-credit/creditors-rights/> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁵³ O'Neill, Cara, Understanding Secured, Unsecured, and Priority Debts in Bankruptcy [ხელმისაწვდომია: <https://www.alllaw.com/articles/nolo/bankruptcy/secured-unsecured-priority-debts.html> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

დამადასტურებელი საბუთი, დაესწროს კრედიტორთა პირველ შეხვედრას, გაასაჩივროს ვალის ჩამოწერა,¹⁵⁴ გაეცნოს გაკოტრების დოკუმენტაციას.¹⁵⁵

არსებობს ორი სახის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა: (ა) პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები; (ბ) არაპრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები. როგორც წესი, პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების ჩამოწერა არ ხდება და ისინი შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში იფარება. პრიორიტეტულ არაუზრუნველყოფილ ვალებზე ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. კერძოდ, პრიორიტეტული კრედიტორების დაკმაყოფილება სხვა კრედიტორებზე ადრე ხდება.

სადოქტორო ნაშრომში განხილულია პრიორიტეტული მოთხოვნების ზოგიერთი გავრცელებული სახეობა. ესენია მაგალითად: ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებული ვალდებულებები, ნასვამ მდგომარეობაში მართვის შედეგად გამოწვეული დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ვალდებულებები. ვინაიდან, მე-7 თავით გათვალისწინებული გაკოტრების პროცედურის დროს, პრიორიტეტული დავალიანებების ჩამოწერა არ ხდება, მოვალემ უნდა გადაიხადოს ნებისმიერი ნაშთი, რომელიც დარჩება მე-7 თავით გათვალისწინებული საქმის დასრულების შემდეგ (გაკოტრების მეურვემ შესაძლოა გაყიდოს მოვალის ქონების ნაწილი და გამოიყენოს თანხა ვალებისათვის). თუკი მოვალე მიმართავს მე-13 თავით გათვალისწინებულ გაკოტრების პროცედურას, მას მოუწევს, სრულად დაფაროს პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი ვალები გადახდისუუნარობის გეგმით გათვალისწინებული სამიდან ხუთწლიანი ვადის ფარგლებში.

რაც შეეხება არაპრიორიტეტულ არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მათი უმეტესი ნაწილი გაკოტრების პროცედურის ფარგლებში (სტუდენტური სესხების გამოკლებით) ექვემდებარება ჩამოწერას. აღნიშნულს ძირითადად მიეკუთვნება: საკრედიტო ბარათების სესხები, სამედიცინო თანხებთან დაკავშირებით მოთხოვნები და პერსონალური ვალები. აღსანიშნავია, რომ არაპრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს,

¹⁵⁴ Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen , WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.155-156

¹⁵⁵ Creditors' Rights in Bankruptcy [ხელმისაწვდომია: <https://www.justia.com/bankruptcy/collections-credit/creditors-rights/>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ყველა პრიორიტეტული ვალის დაკმაყოფილება. იმ ვალის დაკმაყოფილება, რომელსაც სხვებთან შედარებით აქვს უპირატესობა, ხდება გაკოტრების ქონებიდან, მანამ სანამ ანაზღაურდება არაუზრუნველყოფილი კრედიტორების თანხები.¹⁵⁶

გაკოტრების დროს, გაკოტრების საქმის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ გარკვეულ სახის მოსაკრებლებს, ხარჯებსა და საჩივრებს ენიჭება გადახდის უპირატესობა ზოგადი არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით (11 USC § 507(a)). გაკოტრების მე-11 თავში ისინი შემდეგი თანმიმდევრობით არიან დალაგებულნი: გაკოტრების საქმის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, სარჩელის წარდგენის შემდგომი სავაჭრო დავალიანება და პროფესიული გადასახადები. ხელფასი 13,650 აშშ დოლარამდე, მიღებული გაკოტრების განცხადებამდე 180 დღის განმავლობაში (11 USC § 507(a)(4)).

კრედიტორთა დაკმაყოფილების დროს თანასწორობის პრინციპსა და რიგითობის წესებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს სასამართლოს გამოტანილი საქმეზე AG Köln, გადაწყვეტილება 14.11.2017 - 73 IN 173/15.¹⁵⁷ სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევებში, ძალიან მნიშვნელოვანია, დაცული იყოს კრედიტორთა თანაბრობის პრინციპი. ჯგუფის ან ცალკეული კრედიტორის ნებისმიერმა შეღავათიანმა პოზიციამ შეიძლება სხვა ჯგუფი დააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში.¹⁵⁸ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ კრედიტორთა ჯგუფებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მე-2 ჯგუფის კრედიტორის მოთხოვნა ჩამოყალიბებულია განზრახ ჩადენილი დელიქტის საფუძველზე, შესაბამისად, ნარჩენი დავალიანების ჩამოწერა გამორიცხულია, ხოლო მე-3 ჯგუფის კრედიტორების მოთხოვნები ექვემდებარება ნარჩენი დავალიანების ჩამოწერა. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს თანაბარი რანგის პრივილეგირებული კრედიტორების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას, არაპრივილეგირებულ კრედიტორებთან

¹⁵⁶ See 3 L. King, *Collier on Bankruptcy* p 507.02, at 507-9 (15th ed. 1991). In section 507 of the Code, Congress listed all priorities in bankruptcy in the order in which they are to be paid. See *id.* p 507.02, at 507-11.

Unemployment taxes, the focus of this case, have seventh priority, along with other "unsecured claims of governmental units." See 11 U.S.C.A. Sec. 507(a) (7) (West Supp.1991). But the claims of governmental units listed in section 507(a) (7) have an advantage over most other priorities: they are non-dischargeable even if the governmental entity did not file a proof of claim. See 11 U.S.C.A. Sec. 523(a) (1) (A) (West Supp.1991).

¹⁵⁷ Cologne district court, resolution of November 14, 2017 - 73 IN 173/15, Paras 2-18 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199872.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁵⁸ Brünkmanns, Christian, Thole, Christoph, *Handbuch Insolvenzplan*, 1 st edition, 2016, § 19

მიმართებით. ამას ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის კოდექსის 245-ე მუხლის ფორმულირება. ეს ასევე ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, ყველა კრედიტორის თანაბარი მოპყრობის პრინციპს, რომელიც გამოხატულია გადახდისუუნარობის კოდექსის 294-ე პარაგრაფში.¹⁵⁹

როგორც ირკვევა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ გადახდისუუნარობის რომელი პროცედურა აქვს არჩეული მოვალეს. ამ შემთხვევაში მსგავსი მიდგომა ამართლებს, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახდისუუნარობის კანონმდებლობა წლებია მოქმედებს და გაკოტრების სხვადასხვა პროცედურა და შესაბამისად, რიგითობის განსხვავებული წესები მოვალეებისთვის დამაბნეველი არ არის. ზუსტად ასეთი მიდგომა, ვერ გავრცელდება საქართველოში რადგან ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკანონმდებლო მოწესრიგების პრაქტიკა რეალურად არ არსებობს.

რაც შეეხება, კრედიტორთა რიგითობის წესებს დიდ ბრიტანეთში, ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, გაკოტრებულის ქონების განაწილებისას, პრიორიტეტულად გადაიხდება ვალები, რომლებიც უპირატესია.¹⁶⁰ კანონმდებლობით მკაცრად არის განსაზღვრული კრედიტორების დაკმაყოფილების რიგითობა. შესაბამისად, მეორე დონის კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პირველი დონის კრედიტორები მთლიანად იქნებიან დაკმაყოფილებული. ესენია: (1) ფიქსირებული (უზრუნველყოფილი) კრედიტორები, ე. ი. კრედიტორები, რომელთა მიერ ფიზიკური პირებისთვის ან კომპანიებისთვის გაცემული სესხი უზრუნველყოფილია განსაზღვრული ობიექტით (მაგ. იპოთეკა შენობაზე/საწყობზე). (2) გადახდისუუნარობის პროცესის ხარჯები, ე. ი. ხელფასების ან ქირის ჩათვლით, პროფესიული და იურიდიული გადასახადები და ლიცენზირებული გაკოტრების პრაქტიკოსის ან ოფიციალური მიმღების საფასური და ხარჯები. (3) უპირატესი კრედიტორები.

¹⁵⁹ იქვე., § 20-22

¹⁶⁰ Insolvency Act 1986, Part IX, Bankruptcy [ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/part/IX> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ასევე მოიცავს HMRC საგადასახადო დავალიანებას, რომელიც კომპანიას ან ფიზიკურ პირს ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით გააჩნია (მაგ. კომპანიის დღგ ან დაგროვების ფულადი ვალდებულებები ან დღგ, რომელიც ფიზიკურ პირს ბიზნეს აქტივობებთან დაკავშირებით აქვს); (4) მიმდინარე გადასახადის კრედიტორები: კრედიტორები, რომელთა დაკრედიტება უზრუნველყოფილია აქტივების კლასის მიმართ (მაგ. „მარაგი“ საწყობში, მაგრამ არა კონკრეტული ნივთები ამ მარაგში). (5) არაუზრუნველყოფილი კრედიტორები: ეს კატეგორია ფარავს თითქმის ყველა სხვა კრედიტორს, მათ შორის საპენსიო სქემებს, კლიენტებსა და სავაჭრო ვალდებულებებს (trade creditors). გადახდისუუნარო კომპანიის ან ფიზიკური პირის (მაგალითად, კორპორაციული გადასახადი ან თვითშეფასებული საშემოსავლო გადასახადი) მიეკუთვნება ამ უკანასკნელ კატეგორიას.¹⁶¹ თუ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების სრული დაფარვაა შესაძლებელი, ხელმისაწვდომი თანხა იყოფა კრედიტორთა შორის თითოეული მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად.¹⁶²

როგორც ირკვევა, საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომა გადახდისუუნარობის პროცესში რიგითობის პრინციპთან დაკავშირებით მსგავსია. უპირობოდ პრიორიტეტულად განიხილება საპროცესო ხარჯების დაკმაყოფილების საკითხი და შემდეგ იწყება კრედიტორთა სხვადასხვა ჯგუფების დაკმაყოფილება.

თავისთავად, კრედიტორთა რიგითობის პრინციპი ასევე მკაცრად არის დაცული გერმანიაში. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი განასხვავებს უზრუნველყოფილ, არაუზრუნველყოფილ და დაქვემდებარებულ კრედიტორებს. უზრუნველყოფის მქონე კრედიტორებზე (მაგალითად იპოთეკარები და მოგირავნეები), მოქმედებს განსხვავებული რეჟიმი. კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კრედიტორებს, რომელთაც გააჩნიათ უზრუნველყოფილი მოთხოვნა, უფლებამოსილნი არიან კოდექსის 166-173 მუხლების საფუძველზე მოითხოვონ ცალკე დაკმაყოფილება.

¹⁶¹ THE INSOLVENCY FRAMEWORK, CREDITOR ORDER OF PRIORITY [ხელმისაწვდომია: <https://www.r3.org.uk/about-r3-insolvency-restructuring/about-insolvency-and-restructuring/the-insolvency-framework/creditor-order-of-priority/>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁶² Owed money from a bankrupt or a company in liquidation, Order of priority for repayment of creditors [ხელმისაწვდომია: <https://www.nibusinessinfo.co.uk/content/order-priority-repayment-creditors>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გადახდისუუნარობის კოდექსის თანახმად, უზრუნველყოფის მქონე კრედიტორებთან გათანაბრებული არიან: ა) მოვალის მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტორები; ბ) კრედიტორები, რომლებიც ნივთზე მფლობელობის უფლებით სარგებლობენ; გ) კრედიტორები, რომლებიც სარგებლობენ განგრძობადი დაკავების უფლებით სამოქალაქო კოდექსის თანახმად; გ) ფედერალური მთავრობა და მუნიციპალიტეტები.¹⁶³

უზრუნველყოფილ კრედიტორებს უფლება აქვთ რეალიზებული აქტივებიდან მოითხოვონ სრული დაკმაყოფილება (გადახდისუუნარობის ხარჯების გამოკლებით). იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა სრულად ვერ დაკმაყოფილდება, მოთხოვნის დარჩენილი ოდენობა ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნად.¹⁶⁴ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები 38-ე მუხლით განსაზღვრული გადახდისუუნარობის მასიდან იღებენ გადახდისუუნარობის გეგმით განსაზღვრულ კვოტას. რაც შეეხებათ დაქვემდებარებულ კრედიტორებს, მათი რიგითობა განსაზღვრულია კოდექსის 39-ე მუხლით.¹⁶⁵ აღსრულების ღონისძიებების გამოყენება მოვალის ქონებიდან რომელიმე გადახდისუუნარობის კრედიტორისათვის დაუშვებელია, სანამ არ დასრულდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. მოვალის ან სხვა პირების გადახდისუუნარობის კრედიტორთან ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მათ უპირატესობა ენიჭებათ, ბათილია.¹⁶⁶

კრედიტორების როლი და მათი უფლებამოსილების საკითხი გადახდისუუნარობის სამართლის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ¹⁶⁷ „

¹⁶³ Insolvency Code (InsO), Section 51 Section 51 Other persons entitled to separate satisfaction [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/51.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁶⁴ Dimmling, Andreas, The Insolvency Review: Germany, 2022 [ხელმისაწვდომი: <https://thelawreviews.co.uk/title/the-insolvency-review/germany>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁶⁵ ესენია, მაგალითად: პროცენტები და დაგვიანებით გადახდის ჯარიმები გადახდისუუნარობის კრედიტორების მოთხოვნებზე, რომლებიც მოქმედებენ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებიდანვე; კრედიტორების მიერ წარმოებაში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯები; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის წესით დაკისრებული ჯარიმები და ა.შ.

¹⁶⁶ Insolvency Code (InsO), Section 294 Equal treatment of creditors [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/294.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁶⁷ ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი, მსგავსად გერმანიის გადახდისუნარობის კოდექსისა, იცნობს კრედიტორთა კლასიფიკაციას, თუმცა რა თქმა უნდა, არის რიგი განსხვავებები, თუნდაც ტერმინოლოგიის ნაწილში. უზრუნველყოფილი კრედიტორის რანგში როგორც წესი, საბანკო დაწესებულებები და ისეთი პირები არიან, რომლებიც მოვალესთან შედარებით დომინირებულ პოზიციაში იმყოფებიან. უზრუნველყოფილი კრედიტორების რიგებს მიეკუთვნებიან ისეთი საფინანსო დაწესებულებებიც, როგორც არის შემოსავლების სამსახური, რომელსაც შეუძლია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად, გადასახადის გადამხდელის (მოვალის) ქონებას დაადოს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა და ამით მოიპოვოს უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი. სანივთო უზრუნველყოფის დროს იგულისხმება, რომ უზრუნველყოფის ინტერესის მფლობელს გააჩნია მესაკუთრის მსგავსი ინტერესი და წვდომა უზრუნველყოფის საგანზე და შესაბამისად, ის უწინარესად მისი დაკმაყოფილების მიზნით უნდა იქნას გამოყენებული. ეს მოცემულობა განაპირობებს უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებულ სტატუსს და იმ სპეციალურ უფლებამოსილებებს, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლის მიერ.

როგორც ირკვევა, საქართველოში იურიდიული პირის გადახდისუნარობის სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით დაახლოებით ისეთივე მიდგომას გვთავაზობს, როგორც საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნები. მაგალითად, მსგავსად გერმანიისა, ამ შემთხვევაშიც, უზრუნველყოფილი კრედიტორები განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ გადახდისუნარობის ფარგლებში.

უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებამოსილების ფარგლები მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობაში. 2007 წლის გადახდისუნარობის კანონმა კი არსებითად შეცვალა უზრუნველყოფილი კრედიტორის მარეგულირებელი წესები და ეს იყო პირველი ეფექტური ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა. უზრუნველყოფილ კრედიტორებმა ცვლილების შედეგად, დაკარგეს უზრუნველყოფის საგნიდან განცალკევებულად და უპირატესად დაკმაყოფილების უფლება და ამის სანაცვლოდ, ისინი კრედიტორთა

დაკმაყოფილების რიგითობაში პირველი აღმოჩნდნენ. ამრიგად, უზრუნველყოფილ კრედიტორთან მიმართებაში, გადახდისუუნარობის კანონმა შემოიღო მთელი რიგი სამართლებრივი წესებისა, რომელთა მიზანი, ერთი შეხედვით თითქოსდა ამ კრედიტორების ინტერესების დაცვა იყო, თუმცა, რეალურად კანონის ნორმები სრულიად დაუსაბუთებლად ზღუდავდა უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებს. სანივთო უფლების განხორციელების შეზღუდვის გარდა, ეს გამოიხატა იმაში, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების ერთ რიგში მოქცევით ფაქტობრივად აზრი დაკარგა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულმა რიგითობის წესმა.¹⁶⁸

ძველი კანონისგან განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა 2020 წელს მიღებულმა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა და აღმოფხვრა ის პრობლემა, რაც წლების განმავლობაში უზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებით არსებობდა. შედეგად, აღდგა უზრუნველყოფილი კრედიტორის უპირატესი წვდომა უზრუნველყოფის საგანზე. შემოსავლების სამსახურმა კი უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი დაკარგა, ხოლო არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს შესაძლებლობა მიეცათ გავლენა მოახდინონ რეაბილიტაციის პროცესზე.

სამართლებრივი რეგულირების სრულყოფად უნდა ჩაითვალოს ახალი კანონის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ლოგიკური და სამართლიანია ის, რომ კრედიტორს გადახდისუუნარობის რეჟიმშიც უნარჩუნდება უპირატესი უფლება ნივთზე. უზრუნველყოფის საგნის გადახდისუუნარობის მასიდან გამორიცხვის შედეგად, მეტად არის დაცული უზრუნველყოფის უფლებათა რიგითობა და ერთ ნივთზე რამდენიმე უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაშიც, ნარჩუნდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სანივთო უფლებების რიგითობა.

კრედიტორთა უფლება-მოვალეობების ფარგლების დადგენისას, კანონპროექტის მიღების პარალელურად, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ხშირად კრედიტორების მხრიდან შეინიშნება პასიურობა, რომ მონაწილეობა მიიღონ წარმოების პროცესში. კრედიტორების მხრიდან გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილეობაზე უარი როგორც წესი იქიდან გამომდინარეობს, რომ პროცესში

¹⁶⁸ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021,80

მონაწილეობისა და ზოგადად პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე ისინი საკუთარი თავისთვის უპირატესობას ვერ ხედავენ. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორთა მიმართ აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის გატარება მოხდეს, დანახული და მკვეთრად ხაზგასმული უნდა იქნეს მათი როლი გადახდისუუნარობის პროცესში მონაწილეობისას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, კრედიტორთა კოლექტიური მონაწილეობის ყველაზე მისაღებ ფორმებად კრედიტორთა კრებები და კომიტეტები მიიჩნევა. აუცილებლად, დეტალურად უნდა იქნეს დაზუსტებული, თუ როდის და რა სიხშირით უნდა მოხდეს კრედიტორთა კრების მოწვევა, ვის შეუძლია მისი მოწვევა, რა სახით ხდება კენჭისყრა და რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება კრედიტორთა კრების მოწვევა. ასევე მკაცრად უნდა იქნეს დადგენილი კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების მიღების წესი. როგორც როინ მიგრიაული წერს მის ნაშრომში,¹⁶⁹ კრედიტორთა კომიტეტების გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში, ყველაზე მეტად სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წააგავს, რომელიც აკონტროლებს დირექტორატს საერთო კრებებს შორის. თუმცა, შესაძლოა ამ მოდელისგან განსხვავებული პრაქტიკა იქნეს შერჩეული და იგი ფორმირებული იქნეს შემდეგნაირად: დავუშვათ შესაძლებლობა, რომ კრედიტორთა სხვადასხვა კომიტეტები შეიქმნას, რომლებშიც ერთიანდებიან საერთო მიზნისა და მსგავსი ინტერესების მქონე კრედიტორები. მსგავსი კომიტეტები საუკეთესო საშუალებაა კრედიტორთა მხრიდან ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობის გავლენის მოსახდენად.

უნდა აღინიშნოს, რომ არც 1996 წლის კანონში და არც 2005 წლის გადახდისუუნარობის კანონში არ იყო მოწესრიგებული კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხები, თუმცა, პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა სრულად მოაწესრიგა ეს საკითხი. კერძოდ, მე-13 მუხლი განსაზღვრავს კრედიტორთა კრების მოწვევისა და ჩატარების წესებს და ადგენს, რომ ამ კრების მოწვევისა და მის ორგანიზაციულად ჩატარებას უზრუნველყოფს სასამართლო. ასევე განსაზღვრულია როგორც უზრუნველყოფილ, ისე არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლება,

¹⁶⁹ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ.93

დაესწრონ ამ კრებას და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები. სწორედ ასეთი დეტალური ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონშიც კრედიტორთა მოწვევისას და ჩატარების წესი, რათა მათი მხრიდან ჩართულობა მეტად იქნეს წახალისებული. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს, რომ კრედიტორებს აქვთ უფლება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 10 პროცენტის დადებითი ხმით, მოიწვიონ კრედიტორთა კრება და ყველა იმ კრედიტორს, რომლის თხოვნაც აღიარებულია უფლება აქვს ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა ასეთ კრებებზე.

კანონი იცნობს კრედიტორთა პროცესში მონაწილეობის კიდევ ერთ წარმატებულ ფორმას, კერძოდ კრედიტორთა კომიტეტს, რომელიც კრედიტორთა უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით იქმნება. კანონი იმპერატიულად ადგენს კომიტეტის წევრთა რაოდენობასა და მისი არჩევის წესს. მსგავსი მიდგომა ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონმდებლობაშიც უნდა იქნეს ასახული, ვინაიდან არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავს პრაქტიკას.

გერმანულ კანონმდებლობას საკმაოდ დეტალური მოწესრიგება აქვს მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობასთან დაკავშირებით, რაც გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში ნაკლები კითხვის ნიშნების გაჩენას უზრუნველყოფს. საინტერესო მიდგომა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც. გერმანული სასამართლოები დიდ მნიშვნელობას ამახვილებენ კრედიტორების თანასწორობის პრინციპზე, რაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. მნიშვნელოვანია, რომ თანასწორობის პრინციპმა თავისი გამოხატულება იპოვოს საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონმდებლობაშიც, ვინაიდან ეს პრინციპი უზრუნველყოფს კრედიტორთა მხრიდან ჩართულობას პროცესში და მათი მოთხოვნების შეძლებისდაგვარად თანაბრად დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, კრედიტორთა რიგითობის განსაზღვრისას გერმანული მიდგომის გამოყენება საუკეთესო ვარიანტი იქნება.

ნათელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც საქართველოში, გამოიყენება კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობის წესები და ამერიკის კანონმდებლობაშიც არსებობს კრედიტორთა სხვადასხვა ტიპებს. ამ მიმართულებით ძირითადად ყველა მართლწესრიგი მსგავსია, თუმცა განსხვავებებიც შეიძლება

არსებობდეს. ვინაიდან, ამერიკის გადახდისუუნარობის კანონმდებლობა გაკოტრების სხვადასხვა პროცედურებს შეიცავს და ეს პროცედურები განსხვავდება იმისდა მიხედვით მოვალე ირჩევს მე-7 თავით გათვალისწინებულ პროცედურას თუ მე-13 თავით გათვალისწინებულს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთვის ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკანონმდებლო რეგულირება სიახლე იქნება, სასურველი არ არის სხვადასხვა ტიპის პროცედურების გათვალისწინება. აღნიშნული გამოიწვევს როგორც მოვალის დაბნევას, ასევე ამ პროცესში ჩართული უწყებების გაურკვეველობას. იმის გათვალისწინებით, რომ სიახლის მიმართ ხშირ შემთხვევაში საზოგადოებას გარკვეული მიუღებლობა აქვს, სასურველია ამ სიახლეების მიწოდება ეტაპობრივად მოხდეს, რათა მოვალეები ახლად ამოქმედებულ კანონს უნდობლობით არ შეხვდნენ. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება თუ გერმანულ მიდგომას გამოვიყენებთ და ერთ პროცედურას განვსაზღვრავთ, რომელიც საერთო იქნება ყველა გადახდისუუნარობის ფიზიკური პირისთვის. შესაბამისად, კრედიტორთა რიგითობის ნაწილში გერმანული სისტემის გამოყენება მეტად გონივრული იქნება.

როგორც ამერიკული და გერმანული პრაქტიკა აჩვენებს, მართალია გადახდისუუნარობის კანონის მიზანია ფიზიკური პირებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შეთავაზება და მათი გათავისუფლება ისეთი ფულადი ვალდებულებებისგან, რომლებიც მათ უკიდურესად მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში აყენებენ, უფლებელყოფილი არ უნდა იქნეს კრედიტორთა ინტერესები და უფლებები. შესაბამისად, აუცილებელია კანონპროექტში დეტალურად იყოს გაწერილი ისეთი რეგულაციები, რომლებიც კრედიტორთა ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმირების ნაწილი. მას შემდეგ, რაც დაიწყება საქმის წარმოება, კრედიტორებს უნდა ეცნობოთ აღნიშნულის შესახებ, გაეგზავნოთ შესაბამისი დოკუმენტაცია და განესაზღვროთ ვადა თავიანთი პოზიციის წარმოსადგენად. გარდა იმისა, რომ კრედიტორის ინფორმირება უნდა მოხდეს წარმოების დაწყების თაობაზე, მას გადახდისუუნარობის ადმინისტრატორმა ეტაპობრივად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გეგმის შესრულების შესახებ. კრედიტორს უნდა ჰქონდეს უფლება პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა კრედიტორთა

კრებაში ან სასამართლო სხდომაში და დააფიქსიროს თავისი მოსაზრებები გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, კრედიტორს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის შესაბამისად და ვადებში. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონპროექტის მიღება არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუწყობს ხელს ნორმალურ პირობებში დაბრუნდნენ და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაიწყო, არამედ კრედიტორებისთვისაც დადებითი ხასიათის მატარებელი იქნება, ვინაიდან ისინი შეძლებენ დაიკმაყოფილონ მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შანსები მინიმალური იქნებოდა სტანდარტულ პირობებში.

კრედიტორს ასევე უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინება, თუკი ეს გეგმა მის ინტერესებს არ შეესაბამება. მაგალითად იმ შემთხვევაში, თუკი გეგმაში არ არის გათვალისწინებული ყველა მისი ვალდებულება ან იგი სხვა კრედიტორებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებული. გერმანული კანონმდებლობა ამ მხრივ დიდ ყურადღებას ამახვილებს კრედიტორთა თანასწორობის პრინციპზე.¹⁷⁰

2.4. მოვალის უფლება-მოვალეობების ფარგლები

გადახდისუნარიანობის პროცესის ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განსაზღვრული როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლება-მოვალეობების ფარგლები. განსაკუთრებით კი, თუ იმის გათვალისწინებით, რომ მოვალე და კრედიტორი არიან ის სუბიექტები, რომელთა ინტერესების დაცვას ემსახურება გადახდისუნარიანობის რეგულირება. მოვალისათვის რეაბილიტაციისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო კრედიტორისთვის მოვალის რეაბილიტაციის ხარჯზე მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, მოვალის სამართლებრივი სტატუსი, მისი უფლებები და მოვალეობები მნიშვნელოვნად იმით იკვეთება, რომ საწარმო

¹⁷⁰ Cologne district court, resolution of November 14, 2017 - 73 IN 173/15, Paras 2-18 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199872.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ვალაუვალი ხდება. ამ ფაქტის დადგომამდე, მოვალე გვევლინებოდა არა მხოლოდ საწარმოს მესაკუთრედ, არამედ პირველ რიგში იმ პირად, რომელსაც ყველაზე მეტად ეხება საწარმოს წარმატება და წარუმატებლობა. როცა ჩნდებოდა დანაკლისი, ის მოვალეს უნდა ეტვირთა. შესაბამისად, როდესაც მოვალე ვალაუვალი ხდება, მისი ქონების ნებისმიერი სახით შემცირება კრედიტორებს აზარალებს. აქედან გამომდინარე, წარმოებას შედეგად მოსდევს ის, რომ მოვალის ქონებაზე კონტროლი კრედიტორთა ერთობლიობაზე გადადის.

თუმცა, მას ძირითადი უფლებები მაინც უნარჩუნდება. ამაში შედის მისი უფლება, თვითონ დაიცვას თავი ვალაუვალობის წარმოების გახსნისგან. მეორე მხრივ, მოვალეებს განსაკუთრებული ვალდებულებები აქვთ. კერძოდ, მათ ეკისრებათ ინფორმაციის სრულად და უტყუარად გაცემის ვალდებულება. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, მოვალემ უნდა გასცეს ინფორმაცია საწარმოს ყველა საქმის, ქონებისა და ვალდებულების შესახებ. გარდა ამისა, მოვალე ვალდებულია ინფორმაცია არა მხოლოდ გასცეს, არამედ დაეხმაროს მმართველს და მხარი დაუწიროს მას საქმის მიმდინარეობისას, მუდმივად მზად იყოს თანამშრომლობისთვის. ამაში იგულისხმება ისიც, რომ მოვალემ მმართველს უნდა მიაწოდოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში.

აღსანიშნავის ისიც, რომ ვალაუვალობის ზოგიერთი კანონი მოვალეს საკმაოდ ფართო უფლებებს ანიჭებს. ამასთან, ეს კანონები გარკვეულწილად შუალედურ პოზიციას იკავებენ, რითაც მოვალეს საშუალება ეძლევა რიგ შემთხვევებში სასამართლოს ან მმართველის მეთვალყურეობის ქვეშ გააგრძელოს საქმიანობა. ეს გამართლებულია იმით, რომ მოვალე ყველაზე კარგად იცნობს საწარმოს სპეციფიკას და მას ყველაზე მისაღები რეაბილიტაციის გეგმის შედგენა შეუძლია.

საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემუშავებისას, მოვალის უფლებების განსაზღვრის ნაწილში შესაძლებელია სინთეზურად იქნეს გამოყენებული ამერიკული და გერმანული მიდგომა¹⁷¹ და

¹⁷¹ GROSTOLLEN, NJP, CORPORATE AND PERSONAL LEGAL SERVICES Q&A: BANKRUPTCY AND INSOLVENCY FOR BANKRUPTCY AND INSOLVENCY IN GERMANY, 2018 [ხელმისაწვდომია: <https://www.ten-law.org/knowledge/bankruptcy-in-germany/> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

Insolvency Code (InsO), Section 287b , the debtor's obligation to acquire [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/287b.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მოვალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვროს შემდეგნაირად: მოვალეს, კრედიტორთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის, ასევე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიზნების გათვალისწინებით, უნდა შეეზღუდოს სასამართლოს თანხმობის ან გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმის საწინააღმდეგოდ, ვალდებულებების თავისი ინიციატივით შესრულება. თავისთავად, აქ ალიმენტი არ უნდა მოიაზრებოდეს. ასევე უნდა შეეზღუდოს მოძრავი და უძრავი ქონების განკარგვა, სესხის ან სხვა ნებისმიერი ფულადი ვალდებულების აღება, ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას მისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებები და დააზიანოს კრედიტორის ინტერესები. გარდა ამისა, მოვალის უნდა ჰქონდეს ვალდებულება, რომ გააგრძელოს საქმიანობა გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმის მოქმედების პერიოდში, შესაბამისად დაუსაბუთებლად სამსახურის დატოვება, საქმიანობის შეწყვეტა დაუშვებელი უნდა იყოს, თუ სასამართლოს ან ადმინისტრატორის თანხმობა არ იქნება წინასწარ გაცემული. მეტიც, მოვალე მუდმივად უნდა ცდილობდეს დასაქმდეს ან თუკი ექნება დასაქმების შემოთავაზება უსაფუძვლოდ უარი არ თქვას მასზე.¹⁷²

რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს. ვინაიდან, მოვალის უფლებების უსაფუძვლოდ და უსამართლოდ შეზღუდვა დაუშვებელია, სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით ობიექტურად გადაწყვიტოს უფლებამოსილების რა ფარგლები უნდა მიენიჭოს მოვალეს.

კანონში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, მოვალის მიერ ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად წარმოდგენის ვალდებულება. მოვალემ სწორი ინფორმაცია უნდა მიუთითოს განცხადებაში და ასევე სწორი, უტყუარი მონაცემები და დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს. მსგავს რეგულირებას ითვალისწინებს გერმანული კანონმდებლობაც და მიუთითებს, რომ მოვალის მხრიდან თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა სასამართლოს მიერ ნარჩენი ვალდებულებების

¹⁷² nsolvency Code (InsO), Section 287b , the debtor's obligation to acquire [ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/insol_287b.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ჩამოწერაზე უარის თქმა გამოიწვიოს.¹⁷³ კერძოდ, გერმანული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას მოვალის ვალეების ჩამოწერაზე, თუკი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე ან გადახდისუუნარობის თაობაზე განაცხადის წარდგენის შემდეგ, მოვალემ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, არაგონივრული მოქმედებებით, აქტივების გაფლანგვით ან საქმის გაჭიანურებით დააზარალა კრედიტორების ინტერესები, დაარღვია მისთვის კანონით დაკისრებული ინფორმაციის სწორად და დროულად მიწოდების ვალდებულება. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, მაგალითად როცა მოვალე გადახდისუუნარობის კოდექსის 287 (1) პარაგრაფის შესაბამისად, არ მიაწოდებს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო დოკუმენტაციას, არ წარმოადგენს მისი აქტივების შესახებ სრულ ინფორმაციას, რომელიც წარდგენილი იქნას 305 (1) პარაგრაფის მიხედვით. თავისთავად, მოცემულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია, რომ მოვალის ბრალეულობა იქნეს დადგენილი და საფუძველი მყარი და უტყუარი იყოს.¹⁷⁴

მოვალე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობისას კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეპყრას მის ქონებას, შემოსავლებსა და აქტივებს, რათა შეძლებისდაგვარად სრული მოცულობით მოხდეს კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება. ამასთანავე, კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით უნდა შეასრულოს გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმა. აუცილებელია, რომ მოვალემ გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმის სრულყოფილად შესრულების მიზნით, არ შეწყვიტოს საქმიანობა/შრომითი კონტრაქტი ასევე აქტიურად და კეთილსინდისიერად ეძებოს სამუშაო ან უკეთესი ანაზღაურებადი საქმიანობა, ამასთანავე, ყოველ პერიოდულად ერთხელ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს მიაწოდოს საბანკო ანგარიშის ამონაწერი ან შემოსავლების სამსახურიდან მოთხოვნილი ინფორმაცია.

¹⁷³ Insolvency Code (InsO) § 290 refusal of discharge of residual debt [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/290.html>] Cologne district court, resolution of June 30, 2017 - 71 IK 453/12 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199850.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁷⁴ Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen, WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.150-152

2.5. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მორატორიუმის არსი და პირობები

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ფარგლებში, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მორატორიუმის ინსტიტუტს, რომელიც შესაძლოა მოლაპარაკებების ხელშეწყობისა და რესტრუქტურირების მიღწევის მიზნებისთვის საუკეთესო საშუალება იყოს. თუმცა, შესაძლოა რიგ შემთხვევებში სასამართლომ უარი თქვას მორატორიუმის გამოყენებაზე, თუ მიიჩნევს რომ ეს მექანიზმი კონკრეტულ შემთხვევაში არ არის საჭირო მიზნის მისაღწევად.¹⁷⁵

მორატორიუმი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არის ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში დაიცვას გადახდისუუნარობის მასა.

შესაძლოა მორატორიუმის მეშვეობით ყველა ტიპის მოთხოვნის აღსრულების შეჩერება მოხდეს, მათ შორის უზრუნველყოფილი და პრეფერენციული კრედიტორების მოთხოვნებისაც კი. გამონაკლისი შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საწინააღმდეგოდ არსებობს კარგად დასაბუთებული განცხადება, რომ მოთხოვნის აღსრულების შეჩერება ხელს არ შეუშლის რესტრუქტურირების პროცესს, ასევე იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი დაასაბუთებს, რომ მორატორიუმის გამოყენებით მას მიაღებება გამოუსწორებელი ზიანი.

აღსანიშნავია, რომ მორატორიუმის თავდაპირველი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ეს ვადა გაგრძელდეს ან ახალი მორატორიუმი დაწესდეს მოვალის ან კრედიტორის მოთხოვნით. თავისთავად, ამ შემთხვევაში სასამართლო ითხოვს დასაბუთებულ განცხადებას. ეს შეიძლება გულისხმობდეს იმას, რომ მოლაპარაკებებში გარკვეული პროგრესი არსებობს, გაგრძელება ზიანს არ მიაყენებს გეგმაში ჩართულ მხარეებს ან მოვალის მიმართ არ არის გახსნილი გადახდისუუნარობის სხვა პროცესი, რომელიც გაკოტრებით შეიძლება დასრულდეს. კანონმდებლობით დადგენილია, რომ ჯამში მორატორიუმის

¹⁷⁵ მუხლი 6, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მორატორიუმის ან მისი ნაწილის გარკვეულ შემთხვევებში გაუქმება. კერძოდ, თუ მაგალითად მორატორიუმი ვედარ /ადარ ასრულებს თავის ფუნქციას, ასევე მოვალის ან პრაქტიკოსის მოთხოვნის საფუძველზე ან თუ მორატორიუმი გაუმართლებელ ზიანს აყენებს კრედიტორებს ან კრედიტორთა ჯგუფს.

მორატორიუმის გამოყენებით ჩერდება მოვალის კანონისმიერი ვალდებულება გაკოტრების საქმის წამოწყებაზე.¹⁷⁶ ასევე ჩერდება მესამე პირების აღსრულების პროცესები. კრედიტორებს არ უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ გადახდისუუნარობის პროცესი არის დაწყებული. ვინაიდან, ხელშეკრულების შეწყვეტა საფრთხეს უქმნის ბიზნესს, რათა მან გააგრძელოს საქმიანობა რესტრუქტურისაციის მოლაპარაკების დროს.¹⁷⁷

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კრედიტორებს, რომლებზეც ვრცელდება ინდივიდუალური სააღსრულებო წარმოების მორატორიუმი ან რომელთა მოთხოვნებიც, რომლებიც წარმოიშვა მორატორიუმის ამოქმედებამდე, არ დაკმაყოფილებულა მოვალის მიერ, არ უნდა შეეძლოთ უარი თქვან შესრულებაზე ან შეწყვიტონ, დააჩქარონ ან რაიმე ფორმით შეცვალონ ძირითადი, მიმდინარე კონტრაქტები მორატორიუმის პერიოდში იმ პირობით, რომ მოვალე აკმაყოფილებს თავის სახელშეკრულებო მოვალეობებს, რომელთა შესრულების დრო ემთხვევა მორატორიუმის პერიოდს.¹⁷⁸

როგორც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს 55-ე მუხლში, სასამართლოს მიერ მოვალის განცხადების დასაშვებად ცნობის შემდეგ, ავტომატურად ამოქმედდება მორატორიუმის ისეთი ღონისძიებები, როგორებიც არის: მოვალის ქონების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, ხოლო ახალი ღონისძიებების დაწყება არ დაიშვება. ასევე ჩერდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები,

¹⁷⁶ მუხლი 7, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

¹⁷⁷ რეციტალი 41, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

¹⁷⁸ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, 153

როგორებიც არის საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა და სხვა ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ჩერდება და არ დაიშვება უზრუნველყოფის საგნიდან კრედიტორის დაკმაყოფილება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ასევე ჩერდება პირგასამტეხლოს დარიცხვა და გადახდა და საპროცესო უზრუნველყოფის ახალი ღონისძიებების გამოყენება.

სასამართლოს უფლება აქვს კრედიტორის, მოვალის, მმართველის ან სხვა დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე გამოიტანოს განჩინება მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია მოვალეს შეუზღუდოს ან აუკრძალოს ქონების განკარგვა, მათ შორის ამ ქონების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა. გარდა ამისა, სასამართლო უფლებამოსილია მოვალის კრედიტორებს აუკრძალოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების მოვალისთვის მიწოდების შეწყვეტა, წარმოების დაწყების გამო. ასევე გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც კანონით მართალია პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა მიზანშეწონილია საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მისი გამოყენება.

რაც შეეხება მორატორიუმის ღონისძიების გაუქმებას, როგორც წესი სასამართლოს მხრიდან მორატორიუმის ღონისძიების გაუქმება კრედიტორის, მოვალის, მმართველის ან სხვა დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე ხდება.

მსგავსი მოწესრიგებაა გერმანულ კანონმდებლობაშიც. ვინაიდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მიზნად ისახავს ყველა კრედიტორის თანაბარ დაკმაყოფილებას, გადახდისუუნარობის კოდექსის 87-ე მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ ჩვეულებრივ კრედიტორებს უფლება აქვთ აღასრულონ თავიანთი მოთხოვნები მხოლოდ გადახდისუუნარობის პროცესის მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად. ამრიგად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება იწვევს აღსრულების პროცედურის შეჩერებას, რაც ხელს უშლის ჩვეულებრივ კრედიტორებს, გადახდისუუნარობის მასის ან მოვალის სხვა ქონების მიმართ გადახდისუუნარობის განახორციელონ თავიანთი მოთხოვნები.¹⁷⁹

¹⁷⁹ (მუხლი 89(1) InsO).

აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან, დაწყებული აღსრულების პროცედურა ავტომატურად ჩერდება, იმისდა მიუხედავად, იცოდა თუ არა კრედიტორმა საქმის დაწყების შესახებ და მოითხოვა თუ არა მოვალემ აღსრულების შეჩერება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას მოვალე კარგავს მასის სახელით სამართლებრივ მოქმედებებში მონაწილეობის უფლებას. ეს უფლება ენიჭება გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს, როგორც სასამართლო პროცესის მხარემ თავისი თანამდებობის ძალით. ამიტომ, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს შეუძლია საკუთარი სახელით განაცხადოს გადახდისუუნარობის მასის კუთვნილი მოთხოვნები.¹⁸⁰

როგორც მითითებულია BGH, 25.09.2014 - IX ZB 117/12 გადაწყვეტილებაში, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, დაუშვებელია ინდივიდუალური აღსრულება. გადახდისუუნარობის საქმის ფარგლებში, კრედიტორზე ვრცელდება კოდექსის 89-ე პარაგრაფით გათვალისწინებული აღსრულების შეზღუდვის წესები. აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ გადახდისუუნარობის საქმის მიმდინარეობისას, დაუშვებელია კრედიტორების მხრიდან იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენება მოვალის გადახდისუუნარობის მასაში არსებულ ან სხვა ნებისმიერ აქტივზე.¹⁸¹ აღნიშნული მუხლში გათვალისწინებული აკრძალვა გამოყენებული უნდა იქნეს ex officio პრინციპით. (BGH, 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება - IX ZB 300/11, WM 2013, 939 Rn. 8 mwN).¹⁸²

ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონის მიზნებისთვის აუცილებელია, რომ მორატორიუმის საკითხი გათვალისწინებული იქნეს ფიზიკური პირის გაკოტრების პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ გაკოტრების პროცესი მიზნად ისახავს მოვალის გადარჩენასა და კრედიტორების დაკმაყოფილებას, დაუშვებელია საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მოვალემ თვითნებურად, გადახდისუუნარობის

¹⁸⁰ Federal Court of Justice, judgment of 22 January 2004 – IX ZR 39/03 [ხელმისაწვდომია: <https://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bgh&Art=en&Datum=2004&Seite=97&nr=28446&pos=2915&anz=3087>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁸¹ Insolvency Code (InsO), § 89 Prohibition of Enforcement [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/89.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

¹⁸² BGH, decision of 09/25/2014 - IX ZB 117/12 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/740960.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გეგმის ფარგლებს გარეთ ან ადმინისტრატორთან შეუთანხმებლად განახორციელოს რომელიმე კრედიტორის დაკმაყოფილება. ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს არა მხოლოდ სხვა კრედიტორებს, არამედ თავად მოვალის ინტერესებსაც.

თავი III. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის სამოქალაქო

სამართალწარმოების თავისებურება

3.1. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესი და შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, რიგ შემთხვევებში თავად კრედიტორები მიმართავენ სასამართლოს მოვალის მიმართ გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით. შესაბამისად, როდესაც კრედიტორს შეაქვს სასამართლოში განაცხადი ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა მისი მხრიდან ან სასამართლოს ინიციატივით გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სხვადასხვა ღონისძიებები.

გერმანულ კანონმდებლობაში გადახდისუნარობის სასამართლოს მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, კრედიტორებისთვის მოვალის ფინანსური მდგომარეობით გამოწვეული ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით, სასამართლო იღებს ყველა აუცილებელ ზომას. ამ ღონისძიებების ფარგლებში, შეიძლება სასამართლოს მიერ დანიშნული იქნეს გადახდისუნარობის დროებითი ადმინისტრატორი, ასევე დანიშნული იქნეს კრედიტორთა დროებითი კომიტეტი. შესაძლებელია, ასევე დაწესდეს ზოგადი აკრძალვა მოვალეზე ქონების განკარგვის შესახებ ან დაწესდეს რომ მოვალის მიერ ქონების/შემოსავლის განკარგვა მოითხოვს დროებითი გადახდისუნარობის ადმინისტრატორის თანხმობას, ასევე დაწესდეს მოვალის მიმართ აღსრულების ღონისძიებების აკრძალვა ან დროებითი შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება უძრავ ნივთებს. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ შესაძლებელია სასამართლომ გამოსცეს ბრძანება იმის თაობაზე, რომ აქტივები, რომლებიც დაფარული იქნება 166-ე მუხლით (მოდრავი ქონება), არ იყოს რეალიზებული ან არ იქნას გადაცემული კრედიტორისთვის და რომ ასეთი აქტივები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოვალეთა საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირებისთვის იმდენად, რამდენადაც ისინი ამ მიზნისთვის არსებითი მნიშვნელობისაა. თუ სხვა მიღებული ზომები არასაკმარისია, მოვალე შეიძლება აიძულონ, გამოცხადდეს სასამართლოს წინაშე და მოსმენის შემდეგ დააკავონ.¹⁸³

ამ მხრივ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქმეზე OLG Frankfurt am Main, decision of 03.06.2009 - 3 Ws 214/09, სადაც სასამართლომ იმსჯელა იმასთან

¹⁸³ Insolvency Code (InsO), § 166 opening application of the debtor [ხელმისაწვდომია:<https://www.gesetze-im-internet.de/insol/166.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

დაკავშირებით, რომ გაკოტრების საქმის წარმოება თავისთავად ანაცვლებს აღსრულების საქმის პროცესს. სასამართლომ მოცემულ საქმეში მიუთითა, რომ კრედიტორს, ამ შემთხვევაში კი მოსარჩელეს, მაშინ უნდა განუხორციელებინა თავისი მოთხოვნა, როდესაც მას სასამართლომ 2007 წლის 2 თებერვლის ბრძანებით მიანიჭა იმის უფლება, რომ მოთხოვნის დაუყოვნებლივ აღსრულება მოეხდინა. მიუხედავად ამისა, კრედიტორს რაიმე სახის აღსრულების ღონისძიება არ განუხორციელებია და მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ განაცხადა პრეტენზია მოთხოვნასთან დაკავშირებით. სასამართლომ სწორედ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ მან თავისი მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობა დროულად არ გამოიყენა და განმარტა, რომ გადახდისუუნარობის კოდექსის 89-ე პარაგრაფის მიხედვით, ინდივიდუალური კრედიტორების მიერ იძულებითი აღსრულების მექანიზმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე.¹⁸⁴

საქართველოს შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესი. კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების თაობაზე განაცხადის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სასამართლოს უნდა ჰქონდეს იმის უფლებამოსილება, რომ გარემოებების შეფასების შედეგად გადაწყვიტოს გამოიყენოს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიება. აქ იგულისხმება ის, რომ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს არის თუ არა მიზანშეწონილი მოვალეს აკრძალოს ან შეეზღუდოს ქონების განკარგვა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს აკრძალვა ყველა შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული. სასამართლომ ინდივიდუალური მახასიათებლების სრულად გამოკვლევის შედეგად უნდა გადაწყვიტოს აკრძალვის ან შეზღუდვის დაწესების საკითხი.

¹⁸⁴ OLG Frankfurt am Main, decision of June 3rd, 2009 - 3 Ws 214/09 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/302285.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

3.2. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის შერჩევის თავისებურება, მისი უფლებამოსილების ფარგლები

გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი გადახდისუუნარობის გახსნიდან პროცესის დასრულებამდე უდიდეს როლს თამაშობს. შეიძლება ითქვას ადმინისტრატორი გადახდისუუნარობის პროცესის მთავარი ფიგურაა, რომელსაც ევალება კრედიტორებისა და მოვალეს ინტერესების დაცვა, მოვალის რეაბილიტაციისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობა და კრედიტორთა ინტერესების დაცვა. გარდა ამისა, გადახდისუუნარობის გეგმის შედგენა და მის შესრულებაზე მონიტორინგი. შესაბამისად, გაკოტრების მმართველზე მთლიანად დამოკიდებული გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობა.

საქართველოში ამ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ ბუნდოვანი ნორმები არსებობდა. გადახდისუუნარობის რეფორმამდე, გადახდისუუნარობის პროცესში მეურვისა და რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველის როლს სხვადასხვა პირები ასრულებდნენ, მაშინ როდესაც მსოფლიოს მართლწესრიგების უმეტესობა ამ ყველაფერს ერთი პირის ფუნქციების ქვეშ აქცევს. საქართველოში ამ პრობლემის აღმოფხვრის გზა 2020 წლის რეფორმა აღმოჩნდა. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ტერმინი გაკოტრების მმართველი შეცვლილია და მას გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ეწოდება. კანონმა შემოიტანა და საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის სტატუსი, რომელსაც საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები მიანიჭა.¹⁸⁵ ამავე მუხლის თანახმად, პრაქტიკოსი არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა. დღეს მოქმედი კანონით, იურიდიული პირის გაკოტრების პროცესში გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობის წესი დეტალურად არის განსაზღვრული. მისი შერჩევა ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

¹⁸⁵ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“

კანონი ასევე ითვალისწინებს პრაქტიკოსის აცილების წესებს. რიგ შემთხვევებში, პრაქტიკოსს აქვს ვალდებულება, რომ თვითააცილება მოახდინოს საქმეზე, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება, როგორც არის პრაქტიკოსის მხრიდან პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ საქმის შედეგით დაინტერესება, თუკი პრაქტიკოსი მხარის ან წარმომადგენლის ნათესავია ან თუ თავად არის მხარე ან აღნიშნული საქმის რომელიმე მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს.

1) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი - დღეს მოქმედი კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოს საკმაოდ ბევრი ფუნქციები აქვს. კერძოდ, იგი რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის, გაკოტრების/რეაბილიტაციის ზედამხედველის/მმართველის ფუნქციებს ახორციელებს. რეაბილიტაციისა და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონმა იურიდიული პირების გადახდისუუნარობის პროცესში სიახლე შემოიტანა და რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი დაამკვიდრა, რომლის მიზანია, მოვალის როგორც მოქმედი ბიზნეს სუბიექტის შენარჩუნება, რაც მის ლიკვიდაციას გამორიცხავს. კანონი ადგენს, რომ მოვალე უფლებამოსილია განახორციელოს რეგულირებული შეთანხმების განხორციელება. შესაბამისად, მოვალის მხრიდან ამ შეთავაზების შესახებ პრაქტიკოსისთვის წერილობით შეთანხმების გაგზავნიდან 5 დღის ვადაში, უნდა აცნობოს მოვალეს თანხმობა. რეგულირებული შეთანხმების შესახებ შეთავაზების განზრახვისა და შეთავაზების პირობების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა მოვალეს უნდა წარუდგინოს ანგარიში ორ ძირითად საკითხზე: აქვს თუ არა რეგულირებულ შეთანხმებას დამტკიცებისა და განხორციელების გონივრული პერსპექტივა და აქვს თუ არა მოვალეს საკმარისი ფულადი სახსრები, რათა საქმიანობა მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში განაგრძოს.¹⁸⁶

რეგულირებული შეთანხმების პროცესში ზედამხედველი, ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს: ა) რეგულირებული შეთანხმების საფუძველზე და მის შესრულებასთან წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით

¹⁸⁶ გველესიანი ჯ., კოჭლაშვილი ა., ამისულაშვილი ნ., მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირების შესახებ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021, გვ.101-102

გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თუ პრობლემა შეექმნება; ბ) მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არ სრულდება რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები, ან/და კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით, სასურველია რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნა. გ) რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტის განცხადებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს, როგორც რეგულირებული შეთანხმების განსაზღვრულ ვადაში შესრულებამ, ასევე რეგულირებული შეთანხმების დარღვევამ.

2) რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი - განსხვავებით 2020 წლამდე არსებული რეგულირებისგან, როდესაც რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი მხოლოდ მას შემდეგ აირჩეოდა, რაც სასამართლო დაამტკიცებდა მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას საწარმოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების შესახებ, ახალი კანონით, რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველად/ზედამხედველად პირის შერჩევის პროცედურას სასამართლო იწყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების მიღებისთანავე. ამ წესით შერჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება მმართველად/ზედამხედველად მისი მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ, რათა მაქსიმალურად დროულად იქნეს უზრუნველყოფილი იმ გარემოებების შესწავლა და მომზადება, რომლებიც გავლენას ახდენს მმართველის/ზედამხედველის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებაზე.

მიუხედავად გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემით შერჩევის პრინციპის დანერგვისა, აღნიშნული მაინც არ გამორიცხავს კრედიტორთა ჩართულობას გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის შერჩევის პროცესში. ამ მიმართებით, პირველად რეესტრში შემავალ კრედიტორთა კრება, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს იმ კრედიტორებს, რომელთა შესახებაც საქმეში მოიპოვება ინფორმაცია, უფლებამოსილია, სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებამდე, ხმის უფლების მქონე დამსწრე კრედიტორთა 2/3-ის უმრავლესობით აირჩიოს რეაბილიტაციის/გაკოტრების სხვა მმართველი და ამის შესახებ აცნობოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში, სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის

გახსნის თაობაზე განჩინებით, მმართველად დანიშნავს კრედიტორთა კრების მიერ არჩეულ პირს.¹⁸⁷

როგორც უკვე აღინიშნა, მას შემდეგ რაც სასამართლო დასაშვებად ცნობს განცხადებას გადახდისუუნარობის შესახებ, იგი დაუყოვნებლივ ატყობინებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნისა და მისი მმართველად დანიშვნის შესახებ. მისი უფლებამოსილების განხორციელებისას, მმართველი თანხმობას გასცემს ისეთი გარიგებების დადებაზე, რომელიც იდება 2 თვეზე მეტი ვადით; რომელიც სცილდება მოვალის ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას; რომლის ღირებულებაც წინა წლის ბრუნვის 30%-ს აღემატება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უმნიშვნელოვანესი როლისა, გადახდისუუნარობის პროცესში, მისი ქმედება მაინც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, თუ მმართველი უარს განაცხადებს გარიგებაზე თანხმობის გაცემაზე, მისი გადაწყვეტილება საბოლოოდ არ ჩაითვლება და მოვალეს შეუძლია ნებართვის გაცემის მოთხოვნის განცხადებით სასამართლოს მიმართოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მმართველი კონტროლს ახორციელებს მოვალის მიერ ქონების განკარგვაზე. მმართველის ერთ-ერთ ფუნქციას სასამართლოსთვის ანგარიშების წარდგენა, რისთვისაც იგი სწავლობს კრედიტორების მოთხოვნებს, ადგენს მათ რეესტრს განცხადების დასაშვებად ცნობიდან 60 დღის ვადაში. ამ ფუნქციის განხორციელებისას, მმართველი ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს და ასახოს რეესტრში ყველა კრედიტორი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნა მოვალის მიმართ. ამ პროცესში ის უფლებამოსილია მოვალისგან გამოითხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მის ქონებას, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობასა და მიმდინარე დავებს ეხება.

გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანია მმართველის მიერ კრედიტორებთან თანამშრომლობის ფუნქცია, მათთვის რთულ ინფორმაციის მიწოდება და მოვალის ინტერესებთან ერთად, კრედიტორების კანონიერი უფლებების დაცვა. მეტიც, კანონი რიგ შემთხვევებში აძლევს მმართველს უფლებას, დასაბუთებული შუამდგომლობით

¹⁸⁷ გველესიანი ჯ., კოჭლაშვილი ა., ამისულაშვილი ნ., მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირების შესახებ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021, გვ.103-104

მიმართოს სასამართლოს და საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვოს მოვალის მართვის უფლების სრულად გადაცემა.

საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს კრედიტორთა კრების მოსაწვევად. იგი, ასევე უფლებამოსილია მიიღოს, გამოითხოვოს და გაეცნოს მოვალის საქმიანობის ანგარიშს და მოითხოვოს სრული წვდომა მოვალის ქონებაზე, ყველა საბუღალტრო და საფინანსო ჩანაწერზე, სამეწარმეო დოკუმენტაციაზე, გარიგებებზე, მათ შორის, ელექტრონულად და კომპიუტერული პროგრამის სახით, რაც ბუნებრივია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებული ინფორმაციების გარეშე, შეუძლებელი იქნება რეალური რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება. რეაბილიტაციის ზედამხედველი უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მოვალეს კრედიტორული მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ უარყოფაზე ან აღიარებაზე და მასთან ერთად შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი ან გეგმის გადასინჯვის პროექტი.

თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია მიიღოს ზომები მოვალის წარმოების შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად, მოვალის სახელით განახორციელოს ყველა ქმედება, გადაიბაროს და პირად განკარგულებაში მიიღოს მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, საბუთი, საბუღალტრო ჩანაწერი და წიგნი, მათ შორის, ელექტრონულად ან ნებისმიერი სხვა ფორმით, მოიწონოს ან შეწყვიტოს მოქმედი ხელშეკრულებები, დადოს ახალი ხელშეკრულებები და განახორციელოს სხვა ფუნქციები, რომელიც აუცილებელია მოვალის საწარმოს რეაბილიტაციისთვის. აღსანიშნავია, რომ უფლებათა ნაწილს, რეაბილიტაციის მმართველი ახორციელებს კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, ხოლო თუ კრედიტორთა კომიტეტი არ არის შექმნილი კრედიტორთა კრების თანხმობით.¹⁸⁸

რაც შეეხება გაკოტრების მმართველს, იგი ვალდებულია გაკოტრების პროცესის ფარგლებში, მოიძიოს ქონება და დააზუსტოს გადახდისუუნარობის მასა. გარდა ამისა, განახორციელოს ამ მასაში ქონების რეალიზაცია და გაანაწილოს იგი კრედიტორებს შორის. კანონი განმარტავს, რომ გაკოტრების მმართველმა უფლებამოსილებები უნდა განახორციელოს შეძლებისდაგვარად სწრაფად და ეფექტიანად, მოვალის

¹⁸⁸ იქვე, 105-106

კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინებით. თავისთავად, კანონის მთავარი მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეაბილიტაციის გზით მიღებული თანხის განაწილების გზით.

რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებების ფარგლებთან დაკავშირებით, საინტერესო გადაწყვეტილება აქვს მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.¹⁸⁹ როგორც გადაწყვეტილებაშია მითითებული 2014 წლის 25 მარტის განჩინებით დამტკიცდა სააქციო საზოგადოების კრედიტორთა მიერ კრედიტორთა კრებაზე რეაბილიტაციის მმართველსა და დირექტორს შორის უფლებამოსილებათა განსაზღვრის შესახებ ცვლილებების პროექტი. ამ პროექტის თანახმად, განისაზღვრა, რომ საწარმოს წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი, რეაბილიტაციის მმართველთან შეთანხმდებით. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე ხელშეკრულებების (გარიგებების) დადებასა და არსებული ხელშეკრულებების (გარიგებების) შეწყვეტაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა დირექტორი, თუ ცალკეულ შემთხვევებში არსებული ან დასადები ხელშეკრულების ღირებულება არ აღემატებოდა 25 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული ხდებოდა რეაბილიტაციის მმართველის წინასწარ თანხმობაზე. ამ პუნქტის მიზნებისათვის საოპერაციო ხელშეკრულება (გარიგება) ნიშნავდა გარიგებას რომელიც ეხებოდა საქონლის შესყიდვა/გაყიდვას, კომუნალური გადასახადების გადახდას. ამავე პუნქტის თანახმად დადგინდა, რომ საწარმოს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ შესაბამისი შეზღუდვები, აგრეთვე რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებები უნდა დარეგისტრირებულიყო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში.

საქმეში განსახილველ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ის, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შემდეგ, განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის (მეექვსე რიგი) მოთხოვნის დაკმაყოფილება სამ ეტაპად. მოცემულ შემთხვევაში,

¹⁸⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/4951-17,

დადგენილია, რომ თანხის ეტაპობრივად დაფარვის შესახებ შეთანხმება ხელმოწერილი იყო დირექტორის მიერ, რომელსაც უფლებამოსილება ჰქონდა შეზღუდული და მსგავსი შეთანხმების დადებისთვის ესაჭიროებოდა მმართველის თანხმობა. მოპასუხემ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ დირექტორი არ იყო უფლებამოსილი შეთანხმების ხელმოწერაზე და საჭირო იყო რეაბილიტაციის მმართველის თანხმობა, მოპასუხისათვის არ იყო ცნობილი და ვერც იქნებოდა ცნობილი, ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში დირექტორის არანაირი უფლებამოსილების შეზღუდვა დაფიქსირებული არ იყო, ხოლო უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმება დირექტორსა და რეაბილიტაციის მმართველს შორის არ იყო სათანადო წესით რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული კი გამორიცხავდა გარიგების ბათილად მიჩნევის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს. დადგინდა, რომ სააქციო საზოგადოება იმყოფება გადახდისუუნარობის რეჟიმში და მის მიმართ მიმდინარეობს რეაბილიტაციის საქმის წარმოება. საზოგადოების ამონაწერში ხელმძღვანელ პირებად დარეგისტრირებული იყვნენ დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი. სასამართლო განჩინებით კი გამიჯნული იყო დირექტორსა და რეაბილიტაციის მმართველს შორის უფლებამოსილებები, რომელიც არ იყო სათანადო წესით რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ მიუხედავად დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის არარსებობისა, მოპასუხესთან 2015 წლის 01 ივლისს დადებული გარიგება ბათილია, ვინაიდან მხარე მონაწილეობდა გადახდისუუნარობის პროცესში, იგი აღიარებულია კრედიტორად და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი.

სასამართლოს განმარტებით, საზოგადოების, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმისწარმოების შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო პირების რეესტრში ასახვა და მხარეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით რეესტრში არარსებული და დაურეგისტრირებელი მონაცემების გამო.

მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში ასახული იყო, რომ სააქციო საზოგადოების მიმართ მიმდინარეობდა რეაბილიტაციის საქმისწარმოება, ხოლო ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებად მითითებული

იყვნენ დირექტორი და გაკოტრების მმართველი. აღნიშნული ინფორმაციის ასახვა სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა სასამართლოს მიერ თანახმად „გადახდისუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისა, შესაბამისად განჩინებით, რომლითაც დამტკიცდა უფლებამოსილების გამიჯვნის დოკუმენტი არ განსაზღვრულა სააქციო საზოგადოების ვალდებულება, რომ დოკუმენტის რეგისტრაცია მოეხდინა სამეწარმეო რეესტრში; უფლებამოსილებათა გამიჯვნის დოკუმენტი დამტკიცდა კრედიტორთა კრებაზე და აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდა მოსარჩელე, როგორც კრედიტორი. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები.

სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო და მას უნდა სცოდნოდა იმის თაობაზე, რომ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება გამიჯნული იყო დირექტორსა და გაკოტრების მმართველს შორის. შესაბამისად, დირექტორის მხრიდან დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი მან წინასწარ იცოდა.

როგორც წესი, სამართლის სისტემების უმეტესობა მოვალეს არ აძლევს უფლებას გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში განკარგოს თავისი ქონება. ეს უფლებამოსილება გაკოტრების მმართველს აქვს მინიჭებული. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს აშშ-ს გაკოტრების კოდექსის მე-11 თავი, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის რეორგანიზაციას და არა მის ლიკვიდაციას. ამ შემთხვევაში, მოვალე რჩება თავისი ქონების მმართველად. მსგავსი მოწესრიგება არსებობს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც, რომელთა მიხედვით, მოვალე მეტწილად რჩება ქონების მმართველად, თუმცა გაკოტრების მმართველის, სასამართლოს ან კრედიტორების ზედამხედველობით. სხვადასხვა სისტემა გაკოტრების მასის მმართველისთვის სხვადასხვა ტერმინსა და უფლებამოსილების ფარგლებს გვთავაზობს. მმართველს შესაძლოა ჰქონდეს შეზღუდული კომპეტენცია და იგი მხოლოდ დროებით მმართველად დაინიშნოს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი გაკოტრების მმართველი, ამერიკული გაკოტრების კოდექსი მას მეურვედ მოიხსენიებენ, ხოლო გერმანულ კანონმდებლობაში მას

გადახდისუნარობის ადმინისტრატორი ეწოდება. თუმცა, რაც ყველა სისტემას აერთიანებს არის ის, რომ გადახდისუნარობის ადმინისტრატორს მთავარი როლი აქვს გადახდისუნარობის კანონის ეფექტურად გამოყენების მიზნით.¹⁹⁰ მმართველის ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და პირადი თვისებები არის წარმოების სწორად მიმდინარეობისა და ეფექტურად აღსრულების მიმართ ნდობის საფუძველი.¹⁹¹

ანგლოამერიკულ სამართალში, მსგავსად კონტინენტური ევროპისა გაკოტრების საქმის წარმოების ფარგლებში მეურვეს უმნიშვნელოვანესია ფუნქციები აკისრია. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაკოტრების საქმის დაწყება ქმნის გაკოტრების მასას, რომელიც შედგება მოვალის აქტივებისგან, რომლებიც მას საქმის დაწყების მომენტისთვის გააჩნდა, მათ შორის სხვა პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონების ჩათვლით. სწორედ ამ გაკოტრების მასის ზედამხედველობა ევალება მეურვეს.

მეურვე უფლებამოსილია შეაფასოს მოვალის მიმართ არსებული სხვადასხვა მოთხოვნები, ასევე რეკომენდაცია გაუწიოს ამ მოთხოვნებს სასამართლოში. მაგრამ, მას არ შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, სასამართლოს თანხმობის გარეშე. თავისთავად, გაკოტრების მეურვის მოვალეობები საქმის ტიპის მიხედვით განსხვავდება. გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებულ საქმის წარმოების ფარგლებში, მეურვის როლია, მართოს არასაგამონაკლისო ქონების რეალიზაციის პროცესი და ადმინისტრირება გაუწიოს შემოსავლების განაწილებას კრედიტორებზე (11 U.S.C. §§ 701, 704). მე-13 თავის შემთხვევაში, მეურვის როლი მოვალის ყოველთვიური გადასახადების მიღებასა და გადახდის გეგმის შესაბამისად მათ კრედიტორებზე განაწილებაში მდგომარეობს.¹⁹²

მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს არ ესაჭიროება მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა მე-7 თავით გათვალისწინებული საქმის წარმოების შემთხვევაში, მისი ინტერესებიდან გამომდინარე ან

¹⁹⁰ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ.70

¹⁹¹ UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter III, 35-e muxli.

¹⁹² Legal Information Institute, Bankruptcy trustee [ხელმისაწვდომია:

https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_trustee , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გირავნობის/იპოთეკის შესანარჩუნებლად, შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნის წარდგენის სხვა მიზეზები. მე-7 თავის საქმეში კრედიტორმა, რომელსაც გირავნობა/იპოთეკა აქვს მოვალის ქონებაზე, რჩევისთვის უნდა მიმართოს ადვოკატს.

მე-7 თავის მიხედვით, მეურვის მთავარი როლი გაკოტრების საქმის ფარგლებში არის მოვალის არაუზრუნველყოფილი აქტივების ლიკვიდაცია ისე, რომ მაქსიმალურად გაზარდოს ანაზღაურება მოვალის არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისთვის. მეურვე ამას ახორციელებს მოვალის ქონების რეალიზაციის მეშვეობით, თუ ის თავისუფალია უზრუნველყოფის საშუალებისგან.

როდესაც ფიზიკური პირი მე-13 თავით გათვალისწინებულ პეტიცია/თხოვნა/შუამდგომლობას წარადგენს საქმის ადმინისტრატორად ინიშნება მიუკერძოებელი მეურვე (11 U.S.C. § 1302). მე-13 თავის მიხედვით დანიშნული გაკოტრების მეურვე აფასებს საქმეს, აგროვებს თანხას მოვალის აქტივებისგან და ანაწილებს კრედიტორებზე (11 U.S.C. § 1302(b)). მოვალის მიერ გაკოტრების საქმის დაწყების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არაუადრეს 21 და არაუგვიანეს 50 დღისა, მეურვე ნიშნავს კრედიტორთა კრებას. შეხვედრის დროს, მოვალე დებს ფიცს, ხოლო როგორც მეურვეს/მეურვეებს, ასევე კრედიტორებს შეუძლიათ კითხვები დაუსვან მოვალეს. სავალდებულოა, რომ მოვალე დაესწროს შეხვედრას და უპასუხოს მეურვისა და კრედიტორების კითხვებს მის ფინანსურ საკითხებთან და გეგმით შემოთავაზებულ პირობებთან დაკავშირებით (11 U.S.C. § 343). იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები ერთობლივ პეტიციას წარადგენენ, აუცილებელია ორივე მათგანი დაესწროს კრედიტორთა კრებას და უპასუხოს შეკითხვებს. შემდგომში, გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანის უზრუნველყოფის მიზნით, გაკოტრების სასამართლოს მოსამართლეებს ეკრძალებათ კრედიტორთა კრებაზე დასწრება (11 U.S.C. § 341 (c)). ჩვეულებრივ, ამ შეხვედრაზე კრედიტორებისა და მოვალეების მოლაპარაკების შედეგად, წყდება გეგმასთან დაკავშირებული პრობლემები.

კრედიტორთა კრების შემდეგ, მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს, უფლება აქვთ მივიდნენ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმა უნდა დამტკიცდეს. რა თქმა უნდა, სასამართლოსთვის წარდგენილი

გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ფიქსირებული თანხების მეურვისათვის რეგულარულად გადახდას, როგორც წესი, ყოველ ორ კვირაში ან ყოველთვიურად.¹⁹³

როგორც ირკვევა, ამერიკული კანონმდებლობა საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით აღჭურავს მეურვეს და მას პროცესის მთავარ ფიგურად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, მეურვეს განსხვავებული ფუნქციები აქვს იმისდა მიხედვით, თუ გაკოტრების რომელი პროცედურით მიმდინარეობს საქმე, თუმცა ძირითადი მოვალეობები მაინც საერთოა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში ფიზიკური პირების გადახდისუნარობის კანონმდებლობის მიღების შემთხვევაში, გონივრული იქნება თუ გათვალისწინებული იქნება მათი მიდგომა დირექტორისა და მეურვის უფლებამოსილებების საჯარო რეესტრში ასახვის სავალდებულობასთან დაკავშირებით. ანალოგიური ჩანაწერი არსებობს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც 98-ე მუხლის მე-2 პუნქტში მიუთითებს, რომ გაკოტრების რეჟიმის შეცვლა ან მართვაში მყოფ მოვალესთან დაკავშირებული ცვლილება, როგორც მოვალის სარეგისტრაციო მონაცემებში შეტანილი ცვლილება, საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას.

გადახდისუნარობის ადმინისტრატორის ინსტიტუტს იცნობს ბრიტანეთის გადახდისუნარობის კანონიც, რომლის თანახმად, გადახდისუნარობის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გადახდისუნარო პირის აქტივების კრედიტორებისთვის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა. გაკოტრებული პირის აქტივებს ზედამხედველობს მეურვე, ხოლო ლიკვიდატორი აკონტროლებს ლიკვიდაციაში მყოფ აქტივებს. გადახდისუნარობის პროცესის დროს მეურვე ან ლიკვიდატორი რეალიზაციას უკეთებს გადახდისუნარო პირის აქტივებს კრედიტორებისთვის გადახდების განსახორციელებლად. ბრიტანეთის კანონმდებლობა ასევე იცნობს ოფიციალური მიმღების ინსტიტუტს, რომელიც გაკოტრების საქმეში თავდაპირველად როგორც მეურვე ან ლიკვიდატორი ისე მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლომ უკვე დანიშნა

¹⁹³ 11 U.S.C Chapter 13 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია: <https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

სამოქმედოდ კერძო სექტორის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი (Insolvency Practitioner). ოფიციალურ მიმღებს, თუ საჭიროდ მიიჩნევს, შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნა მეურვედ ან ლიკვიდატორად და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკოსი შეიძლება დაინიშნოს, ოფიციალური მიმღები რჩება პასუხისმგებელი გაკოტრების საქმეების შესწავლის ნაწილში.

მეურვის ორი ტიპის შემოღება ისე როგორც ბრიტანეთშია დადგენილი, არც თუ ისე გონივრულია, იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური პირის აქტივები არ არის იმდენად ბევრი და სხვადასხვა სახის, რომ მათი ზედამხედველობა და ამავდროულად მათი ლიკვიდაციის მონიტორინგი, ერთმა ადამიანმა ვერ განახორციელოს. მსგავსი რეგულირების შემოღება პროცესის ხარჯებს გაზრდის, მაშინ როცა შეიძლება მიზანი ბევრად ნაკლები დანახარჯით იქნეს მიღწეული.

რაც შეეხება გერმანიას, ვინაიდან, განსხვავებით ამერიკის კანონმდებლობისა, აქ გადახდისუუნარობის სხვადასხვა პროცედურა არ არის გამოყოფილი, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მთავარი ამოცანაა გაკოტრებულის აქტივების რეალიზაცია, რაც შეიძლება მაღალ ფასში და ამ თანხის კანონით დადგენილი წესით კრედიტორებზე სწორად გადანაწილება. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ანაზღაურებისათვის თანხა გამოიყოფა აქტივებიდან. მეურვე თავის დავალებას ასრულებს უპირველეს ყოვლისა გაერთიანებული კრედიტორების სასარგებლოდ.¹⁹⁴

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისას, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს (გამონაკლისი: მოვალის მფლობელობაში მყოფი მართვა). პროცესის ამ ეტაპზე გადახდისუუნარობის სასამართლოს, ადმინისტრატორის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის არსებითი უფლებამოსილება გააჩნია.¹⁹⁵ (იხ. მუხლები 58 და 76 InsO) (სპეციალური უფლებამოსილებების გარდა, მაგალითად, გადახდისუუნარობის

¹⁹⁴ Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen , WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.125

¹⁹⁵ GROSTOLLEN, NJP, CORPORATE AND PERSONAL LEGAL SERVICES Q&A: BANKRUPTCY AND INSOLVENCY FOR BANKRUPTCY AND INSOLVENCY IN GERMANY, 2018 [ხელმისაწვდომია: <https://www.ten-law.org/knowledge/bankruptcy-in-germany/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გეგმის პროცედურაში ან მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის კონტექსტში). გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების პრეროგატივა (რეალიზაცია, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და გადახდისუნარობის გეგმა) კრედიტორებს ეკუთვნით.

სასამართლოს აქვს სპეციალური უფლებამოსილებები და ამოცანები, თუმცა საქმის გახსნის ეტაპზე. აქ ის იღებს გადაწყვეტილებებს გადახდისუნარობის გახსნის, დაცვის დროებითი ზომების შესახებ და გადახდისუნარობის ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ. სასამართლო ასევე პასუხისმგებელია გადახდისუნარობის ადმინისტრატორის ზედამხედველობაზე. ის აკონტროლებს მისი ქმედებების კანონიერებას, მაგრამ არა მათ მიზანშეწონილობას და შესაბამისად, არ იძლევა მითითებებს ადმინისტრატორის საქმიანობასთან დაკავშირებით. გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაჩქარების მიზნით, გადახდისუნარობის სასამართლოს გადაწყვეტილებები ღიაა გასაჩივრებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კოდექსი ითვალისწინებს დაუყოვნებლივ გასაჩივრებას (sofortige Beschwerde) (იხ. მუხლი 6(1) InsO). დაუყოვნებლივ საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნას თავად გადახდისუნარობის სასამართლოში ან გადახდისუნარობის სასამართლოს ზემდგომ არსებულ რეგიონულ სასამართლოში (Landgericht) წერილობით ან ზეპირად სასამართლო ოფისში (Geschäftsstelle). აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ მას არ გააჩნია შემაჩერებელი ეფექტი. თუმცა, საჩივრის განმხილველ სასამართლოს ან გადახდისუნარობის სასამართლოს შეუძლია აღსრულების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება.¹⁹⁶

გადახდისუნარობის ადმინისტრატორი არის გადახდისუნარობის პროცესის მთავარი მოთამაშე. გადახდისუნარობის ადმინისტრატორად შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირი დაინიშნოს. ადმინისტრატორად შეიძლება დაინიშნოს იურისტი, ბუღალტერი ან საგადასახადო მრჩეველი. გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნით, მოვალის ქონების მართვისა და განკარგვის უფლება ენიჭება გადახდისუნარობის ადმინისტრატორს, რომელიც კონკრეტულ საქმეზეა სასამართლოს მიერ დანიშნული. (მუხლი 80(1) InsO). (Insolvenzmasse, Section 35 InsO)

¹⁹⁶ Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen , WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.125-128

გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი ვალდებულია, საქმის წარმოების გახსნისას, გადახდისუუნარობის მასაში მოიცვას მხოლოდ ის ქონება, რომელიც მოვალის საკუთრებას წარმოადგენს. ასევე მოახდინოს ისეთი ნივთების მასაში მოქცევა, რომლებზეც მოვალეს კანონიერი ინტერესი გააჩნია, მაგრამ რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის გახსნის მომენტისთვის ჯერ კიდევ არ იყო შესული მოვალის აქტივებში. ამ გზით განსაზღვრული მოვალის აქტივები წარმოადგენს გადახდისუუნარობის ქონებას (Insolvenzmasse, Section 35 InsO), რომელიც კონტროლდება გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მიერ და რომელთა საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები.

გარდა ამისა, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს გააჩნია შემდეგი მოვალეობები: ანგარიშების შედგენა აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, სასამართლო დავებთან დაკავშირებით დასრულების ან გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე დადებული გარიგებების გასაჩივრება, რომლებიც სავარაუდოდ საზიანოა კრედიტორებისთვის (მუხლები 129, et seq. InsO).

ადმინისტრატორი ფუნქციებთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე BGH, 25.09.2014 - IX ZB 11/14, სადაც 2012 წლის 11 იანვარს დაიწყო ა.-ს (შემდგომში: მოვალე) აქტივების მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და გადახდისუუნარობის ადმინისტრატორად დაინიშნა ადვოკატი მ. (მომავალში: მომჩივანი).¹⁹⁷ მოცემულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ დეტალურად შეაფასა გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მხრიდან მოვალეობის დარღვევის შემთხვევები და განმარტა, თუ რა შემთხვევებში უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრატორი დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მოვალეობების დარღვევის შეფასების კუთხით,

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ: ა) გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან § 59 (1) InsO-ს შესაბამისად, თუ მისი თანამდებობაზე დარჩენა და

¹⁹⁷ BGH, decision of 25.09.2014 - IX ZB 11/14 [ხელმისაწვდომია; <https://lexetius.com/2014,3874> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

საქმიანობის გაგრძელება, ობიექტურად და განგრძობადად აზიანებს კრედიტორების ინტერესებს და საქმის წარმოების კანონიერებას, დაცვის ღირსი ადმინისტრატორის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, აუცილებელია, რომ აღნიშნული კრიტერიუმების არსებობა დადგინდეს. აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის საქმიანობის განხორციელებაში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ამ ჩარევისთვის ლეგიტიმური მიზანი არსებობს, იგი აუცილებელია და შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. (BGH, decision of 08.12.2005 - IX ZB 308/04, BGH, decision of 12.01.2012 - IX ZB 157/11, WM 2012;

იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა გამოწვეულია ადმინისტრატორის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების დარღვევით, ფაქტი პრინციპულად უნდა დადგინდეს. კერძოდ, მხოლოდ ნდობის პრინციპის დარღვევა გადახდისუუნარობის ადმინისტრატორსა და გადახდისუუნარობის სასამართლოს შორის, საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ ადმინისტრატორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდეს, მისი მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით, რაც ობიექტურად უნდა იქნეს დადგენილი.¹⁹⁸ თუკი ადმინისტრატორის მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტი დადგინდება და აღნიშნული დარღვევა წარმოადგენს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზს, გადახდისუუნარობის სასამართლომ დაუშვებელია თავი შეიკავოს ადმინისტრატორის საქმიდან ჩამოცილებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ კრედიტორებს აქვთ უფლება, მოვალეობების დარღვევის საფუძველით ადმინისტრატორს მოსთხოვონ ზიანის ანაზღაურება.

მოცემულ საქმეზე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მხრიდან რამდენიმე ქმედება, რომელთა არსებითი ხასიათი სადავო იყო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორმა მოვალეს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ზეპირსიტყვიერად მისცა და ამასთან დაკავშირებით წერილობით მინდობილობა არ გაუცია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრატორმა მოვალის უფლება მისცა, მის საკუთრებაში არსებულ

¹⁹⁸ BGH, decision of 25.09.2014 - IX ZB 11/14 [ხელმისაწვდომია; <https://lexetius.com/2014,3874>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გაქირავებულ სახლში ახალ დამქირავებელს ორი თვის ქირის სანაცვლოდ რემონტი გაეკეთებინა. გასათვალისწინებელია, რომ რემონტის საჭიროება არ ფიქსირდებოდა. გარდა ამისა, ადმინისტრატორს ბრალი ედებოდა მოვალის მიერ მასობრივად გაქირავებული ბინების შესახებ არასრული და გაუგებარი ინფორმაციის მოწოდებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრატორმა ქირავნობის შემოსავალი ორი თვის დაგვიანებით წარუდგინა სასამართლოს. მეტიც, ამ მიმოხილვაში აკლდა ინფორმაცია სათავსოს შესახებ, რომელიც მან მხოლოდ დამაზუსტებელი მოკვლევის საფუძველზე მიუთითა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის საქმიანობა ექვემდებარება გადახდისუუნარობის სასამართლოს ზედამხედველობას (§ 58 sec. 1 წინადადება 1 InsO). ამ უკანასკნელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისგან ინდივიდუალური ინფორმაცია ან ანგარიში საქმის მდგომარეობისა და მენეჯმენტის შესახებ (§ 58 პუნქტი 1 წინადადება 2 InsO). ზედამხედველობის მოვალეობის ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს საანგარიშგებო დოკუმენტები და ქვითრები ასევე ნაღდი ფულის ნაშთი. საჭიროების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის სასამართლომ შესაძლებელია შუალედური ინვოისის წარმოდგენაც მოსთხოვოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს (Uhlenbruck/Uhlenbruck, InsO, 13th edition, § 58 para. 9). გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს ასევე ევალება ანგარიშის წარმოდგენა იმის შესახებ, ქირავდება თუ არა გაკოტრების მასაში შესული ბინები და იხდიან თუ არა მოიჯარეები ხელშეკრულებით შეთანხმებულ ქირას და რა ღონისძიებები ტარდება იმ შემთხვევაში თუ არ ხდება იჯარის/ქირავნობის ვალდებულებების დაფარვა. (2) საბოლოოდ, მომჩივანმა წარადგინა მის მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დაგვიანებით.

სასამართლო უფლებამოსილია, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს მოსთხოვოს ზუსტი ინფორმაციის, სწრაფად და გასაგებად მოწოდება, ასევე დოკუმენტების წარდგენა. (35(1) პუნქტი InsO).

მსგავსი მოვალეობის დარღვევა არ ამართლებს მომჩივნის თანამდებობიდან გათავისუფლებას, როგორც ცალკე, ისე მთლიანობაში. ამიტომ არსებული

გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე გადაეცა სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მისაღებად.¹⁹⁹

რა თქმა უნდა, ყოველი დარღვევა, რომელიც წარმოადგენს კრედიტორების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, ამავდროულად, არ არის თანამდებობიდან გათავისუფლების საკმარისი მიზეზი. ეს გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი და ის, თუ რამდენად შეესაბამება ადმინისტრატორის გათავისუფლება მხარეთა ლეგიტიმურ ინტერესებს. მსგავს საკითხზე სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება სრულყოფილად უნდა შეაფასოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს ადმინისტრატორს გაათავისუფლებს დაკავებული თანამდებობიდან თუ არა.

როგორც წესი, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მხრიდან, მისთვის დაკისრებული მოვალეობების უხეშ დარღვევად მიიჩნევა, თუ მისმა ქმედებებმა იმდენად დიდი ზიანი გამოიწვია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში მისი სანდოობა ეჭვქვეშ დგება. BGH, decision of 17.03.2011 - IX ZB 192/10, NZI 2011) ადმინისტრატორის მხრიდან უხეშ დარღვევად მიიჩნევა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ადმინისტრატორი განზრახ არ აცნობებს გადახდისუუნარობის სასამართლოს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში (BGH, 2012 წლის 19 იანვრის ბრძანება - IX ZB 21/11. ZInSO 2012, 551 პუნქტი 14 და შემდგომ).

მაშინაც კი, თუ ზემოაღნიშნული გარემოებები ან მსგავსი ხასიათის უხეშ დარღვევა იქნა ჩადენილი გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მიერ და ამ ქმედებებისთვის სრულიად შესაბამისია მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, აღნიშნულის განხორციელება მაინც დაუშვებელია, თუ სახეზე არ იქნება მეორე კუმულატიური წინაპირობა. კერძოდ, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მიერ მისი ფუნქციების შესრულების გაგრძელება წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს კრედიტორების ინტერესებსა და სამართალწარმოების კანონიერებაზე.

¹⁹⁹ BGH, decision of 09/25/2014 - IX ZB 11/14 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/747133.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, როდესაც მოვალის ქონების განკარგვის უფლება გადახდისუნარობის ადმინისტრატორს მიენიჭება, მას შეუძლია თავისუფლად განკარგოს გადახდისუნარობის მასაში არსებული ყველა აქტივი. რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული შეზღუდვები განსაკუთრებული მნიშვნელობის გარიგებებზე, მაგალითად, როგორცაა საწარმოს გასხვისება. ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გარიგებები მოითხოვს კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის მიერ დადასტურებას. ის ფაქტი, რომ გარიგება დამტკიცებული არ იყო კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის მიერ, არ ახდენს გავლენას გარე მხარეებზე, თუმცა, იწვევს მხოლოდ ადმინისტრატორის პასუხისმგებლობას. (მუხლები 157 და 159 InsO).

თუ გადახდისუნარობის ადმინისტრატორი უხეშად არღვევს გადახდისუნარობის კოდექსით დაკისრებულ ვალდებულებებს, ის პასუხისმგებელია პროცესის ყველა მხარისათვის მიყენებულ ზიანზე (მუხლი 60(1) InsO). კოდექსის 60-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს: „გადახდისუნარობის ადმინისტრატორი პასუხისმგებელია ანაზღაუროს პროცესში მონაწილე ნებისმიერ მხარისთვის მიყენებული ზიანი, თუ იგი უხეშად დაარღვევს ამ კოდექსით დაკისრებულ მოვალეობებს. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრატორი პროცესის მთელი პერიოდის მანძილზე, იქცეოდეს სათანადო გულისხმიერებით და ისეთი გულმოდგინებით, რასაც მისგან ელოდებიან.

გადახდისუნარობის ადმინისტრატორს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება როგორც მისი ფუნქციების შესრულებისათვის, ასევე გაწეული ხარჯებისათვის. (მუხლი 63(1), პირველი წინადადება, InsO). ანაზღაურება რეგულირდება გადახდისუნარობის შესახებ კანონის ანაზღაურების დებულებით (Insolvenzrechtsvergütungsverordnung – ‘InsVV’) და განისაზღვრება გადახდისუნარობის ქონების ღირებულების მიხედვით, გადახდისუნარობის საქმის წარმოების დასრულების მომენტში. რეგულირება ითვალისწინებს, რომ ანაზღაურება შეიძლება გაიზარდოს გადახდისუნარობის ადმინისტრატორის მოვალეობების მასშტაბისა და სირთულის მიხედვით.

გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგაც, მოვალე, რომლის მიმართაც წარდგენილია რიგითი კრედიტორების მოთხოვნები, რჩება რეალიზებადი

აქტივების მფლობელი (მუხლები 38 და 39 InsO). ის პასუხისმგებელია მთელი თავისი აქტივების ოდენობით.

როგორც უკვე აღინიშნა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს აქვს აქტივების მართვისა და განკარგვის უფლება. მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, საქმის წარმოების დაწყების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე შეიძლება დაევალოს მოვალის მფლობელობაში მართვა 270-ე მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, მოვალემ თავის მოთხოვნას უნდა დაურთოს მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის გეგმა, რომლის დეტალები რეგულირდება გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსის 270ა მუხლით. ბრძანება გაიცემა, თუ მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის გეგმა სრულყოფილია და არ არის ცნობილი გარემოებები, რომლებიც ქმნის ეჭვს, რომ მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის გეგმა არსებითად არასწორ ფაქტებს ეფუძნება (270b(1) და 270f(1) InsO). გარდა ამისა, 270e პუნქტში მითითებული მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის შეთანხმების შეწყვეტის არცერთი საფუძველი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას (270b(1) InsO მუხლი). პრინციპში, გადახდისუუნარობის შესახებ კანონის ზოგადი დებულებები აქაც გამოიყენება (270(1) მუხლი, მეორე წინადადება, InsO). თუმცა, მოვალის მფლობელობაში არსებული მართვისას, მოვალე ინარჩუნებს უფლებას მართოს და განკარგოს თავისი აქტივები, რომელსაც იგი ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული მონიტორინგის (Sachverwalter) ზედამხედველობის ქვეშ (270(1), პირველი წინადადება, InsO). მოვალის მფლობელობაში არსებული მართვის შემთხვევაში, უფლებამოსილებები, როგორც წესი, ეკისრებათ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს, ნაწილდება მოვალესა და მონიტორს შორის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანული კანონმდებლობა გადახდისუუნარობის ადმინისტრატორად დანიშვნის შესაძლებლობას მხოლოდ ფიზიკურ პირებს აძლევს. განსხვავებით ქართული გადახდისუუნარობისა, სადაც იურიდიული პირის გაკოტრების პროცესში შეიძლება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსად დანიშნული იქნეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის პროცესში უმჯობესია გადახდისუუნარობის მმართველის ფუნქციები დაეკისროს ფიზიკურ პირს. აღნიშნულის სასარგებლოდ

შესაძლებელია რამდენიმე არგუმენტი მოყვანა. პირველ რიგში, ფიზიკური პირის ჩართულობა პროცესში უფრო ეფექტური იქნება იქიდან გამომდინარე, რომ მოვალე ფიზიკური პირია. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა მოვალეს როგორც ფიზიკურ პირს გარკვეული უნდობლობა ჰქონდეს გადახდისუუნარობის პროცესში ჩართული პირების მიმართ, შესაბამისად ამ პროცესში იურიდიული პირის ჩართვა შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს და ვერ გამოიღოს ისეთი ეფექტური შედეგი, რაც პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობისთვის არის აუცილებელი. საქართველოში, ხშირ შემთხვევაში რეაბილიტაციის მმართველად ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს. გაკოტრების პროცესში მყოფი ფიზიკური პირისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართვა გაკოტრების მმართველად უნდობლობასა და გარკვეულწილად მოვალის „დაშინებას“ გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, გერმანული მიდგომის გამოყენება უფრო გონივრული იქნება.

ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის საქართველოში შემოღების შემთხვევაში, კანონმა აუცილებლად დეტალურად უნდა გაითვალისწინოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის საქმეში ჩართვისა და ადმინისტრატორთა რეესტრის ჩამოყალიბების წესები, ასევე მათი უფლება-მოვალეობების ფარგლები და აცილების წესები. კანონმა უნდა დაარეგულიროს ადმინისტრატორთა რეესტრის საკითხი. კერძოდ, ამ რეესტრში უნდა ჩაირიცხონ პირები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია, გაივლიან გადამზადებას იმისათვის, რომ შემდგომში მოვალეს ხელი შეუწყონ გადახდისუუნარიანობის აღდგენაში. თავისთავად, მოვალეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მისთვის სასურველი გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის კანდიდატურა. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, რისთვისაც საჭიროა პრევენციის მიზნით, კანონით განსაზღვრულ იქნეს, რომ ადმინისტრატორს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი მოვალის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგის მიმართ.

გამომდინარე იქიდან, რომ უძღვება სწორედ ადმინისტრატორი არის პირი, რომელიც წარმოების დაწყებიდან მის დასრულებამდე უძღვება მოვალის გადახდისუუნარობის საქმეს, ამიტომ გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის

მოვალეობების ნაწილში გერმანული და ამერიკული მოდელების სინთეზი და მათი შეჯერების საფუძველზე რეგულაციების ჩამოყალიბება საუკეთესო ვარიანტია.

როგორც გერმანული, ასევე ამერიკული რეგულაციები ითვალისწინებს და ზოგადად გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის როლსა და ფუნქციებს. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი იქნება პროცედურის მწარმოებელი პირი, რომელიც გადახდისუუნარო ადამიანს დაეხმარება გადახდისუუნარიანობის აღდგენაში.²⁰⁰ სწორედ ადმინისტრატორმა უნდა შეუდგინოს მას გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმა, უხელმძღვანელოს ამ გეგმის აღსრულებას, მოვალისა და კრედიტორებს შორის ურთიერთობას შეუწყოს ხელი და სხვა. ადმინისტრატორის ფუნქცია და როლი გათვალისწინებულია გერმანულ გადახდისუუნარობის კანონმდებლობაშიც. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი იქნება ძირითადი ფუნქციის მატარებელი ამ ურთიერთობაში, რომელიც ვალდებულია, რომ სასამართლოს მიერ მისი დანიშვნის დღიდან წარმოების დასრულებამდე, კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

ზემოთ განხილულ ორივე მოდელში, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს ნიშნავს სასამართლო. რა თქმა უნდა, ადმინისტრატორს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი მოვალის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ადმინისტრატორის ფუნქციას ვერ განახორციელებს. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს მისი კეთილსინდისიერება, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ მისი დანიშვნის დღიდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებამდე კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულოს ამ კანონით ნაკისრი ვალდებულებები. გარდა ამისა, მან დეტალურად უნდა შეისწავლოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა, კრედიტორთა მოთხოვნები, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმის შესადგენად. მან უნდა განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც გეგმის შედგენისა და

²⁰⁰ Legal Information Institute, Bankruptcy trustee [ხელმისაწვდომია:

https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_trustee, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen, WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.125

მისი სრულყოფილად შესრულებისთვის იქნება საჭირო. მან ამისათვის, შესაძლოა მოიწვიოს და წარმართოს კრედიტორთა კრება, გამოითხოვოს კრედიტორებისაგან საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, უზრუნველყოს კრედიტორთა კრების ოქმების შედგენის ორგანიზება და გააცნოს ის კრედიტორებს, მოვალეს და წარადგინოს სასამართლოში.

აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ გერმანიაში საკმაოდ კარგი მექანიზმი არსებობს, რომლითაც შესაძლებელია გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მხრიდან თვითნებობის ან საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების პრევენცია მოხდეს. სასურველია მსგავსი მექანიზმი იქნეს გათვალისწინებული და სასამართლოს რიგ შემთხვევებში (შესაბამისი დასაბუთების არსებობის პირობებში უნდა მიეცეს უფლებამოსილება თანამდებობიდან გადააყენოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორი.

რა თქმა უნდა, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ძირითადი ფუნქციაა გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმის შემუშავება, რაც უნდა განახორციელოს მოვალის ფუნქციური მდგომარეობის დეტალურად შესწავლის, კრედიტორთა მოთხოვნებისა და მოვალის ინტერესების თანასწორობის, ობიექტურად შეფასების საფუძველზე. გარდა ამისა, მან უნდა აკონტროლოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა და გონივრულ ვადაში მიმართოს სასამართლოს გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, განახორციელოს მოძრავი/უძრავი ქონების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, მიმართოს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოს რეალიზაციით მიღებული თანხების განთავსება მოვალის ანგარიშზე მათი შემდგომი განკარგვის მიზნით.

ამასთანავე, კანონპროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრატორის უფლება მიიღოს ანაზღაურება ვალდებულებების შესრულებისათვის, მიიღოს მისი საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოვალისაგან, კრედიტორებისაგან, სასამართლოსა თუ სხვა ორგანოებისაგან. ამასთანავე, მოითხოვოს საქმიდან ჩამოცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ანაზღაურების საკითხი უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ მოვალის

ვალდებულებების შესაბამისად. ხოლო, თუკი მოვალის მიერ ანაზღაურება შეუძლებელია მაშინ ხარჯი უნდა დაიფაროს სახელმწიფოს მიერ.

3.3. გადახდისუნარობის გეგმის დამტკიცების წესი და პირობები

როგორც უკვე აღინიშნა, გადახდისუნარობის კანონმდებლობის მთავარი მიზანია მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილება. აღნიშნული მიზანი ვერ იქნება მიღწეული, თუკი რეაბილიტაციის პროცესი სწორად ვერ წარიმართა. რეაბილიტაციის პროცესის სწორად წარმართვის საფუძველი კი სწორედ ეფექტიანი რეაბილიტაციის გეგმაა, რომელიც ერთი მხრივ მოვალის ინტერესებს ითვალისწინებს და მორგებულია მის „გადარჩენაზე“, ხოლო ამავედროულად კრედიტორთა ინტერესებსაც არ ივიწყებს და მათ დაკმაყოფილებაზე მაქსიმალურად ზრუნავს.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს რეაბილიტაციის მთელ თავს, რომელშიც დეტალურად არის განხილული გეგმის შედგენისა და დამტკიცების წესები. ზოგადად, ეს კანონი რეაბილიტაციის ცნებას საკმაოდ ფართო მნიშვნელობით იყენებს, თუმცა რა თქმა უნდა, მხოლოდ იურიდიულ პირებთან მიმართებით და იგი ფიზიკურ პირებზე არ ვრცელდება. კანონპროექტით რეაბილიტაციის რეჟიმს და შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმას უპირობო და ცალსახა პრიორიტეტი ენიჭება, რაც გამოიხატება ისეთ მექანიზმებში, როგორებიცაა მოვალის მართვაში დატოვება და მსგავსი წამახალისებელი შესაძლებლობები. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ გეგმა მიმართული უნდა იყოს მოვალის გადარჩენისკენ, რა დროსაც ამავედროულად, დროულად უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები. შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში რეაბილიტაციის გეგმაში კრედიტორთა დაკმაყოფილება გათვალისწინებული იყოს იმდენად, რამდენსაც ისინი მიიღებდნენ მოვალის გაკოტრების შემთხვევაში.²⁰¹

გადახდისუნარობის ფარგლებში სწორედ რეაბილიტაცია არის მოვალის გადარჩენის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილების საუკეთესო გზა და ოპტიმალური

²⁰¹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

გამოსავალი.²⁰² ეფექტიანი რეაბილიტაციის პროცესის წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა რეაბილიტაციის გეგმაა, კერძოდ, ვინ ადგენს აღნიშნულ გეგმას, ვინ იწონებს და ვინ ამტკიცებს მას, ასევე როგორია მისი შინაარსი და რა როლი აქვს სასამართლოს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესში.²⁰³ მიზანშეწონილია, რომ რეაბილიტაციის გეგმა ხისტი მიდგომების მატარებელი არ იყოს და მოვალის სრულ რეაბილიტაციაზე არ ჰქონდეს ორიენტირი. რეაბილიტაციის გეგმა ბიზნესგეგმის მსგავსი უნდა იყოს, რომელიც ნათელ და ცალსახა წარმოდგენას იძლევა საწარმოო პროცესების ეფექტიანი წარმართვის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობებსა და გარანტიებზე.²⁰⁴

მსგავსად ამერიკისა და გერმანიის, ქართულ კანონმდებლობაში რეაბილიტაციის გეგმის პროექტს ამზადებ რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი მოვალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და წარუდგენს მას კრედიტორებს რეაბილიტაციის რეჟიმიდან გახსნიდან 2 თვის ვადაში. კანონი დეტალურად განსაზღვრავს თუ რას უნდა შეიცავდეს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი. კერძოდ, ესენია: მოვალის კორპორაციული მონაცემები, ინფორმაციას რეაბილიტაციის მმართველის შესახებ, თარიღს, როდესაც გეგმის პროექტი კრედიტორებს უნდა წარედგინოთ მოვალის საქმიანობის ანგარიშის ასლსა და ამ ანგარიშების შეჯამებას., კრედიტორთა რეესტრსა და ა.შ. მმართველის მიერ გეგმის პროექტის დასრულების შემდეგ, იგი წარედგინებათ კრედიტორებს, რომლებიც იწუნებენ ან უარყოფენ პროექტს. შესაძლოა, კრედიტორების მხრიდან გეგმის პროექტში შეტანილ იქნეს ცვლილებები ხმათა უმრავლესობით.

თუკი, კრედიტორები შეთანხმდებიან გეგმასთან დაკავშირებით, სასამართლო მათ მიერ მოწოდებულ გეგმას ამტკიცებს. თუმცა, რა თქმა უნდა, სასამართლო ყველა გეგმას, რომელიც მოწოდებულია კრედიტორთა მიერ არ დაამტკიცებს. არსებობს შესაბამისი კრიტერიუმები, მაგალითად სასამართლო არ დაამტკიცებს გეგმას, მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორების მხრიდან მოწოდებულია, თუ მასში

²⁰² მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, 113

²⁰³ 225 UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, p. 223.

²⁰⁴ იქვე, 224

გათვალისწინებულია პრეფერენციული ვალების ისეთი დაფარვა, რომელიც არ გულისხმობს მათ დაფარვას არაპრეფერენციულ ვალებთან შედარებით პრიორიტეტულად, გარდა შესაბამისი კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევისა ან იმ შემთხვევაში, თუკი ირღვევა კრედიტორთა თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპი. კანონი ასევე ითვალისწინებს გეგმის სასამართლოს მიერ გაუქმების მექანიზმსაც იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული თაღლითურად ან მოტყუებით იქნა დამტკიცებული.

ამ მიმართულებით საკმაოდ მრავალფეროვანია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. განსაკუთრებით კი, პირველი ინსტანციის სასამართლოებში, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში განხილული იქნება იურიდიული პირის გადახდისუნარობის პროცესში რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკას. საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ მითითებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2020 წელს. შესაბამისად, ამ საქმის განხილვის პერიოდში კანონი უკვე მოქმედი იყო და სასამართლომ ახალი კანონის მიხედვით განიხილა საქმე. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს წარმოადგენდა შპს რომელიც ითხოვდა მის მიმართ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნასა და მოვალის მართვაში დატოვებას. განმცხადებელმა მიუთითა „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის 7.1 მუხლზე, რომლის თანახმად მოვალე გადახდისუნაროა, თუ იგი ვერ ფარავს ვადამოსულ გადასახადებს. მოვალემ განცხადებაში მიუთითა, რომ მისი გადახდისუნარობა გამოწვეული იყო არა მისი ბრალეულობით, მენეჯმენტის არასწორი სტრატეგიით, არამედ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებით, რამაც წარმოქმნა ფორსმაჟორის კატეგორიას მიკუთვნებული მოვლენა. განმცხადებლის აზრით, ეს ფაქტი რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის საფუძველს წარმოადგენდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეაბილიტაციის რეჟიმი გაიხსნა, ხოლო რეაბილიტაციის ზედამხედველად დაინიშნა გადახდისუნარობის პრაქტიკოსი,

რომელიც რეაბილიტაციისა და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტისა და 74-ე მუხლის საფუძველზე იქნება შერჩეული. აღნიშნული მუხლები ეხება პრაქტიკოსთა ელექტრონულ რეესტრს და შემთხვევითი შერჩევის წესს. მოცემულ საქმეზე, პრაქტიკოსმა მოამზადა კრედიტორთა რეესტრი, ასევე მოამზადა რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც წარუდგინა კრედიტორებს. კრედიტორების მხრიდან გეგმა მოწონებულ იქნა, ამიტომ იგი დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინა.

სასამართლომ განმარტა, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში - გადახდისუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გადახდისუნარობის საქმის წარმოების პრინციპებია: ა) გადახდისუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუნარობის მასის სწორი მართვა; ბ) გადახდისუნარო მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტა; გ) გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა; დ) გადახდისუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შემდგომ დაგვარად ხელშეწყობა; ვ) მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარი მოპყრობა.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საუკეთესო გზა არის რეაბილიტაცია, ხოლო თუკი სასამართლოში წარმოდგენილი იქნება ყველა ის მტკიცებულება, რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას სასამართლო მას დააკმაყოფილებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც იარსებებს რეაბილიტაციის წამახალისებელი მექანიზმები და, ამავდროულად, იმოქმედებს ყველა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად ეფექტიანი და სამართლიანი დაცვის გარანტიები, რასაც განსახილველი საწარმოს შემთხვევაში აქვს ადგილი და იგი მიღწევადია წარმოდგენილი რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით, რომელიც მოწონებულია როგორც

უზრუნველყოფილი ისე არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ, რაც შეადგენს ხმათა უბრალო უმრავლესობის 51%-ს, რაც სასამართლოს აძლევს იმის საშუალებას, რომ წარმოდგენილი რეაბილიტაციის გეგმა დაამტკიცოს ზეპირი მოსმენის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მიზანი მიღწეული ვერ იქნება, თუ რეაბილიტაციის პროცესი ეფექტიანად არ წარიმართა. სწორი და სრულფასოვანი რეაბილიტაციის წინაპირობა კი, რეაბილიტაციის გეგმაა, რომელიც, ერთი მხრივ, მოვალის გადარჩენაზეა ორიენტირებული და, მეორე მხრივ, კრედიტორების კოლექტიურ, თანმიმდევრულ დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულ მიზანს ემსახურება რეაბილიტაციის მიზნებისათვის მოვალის მართვაში დატოვება, ანუ საწარმოს გადასარჩენად მოვალის რესურსის, მისი ინფორმირებულობის, საქმიანი უნარების, მისი კონტაქტების და საქმიანობის გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება.²⁰⁵

გადახდისუნარობის გეგმის შედგენის პრინციპებს იცნობს ამერიკის შერთებული შტატების გაკოტრების კოდექსიც, რომელიც მიუთითებს, როგორც წესი, მოვალემ ვალდებულების დაფარვის გეგმა უნდა წარადგინოს განცხადებასთან (პეტიცია) ერთად ან მისი შეტანიდან 14 დღის განმავლობაში, თუ სასამართლო არ უშვებს ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობას.²⁰⁶ სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მეურვისთვის ფიქსირებული თანხის გადახდას ორ კვირაში ერთხელ, ან ყოველთვიურად.

მეურვე, გეგმის პირობების მიხედვით, ანაწილებს თანხას კრედიტორებს შორის (განაწილებული თანხა შესაძლოა მოთხოვნით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები იყოს). როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს სამი სახის მოთხოვნა: ა) პრიორიტეტული, ბ) უზრუნველყოფილი და გ) არაუზრუნველყოფილი. პრიორიტეტულ მოთხოვნებს გაკოტრების კოდექსით აქვთ მინიჭებული სპეციალური სტატუსი. ასეთია მაგალითად, გადასახადების უმეტესობა და გაკოტრების პროცესის ხარჯები.

²⁰⁵ საქმე №330210321005190848 2/29962-21 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 26 სექტემბერი, 2022 წელი

²⁰⁶ Federal Rules of Bankruptcy Procedure › PART III—CLAIMS AND DISTRIBUTION TO CREDITORS AND EQUITY INTEREST HOLDERS; PLANS › Rule 3015. Filing, Objection to Confirmation, Effect of Confirmation, and Modification of a Plan in a Chapter 12 or a Chapter 13 Case [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/rules/frbp/rule_3015], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

გაკოტრების კოდექსის თანახმად, გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს, პრიორიტეტული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა. თუკი რომელიმე პრიორიტეტული მოთხოვნის მქონე კრედიტორი არ დაეთანხმება განსხვავებულ რეჟიმს ან თუ სახეზეა საოჯახო რჩენის ვალდებულება, საკითხი განხილული იქნება ხუთწლიან გეგმაში,²⁰⁷ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალე შეიტანს მთელ თავისუფალ/მის განკარგულებაში არსებულ თანხას. თუ მოვალეს სურს შეინარჩუნოს კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (collateral securing a particular claim), გეგმა უნდა მოიცავდეს გარანტიას, რომ უზრუნველყოფის მფლობელი კრედიტორი მიიღებს სულ მცირე, უზრუნველყოფის ღირებულებას. თუკი ძირითადი ვალდებულება გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო უზრუნველყოფის საგნის შექმნა (მაგ. მანქანის სესხი) და ვალი წარმოიშვა გაკოტრების განცხადებამდე გარკვეულ ვადაში, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ გირაოს ღირებულების (რაც შესაძლოა ამორტიზაციის გათვალისწინებით თვითღირებულებაზე ნაკლებიც იყოს), არამედ ამ დავალიანების სრულად დაფარვას. გარკვეულ კრედიტორებთან (მაგ. სახლის იპოთეკის მფლობელთან) გადახდები, შეიძლება განხორციელდეს სესხის დაფარვის თავდაპირველი განრიგის მიხედვით (რაც შეძლებისდაგვარად გრძელვადიანი უნდა იყოს, ვიდრე საკუთრივ გეგმა), მანამ სანამ რომელიმე დავალიანების შესრულება არ მოხდება გეგმის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია, მოვალემ ადვოკატთან გაიაროს კონსულტაცია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნების გადახდის მიზნით, გეგმის ფარგლებში შესაბამისი რეჟიმი დადგინდეს. აქვე აღსანიშნავია ისიც, გეგმით არ არის აუცილებელი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების გადახდა იმ შემთხვევაში, თუკი არაუზრუნველყოფილი კრედიტორები მიიღებენ სულ მცირე იმდენს მაინც, რაც მათ შეხვდებოდათ მოვალის აქტივების მე-7 თავით ლიკვიდაციის შემთხვევაში.²⁰⁸ როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-13 თავის მიხედვით, განკარგვადი შემოსავალი გამოითვლება გონივრული ხარჯების გამოკლებით (გარდა ბავშვის

²⁰⁷ 11 U.S.C. § 1322 - Contents of plan [ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/11/1322> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁰⁸ 11 U.S.C. § 1325 - Contents of plan [ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2020-title11/pdf/USCODE-2020-title11-chap13-subchapII-sec1325.pdf> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მხარდაჭერისათვის გადასახდელი თანხისა), რომელიც საჭიროა მოვალის ან მოვალეზე დამოკიდებული პირების შესანახად ან მხარდასაჭერად და ნაკლებია მოვალის სუფთა შემოსავლის 15%-ზე. თუკი მოვალეს აქვს ბიზნესი, განკარგვადი შემოსავლის განმარტება ასევე გამორიცხავს იმ თანხებს, რომელიც აუცილებელია ბიზნესთან ჩვეულებრივი საოპერაციო ხარჯებისათვის.²⁰⁹

რაც შეეხება თავად გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის და ზოგადად გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების ვადას, ეს დამოკიდებულია მოვალის მიმდინარე თვიურ შემოსავალზე. თუ მოვალის მიმდინარე თვიური შემოსავალი ნაკლებია იმავე ზომის ოჯახის საშუალო თვიურ შემოსავალზე, გადახდისუნარიანობის საქმე გრძელდება სამი წელი, ხოლო თუ მიმდინარე თვიური შემოსავალი აღემატება იმავე ზომის ოჯახის შემოსავალს - 5 წელი. კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შესაძლოა გეგმა იყოს გადახდისუნარიანობის აღდგენის პერიოდზე ნაკლები (სამი ან ხუთი წელი). კერძოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაუზრუნველყოფილი ვალდებულება სრულად იქნება გადახდილი უფრო მოკლე პერიოდში.

გაკოტრების განაცხადის შეტანიდან 30 დღის ვადაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოს მიერ ჯერ არ არის გეგმა დამტკიცებული, მოვალემ უნდა დაიწყოს გეგმით დადგენილი გადახდის გრაფიკით თანხის გადახდა მეურვისთვის.²¹⁰ თუ გეგმის დამტკიცებამდე, რომელიმე უზრუნველყოფილი სესხის გადახდის ვადა დგება, მოვალემ უნდა განახორციელოს თანხის გადახდა პირდაპირ უზრუნველყოფილ კრედიტორთან ან მეიჯარესთან, რაც გამოაკლდება თანხას, რომელიც სხვა შემთხვევაში მეურვის სასარგებლოდ უნდა გადახდილიყო.

კრედიტორებთან შეხვედრიდან არაუგვიანეს 45 დღისა, მოსამართლემ უნდა გამართოს სხდომა და გადაწყვიტოს არის თუ არა გეგმა განხორციელებადი/შესრულებადი და შეესაბამება თუ არა გაკოტრების კოდექსის მოთხოვნებს.²¹¹ სხდომის

²⁰⁹ 11 U.S.C. § 1325(b)(2)(A) და (B) - Confirmation of plan [ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2020-title11/pdf/USCODE-2020-title11-chap13-subchapII-sec1325.pdf>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²¹⁰ U.S.C. § 1326(a)(1) – Payments [ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2011-title11/html/USCODE-2011-title11.htm>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²¹¹ U.S.C. §§ 1324, 1325– Confirmation hearing, Confirmation of plan [ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2011-title11/html/USCODE-2011-title11.htm>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ჩანიშნვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, 28 დღით ადრე კრედიტორებს ეგზავნებათ შეტყობინება.²¹² აქ აღსანიშნავია, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც გეგმის ფარგლებში შემოთავაზებული გადახდები ნაკლებია, ვიდრე მოვალის აქტივების ლიკვიდაციისას იქნებოდა.

თუ სასამართლო დაამტკიცებს გეგმას, მე-13 თავის მიხედვით დანიშნული მეურვე, როგორც კი შესაძლებელი იქნება, გეგმის ფარგლებში მიღებულ თანხებს გაანაწილებს.²¹³ თუ სასამართლო უარს იტყვის გეგმის დადასტურებაზე, მოვალეს შეუძლია განსახილველად ხელმეორედ შეიტანოს კორექტირებული გეგმა.²¹⁴ მას ასევე შეუძლია მოითხოვოს საქმის მე-7 თავით გადაკვალიფიცირება და ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება.²¹⁵ თუკი სასამართლო უარს იტყვის გეგმის ან დაკორექტირებული გეგმის დადასტურებაზე და დაადგენს, რომ საქმე არ უნდა გაგრძელდეს, სასამართლოს შეუძლია მეურვეს მისცეს შესაძლებლობა ხარჯებისთვის გარკვეული ოდენობის თანხა შეინახოს, თუმცა, მეურვემ მოვალეს ამ ხარჯების გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხა აუცილებლად უნდა დაუბრუნოს.²¹⁶

რიგ შემთხვევებში, შესაძლოა მოვალის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების არასწორი ჩამონათვალის წარმოდგენის დროს, გეგმის განხორციელების შესაძლებლობას საფრთხე შეუქმნას. მაგალითად, შესაძლოა კრედიტორმა გააპროტესტოს გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმა ან მოვალემ შეიძლება განზრახვის გარეშე, უნებლიედ ვერ ჩამოთვალოს/დაასახელოს ყველა კრედიტორი. ასეთ შემთხვევაში, გეგმა შესაძლოა გეგმის დადასტურებამდე ან დადასტურების შემდეგ, მოხდეს მისი ცვლილება.²¹⁷ დადასტურების შემდეგ გეგმის ცვლილება

²¹² Federal Rules of Bankruptcy Procedure › PART III—CLAIMS AND DISTRIBUTION TO CREDITORS AND EQUITY INTEREST HOLDERS; PLANS › Rule 2022 (b). Filing, Objection to Confirmation, Effect of Confirmation, and Modification of a Plan in a Chapter 12 or a Chapter 13 Case [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/rules/frbp/rule_2002 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²¹³ 1 U.S.C. § 1326(a)(2) - Payments [ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2011-title11/html/USCODE-2011-title11.htm> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²¹⁴ 11 U.S.C. § 1323 -Modification of plan before confirmation [[ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2011-title11/html/USCODE-2011-title11.htm> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²¹⁵ იქვე., § 1307(a) - Conversion or dismissal

²¹⁶ იქვე., § 1326(a)(2) - Payments

²¹⁷ იქვე., §§ 1323, 1329

11 იქვე., §§ 1323, 1329 - Modification of plan before confirmation, Modification of plan after confirmation


შესაძლოა არა მხოლოდ მოვალის ინიციატივიდან გამომდინარეობდეს, არამედ შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს კრედიტორის ან მეურვის მიერ.²¹⁸

საკმაოდ საინტერესოა ამერიკული მიდგომა გადახდისუუნარობის გეგმასთან დაკავშირებით. როგორც ყველა გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში აქაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეგმის შედგენის ეტაპზე მეურვის როლს და ამ გეგმის სწორად შედგენას, რაშიც მოვალე და კრედიტორები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული. თუმცა აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამერიკის გაკოტრების კოდექსი ითვალისწინებს საქმის გადაკვალიფიცირებას ერთი თავიდან მეორეში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამერიკის გაკოტრების კოდექსით გათვალისწინებულია გაკოტრების სხვადასხვა პროცედურა და მოვალე ირჩევს, თუ რომელი მათგანი მისთვის ყველაზე მისაღები. ამერიკის კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალური ხასიათით გამოირჩევა და არა მხოლოდ არჩევანის საშუალებას აძლევს მოვალეს, რომ აირჩიოს რომელიც პროცედურით სურს გაკოტრება, არამედ აძლევს საშუალებას, რომ თუკი ერთი პროცედურით გათვალისწინებული გეგმა სასამართლომ არ დაამტკიცა, შეუძლია ხელმეორედ შეიტანოს კორექტირებული გეგმა ან მოითხოვოს საქმის გადაკვალიფიცირება და სხვა თავით გათვალისწინებული პროცედურით გაკოტრება. აქ მეტად სადავოა, რამდენად გონივრულია მსგავსი შესაძლებლობის მიცემა მოვალისათვის. შესაძლებელია ამ უფლების რამდენიმე უარყოფითი მხარის გამოყოფა. კერძოდ, პირველ რიგში, საქმის გადაკვალიფიცირება ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივად გაკოტრების საქმის წარმოება თავიდან იწყება და საჭიროა ამ თავით გათვალისწინებული პროცედურის გაყოლა. შესაბამისად, ეს იწვევს როგორც საქმის წარმოების გაჭიანურებას, ასევე სასამართლო ხარჯების, მათ შორის მეურვისათვის ასანაზღაურებელი ხარჯების გაზრდას. მეორე, შესაძლოა მოვალეთა არაკეთილსინდისიერმა ნაწილმა ეს პრივილეგია ბოროტად გამოიყენოს იმ განზრახვით, რომ ხელოვნურად გააჭიანუროს საქმე.

ქართულ კანონმდებლობაში გადახდისუუნარობის გეგმასთან დაკავშირებული წესების შემუშავების პროცესში, ამერიკული მიდგომის გამოყენება ამ კონკრეტულ

²¹⁸ 11 U.S.C. §, Chapter 13 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია: <https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

საკითხთან დაკავშირებით სწორი არ იქნება. უფრო გონივრული იქნება ამ ნაწილში გერმანული სისტემის ინტეგრირება, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.



ამ მიმართულებით გერმანიის გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ბევრად მოქნილია და სხვადასხვა ფორმებს გვთავაზობს. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი 217(1) პარაგრაფში მიუთითებს, რომ გადახდისუუნარობის გეგმა მოვალესა და ადმინისტრატორს აძლევს საშუალებას შეადგინონ ისეთი წინადადება, რომელიც გადაარჩენს მოვალეს და ამავდროულად დააკმაყოფილებს კრედიტორთა მოთხოვნებს.²¹⁹ რაც შეეხება გეგმის დამტკიცებას, როგორც წესი იქმნება კრედიტორთა ჯგუფები და მთავარი პრინციპი არის, რომ თითოეული ჯგუფის კრედიტორთა უმეტესობამ უნდა გამოთქვას თანხმობა გეგმის დამტკიცებაზე.²²⁰

გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი იცნობს ადმინისტრირების ორ ფორმას, ესენია: ა) თვითადმინისტრირება; ბ) გადახდისუუნარობის გეგმა. გადახდისუუნარობის კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად, თვითადმინისტრირება არ ვრცელდება 304-ე მუხლით განსაზღვრულ სუბიექტებზე, ე.ი. ფიზიკურ პირებზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა წარმოადგენს თვითადმინისტრირებისა და გადახდისუუნარობის გეგმის პროცედურის ილუსტრაციას.²²¹

თვითადმინისტრირება:

²¹⁹ Insolvency Code (InsO), Section 217 - Submission of insolvency plan [ხელმისაწვდომია; <https://www.gesetze-im-internet.de/insol/217.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²²⁰ Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017, p. 140

²²¹ Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017, p.13-14



გადახდისუუნარობის გეგმა:

გადახდისუუნარობის გეგმის პროცედურა საშუალებას აძლევს უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს თავად გადაწყვიტონ ქონების რეალიზაციის საკითხი, მისი განაწილება კრედიტორებს შორის, საქმის წარმოება და მოვალის პასუხისმგებლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ. გადახდისუუნარობის გეგმა შესაძლებელია წარდგენილ იქნას გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ან მოვალის მიერ.²²²

გადახდისუუნარობის გეგმა შეიცავს დეკლარაციულ და ორგანიზაციულ ნაწილებს.²²³ დეკლარაციული ნაწილი აღწერს, თუ რომელი ზომები იქნა მიღებული საქმის წარმოების დაწყების შემდეგ და რა დამატებითი ზომებია გასატარებელი. ორგანიზაციული ნაწილი კი განსაზღვრავს, როგორ შეიცვლება ჩართულ მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა.²²⁴ გადახდისუუნარობის გეგმა მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამტკიცებულია კრედიტორთა უმრავლესობის მიერ და მოთხოვნათა ჯამში, იმ კრედიტორებისა, რომლებიც ეთანხმებიან გეგმას, შეადგენს ჯამურ მოთხოვნათა ნახევარზე მეტს. თუმცა, გარკვეულ პირობებში, კოდექსი მიიჩნევს, რომ ჯგუფი მაშინაც შეთანხმებულად ითვლება, თუ საჭირო უმრავლესობა არ იქნა მიღწეული.²²⁵ აღნიშნულის მიზანია, კრედიტორებმა თავიდან აიცილონ გეგმის ჩავარდნა (“prohibition of obstruction”). თავისთავად, გეგმის დამტკიცებისთვის საჭიროა მოვალის თანხმობაც.²²⁶

²²² Insolvency Code (InsO), Section 218 - Submission of insolvency plan [ხელმისაწვდომია; <https://www.gesetze-im-internet.de/insol/218.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²²³ Insolvency Code (InsO), Section 219 - Breakdown of plan [ხელმისაწვდომია; <https://www.gesetze-im-internet.de/insol/219.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²²⁴ იქვე., Section 220 - Declaratory part

²²⁵ იქვე., Section 224 - Rights of insolvency creditors

²²⁶ იქვე., Section 247 - Debtor's consent

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქმე AG Köln, გადაწყვეტილება 14.11.2017 - 73 IN 173/15,²²⁷ სადაც სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კრედიტორთა თანასწორობის წესზე. მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა კრედიტორთა სამი ჯგუფი, რომელთაგან პირველი ჯგუფის კრედიტორთა მოთხოვნების საერთო ღირებულება შეადგენდა 406,000 ევროს, ხოლო გეგმაში ეს თანხა შემცირებული სახით შევიდა და შეადგინა 366,000 ევრო. მეორე ჯგუფი შედგებოდა იმ კრედიტორებისგან, რომელთა მოთხოვნებიც გამომდინარეობს დელიქტური ვალდებულებებიდან. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, მასში იყვნენ კრედიტორები, რომელთა სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა 1,425,808.40 ევროს.

მოცემულ შემთხვევაში, მე-2 ჯგუფის კრედიტორის მიერ დაგეგმილი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად (დაახლოებით 28 % - ით) განსხვავდებოდა მე-3 ჯგუფის კრედიტორების დაკმაყოფილების მაჩვენებელთან შედარებით. გეგმის მსგავსი რეგულაციებიდან გამომდინარე, კრედიტორთა ორი ჯგუფი გეგმას დათანხმდა, ხოლო მესამე ჯგუფმა გეგმის დამტკიცებაზე უარი თქვა. შესაბამისად, გეგმამ გადახდისუუნარობის კოდექსის (InsO) § 244-ით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობა ვერ მოიპოვა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავს შემთხვევებში, ძალიან მნიშვნელოვანია, დაცული იყოს კრედიტორთა თანაბრობის პრინციპი. ჯგუფის ან ცალკეული კრედიტორის ნებისმიერმა შეღავათიანმა პოზიციამ შეიძლება სხვა ჯგუფი დააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში.²²⁸

აღსანიშნავია, რომ მე-2 და მე-3 ჯგუფის კრედიტორებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მე-2 ჯგუფის კრედიტორის მოთხოვნა ჩამოყალიბებულია განზრახ ჩადენილი დელიქტის საფუძველზე, შესაბამისად, ნარჩენი დავალიანების ჩამოწერა გამორიცხებულია, ხოლო მე-3 ჯგუფის კრედიტორების მოთხოვნები ექვემდებარება ნარჩენი დავალიანების ჩამოწერას. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს თანაბარი რანგის პრივილეგირებული კრედიტორების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას, არაპრივილეგირებულ კრედიტორებთან მიმართებით. ამას ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის კოდექსის 245-ე მუხლის ფორმულირება. ეს

²²⁷ Cologne district court, resolution of November 14, 2017 - 73 IN 173/15, Paras 2-18 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199872.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²²⁸ Brünkmanns, Christian, Thole, Christoph, Handbuch Insolvenzplan, 1 st edition, 2016, § 19

ასევე ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, ყველა კრედიტორის თანაბარი მოპყრობის პრინციპს, რომელიც გამოხატულია InsO.-ის 294-ე პუნქტში (InsO § 294-ის 1 ნაწილის მიხედვით).²²⁹

კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუკი გეგმა არადაქვემდებარებულ კრედიტორთა²³⁰ ჯგუფს უფრო მაღალ კვოტას სთავაზობს. გეგმის ავტორმა გეგმის ჩავარდნის პრევენცია სწორედ იმით უნდა მოახდინოს, რომ არ დაუშვას კრედიტორებს შორის არათანაბარი მოპყრობა, მაგალითად როგორც ამ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, გეგმა არადაქვემდებარებულ ყველა კრედიტორს ერთნაირ კვოტას უნდა სთავაზობდეს. რაც შეეხება კვოტას პრივილეგირებული კრედიტორებისთვის, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) 850c პარაგრაფის მიხედვით არაპრივილეგირებულ მოთხოვნებსა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 850f(2) პარაგრაფით გათვალისწინებული პრივილეგირებულ მოთხოვნებს შორის შეიძლება გამართლებული იყოს გადახდისუუნარობის გეგმის კონტექსტში საგამონაკლისო მოთხოვნების მქონე კრედიტორების ჩაყენება უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში.²³¹

მართალია, გეგმამ შესაძლებელია, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პრივილეგირებულ კრედიტორებს უფრო მაღალი კვოტა შესთავაზოს. თუმცა, § 245.2 # 3 InsO და § 226.1 InsO,-ის თანახმად, ინდივიდუალური კრედიტორების პრეფერენციული მოპყრობა დასაშვებია მხოლოდ არაპრივილეგირებული კრედიტორების უმრავლესობის თანხმობით (იხ. Kaldenbach, in: Schmidt, Sanierungsrecht, 1st ed. 2015, § 245. №34; აგრეთვე იხ. Jaffé, in: FK-InsO, 8th ed. 2015, § 245 no. 31.) იმ შემთხვევაში, თუ პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები გაერთიანებულია ერთად, მხარეთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა §§ 226 პარ. 1, 2 InsO-ის მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობით. თუ პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები ორ განსხვავებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, საკმარისია მათი ჯგუფის

²²⁹ იქვე., § 20-22

²³⁰ Section 46f(6) sentence 1 of the German Banking Act (Kreditwesengesetz)

²³¹ Code of Civil Procedure, § 850c - garnishment limits for earned income, Section 850f - change in the non-seizable amount [ხელმისაწვდომია: <https://dejure.org/gesetze/ZPO> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

არაპრივილეგირებული კრედიტორების უმრავლესობის (ხელმძღვანელი და ჯამური უმრავლესობა, § 244(1) InsO) თანხმობა. თუ არაპრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფის უმრავლესობა ამტკიცებს გეგმას, ითვლება, რომ ამ ჯგუფის მიერ თანხმობა გაცემულია.²³²

მას შემდეგ რაც კრედიტორები და მოვალე დაეთანხმებიან გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმას, მისი საბოლოო დამტკიცებისთვის, გეგმა ასევე უნდა დადასტურდეს სასამართლოს მიერ. სასამართლო გეგმას დაადასტურებს, თუ შესრულებულია ყველა პროცედურული მოთხოვნა და სახეზე არ არის რომელიმე კრედიტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ გეგმის შესრულებით მისი მდგომარეობა გაუარესდება.²³³ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორების მხრიდან პრეტენზიის წარდგენის ვადა გასულია და, შესაბამისად, გასაჩივრება შესაძლებელი აღარ არის, სასამართლო წყვეტს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოებას.²³⁴

მას შემდეგ, რაც სასამართლო დამტკიცებს გეგმას, მისი ორგანიზაციული ნაწილით გათვალისწინებული შედეგები ყველა მონაწილისათვის სავალდებულო ხდება.²³⁵ მოვალის მიერ გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმით დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მიზნით, შესაძლოა გეგმის შესრულებაზე გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრატორის მიერ მონიტორინგის განხორციელება. მონიტორინგის პერიოდში, ადმინისტრატორმა ყოველწლიურად უნდა მოახსენოს სასამართლოს და კრედიტორთა კომიტეტს, ასეთი არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის შესრულებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.²³⁶

როგორც გადახდისუნარიანობის კოდექსი ადგენს, თუ გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმა სხვა რამეს არ ითვალისწინებს და მოვალე გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებების კეთილსინდისიერად შეასრულებს, იგი გათავისუფლდება დარჩენილი დავალიანებისგან.²³⁷

²³² Cologne district court, resolution of November 14, 2017 - 73 IN 173/15, Paras 26 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199872.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²³³ Insolvency Code (InsO), Section 251 - Protection of Minorities [ხელმისაწვდომია; <https://www.gesetze-im-internet.de/insol/251.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²³⁴ იქვე., § 258 (1)

²³⁵ იქვე., § 254 (b)

²³⁶ იქვე., § 261 (2)

²³⁷ იქვე., § 227 (1)

გარდა ამისა, სასამართლო უშვებს „ნულოვანი“ გეგმის შედგენის შესაძლებლობასაც. აღნიშნული გეგმა გათვალისწინებულია მოვალეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შემოსავალი და აქტივი. სასამართლოს მიერ „ნულოვანი გეგმის“ დამტკიცების შედეგს წარმოადგენს ის, რომ მოვალე არაუგვიანეს 6 წლისა, ²³⁸თავისუფლდება ვალებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი შემოსავლებისა და აქტივების გათვალისწინებით, მას კრედიტორების დაკმაყოფილება არ შეუძლია.²³⁹ აქვე აღსანიშნავია, რომ ნულოვანი გეგმის შედგენა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. 2013 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში ფიზიკური პირების გაკოტრების რეგულირების შესახებ.²⁴⁰ აღნიშნულ დოკუმენტში ხაზი გაესვა, რომ გადახდისუნარობის პროცედურები ხშირ შემთხვევაში არაგონივრულად იყო გაჭიანურებული (გერმანიაში იმ დროისთვის 6 წელი, ხოლო შვედეთში 5 წელი). მართალია აღნიშნული იურისდიქციები ითვალისწინებდნენ ნულოვანი გეგმის შედგენას, თუმცა ვალების ჩამოწერა ხდებოდა გაკოტრების პროცედურის დასრულების შემდეგ, რაც, თავის მხრივ, პრობლემას ქმნიდა ისეთი მოვალეებისთვის, რომლებსაც არც აქტივები და არც შემოსავლები არ გააჩნდათ. გერმანიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ნულოვანი გეგმის მქონე მოვალეთა 80% გადახდისუნარონი რჩებოდნენ 6 წლის განმავლობაში. შვედეთში ეს რიცხვი 60%-ს შეადგენდა.²⁴¹

როგორც ირკვევა, სამართლის ორივე სისტემის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გეგმის შედგენის პრინციპებს. ქართულ კანონმდებლობაში იურიდიულ პირებთან მიმართებით კანონში პრინციპების სახით არ არის

²³⁸გერმანიის გადახდისუნარობის კოდექსის 287 -ე პარაგრაფის თანახმად, თუკი მოვალემ 2020 წლის 30 სექტემბრამდე მიმართა სასამართლოს დავალიანების ჩამოწერის შესახებ, პროცედურის ვადა 5 წელს შეადგენს. იხ.: application of the debtor [ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/inso/_287.html], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²³⁹ Dr. Remmert, Andreas, International Company and Commercial Law Review, Sweet & Maxwell, London, page 427 ხელმისაწვდომია: https://www.justiz.nrw.de/WebPortal_en/projects/ieei/documents/public_papers/german_insolvency.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁴⁰ “Insolvency and Creditor/Debtor Regimes Task Force. 2014. Report on the Treatment of the Insolvency of Natural Persons. World Bank, Washington, DC., World Bank [ხელმისაწვდომია: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/17606>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁴¹ Iain Ramsay, Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15 (2017).

ჩამოყალიბებული გადახდისუნარიანობის გეგმის შედგენის პრინციპი, ასევე ნალები ყურადღება ეთმობა კრედიტორების თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის გათვალისწინებაც ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში, უმჯობესია საორიენტაციოდ აღებული იქნას გერმანული რეგულირება, რომელიც ადგენს, რომ გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმა უპირატესად არ უნდა ითვალისწინებდეს მოვალის ქონების რეალიზაციას. ამასთანავე, შესაძლოა დადგინდეს ამ ქონების სხვაგვარად გამოყენება (სეკვესტრი). ქონების რეალიზაცია კი უნდა იყოს ის უკიდურესი წესი, რომელიც გადახდისუნარიანობის საქმის წარმოებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს, რათა მოვალეს ჰქონდეს სხვა ალტერნატივის მოძიების, დასაქმების, შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობა. გეგმის მთავარი მიზანი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა, დავალიანების ძირი თანხის გადახდა და შესაბამისად, უნდა შეიცავდეს ამ ძირი თანხის გადახდის წესს, ხოლო მათ დაფარვის შემდგომ დარიცხული პროცენტებისა და პირგასამტეხლოს დაფარვის წესს. თავისთავად, გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმაში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა უნდა განისაზღვროს ვალდებულების წარმოშობის დროის მიხედვით, ხოლო დაკმაყოფილების ოდენობა ვალდებულებების პროპორციულად.²⁴²

თუკი მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი ან იმ შემთხვევაში, თუკი ეს შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, შესაძლოა დაწესდეს იმგვარი მიდგომა, რომ გადახდისუნარიანობის ადმინისტრატორს დაევალოს დაუკავშირდეს დასაქმების ბიუროს ხოლო მოვალეს განესაზღვროს ვალდებულება, დასაქმდეს დასაქმების ბიუროს მიერ შეთავაზებულ საქმიანობაზე, თუ იგი გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის დამტკიცებამდე თავისი ინიციატივით არ დასაქმდება უფრო მაღალ ანაზღაურებად პოზიციაზე ან არ გაუჩნდება სხვა უფრო მაღალ ანაზღაურებადი შემოსავალი.

რაც შეეხება გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის ვადასა და მისი დამტკიცების წესს, 3 წელი გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმისთვის საკმარისად

²⁴² დამატებით იხ.: Iain Ramsay, Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15 (2017), 25-29, 38.

საკმარისია. რაც შეეხება, გეგმის დამტკიცების წესს, მისი დამტკიცების უფლებამოსილება, რა თქმა უნდა, მხოლოდ სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს. თუკი გეგმა მიღებული იქნება, მოვალისა და კრედიტორთა შეთანხმების საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება იგი ზეპირი მოსმენის გარეშე დაამტკიცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ აუცილებლად უნდა მოიწვიოს ზეპირი სხდომა, სადაც მოუსმენს მოვალეს, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორსა და კრედიტორებს და ამის შესაბამისად, დაამტკიცებს გეგმას ან შეიძლება შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები. მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია ითვალისწინებდეს, გეგმის გადახედვის შესაძლებლობას.

ამ ნაწილში ასევე საინტერესოა ხარჯების განაწილებისა და გადახდის წესი. რა თქმა უნდა, სასამართლოში ნებისმიერი საქმის წარმოება დაკავშირებულია ხარჯებთან, რომელთა გაღებაც კანონმდებლობის შესაბამისად უწევთ მხარეებს. საპროცესო ხარჯი არის იმ კატეგორიის ვალდებულება, რომელიც აუცილებელ და სრულ დაკმაყოფილებას ექვემდებარება.²⁴³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 37-ე მუხლში მიუთითებს, რომ პროცესის ხარჯებს მიეკუთვნება სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯები თავის მხრივ, შედგენა სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებას სასამართლოს მიერ. ეს არის შემთხვევა, როდესაც მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან.²⁴⁴ გარდა ამისა, კანონი უშვებს მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც მოსარჩელე თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სასამართლო ხარჯების უპირატესად დაკმაყოფილების წესს იცნობს სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობაც. სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლში

²⁴³ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021,73

²⁴⁴ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი, 2007, გვ.92

მითითებულია, რომ თუკი მოვალის აქტივები არ არის საკმარისი ვადამოსული ვალის დასაფარად, პირველ რიგში უნდა დაიფაროს სასამართლო ხარჯები, შემდეგ ძირითადი ვალი და ბოლოს პროცენტები.

სასამართლო ხარჯებში იგულისხმება როგორც სასამართლო ხარჯები, ასევე აღსრულების ხარჯები. საჯაროსამართლებრივი ვალდებულების უპირატესი დაფარვის არსებითი საფუძველი ისაა, რომ მისი წარმოშობა დაკავშირებულია დასახელებული კერძოსამართლებრივი ვალდებულების შესრულებასთან და, ამდენად, ამ უკანასკნელის მიზნებს ემსახურება. ძირითადი ვალი ნიშნავს ძირითადი ფულადი ვალდებულების მთელ თანხას, ხოლო პროცენტებში იგულისხმება როგორც ძირითად ვალზე ვალდებულების შესრულების დასარიცხი პროცენტები, ისე მისი ვადის გადაცილების გამო წარმოშობილი პროცენტები (პირგასამტეხლო)²⁴⁵

თავისთავად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაც დაკავშირებული გარკვეულ ხარჯებთან. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი 79-ე მუხლში ადგენს, ხარჯების უპირატესად დაკმაყოფილების წესს და მიუთითებს, რომ რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებების დარღვევის გარეშე, პირველ რიგში უნდა დაიფაროს რეაბილიტაციის ხარჯები. რეაბილიტაციის ხარჯებს განეკუთვნება სასამართლო ხარჯები, რომლებიც თავის მხრივ გულისხმობს სახელმწიფო ბაჟსა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ასევე რეაბილიტაციის მმართველის, ზედამხედველისა და კრედიტორთა კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯებსა და მათი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯებს.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წესი გადახდისუუნარობის პროცესში ხარჯების დაფარვა ხდება წინასწარ. შესაბამისად, სასამართლო განაცხადის წარდგენის ეტაპზევე ამოწმებს შეუძლია თუ არა მოვალის თავისი ქონებით საპროცესო ხარჯების დაფარვა. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოვალეს არ შეუძლია საპროცესო

²⁴⁵ 15 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 387, გვ. 343.

ხარჯების დაფარვა, იგი გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის განაცხადის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.²⁴⁶

ვინაიდან, საპროცესო ხარჯების დაკმაყოფილების ამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადახდისუუნარობის პროცესში, საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, საპროცესო ხარჯების რთული დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მოვალეობა გადახდისუუნარობის მმართველს ეკისრება. აქ გაკოტრების მმართველს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს გულისხმობს იმას, რომ მართალია მმართველი უფლებამოსილია შეიძინოს სხვადასხვა სახის მომსახურება პროცესის გამართულად წარმართვის მიზნით, ამასთან, ის ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საპროცესო ხარჯის წარმოქმნისაგან, რომლის გადახდა არ არის სრულად უზრუნველყოფილი.

ძირითადად, ქვეყნების უმეტესობა გადახდისუუნარობის პროცესის ფარგლებში, საპროცესო ხარჯების წინასწარ დაფარვის წესს იცნობს და ამ ხარჯების დაფარვის შეუძლებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან განაცხადის მიღებაზე უარის თქმას.

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის პროცესის ხარჯები წინასწარ უნდა იქნას გადახდილი გადახდისუუნარობის მასიდან (მუხლი 53 InsO). გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხარჯები მოიცავს სასამართლო მოსაკრებლებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით და მიღებულ ანაზღაურებას. ასევე გადახდისუუნარობის დროებითი ადმინისტრატორის, გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის და კრედიტორთა კომიტეტის წევრების მიერ გაწეულ ხარჯებს.²⁴⁷

იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ფიზიკური პირია და მან შეიტანა განცხადება ნარჩენი დავალიანების (residual debt - ვალის ის ნაწილი, რომელიც ჩამოწერას ექვემდებარება) ჩამოწერის თაობაზე, მისი განცხადების საფუძველზე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხარჯების დაფარვა გადაიღება ნარჩენი

²⁴⁶ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021, გვ.73

²⁴⁷[ხელმისაწვდომია: <https://e-justice.europa.eu/447/EN/insolvencybankruptcy?GERMANY&init=true&member=1#tocHeader15>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

დავალიანების დაფარვამდე, რამდენადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისი გაკოტრე საკმარისი იქნება ამ ხარჯების დასაფარად. გადავადება ასევე მოიცავს ვალების ანგარიშსწორების გეგმასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ნარჩენი დავალიანების დაფარვის პროცედურას. მოვალემ მოთხოვნას უნდა დაურთოს განაცხადი იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ხარჯების გადავადების გამომრიცხავი გარემოებები (მუხლი 290 (1)). თუ ასეთი მიზეზი არსებობს, გადავადება გამორიცხულია. კერძოდ, ასეთი გარემოებები სახეზეა თუ ა) მოვალეს მიესაჯა ჯარიმის გადახდა ან 90 დღეზე მეტი ხნით პატიმრობა (გაკოტრების წარმოების დაწყებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის²⁴⁸ 283 (გაკოტრება²⁴⁹) ან 283c (კრედიტორთა მიმართ არათანაბარი მოპყრობა²⁵⁰) მუხლებით ჩადენილი დანაშაული; ბ) მოვალემ, ბოლო 3 წლის განმავლობაში, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით წარადგინა არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ან მსგავსი ინფორმაცია გამოიყენა გაკოტრების წარმოების დაწყების შემდეგ ახალი ვალის ან სახელმწიფოს ხარჯზე სარგებლის მისაღებად; გ) გაკოტრების წარმოების დაწყებამდე 3 წლის განმავლობაში ან გაკოტრების წარმოების დაწყების განაცხადის შეტანის შემდეგ,

²⁴⁸ German Criminal Code, (Strafgesetzbuch – StGB) [ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p2561], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁴⁹ ვისაც კი ზედმეტად დავალიანების ან არსებული ან გარდაუვალი გადახდისუუნარობის შემთხვევაში: (1) ფარულად გამოაქვს ან მალავს, ან, ჩვეულებრივი ბიზნეს სტანდარტების საწინააღმდეგოდ, ანადგურებს, აზიანებს ან გამოუსადეგარს ხდის აქტივების ნაწილებს, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში უნდა მიკუთვნებულიყო გადახდისუუნარობის მასას; (2) ბიზნეს რეგულაციების საწინააღმდეგოდ, დებს წამებთან ან სპეკულაციურ გარიგებებს ან მოიხმარს ზედმეტ თანხებს, ან ხდება დავალიანებული არაგონივრული დანახარჯების, აზარტული თამაშების ან ფსონების გამო; (3) ყიდულობს საქონელს ან ფასიან ქაღალდებს კრედიტით და ყიდის ან საბაზრო ღირებულებაზე არსებითად დაბალ ფასად სხვაგვარად განკარგავს მათ ან ამ საქონლისგან წარმოებულ ნივთებს; (4) მოჩვენებითად ამტკიცებს სხვისი უფლებების არსებობას ან ცნობს ფიქტიურ უფლებებს; (5) არ აწარმოებს ანგარიშების აღრიცხვას, რომლებიც კანონით ევალება მას, ან აღრიცხავს ან ცვლის მათ ისე, რომ გართულდეს მიმდინარე აქტივების მდგომარეობის გამოკვლევა; (6) საარქივო ვადის ამოწურვამდე ფარულად გამოაქვს, მალავს, ანადგურებს ან აზიანებს, ხარჯთაღრიცხვის წიგნებს ან სხვა დოკუმენტაციას, რომელთა შენახვა, კომერციული კანონმდებლობის მიხედვით, მოვალეს აკისრია, და ამით უფრო მეტად აართულებს მიმდინარე აქტივების სტატუსზე ზედამხედველობას; (7) კომერციული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ა) ადგენს ხარჯთაღრიცხვას ისე, რომ გართულდეს ამჟამინდელი აქტივების მდგომარეობის გამოკვლევა, ან ბ) ვერ შედგეს აქტივების ბალანსი ან ინვენტარიზაცია დადგენილ დროში. ან (8) სხვა გზით, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგება რეგულარულ ბიზნეს სტანდარტებს, ამცირებს წმინდა აქტივებს ან ფარავს ან მალავს რეალურ ბიზნეს გარემოებებს.

²⁵⁰ ვინც, გაცნობიერებულად ანიჭებს რომელიმე კრედიტორს გარანტიას ან სარგებელს, რისი უფლებაც ამ კრედიტორს არ აქვს, ან განზრახ ან შეგნებულად ანიჭებს რომელიმე კრედიტორს სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესობას.

მოვალემ განზრახ ან უხეში დაუდევრობით დააბრკოლა გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილება არაგონივრული ვალდებულებების წარმოშობით ან აქტივების გაფლანგვით ან გაკოტრების წარმოების დაწყების გაჭიანურებით, როდესაც აშკარა იყო, რომ ვერ გაუმჯობესდებოდა მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა; დ) მოვალემ განზრახ ან უხეში დაუდევრობით დაარღვია კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ან თანამშრომლობის ვალდებულება; ე) მოვალემ განზრახ ან უხეში დაუდევრობით წარმოადგინა არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია კოდექსის 287(1) მუხლის მე-3 წინადადების თანახმად²⁵¹ გაკეთებულ განცხადებაში საკუთარი აქტივებისა და შემოსავლების, კრედიტორების და კოდექსის 305(1) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების მითითებისას; ²⁵² ვ) მოვალე არღვევს კოდექსის მე-287ბ მუხლით²⁵³ განსაზღვრულ ვალდებულებას ედიოს სამსახური, რითაც აფერხებს კრედიტორთა დაკმაყოფილებას. აღნიშნული სახეზე არ არის თუ მასში არ იკვეთება მოვალის ბრალეულობა. ამ შემთხვევაში გამოიყენება კოდექსის 296(2) მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.²⁵⁴ თუკი, მოვალის საქმის განხილვის ხარჯების გადავადების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მას მოთხოვნისთანავე დაენიშნება ადვოკატი, თუ სასამართლოში ადვოკატის წარმომადგენლობა აუცილებელია. ადვოკატის დანიშნვის წესი განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-3 მუხლიდან მე-5 მუხლამდე გათვალისწინებული წესით, რომელიც ეხება

²⁵¹ განცხადებას უნდა დაერთოს მოვალის დასტური იმის შესახებ, რომ იგი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებიდან სამი წლის განმავლობაში მეურვეს წარუდგენს მოთხოვნებს შრომითი ურთიერთობის ანაზღაურების ან მიმდინარე, მისი შემცველი ანაზღაურების შესახებ, რასაც განსაზღვრავს სასამართლო. თუ მოვალეს 2020 წლის 30 სექტემბრის შემდეგ შეტანილი განცხადების საფუძველზე უკვე დაეკისრა ნარჩენი დავალიანებისგან გათავისუფლება, ახალი წესით განსაზღვრული ვადა არის ხუთი წელი.

²⁵² შესაბამისი პირის ან ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა პირადი კონსულტაციისა და მოვალის შემოსავლისა და ფინანსური გარემოებების საფუძვლიანი შემოწმების შესახებ, რომელიც აჩვენებს, რომ გეგმის საფუძველზე ვალების დაფარვის თაობაზე კრედიტორებთან სასამართლოსგარეშე შეთანხმება (out-of-court settlement) წარუმატებლად დასრულდა გადახდისუუნარობის წარმოების გახსნამდე ექვსი თვის განმავლობაში.

²⁵³ დადგენილი ვადის (assignment period) დაწყებიდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებამდე მოვალე ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი მომგებიანი საქმიანობა და თუ ის არ არის დასაქმებული, შეეცადოს დასაქმდეს ან უარი არ თქვას დასაქმების გონივრულ შემოთავაზებაზე.

²⁵⁴ მოვალემ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი ვალდებულებების შესრულების შესახებ და კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში, ფიცით უზრუნველყოს ამ ინფორმაციის სიზუსტე. თუ იგი მისთვის დადგენილ ვადაში დასაბუთებული მიზეზის გარეშე არ წარმოადგენს ინფორმაციას ან ფიცით მიცემულ ჩვენებას, ან საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს, მას აღარ ჩამოეწერება დარჩენილი დავალიანება.

ადვოკატის დანიშვნას სასამართლოს მიერ. ამ შემთხვევაში გამოიყენება *mutatis mutandis*, ანუ ანალოგიის წესი.²⁵⁵

თუკი, მოვალე ნარჩენი დავალიანების დაფარვის შემდეგ, ვერ ახერხებს გადავადებული თანხის გადახდას თავისი შემოსავლიდან ან აქტივებიდან, სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს გადავადების ვადა და განსაზღვროს ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქაც გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის 1-დან 3-მდე და 120-ე მუხლის მე-2 ნაწილები *mutatis mutandis*, ანუ ანალოგიის პრინციპით. სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს გადაწყვეტილება გადავადებისა და ყოველთვიური განწილვადების შესახებ (იგულისხმება გაკოტრების საპროცესო ხარჯების გადავადება. როგორც აღინიშნა, საპროცესო ხარჯების ჩამოწერა არ ხდება, შესაბამისად თუ სხვა ვალები ჩამოიწერა, მაგრამ მოვალე ვერ ახერხებს საპროცესო ხარჯების დაფარვას, ხდება მისი განწილვადება). ეს გადაწყვეტილება მიიღება, თუ მნიშვნელოვნად შეიცვალა მოვალის პირადი ან ეკონომიკური გარემოებები. ამ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ამ გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ და აქაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 120a პუნქტის 1 მე-2 და მე-3 წინადადებები გამოიყენება *mutatis mutandis* პრინციპით. თავისთავად, მოვალის საზიანოდ ამ გადაწყვეტილების ცვლილება გამორიცხულია, თუ საქმის წარმოების დასრულებიდან გასულია ოთხი წელი.²⁵⁶

კანონმდებლობით დადგენილია, რომ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადავადების შესახებ გადაწყვეტილება თუ: 1) მოვალე, დადგენილი ვადის დაწყებიდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებამდე, ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი მომგებიანი საქმიანობა და თუ ის არ არის დასაქმებული, შეეცადოს დასაქმდეს ან თუ ექნება დასაქმების გონივრული შემოთავაზება, უარი არ თქვას მასზე.

²⁵⁵ Insolvency Code (InsO), Section 4a Deferral of the costs of insolvency proceedings [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/4a.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁵⁶ Insolvency Code (InsO), Section 4a Deferral of the costs of insolvency proceedings [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/4b.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მოვალემ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი ვალდებულებების შესრულების შესახებ და კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში, ფიცით დაადასტუროს ამ ინფორმაციის სიზუსტე. სასამართლოს მიერ დარჩენილი ვალდებულებების ჩამოწერა არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოვალე, მისთვის დადგენილ ვადაში დასაბუთებული მიზეზის გარეშე არ წარმოადგენს ინფორმაციას ან ფიცით მიცემულ ჩვენებას, ან საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს, მას აღარ ჩამოეწერება დარჩენილი დავალიანება. ასევე იმ შემთხვევაში, თუკი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას, მან გაუფრთხილებლობით, მიაწოდა არასწორი ინფორმაცია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ან გადავადებისთვის გადამწყვეტი გარემოებების შესახებ, ან არ გამოაცხადა თავისი გარემოებების შესახებ, რაც მოთხოვნილ იქნა სასამართლო წესით. ასევე არ დაკმაყოფილდა გადავადების პირობები. მოცემულ შემთხვევაში გადავადების ბათილად ცნობა გამოირიცხება, თუ საქმის წარმოების დასრულებიდან ოთხი წელია გასული. მოვალე საკუთარი ბრალეულობის გამო არ იხდის ყოველთვიური განწილვადების თანხას სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. მოვალე არ ეწევა ადეკვატურ ეკონომიკურ საქმიანობას და თუ ის არ არის დასაქმებული, არ ეძიებს ასეთ საქმიანობას ან უარს ამბობს გონივრულ საქმიანობაზე, რითაც აზიანებს კრედიტორების კმაყოფილებას. ეს არ ვრცელდება, თუ მდგომარეობა მოვალის ქმედებით არ არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში გამოიყენება § 296 მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები.²⁵⁷

მოვალე უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გაასაჩივროს განჩინება გადავადების ან მისი გაუქმების, აგრეთვე ადვოკატის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო, გადავადების შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია დაუყოვნებლად გაასაჩივროს გადავადება. ეს შეიძლება დაფუძნდეს მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ მოვალის პირადი ან ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე, გადავადება უნდა უარყოფილიყო.²⁵⁸

²⁵⁷ Insolvency Code (InsO), Section 4c Deferral of the costs of insolvency proceedings [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/4c.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁵⁸ Insolvency Code (InsO), Section 4c Deferral of the costs of insolvency proceedings [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/4c.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

3.4. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობისას იმ ვალდებულებათა განსაზღვრა, რომლებიც არ ექვემდებარებიან გათავისუფლებას

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გადახდისუუნარობის კანონმდებლობის უმეტესობა ფიზიკური პირების ვალდებულებებისგან სრულად გათავისუფლებას ისახავს მიზნად. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მოვალის მხრიდან კეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში, მას ნარჩენი დავალიანება სრულად არ ჩამოეწერება. ნარჩენ დავალიანებაში იგულისხმება ის დავალიანება, რომელთა დაკმაყოფილებაც რეაბილიტაციის გეგმისა და ზოგადად ამ რეჟიმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ მოვალე კეთილსინდისიერად ასრულებდა გეგმით დაკისრებულ მოვალეობებს.

სწორედ ეს არის გადახდისუუნარობის პროცესის საბოლოო შედეგი, რომ მოვალე ნარჩენი ვალდებულებებისგან უნდა გათავისუფლდეს. „ვალდებულებებისაგან გათავისუფლება არის კანონის ძალით მოვალისთვის იმ ვალდებულებების პატიება, რომლის გადახდაც ვერ მოხერხდა გაკოტრების პროცესში.²⁵⁹

როგორც დირექტივა მიუთითებს, მოვალეები რომლებიც „გამოსაცდელ“ პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებული მოვალეობებს, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სრულად თავისუფლდებიან ფულადი ვალდებულებებისგან. სწორედ ეს არის რეალური ახალი დასაწყისი. ამასთან, დირექტივაში აღნიშნულია, რომ ეს ვადა არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ მოვალისთვის ვალდებულებების ჩამოწერას აზრი დაეკარგოს ან იმდენად ძვირადღირებული აღმოჩნდეს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურის მიზნები ვეღარ იქნეს მიღწეული.

რა თქმა უნდა, ყველა ტიპის ვალდებულება ჩამოწერას არ ექვემდებარება და არის ვალდებულებები, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე მათგან გათავისუფლება დაუშვებელია.

ვალების სრულად ჩამოწერის შესაძლებლობას იცნობს ამერიკის გაკოტრების კანონმდებლობა, რომლის მიზანიც მოვალისთვის სუფთა დასაწყისის

²⁵⁹ ნ. ამისულაშვილი, „ფიზიკური პირების მიერ გადახდისუუნარობის რეჟიმის არაკეთილსინდისიერად გამოყენების დამაბრკოლებელი მექანიზმები“, სტუდენტურ-სამართლებრივი ჟურნალი, 2016, გვ. 20.

შესაძლებლობის მიცემაა. თუმცა, რა თქმა უნდა, კანონმდებლობით განსაზღვრულია მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა ჩამოწერა მათი ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

როგორც ამერიკის გაკოტრების კოდექსი ადგენს, დაუშვებელია ისეთი ვალებისაგან გათავისუფლება, რომელიც თაღლითობის, სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თუ საოჯახო ვალდებულებებისაგანაა წარმოშობილი. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი კი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი ვალდებულებებისგან გათავისუფლებას, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად წარმოიშვა ან მოვალემ იგი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით დაარღვია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში ინფორმაციის მიწოდებისა და თანამშრომლობის ვალდებულება. სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის, მიზანშეწონილია საკითხის უფრო დეტალური განხილვა გერმანული და ამერიკული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე.

როგორც ამერიკის გაკოტრების კოდექსი მიუთითებს, მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის მიზანია მოვალის ქონების რეალიზაციის გზით, რაც შეიძლება სწრაფი ახალი დასაწყისის უზრუნველყოფა.²⁶⁰ სწორედ ამიტომ, ამ თავს სათაურად ჰქვია - „ლიკვიდაცია“. გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული რეგულაციის მიხედვით, ვალების ჩამოწერა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის და არა კორპორაციებისა და პარტნიორობებისთვის (11 U.S.C. § 727(a)(1)). მიუხედავად იმისა, რომ გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში შედეგი არის ის, რომ ვალების ჩამოწერა ხდება, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და ზოგიერთი დავალიანება ჩამოწერას არ ექვემდებარება (11 U.S.C. § 727(a)(1)). მეტიც, გათავისუფლება/ჩამოწერა არ ეხება იმ შემთხვევებს, როცა სახეზეა იპოთეკა/გირავნობა.

გაკოტრების კოდექსის მე-7 თავის თანახმად, ფიზიკური პირის ვალების უმეტესობის ჩამოწერა ხდება. თუმცა, ჩამოწერას არ ექვემდებარება ალიმენტისა და

²⁶⁰ SUPREME COURT OF THE UNITED STATES - No. 14-400, CHARLES E. HARRIS, III, PETITIONER v. MARY K. VIEGELAHN, CHAPTER 13 TRUSTEE [ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/14-400>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ბავშვის მხარდაჭერასთან დაკავშირებული დავალიანება, განზრახ დაზიანების შემთხვევებიდან გამომდინარე ვალები, მოვალის მიერ სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო სიკვდილით ან ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ვალები (11 U.S.C. § 523 (a)). თავისთავად, მოვალე პასუხისმგებელი რჩება იმ ვალებზე, რომელთა ჩამოწერაც გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით არ ხდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოვალეს მე-13 თავით გათვალისწინებული წესის მიხედვით, შედგენილი გეგმით განსაზღვრული ყველა გადახდის შესრულებისთანავე, მოვალის ვალდებულებების ჩამოწერა ხდება. თუმცა, აუცილებელია, რომ მოვალემ: (1) დაადასტუროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომ ყველა საოჯახო რჩენის ვალდებულება, რომელიც დაკისრებული იყო გადახდილია; (2) წინა შეტანილ საქმეზე მისი ვალების ჩამოწერა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში (მე-13 თავით გათვალისწინებული პროცედურის შემთხვევაში 2 წელი, ხოლო მე-7, მე-11 და მე-12 თავების შემთხვევაში 4 წელი); (3) დაასრულა ფინანსური მენეჯმენტის დამტკიცებული კურსი (თუ გაკოტრების ადმინისტრატორმა დაამტკიცა, რომ ასეთი კურსები მოვალის რაიონში ხელმისაწვდომია, 11 U.S.C. § 1328. 11 U.S.C. § 1328 (h)). გაკოტრების კოდექსის მე-13 თავის თანახმად, გადახდისუუნარობის გეგმით გათვალისწინებულ კრედიტორებს, თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მოვალის წინააღმდეგ აღარ შეუძლიათ წამოიწყონ ან გააგრძელონ რაიმე სამართლებრივი დავა ან განახორციელონ სხვა ქმედება.

გაკოტრების კოდექსის მე-13 თავის თანახმად, ვალების ჩამოწერა გულისხმობს მოვალის გათავისუფლებას გეგმით გათვალისწინებული ყველა დავალიანებისგან, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც მითითებულია 11 U.S.C. § 1328-ში. მე-13 თავში მოცემული ეს გამონაკლისები მოიცავს გარკვეულ გრძელვადიან ვალდებულებებს (როგორცაა სახლის იპოთეკა), ალიმენტის ან ბავშვის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ვალები, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ან გარანტირებულ საგანმანათლებლო სესხებს ან ვალებს, რომლებიც წარმოიქმნება სიკვდილის ან პირადი დაზიანების შედეგად, რომელიც გამოწვეულია ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ავტომობილის მართვით. რამდენადაც ზემოთ ჩამოთვლილი ფულადი ვალდებულებების ჩამოწერა არ ხდება, ამ ვალებზე

გაკოტრების საქმის დასრულების შემდეგ მოვალე კვლავ პასუხისმგებელი რჩება (11 U.S.C. § 1328, 523(c); Fed. R. Bankr. P. 4007(c)).²⁶¹

ბრიტანეთის კანონმდებლობაშიც არსებობს მსგავსი პრაქტიკას. კერძოდ, ბრიტანული გადახდისუნარობის კანონმდებლობა ადგენს, რომ არ ხდება შემდეგი ვალდებულებების ჩამოწერა : სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა, რომელიც არ ჩამოიწერება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაკისრებული ჯარიმა, ხაზინის თანხმობით, საჯარო შემოსავალთან დაკავშირებული კანონით არის დაწესებული. ასევე არ ჩამოიწერება სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე დავალიანება, რომელიც მოიცავს ვალდებულებას, მოვალის მიერ ანაზღაურებული იქნეს ზიანი დაუდევრობის, კანონისმიერი, სახელმეკრულებო ან სხვა ვალდებულების დარღვევისთვის, ან თუ აღნიშნულის ანაზღაურება გამომდინარეობს მომხმარებელთა დაცვის კანონის 1987 წლის I ნაწილის საფუძველზე. ასევე დავალიანება, რომელიც საოჯახო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, 1991 წლის ბავშვთა მხარდაჭერის აქტის მიხედვით არის დაკისრებული.²⁶²

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, კონკრეტულად კი გერმანიას, თუ მოვალე ფიზიკური პირია, იგი განსაზღვრული პერიოდის დასრულების შემდეგ, თავისუფლდება გადახდისუნარობის საქმის წარმოებისას შეუსრულებელი ვალდებულებებისგან. აქ იგულისხმება, რომ მას ე.წ. ნარჩენი დავალიანება ჩამოეწერება. აღნიშნულისათვის, საჭიროა მოვალის განცხადება, რომელიც გაერთიანებული უნდა იყოს გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადებასთან. თუ განცხადება ნარჩენი დავალიანების დაფარვის შესახებ დასაშვებად იქნება ცნობილი, გადახდისუნარობის სასამართლო განკარგულებით ადგენს, რომ მოვალის დავალიანების დაფარვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს შეასრულებს²⁶³ და თუკი არ არის სახეზე § 290, 297-დან 298-ე პუნქტებით გათვალისწინებული ვალების ჩამოწერაზე უარის

²⁶¹ U.S. Bankruptcy Code , Chapter 13 - Bankruptcy Basics [ხელმისაწვდომია:

<https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁶² Insolvency Act 1986, Part IX, Bankruptcy, 281, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/part/IX> ,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

²⁶³ InsO, §§ 295 და 295a - Debtor's obligations, Debtor's obligations in case of self-employment

[ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_inso/englisch_inso.html , უკანასკნელად

იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

თქმის ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა გადახდისუუნარობისას ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ან სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც 3 თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებენ.

მსგავს მიდგომას იმეორებს სხვა ევროპის ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა მაგალითად ესტონეთი. ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უარს ამბობს მოვალის ფულადი ვალდებულების ჩამოწერაზე, თუ ისინი მსჯავრდებულნი არიან გაკოტრების საქმესთან დაკავშირებული დანაშაულისთვის ან სახეზეა მოვალის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის ფაქტები (ესტონეთის გადახდისუუნარობის აქტის (BA) 173-ე მუხლში მითითებული). ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე, დადგენილ ვადაში არ წარუდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას სასამართლოს. ფაქტობრივად, ეს არის აბსოლუტური საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მოვალის გათავისუფლება ნარჩენი ვალდებულებებისგან არ ხდება. თავისთავად, ვალები, რომლებიც არ ეხება უკანონო ქმედებით განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან ბავშვის ან მშობლის მხარდაჭერის საკითხებს და გადახდისუუნარობის საქმის ფარგლებში ვერ დაიფარება, საქმის დასრულების შემდეგ, ჩამოიწერება (176-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ესტონური BA).²⁶⁴

ზემოთ განხილული საკითხი აუცილებლად უნდა განისაზღვროს ქართულ კანონმდებლობაშიც. გარდა იმისა, რომ აღნიშნული გადახდისუუნარობის სამართლის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს, მისი გათვალისწინება აუცილებელია თავად თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მართალია გადახდისუუნარობის კანონის მიზანს წარმოადგენს მოვალის ვალდებულებებისგან გათავისუფლება და მისთვის ახალი ფინანსური ცხოვრების დაწყების შესაძლებლობის მიცემა, თუმცა, დაუშვებელია მოვალის ყველა ვალდებულება დავუქვემდებაროთ ჩამოწერას. არსებობს მთელი რიგი ვალდებულებები, მაგალითად როგორებიცაა ზემოთ იქნა განხილული და რომლებიც თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოწერას ვერ დაექვემდებარება.

²⁶⁴ Mari Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p. 112
[ხელმისაწვდომია: <https://www.sorainen.com/wp-content/uploads/2021/06/article.conditions-for-the-bankruptcy-of-natural-persons-which-baltic-state-is-the-most-attractive-for-bankruptcy.2021-06-30.eng> .International-comparative-jurisprudence.edvinsd.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

როგორც საერთო სამართლის ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებს ერთიანი მიდგომა აქვთ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელი ვალდებულება არ ექვემდებარება ჩამოწერას. თუმცა, ყველაზე მეტად გონივრული იქნება თუ გერმანულ მიდგომას გამოვიყენებთ, რომელიც თავისთავად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, მათი მიდგომის გადმოღება გონივრული ნაბიჯი იქნება.

3.5. დავალიანების ჩამოწერის წესი და პირობები

როგორც აღინიშნა, გაკოტრების ერთ-ერთი უპირველესი მიზანია მოვალის სახელზე არსებული ჭარბი ფულადი ვალდებულებების დაფარვა, რათა კეთილსინდისიერ მოვალეს მოვალეს ე. წ. „სუფთა დასაწყისის“ (fresh start) შესაძლებლობა მიეცეს.²⁶⁵ თუმცა, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხდეს ვალდებულებათა ჩამოწერა. შესაძლოა ეს გამომდინარეობდეს თავად ვალდებულებათა ხასიათიდან, რაც ზემოთ უკვე იქნა განხილული ან კანონის თანახმად იკრძალებოდეს კონკრეტულ შემთხვევაში ნარჩენი დავალიანების ჩამოწერა.

დავალიანების ჩამოწერის წესების დეტალურ კვლევასა და მის მოწესრიგებას გადახდისუნარობის კანონმდებლობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის კუთხით. საკითხის დეტალურად განხილვის მიზნით, მიზანშეწონილია როგორც ქართული, ასევე უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. ქართულ გადახდისუნარობის კანონმდებლობაში, ვერც იურიდიული პირების შემთხვევაში არსებობს ვალის ჩამოწერის ისეთი პროცედურა, რომელსაც ამერიკისა და ევროპის ქვეყნების უმეტესობა ითვალისწინებს და რომლის მთავარი მიზანი მოვალის სრულად გათავისუფლებაა. თუმცა, ქართულ კანონმდებლობაში ამ ტიპის ანალოგი მოიძებნება სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების თავში. კერძოდ,

²⁶⁵ Arvydas, Paškevičius, Neringa, Jurgaitytė, „Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems“, Procedia - Social and Behavioral Sciences, Vol. 213, December 1, 2015, pp. 521-526, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MtF5aT>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფის საშუალება არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის. იგივე წესი მოქმედებს გირავნობის შემთხვევაშიც. აღნიშნული ნორმა მხოლოდ თეორიულად შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ვალის ჩამოწერის ანალოგი და მისი პრაქტიკაში გამოყენება ვერ მოხდება, ვინაიდან კანონი ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობასა და მისი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას არ ითვალისწინებს, ანალოგიის წესით, დაუშვებელია, რადგან სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.²⁶⁶

აშშ-ს გადახდისუუნარობის სამართალი ითვალისწინებს, რომ თუკი კრედიტორი მოვალის ვალების ჩამოწერასთან დაკავშირებით პრეტენზიას არ წარადგენს, სასამართლო შედარებით ადრეულ ეტაპზე, კრედიტორთა პირველი შეხვედრიდან არაუადრეს 60 და არაუგვიანეს 90 დღის ვადაში გამოსცემს განკარგულებას ვალების ჩამოწერის თაობაზე (Fed. R. Bankr. P. 4004(c)). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოვალე ვერ ან არ აწარმოებდა ფინანსურ ჩანაწერებს, ვერ წარმოადგინა განმარტება აქტივების დანაკარგთან დაკავშირებით, ჩაიდინა გაკოტრებასთან დაკავშირებული დანაშაული, მაგალითად ცრუ ჩვენება მისცა, არ დაემორჩილა სასამართლოს ბრძანებას, მის უძრავ ქონებას შეემატა თაღლითურად გადაცემული (11 U.S.C. § 727; Fed. R. Bankr. P. 4005) აქტივები, სასამართლო უარს იტყვის ვალების ჩამოწერაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი სასამართლოს საქმეზე *In Privitera v. Curran*, No. 16-9006 (1st Cir. 2017), სადაც მოსარჩელე ითხოვდა, რომ მოპასუხე ნარჩენი ვალდებულებებისგან არ უნდა გათავისუფლებულიყო, ვინაიდან, იგი ე.წ. კარგად მოქცევის პერიოდში არაკეთილსინდისიერად მოიქცა და გარკვეული სახის შემოსავლები დამალა. მოპასუხეს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჰქონდა დაკისრებული 137,000 დოლარის გადახდა. მოვალემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გაკოტრების

²⁶⁶ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021,83

პროცედურის დაწყება გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. ამასთანავე, კრედიტორმა მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხის არაკეთილსინდისიერ ქცევას, რაც 11 U.S.C. 523(a)(2)(B) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას ქმნიდა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხის მიერ აღრიცხულ ქონებაში მიუთითა, რომ მას ჰქონდა სატვირთო მანქანები, თუმცა, არ მიუთითა იმის შესახებ, რომ მანქანები დატვირთული იყო საქონლით, რომელთა საერთო ღირებულება 86, 000 \$ აღემატებოდა.

მოვალემ მოითხოვა ამ საქმის განუხილველად დატოვება იმ საფუძველით, რომ ბრალდება არგუმენტირებულად წყენებული არ იყო. სასამართლომ საქმე არ განიხილა და განმარტა, რომ აუცილებელია მსგავსი ბრალდება არგუმენტირებულად ყოფილიყო დაყენებული, ხოლო მოსარჩელის მითითება მწირი, დაუსაბუთებელი და ბუნდოვანი იყო. შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდა დამაჯერებლობის სტანდარტებს. კერძოდ, დამაჯერებლობის სტანდარტი ბევრად მეტ დასაბუთებას მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ დაყენებული პრეტენზიის წარმოდგენა.²⁶⁷

როგორც ირკვევა, აშშ-ს კანონმდებლობა აყალიბებს რიგ შემთხვევებს, როდესაც დავალიანების ჩამოწერა არ ხდება, მაგალითად როდესაც ადგილი ჰქონდა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის მოვალის მხრიდან, თუმცა, ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკით აწესებს მტკიცების ტვირთის მაღალ სტანდარტს. კერძოდ, მოსარჩელის მხრიდან სავალდებულოა იმის დამტკიცება და დასაბუთება, რომ მოვალე მართლაც არაკეთილსინდისიერად იქცეოდა. მსგავსი პრაქტიკის შემოღება სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც. ამ შემთხვევაში, მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციას მოვახდენთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მთელ პროცესში და ამასთანავე, არ წავახალისებთ არაკეთილსინდისიერი მოვალეებისთვის ვალდებულებების დაუმსახურებლად ჩამოწერის პრაქტიკას. თუმცა, ამ შეზღუდვით დაუსაბუთებლად არ უნდა შევზღუდოთ მოვალის ინტერესები და ყველა შემთხვევაში ვალდებულებების ჩამოწერა უარი თქმა არ უნდა დავუშვათ. ამისათვის, საჭიროა არა მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირების

²⁶⁷ Privitera v. Curran, No. 16-9006 (1st Cir. 2017) [ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/ca1/16-9006/16-9006-2017-04-20.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

შემოღება, არამედ სასამართლოს მხრიდან მტკიცების მაღალი სტანდარტის დაწესება, როგორც მოცემულ გადაწყვეტილებაში არის სახეზე.

აღსანიშნავია, რომ გაკოტრების კოდექსის მე-13 თავში ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებების თანახმად, მე-13 თავით გათვალისწინებულ ჩამოწერის პროცედურასთან დაკავშირებით მოვალეებმა კონსულტაციის მიზნით კომპეტენტურ იურიდიულ მრჩეველს უნდა მიმართონ.

სასამართლოს მიერ ნარჩენი ფულადი ვალდებულებების ჩამოწერაზე უარის თქმის წინაპირობა შეიძლება იყოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ხარჯების გადაუხდელობის ფაქტი. ამ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გასაჯაროვდეს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გაასაჩივროს აღნიშნული. დანიშნული ვადის დაწყებიდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებამდე, მოვალის ვალდებულებაა, განახორციელოს ანაზღაურებადი საქმიანობა და თუ ის არ არის დასაქმებული, ყველა ღონე გამოიყენოს იმისათვის, რომ დასაქმდეს. ასევე უარი არ თქვას გონივრული დასაქმების შემოთავაზებაზე.²⁶⁸

როგორც აღინიშნა, მას შემდეგ რაც დადგენილი ე.წ. „კარგად მოქცევის პერიოდი“ გავა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მოვალის დარჩენილი ვალდებულებების საკითხი. შესაბამისად, სანამ სასამართლო ვალდებულებების ჩამოწერის თაობაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, იწვევს სხდომას და უსმენს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორებსა და ადმინისტრატორს. ეს პროცედურა კრედიტორებს კიდევ ერთხელ აძლევს საშუალებას მოახდინონ დავალიანების ჩამოწერის პრევენცია.

სასამართლომ შესაძლებელია ვალის ჩამოწერაზე უარი თქვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადახდისუუნარობის კოდექსის 290-ე მუხლში ჩამოთვლილი პირობები. მაგალითად, უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 283 c პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რასაც შედეგად მოჰყვა მოვალისათვის ჯარიმის დაკისრება 90 დღეზე მეტი ხნით ან 3 თვეზე ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელი. ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი სესხის, სახელმწიფო სახსრებიდან სარგებლის მისაღებად ან სახელმწიფო სახსრებისთვის სარგებლის თავიდან ასაცილებლად განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიყენა

²⁶⁸ Insolvency Code (InsO), Section 4a Deferral of the costs of insolvency proceedings [ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/insol/4a.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

არასწორი ან არასრული ინფორმაცია წერილობითი სახით მისი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას მოვალის ვალების ჩამოწერაზე, თუკი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე ან გადახდისუუნარობის თაობაზე განაცხადის წარდგენის შედეგ, მოვალემ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, არაგონივრული მოქმედებებით, აქტივების გაფლანგვით ან საქმის გაჭიანურებით დააზარალა კრედიტორების ინტერესები, დაარღვია მისთვის კანონით დაკისრებული ინფორმაციის სწორად და დროულად მიწოდების ვალდებულება. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, მაგალითად როცა მოვალე გადახდისუუნარობის კოდექსის 287 (1) პარაგრაფის შესაბამისად, არ მიაწოდებს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო დოკუმენტაციას, არ წარმოადგენს მისი აქტივების შესახებ სრულ ინფორმაციას, რომელიც წარდგენილი იქნას 305 (1) პარაგრაფის მიხედვით.

თავისთავად, მოცემულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია, რომ მოვალის ბრალეულობა იქნეს დადგენილი და საფუძველი მყარი და უტყუარი იყოს.²⁶⁹

მოვალესა და ნებისმიერ კრედიტორს, რომელმაც წამოაყენა პრეტენზია ნარჩენი დავალიანების დაფარვაზე უარის თქმის შესახებ, უფლება აქვს დაუყოვნებლივ გაასაჩივროს დავალიანების ჩამოწერის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება. აქვე აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ცალკეული გადახდისუუნარობის კრედიტორების სახელით იძულებითი აღსრულება დაუშვებელია გადახდისუუნარობის ქონების ან მოვალის სხვა აქტივების მიმართ.²⁷⁰

საქართველოში გადახდისუუნარობის სრულყოფილი კანონმდებლობის ჩამოყალიბების მიზნით, აუცილებელია დავალიანების ჩამოწერის წესების კონკრეტულად და დეტალურად განსაზღვრა. ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა არაკეთილსინდისიერი მოვალეების მხრიდან ბოროტად არ იქნეს გამოყენებული კანონით გათვალისწინებული სპეციალური რეჟიმი. მნიშვნელოვანია, რომ კანონით ზუსტად განისაზღვროს რომელ კონკრეტულ შემთხვევებში არის

²⁶⁹ Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen, WALHALLA Fachverlag, Regensburg, p.150-152

²⁷⁰ იქვე., გვ.290

შესაძლებელი დავალიანების სრულად ჩამოწერა, რა წინაპირობები არსებობს ამისათვის და რა შემთხვევებში შეუძლია სასამართლოს უარი თქვას მოვალისათვის ფულადი ვალდებულებების ჩამოწერაზე. ამ საკითხთან მიმართებით როგორც ამერიკის, ასევე გერმანიის კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურ რეგულირებას იყენებს. შესაბამისად, შესაძლებელია ამ ორი ქვეყნის მიდგომების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდეს სრულყოფილი რეგულირება.

დასკვნა

სადოქტორო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს შემდეგი დასკვნითი წინადადებების სახით:

1. ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს რაც საბოლოოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში.
2. კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირების შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილი იქნება ევროპული სისტემის, კერძოდ გერმანული მიდგომების მოდიფიცირება და მისი გამოყენება საქართველოში. აღნიშნულის მთავარი მიზეზი კეთილსინდისიერების პრინციპის ნაწილში კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების განსხვავებული მიდგომაა. ორივე სისტემის მთავარი მიზანია მოვალის გადახდისუნარიანობის აღდგენა. აშკარაა, რომ ამერიკული სისტემა მეტად ლიბერალურია, მოვალეს სთავაზობს გადახდისუნარობის სხვადასხვა პროცედურიდან მისთვის ყველაზე სასურველი შეარჩიოს და ამით მის ინტერესებს უფრო მეტად ერგება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკული მიდგომა მოვალის უფლებებს უფრო მეტად იცავს. მსგავსი ლიბერალური მიდგომის გამოყენება საქართველოსთვის შესაძლოა არ აღმოჩნდეს ეფექტური. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დღემდე ფიზიკური პირის გადახდისუნარობის რეჟიმი არ არსებობს, რისკის შემცველი იქნება ასეთი ლიბერალური სამართლებრივი ნორმების შემოღება. ევროპული მიდგომა საკმაოდ კარგ შესაძლებლობას სთავაზობს მოვალეს გათავისუფლდეს ვალებისგან. ამასთანავე, იცავს ქვეყნის ფინანსურ სექტორს და მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციას ახდენს.
3. გადახდისუნარობის კანონმდებლობაში ვალაუვალობის წარმოების გახსნის საფუძვლების ბუნდოვანებამ, შესაძლოა გარკვეულწილად დააფრთხოს კრედიტორები და მოვალეები, შედეგად კი მათ თავი შეიკავონ გადახდისუნარობის საქმის წარმოების აღძვრისგან. ვინაიდან, სწორედ გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნისათვის დადგენილი წინაპირობების

ობიექტური და სრულყოფილი შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს დაიწყოს თუ არა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

4. კრედიტორების მხრიდან სასამართლოსთვის გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორთა კეთილსინდისიერებას. აქ იგულისხმება, რომ ეს უფლება კეთილსინდისიერად უნდა იქნეს კრედიტორების მხრიდან გამოყენებული. შესაძლოა არაკეთილსინდისიერი განზრახვის პირობებში, კრედიტორმა ზიანი მიაყენოს მოვალეს იმ მიზნით, რომ შეაჩეროს მისი საქმიანობა, ხელოვნურად მიიყვანოს გადახდისუუნარობამდე და ა.შ. კეთილსინდისიერება ის აუცილებელი პრინციპია, რომლის გარეშეც შეუძლებელია გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყება და მისი ეფექტურად დასრულება. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე უნდა მოხდეს პრევენცია იმისა, რომ არაკეთილსინდისიერმა მოვალეებმა კანონით გათვალისწინებული სპეციალური რეჟიმით ბოროტად არ ისარგებლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიშვას ისეთი მდგომარეობა, სადაც მოვალეები სპეციალური რეჟიმის გამოყენების იმედით იმთავითვე ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. ზემოაღნიშნული გასათვალისწინებელი იქნება გადახდისუუნარობის სრულყოფილი კანონმდებლობის ჩამოყალიბების დროს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს მხოლოდ მოვალეზე არ უნდა ვრცელდებოდეს. კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულება უნდა ეკისრებოდეს კრედიტორსაც.

5. კრედიტორების მხრიდან გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის ფარგლებში მიზანშეწონილია კონტინენტური ევროპის მოდელის გამოყენება. როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის ქვეყნებს ძირითადად ერთი მიდგომა აქვთ და მათ რეგულაციებს შორის განსხვავებები ნაკლებად შეინიშნება. თუმცა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებით კი სამოქალაქო კანონმდებლობა ყველაზე ახლოს გერმანულთან დგას, სასურველია გერმანული რეგულირება იქნეს მოდიფიცირებული და საქართველოს რეალობაზე მორგებული. გერმანული მიდგომების ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში არა მხოლოდ მოვალეებისთვის ჩამოაყალიბებს მოქნილ და ეფექტურ გადახდისუუნარობის

- მომწესრიგებელ რეგულირებას, არამედ ეს ნაბიჯი ქართული კანონმდებლობის ევროპულ მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.
6. ყოველივე ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს ამერიკული სისტემის ცალკეული ნორმების მოდიფიცირებას და მათ ქართულ კანონმდებლობაში ინტეგრირებას. მეტიც, ამერიკული მიდგომები რიგ შემთხვევებში შესაძლოა მეტად ლიბერალური და მოვალის ინტერესებზე მორგებული იყოს. ამერიკის გაკოტრების კოდექსი მოვალეს ორ სხვადასხვა რეჟიმს სთავაზობს და მას არჩევანის საშუალებას აძლევს. შესაბამისად, მოვალე ირჩევს იმ პროცედურას, რომელიც მისი გადმოსახედიდან უფრო მეტად შეესაბამება მის მდგომარეობას. შესაძლოა, საქართველოს შემთხვევაში მიზანშეწონილი არ იქნება ორი განსხვავებული პროცედურის შეთავაზება. თუმცა სასურველია მოვალეს ჰქონდეს შესაძლებლობა გადახდისუუნარობის გეგმის შედგენის დროს აირჩიოს რომელი ტიპის გეგმა უფრო მისაღებია მისთვის, ქონების გაყიდვის ხარჯზე მოვალის სწრაფ რეაბილიტაციაზე ორიენტირებული თუ დროში გაწელილი გეგმა, რომელიც მოვალის ქონების შენარჩუნებაზე იქნება ორიენტირებული.
7. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს ვალდებულებაზე, შეუსაბამოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნებს; ამ მხრივ კი მნიშვნელოვანია საქართველომ განახორციელოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის სამართალთან; სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი გერმანული კანონის შესაბამისი ნორმების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში.
8. აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შემოღება, რომელიც ფიზიკურ პირთა ჭარბვალიანთა რაოდენობას შეამცირებს, ფიზიკური პირებისთვის შექმნის ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობას; ამისათვის საუკეთესო გამოსავალი კი გადახდისუუნარობის სრულყოფილი კანონმდებლობის შემოღებაში მდგომარეობს.

9. კანონში, რომელიც საქართველოში პერსონალური გაკოტრების საკითხებს დაარეგულირებს, დეტალურად და კონკრეტულად უნდა იქნეს განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლება გავრცელეს გაკოტრების რეჟიმი.
10. კანონში, რომელიც საქართველოში პერსონალური გაკოტრების საკითხებს დაარეგულირებს, სპეციალური მოწესრიგება უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოში მუდმივი ბინადრობის მაძიებელსა და ბინადრობის მქონე უცხოელების მიმართ.
11. საქართველოში მსგავსი რეგულაციის შემოღების პროცესში, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ორი კატეგორიის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აქვთ ვალდებულებები უცხო ქვეყანაში, თუმცა მათ გადაწყვიტეს, რომ შეიცვალონ საცხოვრებელი და დაექვემდებარონ ახალი ქვეყნის იურისდიქციას. მეორე კატეგორიაში კი ერთიანდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, თუმცა აქვთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში ბინადრობის ნებართვა და მათი ვალდებულებები დაკავშირებულია სწორედ ამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მათ საქმიანობასთან. მსგავს შემთხვევაში, სპეციალური რეჟიმი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, როგორც ბინადრობის მაძიებელნი. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი ჩანაწერი შესაძლოა პრაქტიკაში გამოყენებადი არ იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულებები თავს იკავებენ სესხების გაცემისგან იმ პირებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ აქვთ რაიმე სახის მოძრავი ან უძრავი ქონება საქართველოში.
12. თუ სავარაუდო გადახდისუუნარობა მოსალოდნელია, ფიზიკური პირი მოვალე ვალდებული უნდა იყოს სასამართლოს განცხადებით მიმართოს და მოითხოვოს საქმის წარმოების გახსნა.
13. ამ მიმართულებით გამოყენებულ უნდა იქნეს ამერიკული ან გერმანული მიდგომა. ორივე მათგანი ითვალისწინებს, რომ გადახდისუუნარობის დაწყების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს. ამასთან, კრედიტორის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში

დადგენილი არ არის რაიმე კონკრეტული თანხა, რომლის ზემოთაც უნდა ჰქონდეს მოვალეს დავალიანება. ბრიტანული კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავს რეგულირებას და ადგენს, რომ კრედიტორებს მხოლოდ მაშინ აქვთ უფლება მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე მიმართონ სასამართლოს, როდესაც მოვალის ვალდებულებები აღემატება 5000 ფუნტს. მსგავსი მიდგომა უსამართლობის განცდას განსაკუთრებით იმ კრედიტორებისთვის, რომლებსაც არც თუ დიდი მოთხოვნა გააჩნიათ მოვალის მიმართ.

14. შესაბამისად, ბრიტანული მიდგომის ქართულ კანონმდებლობაში გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. უმჯობესია გამოყენებულ იქნას გერმანული რეგულირება. თუმცა, აღსანიშნავია, ისიც რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნების რეგულირების გადმოტანის შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტორის კეთილსინდისიერებას მაშინ როდესაც იგი სასამართლოს საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით მიმართავს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მოვალე მართლაც ისეთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ვეღარ იხდის კრედიტორის წინაშე არსებულ ფულად ვალდებულებებს და სავარაუდოა, რომ ეს მდგომარეობა სამომავლოდაც გაგრძელდება. ეს ხელს შეუწყობს, რომ თავიდან იქნეს არიდებული არიდებული მხოლოდ ზიანის მიყენების განზრახვით გაკეთებული განაცხადების მიღება.
15. სასურველია, რომ განცხადების წარდგენის მაქსიმალურად მარტივი წესი იქნეს შეთავაზებული გადახდისუუნარო მოვალეებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სუბიექტები განცხადების წარდგენისგან თავს იმის გამო არ იკავებდნენ, რომ კანონმდებლობა მათ რთულ და ბიუროკრატიულ პროცედურებს სთავაზობს. უნდა ჩამოყალიბდეს „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რომელიც საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ელექტრონულად მიმოცვლად შეუწყობს ხელს. ასეთი მიდგომის გამოყენებით დაიზოგება როგორც პროცესის მონაწილე პირების, ასევე სასამართლოს დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსი.
16. აუცილებელია, რომ კანონმდებლობით მემკვიდრეს, რომელიც მემკვიდრეობით იღებს მისი მამკვიდრებლის პასივებს, უფლება ჰქონდეს ისარგებლოს გაკოტრების რეჟიმით. შესაბამისად, მის მიერ ვალდებულებების მემკვიდრეობით მიღება არ

უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ გარემოებას მასზე სპეციალური რეჟიმის გავრცელების ნაწილში.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია უფლებამონაცვლეობა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს კანონპროექტში გათვალისწინებული. გაკოტრების პროცესის ფარგლებში სრულიად შესაძლებელია უფლებამონაცვლეობის დაშვება, თუ სახეზე იქნება იმ მოვალის გარდაცვალება, რომლის მიმართაც უკვე გახსნილი იყო გაკოტრების საქმის წარმოება.

ასევე საინტერესოა ის შემთხვევა, როდესაც წინამორბედი მოვალის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევას ჰქონდა ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება, თუკი უფლებამონაცვლეს არ შეეზღუდება სპეციალური რეჟიმით სარგებლობის უფლება. უფლებამონაცვლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინამორბედი მოვალის მიერ გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის მიუხედავად, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც მოვალეს ექნებოდა მას რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინა ვალდებულებები.

17. ვალის გადაკისრების და მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა მოვალისა და კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების პროცესის ფარგლებში.

საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში, ზემოთ განხილული საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამ შემთხვევების მოსაწესრიგებლად გამოყენებულ იქნება სამოქალაქო მატერიალური და პროცესუალური ნორმები, რომელიც ზოგადად უფლებამონაცვლეობის საკითხებს ეხება. რაც შეეხება უფლებამონაცვლეობის დროს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას, მასზე კონკრეტულად მითითება საჭირო არ იქნება, ვინაიდან აღნიშნული ვალდებულება თავისთავად გავრცელდება ახალ მოვალეზე/კრედიტორზეც იქიდან გამომდინარე, რომ იგი უფლებამონაცვლის ყველა უფლებასა და ვალდებულებას იღებს, რომელიც კონკრეტულ ურთიერთობაში არსებობდა.

18. შესაძლოა გადახდისუუნარობის საქმის განხილვა დაექვემდებაროს პირველი ინსტანციის საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს, რომლებიც ფიზიკური პირის

მიერ განცხადების შეტანის შემდეგ, შეაფასებენ წარდგენილი განცხადების ფორმალურ და მატერიალურ მხარეს და გადაწყვეტენ მიიღონ თუ არა საქმე წარმოებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, განაცხადის წარდგენით და ამ განაცხადის მიღებით იწყება ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. შესაბამისად, იმ რეკვიზიტებს, რომლებსაც განაცხადი უნდა შეიცავდეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კანონში ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული განაცხადისთვის საჭირო რეკვიზიტების ჩამონათვალი. თავისთავად, განაცხადში დეტალურად უნდა მიეთითოს ყველა ინფორმაცია, რომელიც მოვალესთან და მის ფინანსურ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. აქ იგულისხმება მოვალის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ასევე სრული ინფორმაციის მისი შემოსავლების, აქტივების, გარანტიებისა და თავდებობის შესახებ. განაცხადი უნდა მოიცავდეს მოვალის უნდა უძრავ/მოძრავი ქონების (მათ შორის საბანკო ანგარიშების), არაქონებრივი აქტივების ჩამონათვალს, მათ აღწერილობას, შეძენის თარიღს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მოვალის მიერ წარდგენილი განცხადება შეიცავდეს უზრუნველყოფის ღონისძიებით დატვირთული ქონებისა და უზრუნველყოფილი მოთხოვნების აღწერილობას, უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოშობის დროს, საფუძველსა და მოცულობას, ასევე აქტივებს, რომლებიც უნდა გამოირიცხოს გაკოტრების საქმის წარმოებიდან (არსებობის შემთხვევაში), მოვალის მოთხოვნებს მესამე პირის მიმართ, კრედიტორთა (მათ შორის უზრუნველყოფილ კრედიტორთა) დასახელებას/სახელს, გვარს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მისამართს, მათ მიმართ არსებულ ვალდებულებებს და შესრულების ვადებს; უზრუნველყოფილი კრედიტორების შემთხვევაში, დამატებით იმ ქონების აღწერილობას, რომელიც წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს და ოდენობას.

ვინაიდან, საქართველოში არ არსებობს სპეციალური სასამართლოები, რომლებსაც მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმეები ექვემდებარებათ, მიზანშეწონილია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, საქალაქო/რაიონული სასამართლომ შეამოწმოს ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის საკითხი და თუკი დასაშვებად მიიჩნევს დაიწყოს საქმის წარმოება.

ამდენად, ფიზიკური პირის მიმართ საქმის წარმოების დაწყების შესახებ განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა მიიღოს;

19. კანონში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კრედიტორების მხრიდან იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენების შეზღუდვა. კერძოდ, მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, დაუშვებელია კრედიტორების მხრიდან იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენება მოვალის მიმართ.
20. თუ სასამართლოში წარდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს ან გამოვლინდება, რომ მითითებული ინფორმაცია არასწორია, სასამართლომ უარი უნდა თქვას განცხადების წარმოებაში მიღებაზე. ამ ნაწილში გასათვალისწინებელია გასაჩივრების საკითხი, კერძოდ ფიზიკური პირის უფლება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებაზე უარი ან საქმის შეწყვეტა გასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით კერძო საჩივრის შეტანით.
21. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მასის მმართველი კრედიტორთა წარმომადგენლად არ უნდა იქნეს მოაზრებული.
22. უმჯობესია საქართველოს შემთხვევაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ერთი პროცედურა იქნეს კანონში ჩამოყალიბებული. შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის ამერიკული მიდგომის გამოყენება, მოვალეს შესაძლებლობას აძლევს მისთვის სასურველი პროცედურა აირჩიოს და ამ პროცედურის მიხედვით დაიწყოს მისი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. მეტიც, ამერიკული რეგულირების თანახმად მოვალე, რომელიც კონკრეტული თავით გათვალისწინებულ პროცედურას აირჩევს, უფლებამოსილია, საქმის წარმოების პროცესში მოითხოვოს საქმის გადაკვალიფიცირება და სხვა თავით გათვალისწინებული პროცედურით გაგრძელება. აღნიშნული საკმაოდ დიდ პრივილეგიას აძლევს მოვალეებს, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ორი სხვადასხვა პროცედურის შეთავაზება მოვალეებისთვის მიზანშეწონილი არ იქნება. აღნიშნულმა შესაძლოა ბუნდოვანება გამოიწვიოს. მოვალეები შესაძლოა ვერ გამოერკვნენ, რომელი პროცედურის გამოყენება უმჯობესია მათი შემთხვევისთვის. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში ადგილი ექნება პროცედურის არასწორად არჩევას, შემდგომ გადაკვალიფიცირების

თაობაზე მოთხოვნის დაყენებას. შესაბამისად, სახეზე იქნება როგორც მოვალის, ასევე კრედიტორებისა და სასამართლოს დროის რესურსის ხარჯვა. ამიტომ, უმჯობესია საქართველოს შემთხვევაში, მსგავსად გერმანიისა, მოვალისთვის შეთავაზებულ იქნას ერთი პროცედურა.

23. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მთავარი მიზანი უნდა იყოს მოვალის მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან დახსნა. შესაბამისად, თუკი მას გადახდისუუნარობის გეგმის მიხედვით განსაზღვრული გრაფიკითა და ოდენობით, იმდენად დიდი თანხის გადახდა დაეკისრება, რაც მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილია, მას რეალურად უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. ამით კი, რეალურად ვერ მიიღწევა გადახდისუუნარობის კანონის მიზანი.

24. საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომა გონივრულია განსაკუთრებით ჭარბი შემოსავლის დათვლის ნაწილში. ამიტომ საქართველოს ახალ კანონში მიზანშეწონილია გაკეთდეს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ ჭარბი შემოსავალი უნდა მიემართოს მოვალის გაკოტრების მასაში; მაგრამ ჭარბი შემოსავლის დათვლა შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი აღმოჩნდეს ფიზიკური პირის მიმართ საქართველოს გადახდისუუნარობის სამართალში. ამიტომ საუკეთესო გამოსავალია ჭარბი შემოსავლის განმარტების კანონში გათვალისწინება და შემდგომ მისი შევსება და დაზუსტება სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით; რადგან მხოლოდ სასამართლოსთვის ამ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მინდობა საქართველოს შემთხვევაში გონივრული არ იქნება. შესაბამისად, სასურველია ზემოთ მითითებულმა კანონმაც შემოგვთავაზოს ჭარბი შემოსავლის განმარტება და მისი გამოთვლის სავარაუდო მექანიზმები, ხოლო შემდგომ საჭიროების შემთხვევაში სასამართლოების მხრიდან ეს ნორმა დეტალიზებული და დაზუსტებული იქნება.

აქ საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი იჩენს თავს. კერძოდ, საარსებო მინიმუმი ზუსტად უნდა იყოს გამოთვლილი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. მაგალითისთვის, თბილისსა და ხულოში (აჭარის მაღალმთიანი დასახლება) მცხოვრები ადამიანისთვის საარსებო მინიმუმი ვერ იქნება იდენტური, შესაბამისად, ეს

მინიმუმი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით უნდა განისაზღვროს და ზუსტად მოერგოს მოვალის მდგომარეობას, რათა ჭარბი შემოსავალიც შემდგომში სწორად იქნეს დათვლილი.

25. გადახდისუუნარობის მასის ფარგლებში ფიზიკური პირი მოვალის ისეთი ნივთები არ უნდა იქნეს ჩათვლილი, რომლებიც მისი პირადი მოხმარებისთვის ან სამსახურებრივი მოვალეობებისთვის არის აუცილებელი. ასეთი შეიძლება იყოს ავტომობილიც, რომელიც მოვალისთვის სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე აუცილებელ ნივთებს მიეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდეს გაკოტრების მასისთვის, მოვალის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფად მეტად გონივრულია მისი გაკოტრების მასის გარეთ დატოვება.
26. ზემოაღნიშნულ კანონპროექტში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფიზიკური პირის გაკოტრების მასაში მეუღლეთა თანასაკუთრების ჩათვლის საკითხი. ფიზიკური პირის გაკოტრების მასაში მეუღლეთა თანასაკუთრების მხოლოდ ის ქონება შეიძლება იქნეს შეტანილი, რომლის განკარგვის უფლებამოსილება გაკოტრებულ მეუღლეს გააჩნია; ასეთი შეიძლება იყოს ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება, მაგალითად მიწის ნაკვეთი, რომელიც რეგისტრირებულია მხოლოდ გაკოტრების რეჟიმში მყოფი მეუღლის სახელზე და შესაბამისად მას აქვს განკარგვის უფლებამოსილებაც.
27. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონში სასურველია გათვალისწინებული იქნეს კრედიტორთა სხვადასხვა კომიტეტების შექმნა, რომლებშიც გაერთიანდებიან საერთო მიზნისა და მსგავსი ინტერესების მქონე კრედიტორები. მსგავსი კომიტეტები საუკეთესო საშუალება იქნება კრედიტორთა მხრიდან ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობის გავლენის მოსახდენად.
28. საჭიროა ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონში კონკრეტულად განისაზღვროს კრედიტორთა კრების მოწვევის და ჩატარების წესი, რათა მათი მხრიდან ჩართულობა მეტად იქნეს წახალისებული.
29. მიზანშეწონილია ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონით გათვალისწინებული იქნეს კრედიტორთა კომიტეტების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორთა უფლებების ეფექტურად

განხორციელებას. იქვე უნდა განისაზღვროს ასეთი კომიტეტის წევრთა რაოდენობა და მისი არჩევის წესი.

30. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურ მოწესრიგებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში ნაკლები კითხვის ნიშნები გაჩენა. კრედიტორთა რიგითობის განსაზღვრის დეტალური სამართლებრივი რეგულირებით კი რეალიზებული იქნება გადახდისუუნარობის პროცესში თანასწორობის პრინციპის დაცვა. კრედიტორთა რიგითობის განსაზღვრის სამართლებრივი მოწესრიგებისას კი სასურველია გათვალისწინებულ იქნეს უფრო გერმანული კანონმდებლობის გამოცდილება, ვიდრე ამერიკულის.

31. მართალია, საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის ახალი კანონის ძირითადი მიზანი იქნება ფიზიკური პირებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შეთავაზება და მისი გათავისუფლება ისეთი ფულადი ვალდებულებებისგან, რომლებიც მას უკიდურესად მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში აყენებს, მაგრამ იმავდროულად კანონმდებლის მიერ უგულებელყოფილი არ უნდა იქნეს კრედიტორთა ინტერესები და უფლებები. შესაბამისად, აუცილებელია კანონპროექტში დეტალურად იყოს გათვალისწინებული ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც კრედიტორთა ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ; მათ შორის კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმირების ნაწილი. მას შემდეგ, რაც დაიწყება საქმის წარმოება, კრედიტორებს უნდა ეცნობოთ აღნიშნულის შესახებ, გაეგზავნოთ შესაბამისი დოკუმენტაცია და განესაზღვროთ ვადა თავიანთი პოზიციის წარმოსადგენად. გარდა იმისა, რომ კრედიტორის ინფორმირება უნდა მოხდეს წარმოების დაწყების თაობაზე, მას გადახდისუუნარობის ადმინისტრატორმა ეტაპობრივად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გეგმის შესრულების შესახებ. კრედიტორს უნდა ჰქონდეს უფლება პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა კრედიტორთა კრებაში ან სასამართლო სხდომაში და დააფიქსიროს თავისი მოსაზრებები გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, კრედიტორს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის შესაბამისად და ვადებში. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონპროექტის მიღება არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუწყობს ხელს ნორმალურ პირობებში დაბრუნდნენ და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაიწყონ, არამედ კრედიტორებისთვისაც დადებითი ხასიათის მატარებელი იქნება, ვინაიდან ისინი შეძლებენ დაიკმაყოფილონ მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შანსები მინიმალური იქნებოდა სპეციალური სამართლებრივი რეგულირების არარსებობის პირობებში.

კრედიტორს ასევე უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინება, თუკი ეს გეგმა მის ინტერესებს არ შეესაბამება. მაგალითად იმ შემთხვევაში, თუკი გეგმაში არ არის გათვალისწინებული ყველა მისი ვალდებულება ან იგი სხვა კრედიტორებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებული.

32. საქართველოში ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის კანონმდებლობის შემუშავებისას მოვალის უფლებების განსაზღვრის ნაწილში სინთეზურად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ამერიკული და გერმანული მიდგომა და მოვალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვროს შემდეგნაირად: მოვალეს, კრედიტორთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის, ასევე გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების მიზნების გათვალისწინებით, უნდა შეეზღუდოს სასამართლოს თანხმობის ან გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის საწინააღმდეგოდ, ვალდებულებების თავისი ინიციატივით შესრულება. თავისთავად, აქ ალიმენტი არ უნდა მოიაზრებოდეს. ასევე უნდა შეეზღუდოს მოძრავი და უძრავი ქონების განკარგვა, სესხის ან სხვა ნებისმიერი ფულადი ვალდებულების აღება, ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას მისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებები და დააზიანოს კრედიტორის ინტერესები. გარდა ამისა, მოვალის უნდა ჰქონდეს ვალდებულება, რომ გააგრძელოს საქმიანობა გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმის მოქმედების პერიოდში, შესაბამისად დაუსაბუთებლად სამსახურის დატოვება, საქმიანობის შეწყვეტა დაუშვებელი უნდა იყოს, თუ სასამართლოს ან ადმინისტრატორის

თანხმობა არ იქნება წინასწარ გაცემული. მეტიც, მოვალე მუდმივად უნდა ცდილობდეს დასაქმდეს ან თუკი ექნება დასაქმების შემოთავაზება უსაფუძვლოდ უარი არ თქვას მასზე.

რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს. ვინაიდან, მოვალის უფლებების უსაფუძვლოდ და უსამართლოდ შეზღუდვა დაუშვებელია, სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით ობიექტურად გადაწყვიტოს უფლებამოსილების რა ფარგლები უნდა მიენიჭოს მოვალეს.

იმავე კანონში ასევე აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, მოვალის მიერ ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად წარმოდგენის ვალდებულება. მოვალემ სწორი ინფორმაცია უნდა მიუთითოს განცხადებაში და ასევე სწორი, უტყუარი მონაცემები და დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს. მსგავს რეგულირებას გვთავაზობს გერმანული კანონმდებლობაც.

33. ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის კანონის მიზნებისთვის აუცილებელია, რომ მორატორიუმის საკითხი გათვალისწინებული იქნეს ფიზიკური პირის გაკოტრების პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ გაკოტრების პროცესი მიზნად ისახავს მოვალის გადარჩენასა და კრედიტორების დაკმაყოფილებას, დაუშვებელია საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მოვალემ თვითნებურად, გადახდისუუნარობის გეგმის ფარგლებს გარეთ ან ადმინისტრატორთან შეუთანხმებლად განახორციელოს რომელიმე კრედიტორის დაკმაყოფილება. ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს არა მხოლოდ სხვა კრედიტორებს, არამედ თავად მოვალის ინტერესებსაც.

34. საქართველოს შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესი. კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების თაობაზე განაცხადის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სასამართლოს უნდა ჰქონდეს იმის უფლებამოსილება, რომ გარემოებების შეფასების შედეგად გადაწყვიტოს გამოიყენოს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიება. აქ იგულისხმება ის, რომ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს არის თუ არა მიზანშეწონილი მოვალეს

აეკრძალოს ან შეეზღუდოს ქონების განკარგვა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს აკრძალვა ყველა შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული. სასამართლომ ინდივიდუალური მახასიათებლების სრულად გამოკვლევის შედეგად უნდა გადაწყვიტოს აკრძალვის ან შეზღუდვის დაწესების საკითხი.

35. საქართველოში ფიზიკური პირების გადახდისუნარობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში, სასურველია თუ გათვალისწინებული იქნება ამერიკული კანონმდებლობის მიდგომა დირექტორსა და მეურვეს შორის უფლებამოსილებების საჯარო რეესტრში ასახვის სავალდებულობასთან დაკავშირებით.

36. მეურვის ორი ტიპის შემოღება ისე, როგორც ბრიტანეთშია დადგენილი, არც თუ ისე გონივრულია იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური პირის აქტივები არ არის იმდენად ბევრი და სხვადასხვა სახის, რომ მათი ზედამხედველობა და ამავდროულად მათი ლიკვიდაციის მონიტორინგი, ერთმა ადამიანმა ვერ განახორციელოს. მსგავსი რეგულირების შემოღება პროცესის ხარჯებს გაზრდის, მაშინ როცა შეიძლება მიზანი ბევრად ნაკლები დანახარჯით იქნეს მიღწეული.

37. ფიზიკური პირის გადახდისუნარობის პროცესში უმჯობესია გადახდისუნარობის მმართველის ფუნქციები დაეკისროს ფიზიკურ პირს. აღნიშნულის სასარგებლოდ შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოყვანა: პირველ რიგში, ფიზიკური პირის ჩართულობა პროცესში უფრო ეფექტური იქნება იქიდან გამომდინარე, რომ მოვალე ფიზიკური პირია. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა მოვალეს როგორც ფიზიკურ პირს გარკვეული უნდობლობა ჰქონდეს გადახდისუნარობის პროცესში ჩართული პირების მიმართ, შესაბამისად ამ პროცესში იურიდიული პირის ჩართვა შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს და ვერ გამოიღოს ისეთი ეფექტური შედეგი, რაც პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობისთვის არის აუცილებელი. საქართველოში, ხშირ შემთხვევაში რეაბილიტაციის მმართველად ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს. გაკოტრების პროცესში მყოფი ფიზიკური პირისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართვა გაკოტრების მმართველად უნდობლობასა და გარკვეულწილად მოვალის „დაშინებას“ გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, გერმანული მიდგომის გამოყენება უფრო გონივრული იქნება.

38. ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის საქართველოში შემოღების შემთხვევაში, კანონმა აუცილებლად დეტალურად უნდა გაითვალისწინოს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის საქმეში ჩართვისა და ადმინისტრატორთა რეესტრის ჩამოყალიბების წესები, ასევე მათი უფლებამოვალეობების ფარგლები და აცილების წესები. კანონმა უნდა დაარეგულიროს ადმინისტრატორთა რეესტრის საკითხი. კერძოდ, ამ რეესტრში უნდა ჩაირიცხონ პირები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია, გაივლიან გადამზადებას იმისათვის, რომ შემდგომში მოვალეს ხელი შეუწყონ გადახდისუუნარიანობის აღდგენაში. თავისთავად, მოვალეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მისთვის სასურველი გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის კანდიდატურა. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, რისთვისაც საჭიროა პრევენციის მიზნით, კანონით განსაზღვრული იქნეს, რომ ადმინისტრატორს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი მოვალის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგის მიმართ.

გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ადმინისტრატორი არის პირი, რომელიც წარმოების დაწყებიდან მის დასრულებამდე უძღვება მოვალის გადახდისუუნარობის საქმეს. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის მოვალეობების ნაწილში გერმანული და ამერიკული მოდელების სინთეზი და მათი შეჯერების საფუძველზე რეგულაციების ჩამოყალიბება საუკეთესო ვარიანტია.

39. კანონპროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრატორის უფლება, მიიღოს ანაზღაურება ვალდებულებების შესრულებისათვის, მიიღოს მისი საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოვალისაგან, კრედიტორებისაგან, სასამართლოსა თუ სხვა ორგანოებისაგან. ამასთანავე მოითხოვოს საქმიდან ჩამოცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში. გადახდისუუნარობის ადმინისტრატორის ანაზღაურების საკითხი უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ მოვალის ვალდებულებების შესაბამისად. ხოლო, თუკი მოვალის მიერ ანაზღაურება შეუძლებელია, მაშინ ხარჯი უნდა დაიფაროს სახელმწიფოს მიერ.

40. საყურადღებოა, რომ ქართულ კანონმდებლობაში გადახდისუუნარობის გეგმასთან დაკავშირებული წესების შემუშავების პროცესში, ამერიკული მიდგომის გამოყენება

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სწორი არ იქნება. უფრო გონივრული იქნება ამ ნაწილში გერმანული სისტემის ინტეგრირება.

41. როგორც ირკვევა, სამართლის ორივე სისტემის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გეგმის შედგენის პრინციპებს. იურიდიულ პირებთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობაში პრინციპების სახით არ არის ჩამოყალიბებული გადახდისუუნარობის გეგმის შედგენის პრინციპი, ასევე ნაკლები ყურადღება ეთმობა კრედიტორების თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემოღების შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში, უმჯობესია საორიენტაციოდ აღებული იქნას გერმანული რეგულირება, რომელიც ადგენს, რომ გადახდისუუნარიანობის აღდგენის გეგმა უპირატესად არ უნდა ითვალისწინებდეს მოვალის ქონების რეალიზაციას. ამასთანავე, შესაძლოა დადგინდეს ამ ქონების სხვაგვარად გამოყენება (სეკვესტრი). ქონების რეალიზაცია კი უნდა იყოს ის უკიდურესი წესი, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს, რათა მოვალეს ჰქონდეს სხვა ალტერნატივის მოძიების, დასაქმების, შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობა.

42. მართალია გადახდისუუნარობის კანონის მიზანს წარმოადგენს მოვალის ვალდებულებებისგან გათავისუფლება და მისთვის ახალი ფინანსური ცხოვრების დაწყების შესაძლებლობის მიცემა, თუმცა, დაუშვებელია მოვალის ყველა ვალდებულება დაექვემდებაროს ჩამოწერას. არსებობს მთელი რიგი ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოწერას ვერ დაექვემდებარება.

როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებს ერთიანი მიდგომა აქვთ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელი ვალდებულება არ ექვემდებარება ჩამოწერას. თუმცა, ყველაზე მეტად გონივრული იქნება თუ გერმანული მიდგომა იქნება გამოყენებული, რომელიც თავისთავად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია მათი მიდგომის გაზიარება ფიზიკური პირის გაკოტრების შესახებ საქართველოს სპეციალურ კანონში.

43. მოსარჩელის მხრიდან სავალდებულოა იმის დამტკიცება და დასაბუთება, რომ მოვალე მართლაც არაკეთილსინდისიერად იქცეოდა. მსგავსი პრაქტიკის შემოღება სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენცია მოხდება გადახდისუნარიობის საქმის წარმოების მთელ პროცესში და ამასთანავე, არ წახალისდება არაკეთილსინდისიერი მოვალეებისთვის ვალდებულებების დაუმსახურებლად ჩამოწერის პრაქტიკა. თუმცა ამ შეზღუდვით დაუსაბუთებლად არ უნდა შეილახოს მოვალის ინტერესები და ყველა შემთხვევაში ვალდებულებების ჩამოწერაზე უარი თქმა არ უნდა იქნეს დაშვებული. ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, არამედ სასამართლოს მხრიდან მტკიცების მაღალი სტანდარტის დაწესება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

- გველესიანი ჯ., კოჭლაშვილი ა., ამისულაშვილი ნ., მიზანშეწონილობის კვლევა ფიზიკური პირების გადახდისუნარობის რეგულირების შესახებ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2021;
- ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005;
- კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2014;
- ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ. (რედაქტორი: ზოიძე ბ.), მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, შზსუ, თბილისი, 2018;
- ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, [ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/giz2005-ge-liluashvili-civil-procedures.pdf>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023;
- ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, 2007;
- მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ;
- მიგრიაული რ., მოვალის გადახდისუნარობა - როგორც ვალაუვალობის წარმოების წინაპირობა (ვალაუვალობის ქართული სამართლის ანალიზი), ჟურნალი „სამეწარმეო სამართალი“;

- მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, GIZ, თბილისის, 2021;
- შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარიანობის საქართველოს კანონი დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბილისი, 2011, გვ. 19;

უცხოენოვანი ლიტერატურა

- Arvydas P., Neringa J., Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, Procedia - Social and Behavioral Sciences, Vol. 213, December 1, 2015;
- Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017;
- Bricongne, Jean-Charles, Demertzis, Maria, Pontuch, Peter and Turrini, Alessandro, Macroeconomic Relevance of Insolvency Frameworks in a High-debt Context: An EU Perspective, European Commission, Discussion Paper 032, June, 2016, pg. 3, available at: <https://bit.ly/3pMl0uP>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Bricongne, Jean-Charles, Demertzis, Maria, Pontuch, Peter and Turrini, Alessandro, Macroeconomic Relevance of Insolvency Frameworks in a High-debt Context: An EU Perspective, European Commission, Discussion Paper 032, June, 2016, pg. 3 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pMl0uP>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Conway L., Debt Relief Orders, House of Commons, 2022; <https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN04982/SN04982.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

- Derek, J. Baker, United States: Requirement Of Good Faith Implied In Chapter 7 Filings, Philadelphia;
- Dimmling A., The Insolvency Review: Germany, 2022 [ხელმისაწვდომი: <https://thelawreviews.co.uk/title/the-insolvency-review/germany>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Dobbie W., Song J., „Debt Relief and Debtor Outcomes: Measuring the Effects of Consumer Bankruptcy Protection”, NBER Working Paper Series;
- Efrat R., Global trends in personal bankruptcy. American Bankruptcy Law Journal, 2002;
- Götz L., Wolfram B., Menschen in der Verbraucher-insolvenz: Rechtliche und soziale Wirksamkeit des Verbraucherinsolvenzverfahrens einschließlich Darstellung der Haushaltsstrukturdaten des untersuchten Personen-kreises, in BMFSFJ, MATERIALIEN ZUR FAMILIENPOLITIK: LEBENSLAGEN VON FAMILIEN UND KINDERN: ÜBERSCHULDUNG PRIVATER HAUSHALTE 33-54 2008;
- Götz Lechner & Wolfram Backert, Menschen in der Verbraucher-insolvenz: Rechtliche und soziale Wirksamkeit des Verbraucherinsolvenzverfahrens einschließlich Darstellung der Haushaltsstrukturdaten des untersuchten Personen-kreises, in BMFSFJ, MATERIALIEN ZUR FAMILIENPOLITIK: LEBENSLAGEN VON FAMILIEN UND KINDERN: ÜBERSCHULDUNG PRIVATER HAUSHALTE 33-54 (2008).
- GROTSTOLLEN, NJP, CORPORATE AND PERSONAL LEGAL SERVICES Q&A: BANKRUPTCY AND INSOLVENCY FOR BANKRUPTCY AND INSOLVENCY IN GERMANY, 2018;

- Gruodyte E., Kirsiene Julija, "Application of "Fresh start" Doctrine for Individual Debtors in Lithuania: EU and US perspective", *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*, 2010, 21(3);
- Heuer, Jan-Ocko, *Rules and Norms of Consumer Insolvency and Debt Relief: A Comparison and Classification of Personal Bankruptcy Systems in 15 Economically Advanced Countries*. Ph.D. thesis, University of Bremen, Bremen, Germany, 2014;
- Jia, Ye, *The impact of personal bankruptcy law on entrepreneurship*. *Canadian Journal of Economics*, 2015;
- Kilborn, J.J., *The Innovative German Approach to Consumer Debt Relief: Revolutionary Changes in German Law, and Surprising Lessons for the United States*, *Northwestern Journal of International Law & Business*, Volume 24, 2004;
- Laura Ch., *Federal Reserve Bank of San Francisco, Financial Stress and Its Physical Effects On Individuals and Communities*, *COMMUNITY DEVELOPMENT INVESTMENT REVIEW* 120 (2009); *AP-AOL/ABT SRBI, Credit Card / Debt Stress Study* (2008);
- Maddy, Teka, Esq. | Reviewed by Bridget, Molitor, J.D., 2021; ხელმისაწვდომია: <https://www.findlaw.com/bankruptcy/chapter-7/checklist-of-key-changes.html>,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Niemi-Kiesilainen J., *Consumer Bankruptcy in Comparison: Do We Cure a Market Failure or a Social Problem*, *Osgoode Hall Law Journal* 37.1/2, 1999, 474; <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/ohlj/vol37/iss1/21>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- O'Neill C., *Understanding Secured, Unsecured, and Priority Debts in Bankruptcy*;

- Onderesma Ch. , a Human Rights Framework for Debt Relief, 2015;
- Ramsay I., Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15, 2017;
- Dr. Remmert A., Introduction to German Insolvency Law, Based on an essay which was published in the "International Company and Commercial Law Review" (publisher: Sweet & Maxwell, London) in the year 2002;
- Rünkmanns, Christian, Thole, Christoph, Handbuch Insolvenzplan, 1 st edition, 2016, § 23;
- Schihalejev et al., Conditions For The Bankruptcy Of Natural Persons: Which Baltic State Is The Most Attractive For Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue;
- Spooner, Joseph, Explaining Personal Insolvency and the Law, 2020;
- Tamosiuniene, Egidija, Terebeiza Zilvinas, Bolzanas, Darius, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Issues and Solutions, European Scientific Journal, August 2013, Vol. 9, no. 22, pg. 78, available at: <https://bit.ly/3jbbaAb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Tamosiuniene, Egidija, Terebeiza Zilvinas, Bolzanas, Darius, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Issues and Solutions, European Scientific Journal, August 2013;
- Tolmie F., CORPORATE AND PERSONAL INSOLVENCY LAW , Second Edition, School of Law, Kingston University, 2003;

- Tsvetan, Petrov, Harmonising Restructuring Law in Europe: A Comparative Analysis of the Legislative Impact of the Proposed Restructuring Directive on Insolvency Law in the UK and Germany, University of Edinburgh, 2017;
- Walter G., JensValdemarK.,The Leniency of Personal BankruptcyRegulations in the EU Countries.Risks 9, 2021;
- Weil v. E., No. 16-55359 (9th Cir. 2017);
- Wilde J, Verbraucherinsolvenz: Erfolgreiche Schuldbefreiung, Musterbriefe – fallstricke – Praxishilfen , WALHALLA Fachverlag, Regensburg;
- Derek, J. Baker, United States: Requirement Of Good Faith Implied In Chapter 7 Filings, Philadelphia;
- American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13Going Once Going Twice, 2005;
- THE INSOLVENCY FRAMEWORK, CREDITOR ORDER OF PRIORITY
[ხელმისაწვდომია: <https://www.r3.org.uk/about-r3-insolvency-restructuring/about-insolvency-and-restructuring/the-insolvency-framework/creditor-order-of-priority/> ,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Insolvency and Creditor/Debtor Regimes Task Force. 2014. Report on the Treatment of the Insolvency of Natural Persons. World Bank, Washington, DC., World Bank
[ხელმისაწვდომია: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/17606> ,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- American Bankruptcy Institute Journal, Good Faith in Chapter 13Going Once Going Twice, 2005 [ხელმისაწვდომია: <https://www.abi.org/abi-journal/good-faith-in-chapter-13going-once-going-twice#3> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

ნორმატიული ბაზა

საქართველოს კანონმდებლობა:

- სსაქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997;
- საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, 25.06.1996;
- საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, 28.03.2007;
- საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 18.09.2020;
- U.S. Bankruptcy Code, U.S. Code: Title 11, 1978;
- Insolvency Act, 1986;
- Insolvency Code (InsO), 1994;
- German Criminal Code, (Strafgesetzbuch – StGB) 1871;
- REPUBLIC OF LITHUANIA, LAW ON PERSONAL BANKRUPTCY, 2012;

სხვა წყაროები

- Council of Europe, Recommendation Rec (2007)8 and explanatory memorandum on Legal Solutions to Debt Problems, Strasbourg, 2008, 10 (8) [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096bb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023]
- The Insolvency Service, Guide to Bankruptcy [ხელმისაწვდომია: <https://www.gov.uk/government/publications/guide-to-bankruptcy/guide-to-bankruptcy>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023]
- Creditors' Rights in Bankruptcy [ხელმისაწვდომია: <https://www.justia.com/bankruptcy/collections-credit/creditors-rights/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023]

- Owed money from a bankrupt or a company in liquidation, Order of priority for repayment of creditors [ხელმისაწვდომია: <https://www.nibusinessinfo.co.uk/content/order-priority-repayment-creditors>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Legal Information Institute, Bankruptcy trustee [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_trustee , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Federal Rules of Bankruptcy Procedure › PART III—CLAIMS AND DISTRIBUTION TO CREDITORS AND EQUITY INTEREST HOLDERS; PLANS › Rule 2022 (b). Filing, Objection to Confirmation, Effect of Confirmation, and Modification of a Plan in a Chapter 12 or a Chapter 13 Case [ხელმისაწვდომია: https://www.law.cornell.edu/rules/frbp/rule_2002, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Options for paying off your debts [ხელმისაწვდომია; <https://www.gov.uk/options-for-paying-off-your-debts/debt-relief-orders> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- European Union, E-Justice Portal, England and Wales – Insolvency, paragraph 2, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oHIVLW> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Council of Europe, Recommendation Rec (2007)8 and explanatory memorandum on Legal Solutions to Debt Problems, Strasbourg, 2008 [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807096bb>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- European Commission, 'Recommendation of 12.3.2014 on a new approach to business failure and insolvency', C(2014) 1500 final, 12 March 2014 [ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014H0135&from=FR> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

- Directive 2008/48/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on credit agreements for consumers and repealing Council Directive 87/102/EEC, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- The Insolvency Service, Insolvency Proceedings: Debt relief orders and the bankruptcy petition limit. Call for evidence, Chapter 2 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39yiAtX>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- European Justice, An official website of the European Union, <https://e-justice.europa.eu/home?action=home>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Cornell Law School, Legal Information Institute, https://www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_estate , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/4951-17;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ნინო ბაქაძური (თავმჯდომარე, მომხსენებელი) მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე, 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ნინო ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი) მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე, 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N2/4951-17,
- საქმე №330210321005190848 2/29962-21 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 26 სექტემბერი, 2022 წელი

საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოს გადაწყვეტილებები

- *Marrama v. Citizens Bank of Massachusetts*, 549 U.S. 365, 127 S. Ct. 1105, 166 L. Ed. 2d 956 (2007) [ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/marrama-v-citizens-bank-of-massachusetts-2/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- *Maney, et al v. Kagenveama*, No. 06-17083 (9th Cir. 2008) [ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/ca9/06-17083/0617083-2011-02-25.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- *Flores, et al. v. Danielson*, No. 11-55452 (9th Cir. 2012) [ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/ca9/11-55452/11-55452-2012-08-31.html> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- *Hamilton v. Lanning*, 560 U.S. 505 (2010) [ხელმისაწვდომია: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/560/505/> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023

- Rivitera v. Curran, No. 16-9006 (1st Cir. 2017) [ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/ca1/16-9006/16-9006-2017-04-20.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Cologne district court, resolution of June 30, 2017 - 71 IK 453/12 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199850.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Cologne district court, resolution of November 14, 2017 - 73 IN 173/15, Paras 2-18 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/2199872.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Federal Court of Justice, judgment of 22 January 2004 – IX ZR 39/03 [ხელმისაწვდომია: <https://e-justice.europa.eu/447/EN/insolvencybankruptcy?GERMANY&init=true&member=1>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- BGH , judgment of March 20, 2014 - IX ZR 80/13 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/688223.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- BGH decisions dated 22.1.2004 - IX ZR 39/03, BGHZ 157, 350 = ZInsO 2004, 270; v. 21.2.2008 - IX ZB 62/05, BGHZ 175, 307 = ZInsO 2008, 453; v. 13.1.2011 - IX ZR 53/09, ZInsO 2011, 389; v. 26.9.2013 - IX ZR 3/13, ZInsO 2014, 40, at para. 12
- BGH, decision of 09/25/2014 - IX ZB 117/12 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/740960.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- BGH, decision of 09/25/2014 - IX ZB 11/14 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/747133.html>], უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- BGH, judgment of 25 April 2002, aaO mwN; Order of 20 March 2008, loc. Cit;

- BGH, judgment of 25 April 2002 - IX ZR 313/99;
- BGH, decision of 08.12.2005 - IX ZB 308/04;
- BGH, decision of 12.01.2012 - IX ZB 157/11, WM 2012;
- OLG Frankfurt am Main, decision of June 3rd, 2009 - 3 Ws 214/09 [ხელმისაწვდომია: <https://openjur.de/u/302285.html> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 31.08.2023
- Judgment of the Court (Fourth Chamber), 18 December 2014, CA Consumer Finance SA v Ingrid Bakkaus and Others